საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)

მაგდა ჭიქაბერიძე

XIX საუკუნის ქართველ მწერალთა მემუარული მემკვიდრეობა

(ალექსანდრე ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, სოფრომ მგალობლიშვილი)

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
„ქართული ლიტერატურის ისტორია“

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ლადო მინაშვილი**,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი
2018

შინაარსი

ანოტაცია (ქართულად) 3

ანოტაცია (ინგლისურად) 5

შესავალი 6

თავი I. ალექსანდრე ორბელიანის მოგონებები 9

1.1. ალექსანდრე ორბელიანის შემოქმედება 12

1.2. „ჩვენი ძველი სახლეულობანი“ 16

1.3. „პუპლია“ 20

1.4. „1811-ის წლის ჭირი საქართველოში“ 21

1.5. „მოგონება“ 23

1.6. „ჭეშმარიტი სიყვარული“ 30

1.7. „რუსების დასი ქართუელები ჩემზედ“ 36

1.8. „ვარანცოვთან ჩემი დაბეზღება“ 44

1.9. ალექსანდრე ორბელიანის მემუარების მხატვრულობის შესახებ 45

თავი II. დიმიტრი ყიფიანის მემუარები 49

2.1. დიმიტრი ყიფიანის ლიტერატურული საქმიანობა 50

2.2. „სკოლა სულისა“ 53

2.3. გურიის აჯანყების დიმიტრი ყიფიანისეული შეფასება 61

2.4. „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა“ 63

2.5. დიმიტრი ყიფიანის არჩევა თავადაზნაურობის წინამძღოლად 65

2.6. დიმიტრი ყიფიანი და საგლეხო რეფორმა 68

2.7. „1832 წლის ყაზარმობა“ 72

2.8. დიმიტრი ყიფიანის მემუარების დამატება - „ჩემი მონაწილეობა 1832 წლის შეთქმულებაში“ 81

2.9. შეთქმულებაში დიმიტრი ყიფიანის მონაწილეობის შესახებ 83

2.10. „მემუარები“ კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების შესახებ 87

თავი III. სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებები 89

3.1. „მოგონებანი“ 90
3.2. სოფლის გარემო 92
3.3. სწავლა-აღზრდა ძველ სოფელში 100
3.4. გორის სასულიერო სასწავლებელი 102
3.5. თბილისის სასულიერო სემინარია.....105
3.6. კულტურული ცხოვრება მე-19 საუკუნის 70-80-იან წლებში.....108
3.7. ბატონყმობის გადავარდნა საქართველოში 114
3.8. ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში 115
3.9. მოგონებები ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებზე 118
დასკვნა.....155
დამოწმებული ლიტერატურა 162

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომი „მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა მემუარული მემკვიდრეობა“ წარმოადგენს სამი გამორჩეული მამულიშვილის, შესანიშნავი მოქალაქისა და მწერლის: დიმიტრი ყიფიანის, ალექსანდრე ორბელიანისა და სოფრომ მგალობლიშვილის მემუარების ანალიზს.

სადისერტაციო ნაშრომის შესავალში საუბარია მემუარების რაობაზე საერთოდ და, კერძოდ, მე-19 საუკუნის ქართული მემუარული ლიტერატურის თავისებურებებზე.

პირველ თავში განხილულია **ალექსანდრე ორბელიანის მოგონებები**: „ჭეშმარიტი სიყვარული“ (1838), „ვარანცოვთან ჩემი დაბეზღება“ (1862), „რუსების დასი ქართუელები ჩემზედ“ (1862-1866), „პუპლია“ (1867), „1811-ის წლის ჭირი საქართველოში“ (1867), „მოგონება“ (1867), „ჩვენი ძველი სახლეულობანი“ (1869). მოგონებებში ნათლად ჩანს ჩვენი ქვეყნის მაშინდელი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მემუარისტის ცხოვრების საინტერესო მომენტები, მწერლური თავისებურებები, დაკვირვების, აღწერის, შეფასების შესაძლებლობები.

ნაშრომის მეორე თავი - „დიმიტრი ყიფიანის მემუარები“ - ათი პარაგრაფისაგან შედგება. მათში გაანალიზებულია დ. ყიფიანის ცნობიერებაში აღბეჭდილი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება რუსული მმართველობის დამყარების პირველ ათწლეულებში; კერძოდ: 1832 წლის შეთქმულება, მე-19 საუკუნის 20-30-იანი წლების სასწავლებლები, 1841 წლის გლეხთა აჯანყება გურიაში, ვორონცოვის ეპოქა, 1864 წლის თავად-აზნაურთა არჩევნები, საგლეხო რეფორმა და სხვა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები. დ. ყიფიანის მემუარები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის როგორც ეპოქის, ისე ავტორის ხასიათის, მსოფლმხედველობის, ინტერესებისა და ცხოვრების წესის შესახებ. ნაშრომის ამ ნაწილში კრიტიკულადაა განხილული აღნიშნული ეპოქის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი თვალსაზრისები.

მესამე თავში გაანალიზებულია **სოფრომ მგალობლიშვილის მიერ 1910-1925 წლებში** დაწერილი და გამოქვეყნებული მოგონებები. ისინი მნიშვნელოვან ცნობებს

შეიცავს მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შესახებ. უმეტეს მათგანთან მემუარისტს პირადი და სამსახურებრივი ურთიერთობა აკავშირებდა, რაც მოგონებებს მეტ სანდოობასა და დამაჯერებლობას სძენს. მემუარისტი, ასევე, საინტერესოდ გვაცნობს ჩვენი წარსული ცხოვრების სხვადასხვა სფეროს: სოფლის გარემოს, ბატონყმობის სურათებს, სასწავლებლებს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას 70-80-იან წლებში, კულტურის სიახლეებს. სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში ს. მგალობლიშვილის მიერ აღწერილი ფაქტები შეპირისპირებულია სხვა ავტორთა თვალსაზრისებთან.

ბოლოს შეჯამებულია კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები.

Annotation

The Thesis "Memorial legacy of the XIX century Georgian writers" represents the analysis of the memoirs of three distinguished patriots, great citizens and writers: Dimitri Kipiani, Alexander Orbeliani and Soprom Mgaloblishvili.

First Chapter of the Thesis reviews the memoirs of Alexander Orbeliani: "True Love" (1838), "Sneaking me to Vorontsov" (1862), "Russian Company Georgians about me" (1862-1866), "Puplia" (1867), "The Plague of 1811 in Georgia" (1867), "Memoir" (1867), "Our Old Households" (1869). The memoirs clearly display the social-political state of our country of that period, interesting moments of the memoirist's life, and specifics, observation, description, and evaluation possibilities of the writer.

Second Chapter of the Thesis – "Memoirs of Dimitri Kipiani" – consists of 10 subchapters. They analyze the social-political life of Georgia during the first decades of establishment of the Russian government, as imprinted in the Consciousness of Dimitri Kipiani, particularly: The Conspiracy of 1832, educational institutions of 20-30-s of the XIX century, the peasants uprising if 1841 in Guria, the Vorontsov era, nobility elections of 1864, the peasants reform and other more or less interesting historic events. The memoirs of Dimitri Kipiani clearly depict the respective era, as well as the character of the writer, his worldview, interests and his way of life. This part of the Thesis critically reviews the standpoints concerning the said era represented in the scientific letters.

The third Chapter analyzes the memoirs written and published by S. Mgaloblishvili during 1910-1925. They contain important information concerning the Georgian writers and public figures of the XIX century. The memoirist had personal and official relations with most of the mentioned persons, which renders more reliability and confidence to these memoirs. The memoirist also introduces interestingly various fields of our past life: the rural situation, serfdom pictures, educational institutions, social-political movements of the 70-80-s, the culture news. The facts described in this part of the Thesis, are compared with the points of view of other authors.

In conclusion, findings from the survey are summarized.

შესავალი

მემუარი (ფრანგ. memories < ლათ. Memoria - ხსოვნა, მახსოვრობა) არის დოკუმენტურ-ეპიკური ჟანრის ნაწარმოები. მასში აღწერილია წარსულში მომხდარი მოვლენები, რომელთა მონაწილე და მოწმე თვითონ ავტორია. „მემუარი ისტორიული ხასიათის თხზულებაა, იგი ყოველთვის გვიამბობს გარდასული საზოგადოებრივი ცხოვრების ამბებზე, რომლის მონაწილე იყო თვით ავტორი... აქ თხრობა პირველი პირით წარმოებს და მწერლის შუალობითაა გადმოცემული ყველა ღირშესანიშნავი ამბავი..." (ჭილაია... 1957: 158).

მემუარისტი არა მხოლოდ აღწერს ფაქტებსა და მოვლენებს, არამედ მათ მიმართ პირად დამოკიდებულებას გამოხატავს და შეფასებასაც იძლევა. „მაშინაც კი, როცა ავტორი ეხება იმ მოქმედებებს, რომლებიც **მოხდა მისი მონაწილეობის გარეშე**, **მაინც ჩანს მისი პირადი დამოკიდებულება და შეფასება.** ამას გარდა ისინი ჩასმულია აღწერაში და თხრობაში, როგორც დამატებითი მასალა ძირითადისა, რაც განუყოფელია ავტორისაგან" (ქვლივიძე 1988: 55).

მემუარები, როგორც წესი, იწერება მომხდარიდან საკმაო დროის გასვლის შემდეგ - „ერთი მხრივ, მწერალი **იგონებს** იმას, რაც გაიაზრა და განიცადა აღწერილ დროში. მეორე მხრივ, ის **სვამს ახალ ელემენტებს** თავის დამოკიდებულებაში" (56).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მემუარებში განსაკუთრებით საყურადღებოა **მწერლის პიროვნული, ავტობიოგრაფიული მახასიათებლების წარმოჩენა და საერთო საზოგადოებრივი ამბების, ეპოქის ხასიათის, ისტორიული შემთხვევების, საზოგადოებრივი აზრის განვითარების აღწერა.** ზოგიერთი დეფინიციის მიხედვით, მემუარებში მთავარი **აქცენტი გარემოში მომხდარზე** კეთდება (Dtv – Lexikon, 2006: 220)[1].

მემუარებთან ახლოს დგას დოკუმენტური ჟანრის სხვა ნაწარმოებები: **მგზავრის წერილები, დღიურები და ავტობიოგრაფია.** მართალია, თხრობა ამ შემთხვევებშიც პირველი პირით, ქრონოლოგიურად, ფაქტების მიხედვით მიმდინარეობს, მაგრამ მათ შორის არის

[1] **Memoiren** [memo‘ a: frz.], Lebenserinnerungen, eine Darstellung der eigenen Erlebnisse, bei der im Gegenzatz zur Autobiografie das Gewicht auf die äusseren Geschehnisse gelegt wird - მემუარები, ცხოვრებისეული მოგონებები, არის საკუთარი გამოცდილების აღწერა, რომელშიც, ავტობიოგრაფიისაგან განსხვავებით, **აქცენტი გარემოში მომხდარზე კეთდება** (Dtv-Lexikon, 2006: 220).

არსებითი განსხვავება; კერძოდ: **მგზავრის წერილებში** ავტორი, ძირითადად, გადმოგვცემს მოგზაურობისას მიღებულ შთაბეჭდილებებს, დაკვირვებებსა და თავგადასავალს. აქ „მთელი ყურადღება მიმართულია ბუნებისაკენ, და თუ ეს მშობლიური ქვეყნის ბუნებაა, მაშინ ვლინდება გარკვეული პატრიოტული ელემენტი. სხვა შემთხვევაში წინა პლანზე ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობებია ან ყურადღება მიმართულია პუბლიცისტურ-პოლიტიკური პრობლემისადმი“ (ქვლივიძე 1988: 54).

დღიური მწერლის ცხოვრების ყოველდღიური ან პერიოდული (მოკლე შუალედებით) აღწერაა. მისთვის დამახასიათებელია ჩაწერის თარიღის აღნიშვნა და სინქრონულობა. მემუარებისაგან განსხვავებით, დღიურში, ძირითადად, აღწერილია აწმყოში ან უახლოეს წარსულში მომხდარი ამბები, გადმოცემულია ახალი შთაბეჭდილებები.

ავტობიოგრაფია ავტორის მიერ საკუთარი ცხოვრების აღწერაა. ის ყველაზე ახლოსაა მემუარებთან, მაგრამ მასში მთავარი აქცენტი მწერლის პიროვნებაზე კეთდება, საერთო საზოგადოებრივი ამბები კი შედარებით უკანა პლანზეა გადაწეული.

მემუარებში ავტორი ხშირად რთავს ამონარიდებს დღიურებიდან, წერილებს, ჩანაწერებსა და სხვა დოკუმენტებს, რაც ქმნის ავთენტურობისა და უტყუარობის შთაბეჭდილებას.

ევროპაში მემუარების ლიტერატურული მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა მე-18 საუკუნეში, **განმანათლებლების ეპოქაში**. ფეოდალურ-რელიგიური ბორკილებისაგან განთავისუფლებული საზოგადოება **ადამიანით**, მისი ცხოვრების სხვადასხვა წახნაგით დაინტერესდა. ყურადღების ეპიცენტრში მოექცა **წარსული ცხოვრება**, როგორც მაგალითი აწმყოსა და მომავლისათვის. ამ დროს დაიწერა **რუსოს**, **გოეთეს**, **სენ-სიმონისა** და სხვათა შედევრები, რომლებიც სინამდვილეს უშუალოდ და შეულამაზებლად ასახავდნენ.

მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან მემუარული ლიტერატურისადმი ინტერესი **რუსეთშიც** მძაფრდება. რუსი მწერლების მემუარული მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია: **ალექსანდრე გერცენის „ნამყო და ნააზრევი“**, **ლევ ტოლსტოის ავტობიოგრაფიული**

ტრილოგია: „ბავშვობა, ყრმობა და სიჭაბუკე“, სერგეი აქსაკოვის „საოჯახო ქრონიკა“, ვლადიმერ კოროლენკოს „ჩემი თანამედროვის ისტორია“ და ა. შ.

საქართველოში უკვე მე-19 საუკუნეში იქმნება მეტად საინტერესო მემუარული ნაწარმოებები. მათი რაოდენობა დიდი არ არის, რასაც თავისი ახსნა აქვს. როგორც ჩანს, ამ დროს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ სათანადოდ გაცნობიერებული ჩვენში მემუარების დიდი მნიშვნელობა და ღირებულება; გარდა ამისა, ჩვენს მწერლებს ყოველთვის უწევდათ შებმა პირქუშ სინამდვილესთან, დღენიადაგ ზრუნვა ყოფით საკითხებზე, რაც მათ მცირე დროს უტოვებდა ისეთი ფუფუნებისათვის, როგორიცაა მემუარებზე ფიქრი, მათ შედგენაზე ზრუნვა; გასათვალისწინებელია, ასევე, ჩვენი ქვეყნის მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობაც: მემუარების წერა - რეალობის შეულამაზებლად ასახვა და, ამასთან, აღწერილი ისტორიული მოვლენებისა თუ პირებისადმი საკუთარი დამოკიდებულების, პოზიციის გამოხატვა - იმ დროს მეტად სახიფათო იყო (ამის მაგალითებს ჩვენ ქვემოთ შევხვდებით). ასეთი ვითარების გათვალისწინებით, რაც გვაქვს, მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა მემუარული მემკვიდრეობა, უაღრესად ძვირფასია ჩვენთვის და, შესაბამისად, მნიშვნელოვანია მისი სხვადასხვა კუთხით შესწავლა.

მართალია, ცალკეული მწერლის შემოქმედების შესწავლისას ქართული ლიტერატურის ისტორიკოსები სათანადო ყურადღებას უთმობენ მის მემუარულ ნაწერებსაც, მაგრამ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არ არსებობს იმ ტიპის ნაშრომები, რომლებიც ერთიანობაში, მთლიანობაში განიხილავდა მათ ლიტერატურული თვალსაზრისით. ჩვენი მიზანია, სწორედ ლიტერატურის ისტორიკოსის პოზიციიდან გავიაზროთ მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა მემუარული მემკვიდრეობა, თვალი გავადევნოთ, თუ როგორ გვაცნობენ მხატვრული სიტყვის ოსტატები თავიანთ პიროვნებას, თანამებრძოლთა, ქართველ მწერალთა და, საერთოდ, საზოგადო მოღვაწეთა ლიტერატურულ პორტრეტებს, როგორაა წარმოდგენილი მათ ნაწერებში ამ პერიოდის ქართული ლიტერატურული ცხოვრება თუ ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზრის დინამიკა.

ამჯერად ჩვენ ყურადღება შევაჩერეთ სამი ქართველი მწერლის: **ალექსანდრე ორბელიანის, დიმიტრი ყიფიანისა და სოფრომ მგალობლიშვილის** მემუარებზე. ეს,

პირველ რიგში, იმიტომ, რომ მათი შემოქმედება ამ კუთხით ნაკლებად იყო შესწავლილი; მეორეც, ჩვენთვის მეტად საინტერესო აღმოჩნდა სხვადასხვა თაობის, სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური შეხედულების მქონე მწერლის მიერ გაცოცხლებული ეპოქა **წარსულის** სრული, პანორამული სურათის წარმოსადგენად.

თავი I. ალექსანდრე ორბელიანის მოგონებები

მე-19 საუკუნის ქართულ მემუარულ ლიტერატურაში თვალსაჩინოა ღვაწლი და დამსახურება **ალექსანდრე ორბელიანისა**.

ალ. ორბელიანი დაიბადა 1802 წელს. იგი იყო ერეკლე მეფის უსაყვარლესი უმცროსი ქალიშვილის, თეკლე ბატონიშვილის, ვაჟი. მამა, ვახტანგ ორბელიანი, ასევე, მაღალ არისტოკრატიულ წრეს მიეკუთვნებოდა. იგი დაიღუპა 1812 წელს, კახეთის აჯანყების ჩაქრობის ჟამს. ოჯახში სათუთად ინახავდნენ მის ხსოვნას. მამის დაღუპვის შემდეგ დაბადებულ უმცროს ვაჟსაც - მომავალ პოეტს - ვახტანგი დაარქვეს.

ალ. ორბელიანმა დედის ხელმძღვანელობით კარგი საშინაო განათლება მიიღო. იგი ბავშვობიდანვე განსაკუთრებული მეხსიერებით გამოირჩეოდა. „ჩემს ყმაწვილობაში, როდესაც ხუთის წლის ვიყავ, ასეთი მეხსიერი გონება მქონდა, რასაც წამაკითხებდნენ, ანუ ვნახამდი რასმე ან გავიგონებდი, მაშინვე დავიხსომებდი“, - აღნიშნავს მწერალი მოგვიანებით (S-N1634).

თავდაპირველად ალ. ორბელიანი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში შეიყვანეს, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ სწავლა პეტერბურგის სამხედრო სასწავლებელში განაგრძო. სწორედ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში შეარქვეს ალექსანდრეს მეტსახელი „პუპლია“, რომელიც მას მთელი ცხოვრება გაჰყვა (ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

1817 წელს ალ. ორბელიანი, თავისი სურვილის წინააღმდეგ, სამხედრო სამსახურში შევიდა: „ცოცოტათ შევეჩვიე რუსებს და ბოლოდროს იმათ სამხედროს ჯარშიაც შევედი სამსახურში, უფრო სწორეთა ვთქუა, **გარეშე მრჩევლებმა შემგზავნეს**,

ეგება დავჩუეულიყავ იმათთან, მაგრამ მაინც ის ჩემი ყმაწვილობის სიძულვილი იმათი დამჩემდა და ვეღარ ამოვხოცე გულიდგან“ (საოჯახო ბიბლიოთეკა 2009: 47).

1820 წელს ალ. ორბელიანმა მონაწილეობა მიიღო იმერეთის აჯანყების ჩაქრობაში. ჩვენდა საუბედუროდ, „მთელი XIX საუკუნის მანძილზე ამგვარი უსიამოვნო მისიის შესრულება მრავალ სახელოვან ქართველს მოუხდა. ეს იყო ბედის ირონია და გარკვეულად ტრაგიკული ხვედრი დიდი ქართველებისა“ (ევგენიძე... 2013: 59).

როგორც **ვახტანგ კოტეტიშვილი** წერს, მისი კარიერაც „ისევე დაიწყო, როგორც იმ დროს იწყებოდა ყველა დიდგვარიანთა სარბიელი, მაგრამ ალექსანდრე ორბელიანმა ადრე იგრძნო ამ „სახაზინო“ ცხოვრების ქარიანობა და უნაყოფობა“ (კოტეტიშვილი 1965: 220).

1824 წელს ალ. ორბელიანმა სამხედრო სამსახურს თავი დაანება, მანამდე, 1823 წელს, დაქორწინდა დავით ბარათაშვილის ასულ ეკატერინეზე. მწერალი სამსახურიდან წამოსვლის ორ მიზეზს ასახელებს: „როდისაც რომ სამხედრო სამსახური დაუტევე, იყო 1824 წელიწადი, მაგრამ მე 1823-ის წლიდგან მაისის დამდეგიდანვე, აგრერიგად აღარ ვასრულებდი თანამდებობასა, ამისთუის რომ გული ამეყარა სამსახურზედ და ჯვარის დაწერასაც ვაპირებდი...“ (საოჯახო ბიბლიოთეკა 2009: 47-48).

ალ. ორბელიანი 1826 წლიდან სამხედრო მილიციაში მსახურობდა და მონაწილეობას იღებდა სპარსელების წინააღმდეგ რუსეთის მიერ წარმოებულ ბრძოლაში. 1828 წელს იგი აირჩიეს თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლად, ხოლო 1829 წლიდან - საქართველოს უმაღლესი მთავრობის სააღმსრულებლო ექსპედიციის მრჩევლად („სოვეტნიკად“).

ალ. ორბელიანი იყო 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. შეთქმულების გაცემისთანავე ისიც დააპატიმრეს. ჯერ სხვა მოთავეებთან ერთად სიკვდილი მიუსაჯეს, ხოლო შემდეგ შეიწყალეს და ორენბურგში გადაასახლეს სამხედრო სამსახურის უფლებით (პრაპორშჩიკად). 1838 წელს ალ. ორბელიანი გადმოიყვანეს კავკასიის ხაზზე, ხოლო 1840 წელს საბოლოოდ გაათავისუფლეს.

1832 წლის შეთქმულების მონაწილე ორბელიანების მთელი ოჯახი აღმოჩნდა, ალ. ორბელიანის გარდა, სხვებსაც სხვადასხვა დროს მოუწიათ გადასახლება, მათ შორის ერეკლე მეფის უსაყვარლეს ქალიშვილს, თეკლეს[2].

სამშობლოში დაბრუნება ალ. ორბელიანმა უდიდესი ემოციით გამოხატა: „ეხლა ნახევარკაცი ძლივს მოვდივარ. მოვალ მაგ შენს ხეობაში. შენს ქვებს მოვლოკ ჩემი ამდენი წლის დახავსებულისა გულისა განსაკურნად. შენ იქნები, მდინარეო თერგო, ჩემი პირველი უკვდავების წყარო... დარიელის ხიდს ქვემოთ თერგის პირზე ჩაველ... იქ დავიჩოქე, ერთს ქვას მოვეხვიე და იმას კოცნით მოვლოკამდი, რომელსაცა მიხაროდა და ღმერთს მადლობას შევსწირავდი: კიდევ ვნახე ჩემი მშობელი მამულის სამძღვრის პირი“ (ბერძნიშვილი 1983: 126).

გადასახლებიდან დაბრუნებული ალ. ორბელიანი სახელმწიფო სამსახურში აღარ შესულა. მწერლის თქმით, „აქეთ რომ დავბრუნდი და ჩემს სახლში მოვედი ჩემ მახლობლებთან, მეგონა: ეს-ეს არის ჩემი გული დამშვიდდება-მეთქი. არა, ვეღარ შევიძელი, ვეღარ მოვერიე ჩემ გულს, ვეღარ დავაწყნარე, უარესი და უარესი სურვილი მომეკიდა მამულისა“ (საოჯახო ბიბლიოთეკა 2009: 49). სამშობლოს სიყვარულით გულანთებულმა მწერალმა თავი საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობას მიუძღვნა. ალ. ორბელიანი იღვწოდა ქართული თეატრის აღორძინების, ჟურნალ-გაზეთების დაარსებისა და სკოლების გახსნისათვის. ივანე კერესელიძის რედაქტორობით აღდგენილ ჟურნალ „ცისკარს“ გრიგოლ ორბელიანთან ერთად ისიც აფინანსებდა, მასში ხშირად აქვეყნებდა თავის თხზულებებს. ალ. ორბელიანი გარდაიცვალა 1869 წელს, დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში.

ალ. ორბელიანის, როგორც მწერლისა და მოღვაწის, მიზანსწრაფვას კარგად გამოხატავს შემდეგი თვითდახასიათება: „ბევრს რაღაცას ამბობენ ჩემზე, იმათ შორის იმასაც მწამებენ მე, ოღონდ ქართული იყოს და რაც უნდა სულ ერთია იმისთვისაო, ვაღიარებ საზოგადოების წინაშე, რომ სწორე არი ნათქვამი“ (ევგენიძე… 2013: 61).

ალ. ორბელიანი, როგორც დიდი პატრიოტი, გულმხურვალე მამულიშვილი, დიდად იყო დაფასებული გამორჩეულ ქართველ მოღვაწეთა მიერ: დიდმა პოეტმა, გრ.

[2] ალ. ორბელიანის ორივე ძმა და დედა გადაასახლეს კალუგაში.

ორბელიანმა, მას მიუძღვნა თავისი შესანიშნავი პოემა „სადღეგრძელო“, რომლის მრჩეველი და პირველი შემფასებელი თვითონვე იყო, ხოლო ჭაბუკმა ილიამ - პოლემიკური წერილი „პასუხი“.

ალ. ორბელიანის სახე შთამბეჭდავად ცოცხლდება მისი ძმისშვილის, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის, მოგონებებში: „საინტერესო ტიპი იყო ჩემი საყვარელი ბიძა, თავისებური, განუმეორებელი, ძალიან მორწმუნე. დიდი მოსიყვარულე ყველა თავისიანებისა. ყოველღამ დაწოლის წინ გამოვიდოდა თავის დიდ სვეტებიან აივანზე და სუყველას შორიდან პირჯვარს გვწერდა და თან ტრიალებდა, რადგან ქალაქის სხვადასხვა კუთხეებში, მისგან სხვადასხვა მიმართულებით ვცხოვრობდით. **მარადჟამ სამშობლოს განთავისუფლებას ნატრობდა**“ (საოჯახო ბიბლიოთეკა 2009: 80).

მ. ჯამბაკურ-ორბელიანი ბიძას მამასავით ეთაყვანებოდა, მისი გარდაცვალება ახალგაზრდა, მგრძნობიარე ქალს ღრმად განუცდია: „მამაზე არანაკლებ თაყვანს ვცემდი მის უფროს ძმას, ბიძაჩემ ალექსანდრეს, რომლის სიკვდილი ჩემი პირველი მწუხარება იყო და იმდენად ძლიერი, რომ დიდხანს ვიავადმყოფე ამის გამო. მაშინ 16 წლის ვიყავი“ (79).

დიდი პატივისცემითა და სიყვარულით იხსენებს ალ. ორბელიანს დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი: „პირველ ნახვისთანავე შემიყვარდა. ის იყო ნამდვილი ქართველი კაცი, ბევრის მნახველი, ბევრის გამგონე და ნაღვაწი. ძალიან უყვარდა საქართველო... პოლიტიკაში ნამეტანი ფრთხილი იყო. ბევრი რამ ძველი თუ ახალი იცოდა, მაგრამ დღისით იმასაც არას ეტყოდა, ვისთანაც გულგახსნილად იყო; ღამე, როცა მარტოკა დარჩებოდა მეგობართან, მოჰყვებოდა ხოლმე ხმის კანკალით სხვადასხვა ამბებს, მაგრამ მაშინაც სიფრთხილით სანთლებს აქრობდა!..“ (წერეთელი 1989: 101).

ალ. ორბელიანის განსაკუთრებულ სიფრთხილეს თავისი ახსნა ჰქონდა. მას სამშობლოს ბედი ადარდებდა: „არა შემამთხვიონ რა და ჩემი მშობელი ქუეყანა უმზრუნველო არ დარჩეს... ჩემის მეტი ჩუენის ქუეყნისათვის აღარავინ აღარ იყო და თუ იყო ვინმე, დიახ ცოტა“ (საოჯახო ბიბლიოთეკა 2009: 50).

არჩილ ჯორჯაძის შეფასებით, „ალ. ორბელიანი, თუმცა ძველი დროის კაცი იყო, ძლიერ სასიამოვნო და სიმპატიურ ადამიანად მოსჩანს იმდროინდელ წყაროებიდან. ალ.

ორბელიანი ერთი თანამშრომელთაგანი იყო ჟურნალისა (იგულისხმება ჟურნალი „ცისკარი“ - მ. ჭ.), მხურვალედ უყვარდა ლიტერატურა...“ (ჯორჯაძე 1989: 123-124).

1.1. ალექსანდრე ორბელიანის შემოქმედება

ალ. ორბელიანი იყო მრავალმხრივი ლიტერატურული მოღვაწე; ის იყო პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, პუბლიცისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი; მის კალამს ეკუთვნის ისტორიული ნარკვევები.

პირველ ყოვლისა, ალ. ორბელიანი ავტორია ლირიკული ლექსებისა. მისი პირველი ლექსი „მთოვარე“ 1832 წელს გამოქვეყნდა სოლომონ დოდაშვილის ჟურნალში: „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“.

ალ. ორბელიანის ლექსები მეტწილად პატრიოტული და სატრფიალო ხასიათისაა („უეცარი შეხვედრა“, „მშვენიერას ქართველას“, „საქართველოს გაზაფხული“, „ეპიტაფია საქართველოს მეფის ირაკლისადმი“...). ვ. კოტეტიშვილის აზრით, ისინი, განსაკუთრებით ლექსი „რუსთაველი“, ჩვენს სინამდვილეში წარმოადგენენ თეთრი, ურითმო ლექსების საყურადღებო ნიმუშებს (კოტეტიშვილი 1965: 228-229).

ალ. ორბელიანი ოცნებობდა ქართული თეატრის აღორძინებაზე. თვითონაც ცდილობდა წვლილი შეეტანა ქართული დრამატურგიის გამდიდრებაში. მან სერიოზულად იმუშავა ამ ჟანრში. მისი ერთადერთი და საყვარელი თემა აქაც ისტორიული წარსული იყო. ალ. ორბელიანს ეკუთვნის დრამები: „დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი“, „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველებისა“, „კეთილი ბერიკაცი“ და „ჟამნი მეფობენ“. მართალია, ეს პიესები მოკლებულნი არიან დრამატულ თხზულებათა მთავარ ნიშანს - მოქმედებას, მაგრამ საყურადღებონი არიან შინაარსობრივად და, როგორც ცნობილია, მისი დრამა ჭაბუკ ერეკლეზე საფუძვლად დაედო ა. წერეთლის დრამა „პატარა კახს“.

ალ. ორბელიანის ლიტერატურული შესაძლებლობები თვალნათლივ გამოჩნდა მის ლიტერატურულ-კრიტიკულ ნააზრევში. ის თავის კრიტიკული წერილებში: „რამდენიმე სიტყვა „გაყრის“ კამედიაზედ“, „ქვრივის ლიმონების“ განხილვა ანუ კრიტიკა“, „ქართული უბნობა ანუ წერა“, „დართულს დართული“ და სხვ. ყურადღებას ამახვილებს

ლიტერატურული ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე, თემებზე, რომლებიც იმ დროისათვის აქტუალური იყო და ბევრი მათგანი არც შემდეგ კარგავს თავის მნიშვნელობას. როგორც მიუთითებენ, „ალ. ორბელიანის ლიტერატურულ შეხედულებათა გაცნობა გვარწმუნებს, რომ ამ მწერლის ნააზრევში ბევრი რამ არის ისეთი, რაც კრიტიკული შეფასების სფეროში ერთგვარ ლიტერატურულ წინაპირობას უწევდა ჩვენს დიდ სამოციანელებს“ (ევგენიძე... 2013: 64).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ალ. ორბელიანის წვლილი ქართული პროზის განვითარების საქმეში. მის კალამს ეკუთვნის **ისტორიული ნარკვევები** („ასპინძის ომი“, „აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში“, „1829 წლის არეულობა საქართველოში“, „დაღესტნის ლეკების გადმოსვლა ახალციხეში“, „უმანკო სისხლი“, „საქართველოს მეფის ირაკლის ძე ლევან“, „მეფის ირაკლის მეორის მეუღლე დარია ანუ დარეჯან“, „მეფის ირაკლის მეორის დროის ცოცოტა ანბები, ანუ ზოგიერთი მაშინდელი პირნი“, „გივი ამილახვრის გაქცევა ქ. ტფილისიდგან“...) და **მოგონებები** („ჩვენი ძველი სახლეულობანი“, „მოგონება“, „რუსების დასი ქართუელები ჩემზედ“, „ვარანცოვთან ჩემი დაბეზღება“, „ჭეშმარიტი სიყვარული“, „1811-ის წლის ჭირი საქართველოში“...). ალ. ორბელიანს თავისი პროზაული ნაწერების „**ჟანრის განსაზღვრაზე არც არასოდეს უფიქრია.** როგორც ეწერებოდა, ისე ივსებოდა ფურცლები და ოდესმე იქნებ გადამუშავებულიყო, იქნებ არცა. და ამ სახითვე შემონახულიყო ის ამბები...“ (ჩხეიძე 1996: 163).

ვ. კოტეტიშვილის აზრით, ალ. ორბელიანის ძალა სწორედ ამ სფეროშია საძიებელი, ასეთ ნაწერებში. „მისმა მემუარებმა თუ მოგონებებმა გამოარჩიეს იგი სალიტერატურო გზაზე დამდგარ პირთა რიგებიდან და აამაღლეს, როგორც **უნაზესი განცდების და მახვილი აზრის ავტორი**. და თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელი საზოგადოების გონებრივ თვლემასა თუ ზნეობრივ ციებას, იმ ყოველმხრივ დაუძლურებას, რომელიც ჩვენს სინამდვილეს დაპატრონებოდა, ალექსანდრე ორბელიანის პორტრეტი უფრო მეტ მკაფიობას მიიღებს და განათდება“ (კოტეტიშვილი 1965: 211).

ალ. ორბელიანის პროზაული ნაწერების როლი განსაკუთრებულია ქართული ბელეტრისტიკის განვითარებაში. მისი ისტორიული თხრობანი, მემუარული ნაწერები უაღრესად საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს მწერლის დიდ წინაპართა, თანამედროვეთა, საქართველოში მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.

ალ. ორბელიანი საინტერესოდ აღწერს ისტორიული ხასიათის ამბებზე, მემუარებზე თავის მუშაობას: „ჩემი სამსახურის თავის დანებების დროდგან, მოვყევ სიის გაკეთებას ჩუენის ძუელის ამბებისა, ადრინდელი გაგონილები თუ შემდგომნი, ჩემ სახსომრათ, რომ თავიდროზედ ის ანბები თვითეულად აღმეწერა. ამ ამბებისათვის დავდიოდი ძუელს კაცებში და ისინიც მიამბობდნენ გულახდითა, არაფერს არას მიმალავდნენ“ (საოჯახო ბიბლიოთეკა 2009: 48).

მემუარისტი მასალას საიმედო ხალხისგან კრებდა. ერეკლე მეფის მტრებთან ლაპარაკს ერიდებოდა, იცოდა, მართალს არ იტყოდნენ და თავის გასამართლებლად ტყუილებსაც იკადრებდნენ.

მემუარისტი სხვაგანაც აღნიშნავს: „პირუელ რუსების გადმოსვლითგან, ვიდრე ვარანცოვამდისინ, მრავალი ამბები მქონდა დაწერილი, თუალით ნახული, ანუ გაგონილი. ჩუენნი ძველი ამბები ხომ რასაკვირველია...“ (S - N1634).

ალ. ორბელიანის გადმოცემით, მის ცხოვრებაში მოხდა ერთი სამწუხარო ამბავი: კარადას, რომელშიც მოგონებები ინახებოდა, ცეცხლი გაუჩნდა (1845 წლის ნოემბერი). მხოლოდ მცირედის გადარჩენა მოხერხდა, იმისა, რაც ცეცხლს გამოსტაცა მწერალმა. მან თავიდან დაიწყო მოგონებების წერა: „დიდათ ვეცადე, კიდევ მამეგონა ის ამბები, მაგრამ ვეღარ მოვიგონე. მაინც ვდევ, არ ვეშუები, რასაც მოვიგონებ ხოლმე, დავწერ“ (S – N1634).

ერეკლე მეფის შთამომავლებს, რომელთაც მე-19 საუკუნეში უწევთ ცხოვრება, ფაქტობრივად ყველას, ახლო წარსულთან განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ: წარსული დიდ ადგილს იჭერს მათ ცხოვრებაში, წარსულით სუნთქავენ და ცოცხლობენ; ამ მხრივ არც თეკლე ბატონიშვილის ვაჟები არიან გამონაკლისნი, თუნდაც ალ. ორბელიანის უმცროსი ძმა - პოეტი ვახტანგ ორბელიანი, მაგრამ ალექსანდრეს სხვათაგან ის გამოარჩევს, რომ იგი არა მარტო მოგონებებით სულდგმულობს, არამედ

გაფაციცებით აღნუსხავს ყოველივეს, აკვირდება, განიცდის და მოაზროვნე კაცის თვალით აფასებს, აანალიზებს, ადარებს გმირულ წარსულსა და უბადრუკ აწმყოს. ამით არის იგი განსხვავებული. ამიტომაც სრულიად არ არის შემთხვევითი, რომ მე-19 საუკუნის საქართველოში ცოცხალ მემატიანედ მიიჩნევა. მას მიმართავენ, ეკითხებიან. როგორც უკვე ითქვა, მისგან იღებს რჩევებს გრ. ორბელიანი თავისი პოემა „სადღეგრძელოს“ წერის დროს, მის დრამას უდებს საფუძვლად აკაკი თავის „პატარა კახს“...

სამეცნიერო ლიტერატურაში ადრიდანვე გავრცელდა და განმტკიცდა შეხედულება ალ. ორბელიანის მიერ წარსულის გაიდეალების შესახებ, რომ მისთვის სანიმუშოა არა მარტო წინაპართა გმირობა-ვაჟკაცობა, ქვეყნის დასაცავად შემართება, არამედ იმდროინდელი სოციალურ-ეკონომიკური წყობაც. მკვლევრები მხოლოდ ამის აღნიშვნით როდი კმაყოფილდებიან, ისინი მწვავედ აკრიტიკებენ მწერლის შეხედულებებს.

როგორც ბოლოდროინდელი გამოკვლევები ცხადყოფს, ეს აზრი სიმართლეს არ შეესაბამება (ჩვენ მხედველობაში გვაქვს **იუზა ევგენიძის, ნინო ვახანიასა** და **როსტომ ჩხეიძის** შრომები).

სავსებით ბუნებრივია, რომ ალ. ორბელიანი განსაკუთრებულად იყოს დაკავშირებული საქართველოს წარსულთან, უყვარდეს იგი, თრთოლვით იგონებდეს მას, დიდებით ამკობდეს თავის სახელოვან წინაპრებს. ალ. ორბელიანი და მისი ძმები ხომ ისეთი მზრუნველების ყურადღების ქვეშ ისეთ გარემოში აღიზარდნენ, სადაც ყოველთვის ჰყვებოდნენ მამა-პაპათა საგმირო საქმეებზე. **ი. ჭავჭავაძე** თავის წერილში, რომელიც ალ. ორბელიანის ძმას, ვახტანგს, ეძღვნება, აღნიშნავს: ის გაიზარდა ოჯახში, „საცა ბრძანებლობდა საყვარელი ასული მეფის ერეკლისა, იმ დიდებულ მეფისა, რომლის შუქი დღესაც კი გვინათებს, და მაშინ უფრო ხომ ცხოველი იქნებოდა... ამისთანა დედა, როგორიც იყო თეკლე ბატონიშვილი, რა თქმა უნდა, ბევრს რასმე სანაღვლელს და სანატრელს სახელოვანის წარსულისა ჩააგონებდა თავის შვილს და გაუთბობდა გულს სამშობლო ქვეყნის სიყვარულითა და წარსულის ღრმა პატივისცემითა“ (ჭავჭავაძე 1986: 212). ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი მწერალი ტენდენციური და სუბიექტიურია და წარსულში ცუდს ვერაფერს ხედავს.

როგორც აღნიშნავენ, ალ. ორბელიანი „მეტად ორიგინალური და მიმზიდველი ფიგურაა“ და ეს იმიტომაც, რომ თავის ნაწერებში საგანგებოდ ამოწმებს ფაქტების სანდოობას, ალალმართალია, ცდილობს, არ უღალატოს სიმართლეს[3]. მისი მემუარული ნაწერები ამის ნათელი საბუთებია ნათქვამის დასადასტურებლად და საზოგადოდაც.

1.2. „ჩვენი ძველი სახლეულობანი“

ჩვენ, პირველ ყოვლისა, მივმართავთ ალ. ორბელიანის ცნობილ თხზულებას: **„ჩვენი ძველი სახლეულობანი“,** სადაც ძალიან კარგად ჩანს, თუ როგორ ხედავს და აფასებს მწერალი წარსულ ცხოვრებას.

მემუარისტი აღნიშნავს, რომ ყველა დროს, თვით ანგელოზების დროსაც, აქვს ნაკლი; ასევე, ავკარგიანია ჩვენი წარსული ცხოვრება. მწერალი დადებით მხარეზე არჩევს ყურადღების გამახვილებას, რადგანაც, მისი აზრით, წარსულში კარგი მეტი იყო, ვიდრე - ცუდი.

„სარწმუნოების განუსაზღვრელი სიყვარული, წრფელი უმანკოების სიმართლე, მშობელის მამულის თავდადებითი ერთგულება, თავიანთ სახლეულობაში მშვიდობის მყოფელობა, სიყვარული თავის სახლის პატრონობისა და, დასასრულ, წმიდა სახარების წესი“ - აი, ამ ღირებულებებზე იყო დაფუძნებული ძველი ქართველი კაცის ზნეობა. თუმცა რამდენადაც მართლმოყვარეობა კარგი და მოსაწონია ადამიანისთვის, - ამბობს ა. ორბელიანი, - იმდენად მავნებელი შეიძლება აღმოჩნდეს მისთვის, რადგან მართალ

---

[3] ალ. ორბელიანი თავის ისტორიულ ნარკვევში, „მეფის ირაკლის დროის ცოცოტა ანბები, ანუ ზოგიერთი მაშინდელი პირნი“, აღნიშნავს: „ჩემის სწორეს ლაპარაკით აუგათ ვიხსენები ბევრისაგან და მაინც კიდევ მე ჩემსას არ დავიშლი, ვინც რა უნდა თქუან. მე არავინ დამიზოგია აქ, არც ჩემი გუარი და არც სხუა, ჩემთვის სულ ერთნი არიან. **მამულის ღალატი მარჯვენა ხელმა ცოტათაც რომ იგრძნას, უნდა მოიჭრას ის ხელი და ძაღლებს მიუგდოს, არამცთუ დაზოგოს ვინმე**“ (კაკაბაძე 1914: 37). იმავე ნარკვევში მწერალი ააშკარავებს ორბელიანთა მანკიერებებს; კერძოდ, „დავით სარდლის შემდგომ სულერთიან ორბელიანები მოღალატენი შეიქნენ მეფის ირაკლისა... **რაღაც ხარახურა ხალხი დარჩა ჯ. ორბელიანები. ერთს რიგიანი ჭკუა არ ჰქონდა, სულ ფუქსავატი რაღაებიც იყვნენ.** დავით სარდლის შვილი **ივანე სარდალი რაღაც უბრალო ლეში** იყო... ამ ივანე სარდლის ბიძაშვილი **გიორგი** ცარიელი ლაპარაკი იყო... ამის ძმა **ზურაბ** იყო **მყვირალა კაცი, თუ არ ყვირილით არას იტყოდა და ძალიან ქაღალდის მოთამაშე“** (35). ალ. ორბელიანი მამამისის, ვახტანგ ორბელიანის, მხილებასაც არ ერიდება: „მამაჩემი ობლათ დარჩენილი და დიდს საჭიროებაში გამოვლილი, ასე გაჭირებული იყო, როგორც ჩუენში იტყვიან: სადაც კომლი მაღალიაო, ის იმისი მაყარიაო, ისე მამაჩემი იყო. სადაც ნახავდა, რომ მომატებული სიმაღლე იყო და ძალა, მამაჩემი იმათ მიმართავდა, ეგება ამით კაცი გავხდეო და კიდეც ეწია საწადელსა, რომ მეფის ირაკლის ქალი თეკლა შეირთო“ (36).

კაცს ყველა თავისნაირი ალალი ჰგონია, სულითა და გულით მინდობილია სხვაზე და ამ დროს ქვებუდანები დაძვრებიან მათში და ყოველ კარგს ანადგურებენ. ჩვენ უკვე ვგრძნობთ, რომ მწერალს საკუთარი ხედვა ამ შემთხვევაშიც არ ღალატობს (საოჯახო ბიბლიოთეკა 2009: 11).

ალ. ორბელიანის შეფასებით, წარსული ცხოვრების მთავარი ნაკლი „ევროპიული სწავლა-განათლების“ არქონა, ევროპული წესის უცოდინარობა იყო. თუ ვინმე ჩვენში ევროპელი შემოიხედავდა, ისიც მოგზაური, აღწერდა ჩვენს ქვეყანას და წავიდოდა. იმათი სასულიერო პირები კი ქართველების „გაფრანგებას“ ცდილობდნენ, „სხვას ევროპიულს კი კარგს არას უქადაგებდნენ იმათ“. ქართველებს რომ ევროპული განვითარება გვქონოდა, სპარსეთი და ოსმალეთი ჩვენთან ვერაფერს გახდებოდაო, - ამბობს მემუარისტი (12).

ალ. ორბელიანი უშუალო დაკვირვებებზე აგებს მონათხრობს: „მე ვყოფილვარ განუყრელად ჩვენს მართებულს გვამებთან, კაცთ და დედაკაცებთა შორის და იმათ სახლეულობაში, მიჩხრეკია ისინი, ყოველი იმათი ქცევა, ცხოვრება და კარგად მახსოვს, როგორიც ისინი იყვნენ“ (12). მწერალი სანიმუშოდ გვიხატავს ერთი დარბაისელი ქართველის ყოველდღიურ ცხოვრებას.

ოჯახი გარიჟრაჟზე იღვიძებს, ღმერთს ახსენებს და ლოცვას იწყებს. ცოლმაც და ქმარმაც ზეპირად იციან ლოცვები... შემდეგ შვილს აღვიძებენ, ისიც მორჩილად დაჰყვება მშობლების ნებას: პირს იბანს, იცვამს და ლოცულობს. ოჯახი ერთად საუზმობს, დედ-მამა ერთმანეთს მშვიდად ესაუბრება, თან შვილს ეხუმრება და დარიგებას აძლევს. ვაჟიც ყურადღებით უსმენს მათ, შემდეგ მასწავლებელთან მიდის ანჩისხატის ეკლესიაში.

საუზმის შემდეგ მოურავი წარსდგება ცოლ-ქმრის წინაშე და ანგარიშს აბარებს. ირკვევა, რომ ოჯახს მოდავე ჰყავს და ამ დავას წელიწადში ას თუმანზე მეტი მიაქვს. მოურავი ბატონს ურჩევს, დათმოს სადავო ადგილი და დანარჩენ მამულს უკეთ უპატრონოს: წისქვილები გამართოს, საქონელი მოამრავლოს, ხვნა-თესვა გააჩაღოს და ზვრები გააშენოს, რათა ოჯახმა მეტი ხეირი ნახოს. ბატონი მზად არის შეწყვიტოს დავა, მაგრამ ეშინია, სასაცილო არ გამოჩნდეს ხალხის თვალში. თან ახლობლის იმედი აქვს, რომელიც საქმის მოგებას ჰპირდება.

ამ შემთხვევაში მკითხველი შეიძლება მხოლოდ გააოცოს მწერლის გულწრფელობამ; აქ ნათლად ჩანს ძველი ურთიერთობების რღვევის ნიშანი, დაწყებული დავა ორივე მხარეს აღარიბებს და ანადგურებს. მოურავი ბატონზე უფრო ჭკვიანი კაცია, იგი სინამდვილეს უკეთ ჭვრეტს და ბატონსაც კარგ რჩევას აძლევს, მაგრამ მას ერთგული ხელქვეითის სიტყვა სასაცილოდაც არ ჰყოფნის.

აქ არ შეიძლება გიორგი ერისთავის კომედია „დავაში“ აღწერილი სიტუაცია არ გაგვახსენდეს: თავადების, ამირინდოსა და ონოფრეს, დავა ერთი უმნიშვნელო ადგილის, ჩალიანის, დასანარჩუნებლად, ქრთამების უანგარიშოდ ხარჯვა ბიუროკრატიული აპარატის გაქნილი მსახურების, „სუდია-პერევოდჩიკების“, მოსასყიდად.

ალ. ორბელიანის შემოქმედების ცნობილი მკვლევრის, **ნ. ვახანიას**, აზრით, მწერალი აქ „აკრიტიკებს იმდროინდელ ბიუროკრატიულ სახელმწიფო აპარატს. ცხოვრების ის ნეგატიური მოვლენები, რომელთა წარმოჩენას რეალისტმა გ. ერისთავმა მთელი ნაწარმოები (ნაწარმოებები) უძღვნა, რომანტიკოს ალ. ორბელიანის მიერ, მართალია, გაკვრით, მაგრამ მაინც მხილებულია“ (ვახანია 1998: 58).

საინტერესოა ოჯახის დიასახლისის ყოველდღიური საქმიანობა. იგი ნამდვილად არ ჰგავს ი. ჭავჭავაძის მოთხრობის, „კაცია-ადამიანის?!“, ცნობილ პერსონაჟს - დარეჯანს, რომელიც ტყუილად აწიოკებდა გოგო-ბიჭებს, აქაოდა, საქმეს ვაკეთებო. აქ ქალბატონი ყველაფერს გულმოდგინედ ჩხრეკს და ამოწმებს. მისთვის მნიშვნელოვანია, ისაუზმეს თუ არა მსახურებმა: „მოსამსახურეებმა იმიტომ უნდა ისაუზმონ ხოლმე, რომ, რადგან ჩვენი ბატონების სადილი კარგა ხანი გასწევს, მოსამსახურეებს მეტად არ მოჰშივდესთ და სამსახური არ დაიზარონ“ (საოჯახო ბიბლიოთეკა 2009: 17).

ქალბატონი მოახლეებთანაც ჩამოივლის, რომლებიც სხედან და ხელსაქმობენ. დიასახლისი ზოგს უწონებს ნამუშევარს, ზოგს - უწუნებს და რჩევას აძლევს. შემდეგ თავის ოთახში შედის და კერვას იწყებს... ბოლოს კი წიგნს იჭერს ხელში და გულდასმით ჩაჰკირკიტებს.

საინტერესოა სტუმრის მიღებისა და გამასპინძლების წესი ქართულ დარბაისლურ ოჯახში. ქმარს სტუმრები მოჰყავს, დიასახლისი ფეხზე წამოდგომითა და ღიმილით ეგებება მათ. სუფრასთან ყველანი ზრდილობითა და თავაზიანობით გამოირჩევიან -

ბატონებიც და მსახურებიც. „ერთი ბეწვა უზრდელი სიტყვა არ გაურევიათ, არც მაღალი ძახილით ლაპარაკი, თვინიერ დამშვიდებულის ზრდილობიანის საუბრობისა“ (18). საუბარი საქართველოსა და ქართველებს შეეხება. ბავშვიც სუფრასთან ზის, დედის გვერდით. იგი ბევრს სწავლობს უფროსებთან ურთიერთობით, მათი საუბრის ყურისგდებით. არც ერთის გულში „ერთი ბეწვა ზაკვა არ იპოებოდა“ (19).

ალ. ორბელიანი განსაკუთრებული პატივისცემითა და აღფრთოვანებით საუბრობს „ძველ დედაკაცებზე“. „მე ძველი დედაკაცების ხელში ვარ დაბადებული, იმათ ხელში გაზრდილი და მინამ ორმოცდაოთხის წლისა შევსრულდებოდი[4], სულ იმათთან ვიყავი, თუ ოდესმე გარემოება არ განმაშორებდა“, - ამბობს მემუარისტი (19). მართლაც, იგი თავისი დედის, თეკლე ბატონიშვილისა, და მისი ახლობელ-მეგობრების გარემოცვაში იზრდებოდა, მათ წრეში ტრიალებდა და მათგან საუკეთესოს ითვისებდა.

მწერლისთვის სანიმუშოა ძველი ქართველი ქალის აღზრდა-განათლების წესი: ქალები საოჯახო განათლებას იღებდნენ, მათ, უპირველესად, საღვთო წერილს ასწავლიდნენ, საერო წიგნებსაც აკითხებდნენ და კერვა-ხელსაქმესაც აყვარებდნენ. ყმაწვილ ქალებს იმთავითვე მორჩილებასა და პატიოსნებას უნერგავდნენ; ამასთანავე, ოჯახის ისეთ პატრონობას ასწავლიდნენ, როგორიც ზემოთ იყო აღწერილი. როცა გათხოვდებოდა, „ეს ხასიათები ქალს განძად და საუნჯედ გაჰყვებოდა თავის ქმრისა და იმის სახლის გასაბედნიერებლად “ (20).

ალ. ორბელიანის თქმით, „ძველი ქალები“ ერთმანეთს არ ეჩხუბებოდნენ, მშვიდობიანად და გონივრულად მსჯელობდნენ. მათი საუბარი მნიშვნელოვან თემებს შეეხებოდა: მიწის მოსავალს, ვენახს, სახლის მეურნეობას... იმათში ჭორი არ ითქმოდა, იმათგან ტყუილი და სიცრუე წარმოუდგენელი იყო. ყველაფერი თავის დროზე იცოდნენ: ნარდიც, ჭადრაკიც, ქაღალდიც... გალობდნენ კიდეც და სოფლურ სიმღერასაც მღეროდნენ.

ალ. ორბელიანს მემუარებს მხოლოდ წინაპართა სიყვარული როდი აწერინებს, მას დიდი მიზანი აქვს - სურს, მომავალ თაობებს ძველი ქართველების წესი და რიგი შემოუნახოს, რათა შთამომავლებმა „წაიკითხონ და შეიტყონ, თუ როგორ უცხოვრიათ

[4] ამ დროს ალ. ორბელიანის დედა, თეკლე ბატონიშვილი, გარდაიცვალა.

ჩვენ წინაპართ: რა ზნეობით, რა თვისებით, რა ხასიათით, და ანუ რა მდგომარეობაში ყოფილა უწინ საქართველო თავის ქართველებითურთ; რომ ის დრო ჩვენმა მომავლებმა გაიცნან, ესენი იმათ დარჩესთ და ბოლოს დროს იმათმა მეისტორიებმა განიხილონ ის დრო თავის აზრებისათვის“ (20-21).

მართლაც, „მწერლის გარჯას ამაოდ არ ჩაუვლია. მომავალ მეისტორიეებს ძვირფას წყაროდ დარჩათ ალ. ორბელიანისეული აღწერა ძველი ქართული სახლეულობისა“ (ვახანია 1998: 56).

1.3. „პუპლია“

მოგონება „პუპლია“ საინტერესოა მწერლის მოწაფეობის წლების გასაცნობად. მოგონებაში აგრეთვე გადმოცემულია ალ. ორბელიანისთვის მეტსახელის - „პუპლიას“ - შერქმევის ისტორია.

ალ. ორბელიანი, სხვა დიდგვაროვანთა შვილების მსგავსად, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში სწავლობდა. როგორც ჩანს, მოწაფეებს თავდაპირველად ლოიალურად ექცეოდნენ, რადგან ალექსანდრე, XIX საუკუნის სხვა მწერლებისაგან განსხვავებით (დ. ყიფიანი, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ს. მგალობლიშვილი...), არსად საუბრობს სკოლებში გაბატონებულ როზგსა და უსამართლობაზე.

ალ. ორბელიანის თქმით, იგი მეოთხე კლასამდე სწავლით არ გამოირჩეოდა. მისი „ნიჭი უფრო ძველი ამბების გაგონება იყო ხოლმე ძველ კაცებში“ (S - N1634). სასწავლებელში ანგარიშს უწევდნენ მის ოჯახიშვილობას, უცოდინარობას პატიობდნენ და კლასიდან კლასში ასე გადაჰყავდათ. ერთმა შემთხვევით ნაპოვნმა წიგნმა კი მისი ცხოვრება სასიკეთოდ შეცვალა: „უნებურად ხელი ვტაცე და კითხუას მივყევ. წარმოიდგინეთ, ასე მიამა იმის კითხუა, რომ აღარ მოვეშვი და იმის შემდგომ ის-ის იყო, რომ შემიყუარდა წიგნის კითხუა და ქართული წერაც“ (S - 1634). მწერალს წიგნის სახელწოდება არ დაამახსოვრდა: „ეს კი მახსოვს, რომ რაღაც სამიჯნურო წიგნი იყო და სიყუარულით სამსე. **ის წიგნი შეიქნა ჩემი პირველი სინათლე წიგნების კითხვისა და**

წერისაც“; კატინაზე გაგიჟებით გამიჯნურებულსაც არ შეუწყვეტია წიგნის კითხვა: „მაშინ ხომ ვითხრიდი თუალებს წიგნების კითხუაში“ (S – N1634).

მწერალი საინტერესოდ გადმოგვცემს თავისი „ნათლობის“ ისტორიას. ერთხელ, სასწავლებელში, დასვენების დროს, მოწაფეები ტაშის კვრას თამაშობდნენ. მათ თავზე წაადგათ დირექტორი ბუკრინსკი[5], რომელმაც გადაწყვიტა, თამაში უფრო საინტერესო და აზარტული გაეხადა: ყმაწვილები, სულ ოცდაათი მოსწავლე, შუაზე გაყო და ორივე გუნდს სიმარდეში გამორჩეული ბიჭები ჩაუყენა სათავეში. ერთ-ერთ მეთაურად ალ. ორბელიანი დანიშნა.

ალექსანდრეს გუნდმა იყოჩაღა და მოწინააღმდეგე დაამარცხა. დირექტორმა გამარჯვებულთა მეთაური თავისთან იხმო, ქუდი მოხადა, თავზე აკოცა და უთხრა: „ ო, ო, ო, შენ ხარ რომაელი პუბლი, მაგრამ, შენმა გაზრდამ, რომ ისწავლო, ეს კიდევ უფრო კარგი იქნება შენთვის. ეცადე, რომ ისწავლო...“ (S – N1634).

აი, ასე შეერქვა ალ. ორბელიანს მეტსახელი „პუპლია“. ყმაწვილებმა სიტყვა „პუბლის“ მნიშვენლობა არ იცოდნენ და იგი ჩვილის საალერსო სახელი „პუპლი“ ეგონათ. „მეც ბოლო დროს, კარგა ხანი რომ გამოვიდა, თვითონ დირექტორმა მითხრა, ვინც ყოფილა პუბლი“, - აღნიშნავს მწერალი (S –N 1634).

1.4. „1811-ის წლის ჭირი საქართველოში“

(მგონია გაზაფხული იყო?)

მოგონებაში აღწერილია 1811 წლის ჭირიანობის ამბავი, რომელსაც ალ. ორბელიანი კინაღამ ემსხვერპლა. მაშინ იგი ცხრა წლისა იყო, მაგრამ ყველაფერი კარგად დაამახსოვრდა. „ეს ხმა ყველასათვის საშინელი იყო, იძახდნენ, აქ გაჩნდა, იქ გაჩნდა; აქ მოკვდა, იქ მოკვდა, ეს აიყარა, ის წავიდა, ეს დაიხიზნა, ის გაეშურა“, - იგონებს მწერალი ხსოვნაში ჩარჩენილ ავბედით სიტყვებს (საოჯახო ბიბლიოთეკა 2009: 39).

ალ. ორბელიანი - თავისი ყრმობის დროის ერთგვარი მემატიანე - საშიშ მოვლენაშიც დადებითს ეძებს და მეხსიერებაც ამას იმახსოვრებს.

---

[5] ალ. ორბელიანის გადმოცემით, ბუკრინსკიმ ძალიან კარგად იცოდა ქართული ენა, „როგორც ღრმა მასწავლებელმა ქართველმა“, მხოლოდ გამოთქმა ჰქონდა ევროპული. დირექტორს ცოლიც ქართველი ჰყავდა - ეკატერინე.

მემუარისტის თქმით, ჭირიანობის დროს ხალხი მახლობელ სოფლებს მიაწყდა, „ვინც უნდა ყოფილიყო, უმცნობი თუ მცნობი, თუნდა მოსისხლე მტერი, რაკი კარზედ მიადგებოდა სოფელში სადმე ან თვით ქალაქებში და სახლის პატრონს დაუძახებდა: ღვთის სტუმარი არ გინდაო? - გათავდებოდა“ (39). მთელი ოჯახი გამოეგებებოდა სტუმარს, უცნობებს წლობით მასპინძლობდნენ, ტკბილად და სიამოვნებით. მწერლის აზრით, ასეთი „დიდათ შემწყნარებელი“ ხალხი ცხოვრობდა წინათ.

ალ. ორბელიანის ოჯახი ჯერ სოფელ მარტყოფში გაიხიზნა, სადაც ალექსანდრეს მამიდა ეკატერინე და მამიდაშვილი თადია ცხოვრობდნენ. თბილისში, სახლში, ორი, ყველაფრით უზრუნველყოფილი მოსამსახურე დატოვეს და უბრძანეს, ალაყაფის კარი არავისთვის გაეღოთ.

მალე ალექსანდრეს ოჯახს მარტყოფის დატოვება და სოფელ პატარძეულში დაბინავება მოუხდა. მემუარისტი მოგზაურობას მეტად საინტერესოდ აღწერს. ისინი ცხენებით გადაადგილდებოდნენ, ბარგი კი ურმებით გადაჰქონდათ. ალექსანდრეს უმცროსი ძმა, დიმიტრი, ხან დედას მიჰყავდა ცხენით, ხანაც - მამას. მწერალი იგონებს: „მე კი მარტო ცხენით მოვიდოდი, მაშინ კარგათ შემეძლო მშვიდობიანს ცხენზე ჯდომა და გაჭენებაც. ყმაწვილობითვე გვასწავლიდნენ და, რასაკვირველია, ჩემის ხნის ყმაწვილებს გვეცოდინებოდა ცხენზე ჯდომა, თორემ თოთხმეტ-თხუთმეტის წლისას ომებშიაც წაიყვანდნენ და ყმაწვილობითვე ვაუკაცობაში ახელოვნებდნენ ხოლმე“ (40).

აქვე უნდა ითქვას, რომ მეფე ერეკლეს უსაყვარლესი უმცროსი ასულის, **თეკლე ბატონიშვილის,** შთამბეჭდავი სახე სწორედ მისმა შვილმა, ალ. ორბელიანმა, შემოგვინახა. მოგონებაში აღწერილია შემთხვევა, რომლშიც კარგად ჩანს ბატონიშვილის გაბედულება და შეუდრეკელობა. თეკლე გაველურებული ბედაურის დამორჩილებას ახერხებს: „თავის ძლიერის ხელებით და კარგის გამოცდილების მხედრობითა, ის დახამებული ბედაური ცხენი დაიმორჩილა და ბოლოს ოფლშიაც გააცურა - ამთენი აჭენა ხან აქეთ და ხან იქით“ (42).

მემუარისტის თქმით, თეკლე ბატონიშვილი სახელგანთქმული მხედარი იყო. „ძველები ამბობდნენ: ძალიან უგავს მეფეს ირაკლისა ცხენზე ჯდომა და იმის შვილობის ღირსიც არის. ცოდო არ არის, რომ ეს კაცათ არ დაიბადა? თექვსმეტს წლამდინ

დედაჩემსა კაცურათ სცმია ტანისამოსი და მამას მეფეს ირაკლის ისე თან დაჰყვანდა სადაც წავიდოდა და ზოგიერთს ჯარიანობაშიც წაეყვანა“ (42).

როგორც ითქვა, ორბელიანების ოჯახი სოფელ პატარძეულში დაბინავდა. იქ პატარა ალექსანდრე მძიმედ დაავადდა. მემუარისტი დაწვრილებით აღწერს მაშინდელი მკურნალობის წესსა და რიგს. მისი თქმით, უცნაური ის იყო, რომ სნეულება სხვას არავის შეეყარა და თვითონაც ბოლომდე გამოჯანსაღდა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ოჯახი თბილისში დაბრუნდა, „სადაც ყოვლის მხრიდგან მცხოვრებნიც მოიკრიფნენ და ქალაქი ისევ ქალაქათ იქცა, როგორც ადრე იყო ხოლმე“ (45).

1.5. „მოგონება“

მემუარისტი შთამბეჭდავად აცოცხლებს 1812 წლის კახეთის აჯანყებასთან დაკავშირებულ მოგონებებს. ალ. ორბელიანი აჯანყების დროს ცხრა წლისა იყო, მაგრამ მიღებული შთაბეჭდილებები სამუდამოდ აღიბეჭდა ყმაწვილის გონებაში. მისი თქმით, აჯანყების მთავარი მიზანი რუსი დამპყრობლებისაგან ქვეყნის განთავისუფლება იყო, რაშიც მისი მშობლებიც მონაწილეობდნენ ფარულად. „მამაჩემთან და დედაჩემთან... მოვიდოდნენ მაშინდელი დიდი კაცნი და ჩუმათ ლაპარაკი ჰქონდათ და დაწყობილობა, რუსები როგორ გავლალოთო. ეს იმათი დაწყობილობა მთელ ქართლ-კახეთში მოფენილი ჰქონდა თავიანთი კაცების პირით და ზრუნვიდნენ ამაზედ“, - გვიამბობს ალ. ორბელიანი (25).

დიდი ქართველი მოღვაწე და პოეტი **ალექსანდრე ჭავჭავაძე** კახეთის აჯანყების მიზეზად სამხედრო ეგზეკუციას ასახელებს. იგი მაშინდელი მთავარმართებლის, მარკიზ პაულუჩის, ადიუტანტი იყო, ამბოხების ჩაქრობაში მონაწილეობდა და, ცხადია, მიმდინარე მოვლენებშიც ღრმად იყო ჩახედული. **იონა მეუნარგიას** თქმით, „ალექსანდრე სწუხდა, რომ საკუთარ ძმებთან უნდა ეომა, მაგრამ მოვალეობისა და სამხედრო დისციპლინის მონა, ის შეება კახელებს და ცდილობდა საქმე ისე მაინც გაეთავებინა, რომ ბევრი უბედურება არ მომხდარიყო“ (მეუნარგია 1954: 20-21).

ალ. ჭავჭავაძე თავის „საქართველოს მოკლე ისტორიულ ნარკვევში 1801-დან 1831 წლამდე“ გარკვეული კონიუნქტურით წერს: „კახეთის ამბოხება ყოველგვარი

პოლიტიკური მიზეზისა და უცხო გავლენის გარეშე მოხდა. მისი ერთადერთი მიზეზი ხალხის **უმაგალითო შევიწროება** იყო, განსაკუთრებით იმ საბედისწერო შემთხვევის დროს, როდესაც სურსათს ეგზეკუციით ართმევდნენ და უმსგავსობით ყველა საზღვარს გადასცდნენ“ (ქართული მწერლობა 1992: 99).

აჯანყების გამომწვევ ანალოგიურ მიზეზს ასახელებს **დიმიტრი ყიფიანიც.** იგი თავის მემუარებში პარალელს ავლებს 1841 წლის გურიისა და 1812 წლის კახეთის აჯანყებებს შორის: „ჰო და აი განმეორება იმისი, რაც 1811 წ. კახეთში იყო; „მომეცი, რაც არა გაქვს, თუნდ გაუჩენელი გააჩინე, და სჭამე, რაც არ გინდა, ყელზეც რომ გადგებოდესო“ (ყიფიანი 1930: 25).

ცხადია, აჯანყების საფუძველი, ალ. ჭავჭავაძის, დ. ყიფიანისა და ალ. ორბელიანის მიხედვით, ეროვნულია, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ალ. ორბელიანი აქცენტს მაინც პირდაპირ ეროვნულ შევიწროებასა და რუსების მონობისაგან თავდახსნაზე, რუსების საქართველოდან გაძევებაზე აკეთებს.

ისტორიკოს **გ. გოზალიშვილის** აზრით, ამ ფრიად საინტერესო ეპიზოდში „გადახლართულია ეროვნული თავისუფლებისათვის და სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ ბრძოლის მომენტები“ (გოზალიშვილი 1970: 5).

უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში 1812 წლის აჯანყების შესახებ ალ. ორბელიანის მიერ აღიარებული თვალსაზრისია დამკვიდრებული: „კახეთის მოსახლეობის აჯანყების უშუალო მიზეზი რუსი მოხელეების მიერ სოფლებში სამხედრო ეგზეკუციების ჩაყენება, ხალხის ძარცვა და პიროვნული დამცირება იყო. ერთი შეხედვით იგი სტიქიურად დაიწყო, მაგრამ თვით რუსი მმართველები აღიარებდნენ, რომ **ჯანყი კარგა ხნის განმავლობაში მზადდებოდა, ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა და საერთო-კავკასიური განმათავისუფლებელი მოძრაობის ფონზე ვითარდებოდა“** (საქართველოს ისტორია 2012: 22-23). ისტორიკოსები, ასევე, აღნიშნავენ, რომ აჯანყების ორგანიზატორები საქართველოს ყოფილი სამეფო სახლის წევრები იყვნენ, რომლებიც **ერთგული თავადების** დახმარებით ყოველთვის ცდილობდნენ ხალხის აჯანყებასო.

ალ. ორბელიანი დაწვრილებით გვიამბობს თავის ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ, რომელიც საქართველოში განვითარებულ ავბედით მოვლენებთან

იყო დაკავშირებული. იგი საგანგებოდ გვიხატავს მშობლების, თეკლე ბატონიშვილისა და ვახტანგ ორბელიანის, სახეებს. მწერალი ერთგვარად ცდილობს მამის შებღალული რეპუტაციის აღდგენას და მისი სახით სამშობლოსა და მეფის ერთგულ ქართველს წარმოგვიდგენს, რომელიც გარემოებების მსხვერპლი შეიქნა.

ალ. ორბელიანის გადმოცემით, მამამისს „მძიმეთ გულზედ აწვა“ მეფე ერეკლეს მიმართ თავისი უნებლიე ღალატი იმ დროს, როდესაც პირსისხლიანი აღა-მაჰმად-ხანი თბილისს წასალეკად და გასანადგურებლად მოადგა. „უფალი იესო ქრისტე ერთმა იუდამ გაყიდა და მეფე ირაკლი საქართველოთი ბევრმა იუდებმა. უსამართლო შვილითი შვილადმდეო. გადაგვხდა კი იმათ შვილებს ის იმათი ღალატი“, - გულისტკივილით აღნიშნავს მემუარისტი (საოჯახო ბიბლიოთეკა 2009: 24). მოღალატეები „მოქმედებდნენ მთელს საქართველოში მეფის ირაკლის დასაღუპათ, **სომხებისაგან მოსყიდულები, რუსეთიდამ გამოგზავნილის არაჩნურთის არღუთოვის ოქროს ფულებითა“** (22). ძნელბედობის ჟამს, როცა სამშობლოს დასაცავად ქუდზე კაცი უნდა გამოსულიყო და სრულიად საქართველო გაერთიანებულიყო, თავადმა **რევაზ ანდრონიკაშვილმა, რომელიც ერეკლეს უფროსი ვაჟის, გიორგის, მარჯვენა ხელი იყო, ყარაბულახში** გამოუარა ვახტანგ ორბელიანსა და მის დას, ეკატერინეს, და ბატონიშვილის „დანაბარები“ გადასცა: „აღამამადხანი ორასი ათასის მეტის ჯარით მოდის საქართველოზე, მეფე ირაკლი თავის ხიზნით და ქალაქის მცხოვრებნით გუშინ აყრილან ქალაქიდგან და მთიულეთის მთებისკენ წასულან. ბატონიშვილმა გიორგიმ შემოგითვალათ და გიბრძანათ, რომ თქვენც აიყარნეთ და ტყიანს მთაში დაიხიზნოთ“ (23). მოღალატის სიტყვას მინდობილი და-ძმა მთაში გაიხიზნა და სხვებსაც გაქცევის მაგალითი მისცა. ერეკლე „მხოლოდ ორი ათასისა ქართველებით დარჩა... და ამასთან მეფე სოლომან სამი ათასისა იმერეთის ჯარით პირისპირ აღამამადხანის ჯარებისა“ (24).

ალ. ორბელიანის, როგორც მწერლის, შინაგანი კეთილშობილება, პატიოსნება, სიმართლის ერთგულება კარგად ჩანს მამის საქციელზე საუბრისას აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს. შვილს აწუხებს ის ფაქტი, რომ მამამ უნებლიეთ უღალატა სამშობლოს, როცა რ. ანდრონიკაშვილის „გაფრთხილებას“ დაუჯერა და თბილისში კი არ იბრძოლა, არამედ თავისი დის სახლში „უძრავად სვამდა, სჭამდა, არ ფიქრობდა, დღეს თუ ხვალე

მეფის ირაკლის ქალზედ ჯვარი უნდა დავიწერო და მეც იქ იმასთან უნდა მოვკვდეო“ (22). შვილი მამის ამ საქციელზე წყენას ვერ მალავს: „ამ და-ძმათ ეს აღარ იფიქრეს: იქნება, რევაზ სხვა რიგათ გვეუბნება და ამისთვის ერთი კაცი ქალაქში გავგზავნოთ და სწორე ამბავი იქიდგან შევიტყოთო“ (24).

დავუბრუნდეთ 1812 წლის კახეთის აჯანყებას. მემუარისტის თქმით, როგორც კი არეულობა დაიწყო, თბილისის პირველი თავადების სახლებს რუსმა ჯარისკაცებმა ალყა შემოარტყეს და ზარბაზნები დაუმიზნეს. იმ ღამესვე ყველა გავლენიანი პირი მთავარმართებელ მარკიზ პაულუჩთან დაიბარეს, ხან მუქარით, ხანაც ალერსით ელაპარაკნენ და რუსეთის ერთგულებაზე დააფიცეს; ამასთანავე, პირობა ჩამოართვეს, რუსის ჯარს გაჰყოლოდნენ კახეთში და მათ მხარდამხარ ებრძოლათ, ერთგულად ემსახურეთ ხელმწიფეს, „თორემ თქვენს ცოლშვილებს ცუდი საქმე მოუვათო“ (26).

ალ. ორბელიანის მამა, პოლკოვნიკი ვ. ორბელიანი, სამხედრო პირი იყო. ის და მისი ოჯახი მოვლენათა ეპიცენტრში აღმოჩნდნენ. „მოგონებაში“ შთამბეჭდავადაა გადმოცემული განცდები ცხრა წლის ყმაწვილისა, რომელიც ფარულად ადევნებდა თვალყურს დედ-მამის შფოთვას. ვახტანგი ორ ცეცხლს შუა იყო ჩავარდნილი, ურთულესი არჩევანი უნდა გაეკეთებინა სამშობლოსა და ოჯახს შორის: „უნდა წავიდე და **ქართველმა კაცმა ქართველს კაცსა თოფი ვესროლო, ჩემის ხელმწიფების ბაგრატიონების შემწეთ და მამულის გამომხსნელებს, რომელთაცა კიდევ უნდათ თავისი მეფობა აღადგინონ, და თუ ჩვენ იმათ თოფსა არ ვესვრით, ცოლშვილებით უნდა დაგვღუპონ სულ ერთიან“**(27-28).

ალ. ორბელიანის დედა, თეკლე ბატონიშვილი, ქმარს თავდადებისკენ მოუწოდებდა და ურჩევდა, უკან არ დაეხია. „ჩემი რჩევა ეს არის, რომ თქვენ სულ ერთიან კახელებს მიუდგეთ... აქ ჩვენ რაც უნდა მოგვივიდეს თქვენ ცოლშვილებს, თუნდა სულ ერთიან ლუკმა-ლუკმა დაგვჭრან, ერთი არაფერი არის, ოღონდ მიუდექით თქვენ ძმებს კახელებსა, - დედაჩემმა გადაწყვეტით უთხრა ესა“ (28).

მდგომარეობა მართლაც გამოუვალი იყო: ქართლს რუსები განაგებდნენ, კახელებშიც მოღალატეები ერივნენ, ნდობა აღარავისი შეიძლებოდა. სასოწარკვეთილი თეკლე ბატონიშვილი ქმარს ეკითხება: „**ახლა რაღა გვეშველება, საუკუნოთ მონათ დარჩა საქართველო რუსებისა.** - დარჩა თუ არ დარჩა, ეგ ღმერთმა იცის, მე კი ვეღარ მნახავ

ცოცხალს, ბატონიშვილო. ამ ჩვენს წვრილს შვილებს გაუფრთხილდი და რაც გეყოლოთ, ორსული ბრძანდები იმასაცა“, - პასუხობს ქმარი (28).

მემუარისტი **დრამატულად გადმოგვცემს** მშობლების უილაჯო მდგომარეობით გამოწვეულ ტკივილს: „დედაჩემი ატირდა და მამაჩემმაც ვეღარ მოითმინა. მეც ჩემი ქვეშეგებიდგან წამოვჯექ და ბღავილს მოვყევ; ვაი, მამავ, ვაი, მამავ-მეთქი. ამაზედ ორნივ წამოცვივდნენ, მომვარდნენ და მითხრეს: დაჩუმდი, თორემ აგერ კარზე რუსები არიან, მოვლენ და ეხლავ წაგიყვანენო. მე იმათის ხსენების შიშით მაშინვე გავჩუმდი“ (28). ამ სცენაში ნათლად ჩანს თეკლე ბატონიშვილის ოჯახის უღონობა დამპყრობლის უხეში ძალის წინაშე. მამა რუსებს გაჰყვა, ოჯახმა დარდში თეთრად გაათენა, „სულ ისე ვისხედით თითქმის გაჩუმებულები რუსების შიშით“ (29).

ერთი კვირის თავზე ამბავი მოვიდა, საგარეჯოს მახლობლად „რუსების ჯარს გაემარჯვა **უბედურს** ქართველებზედ“ (29). ამის შემდეგ ორბელიანის სახლს რუსებმა ალყა მოხსნეს და სტუმრებსაც თავისუფლად შეეძლოთ მიმოსვლა. ცოტა ხანში ვ. ორბელიანის სიკვდილის ამბავიც მოვიდა[6]. იგი თბილისში, სიონის ღვთისმშობლის ტაძარში, დაკრძალეს, სადაც მისი წინაპრები განისვენებდნენ.

მემუარისტი მამის დაკრძალვის ამბავს ძალიან მოკლედ გადმოგვცემს: „აქ მომატებული იქნება, რაც გლოვა და ტირილი იყო მამაჩემზედ, ის აღვწერო, ამას თავი დავანებოთ, ისევ ამბავს მოვყვეთ“ (29). მისთვის სხვა რამეა მნიშვნელოვანი და სწორედ მას უთმობს დიდ ყურადღებას - ესაა მამის უკანასკნელი წუთები, რომელთაც ალ. ორბელიანი ერთგული მსახურის, ბერელას, მონათხრობის მიხედვით აცოცხლებს. მწერლისთვის მთავარია, როგორ აღესრულა მამამისი: მოკვდა, როგორც ქვეყნის ორგული და მოღალატე თუ სამშობლოს სიყვარულს შესწირა თავი.

ბერელას მონათხრობიდან ირკვევა, რომ ვ. ორბელიანმა საბედისწერო ჟამს, როცა მოძმეთა წინააღმდეგ უნდა აღემართა ხელი, თავი სასიკვდილოდ გადადო. მან ბრძოლის წინ ერთგულ მსახურს გული გადაუშალა და განზრახვა გაანდო: „ამდენს ჩვენს ცუდკაცობას ჩემი გული ვეღარ ითმენს. ხვალაც კიდევ უნდა ჩვენი კახელების სისხლის დაღვრა ვნახო და იმათი დამარცხება კიდევ მიულოცო რუსებს სიცილითა, ქართველების

[6] ვ. ორბელიანი 1812 წლის 1 მარტს დაიღუპა სოფელ ჩუმლაყში. ამავე ბრძოლაში ფეხში დაიჭრა ალ. ჭავჭავაძე.

უბედურება და დაღუპვა ჩვენი... გადამიწყვეტია, ვეღარ შემიძლიან კიდევ მოვითმინო, ხვალ თავს შევაკლავ ვისმე...“ (30).

მართლაც, ბრძოლის დროს ვ. ორბელიანი მოწინავეთა რიგში ჩადგა და სეტყვასავით წამოსულ ტყვიას გული მიუშვირა, მაგრამ არც ერთი არ მიეკარა. დამარცხებული კახელები უკუიქცნენ, რუსის ჯარმა მათი დევნა დაიწყო. ერთ-ერთ ქვეით აჯანყებულს, რომელიც ციხესიმაგრისკენ მიეშურებოდა, ცხენოსანმა ქართველებმა გზა მოუჭრეს და იარაღი მოსთხოვეს. „ხელი აიღევით ჩემზე, თორემ იარაღის მაგიერათ ამ ჩემს თოფის ტყვიას მოგცემთ“, - შეუდრეკლად უპასუხა მან (31). ქართველებმა უკან დაიხიეს, მხოლოდ ვ. ორბელიანი არ მოეშვა და დაჟინებით ითხოვდა იარაღს. კახელმა მეტოქე გააფრთხილა: „კარგს ვისმე გევხარ, ღმერთი გადღეგრძელებს, ხელი აიღევით ჩემზედ, ჩემს სამსეს თოფს ვერავის ვერ მივცემ“ (31). ორბელიანი თავისას მაინც არ იშლიდა, ბოლოს, თოფი გავარდა და სიკვდილის მძებნელი პოლკოვნიკი ქართველის ტყვიას შეეწირა.

ვ. ორბელიანის მიერ სიკვდილის წინ დაწერილი წერილიც ნათელყოფს, რომ მას ყველაფერი წინასწარ გადაეწყვიტა: ერთი მხრივ, მას ვეღარ აეტანა რუსების მახეში ყოფნა და მათგან გათავისუფლებას ამგვარად აპირებდა, მეორე მხრივ, ცოლ-შვილს იმედიანად ტოვებდა, რადგან რუსის სამსახურში კვდებოდა: „ამის მეტი მე წადილი არა მაქვს რა, რომ ეგება თქვენ და თქვენი შვილები უვნებელი მაინც დარჩეთ და რუსებმაც კარგად ყური გიგდონ და მეც ჩემი განზრახვა შევასრულო. რუსების უეჭველობისთვის და მითამ იმათის ერთგულებისათვის ხვალ ძლიერს ომის ცეცხლში შევალ, ეგება მამკლან, ანუ როგორმე თავი შევაკლა ვისმე...“ (33).

ვ. ორბელიანმა მიზანს მიაღწია, რასაც მთავარმართებლის, მარკიზ პაულუჩის, მიერ რუსეთის იმპერატორისადმი გაგზავნილი წერილიც ცხადყოფს. „საერთო მწუხარება გამოიწვია პოლკოვნიკ თ. ვახტანგ ორბელიანის სიკვდილმა. - წერს იგი, - თავადი ვახტანგი გახლდა უერთგულესი და თავდადებული თქვენის იმპერტორობის უდიდებულესობისა“ (ჩხეიძე 1996: 148).

ალ. ორბელიანი მამამისის მკვლელ კახელზე ერთგვარი აღტაცებითაც კი საუბრობს, იგი თითქოს ღვთის ნების აღმსრულებელია. მწერალი მოხიბლულია მისი

შეუპოვრობითა და მამულისათვის თავდადებით. იგი დაწვრილებით აღწერს „უშიშარი ვაჟკაცის“ გმირულ აღსასრულს: „სალდათები დახვდნენ წინ იმას. იმან თურმე ორი სალდათი კიდევ მოკლა ხმლითა და მესამეთ ისიც მოკლეს“ (საოჯახო ბიბლიოთეკა 2009: 34). მემუარისტი იქვე შენიშვნის სახით მიუთითებს: „ის ყოფილა საუცხოვო მონადირე და კარგი ვაჟკაციც“ (31).

მემუარისტი „მოგონებაში“, ასევე, გვიამბობს კახეთის აჯანყების გმირის, ბიძამისის, ერეკლე მეფის ნაბოლარა ვაჟის, **ალექსანდრე ბატონიშვილის**, შესახებ. ნ. ვახანიას შეფასებით, „ალ. ორბელიანი პირველია, რომელმაც ალექსანდრე ბატონიშვილი ლიტერატურაში შემოიყვანა და დახატა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ადამიანის საკმაოდ საინტერესო სახე“ (ვახანია 1998: 80).

მემუარისტის გადმოცემით, ალ. ბატონიშვილი, როგორც კი შუაკაცები და წერილი მოუვიდა, „სიხარულით ფრენით“ გამოემართა საქართველოსკენ: „საცოდავი კახელები თავიანთის მამულისთვის სისხლსა ღვრიან და მე დამიბარეს: „ჩქარა მობრძანდი, თავი გვყვანდეს, რომ მამულისთვის ხმალი მოვიქნიოთო“... ამის შემდგომ მე როგორღა დავბრუნდე?.. ჩემი ერთი მუჭა სისხლი და ჩემი ლეში, სადაც უნდა იყოს, ჯანი წამივიდეს, აქედგან კი აღარ დავბრუნდები“ (საოჯახო ბიბლიოთეკა 2009: 35).

ალექსანდრე ბატონიშვილის გამოჩენის შემდეგ „კიდევ ხელმეორედ გადაეკრა ცეცხლი კახეთს და ერთიანად იარაღი შემოიკრეს კახელებმა და ომები კიდევ ასტყდა რუსებთან“, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდნენ. დამარცხებული აჯანყებულები შავ დღეში აღმოჩნდნენ (37). ზოგიერთი მეამბოხე ციმბირში გადაასახლეს, ზოგმაც თავს უშველა და უცხოეთში გადაიხვეწა, ზოგის მიმართ კი შემწყნარებლობა გამოიჩინეს და აპატიეს.

მემუარისტის გადმოცემით, აჯანყებაში ქალებიც აქტიურად მონაწილეობდნენ: რუსის ჯარის ნაწილი, რომელიც თიანეთში იდგა, ქართველებმა დახოცეს „ერთის დედაკაცის თავგამოდებით“. ასევე, კახეთის აჯანყების მეორე ეტაპზე, ალექსანდრე ბატონიშვილის გამოჩენის შემდეგ, ალ. ორბელიანის მამიდები, „ეკატერინე და გუქა გაერივნენ და ხალხს აღელვებდნენ და სხვანი ბევრი ქალებიც იყვნენ გარეული“ (38-39). აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ორივე მამიდა „ტფილისში დაჭერილი ჩამოიყვანეს და

აქედანვე დაჭერილები რუსეთში გაისტუმრეს“. გადასახლებიდან ცოცხალი მხოლოდ გუქა დაბრუნდა (39).

ალ. ორბელიანი უშუალო მოწმე იყო თავისი ოჯახისა და ქვეყნის ტრაგედიისა. მგრძნობიარე ყმაწვილი მუდამ უფროსების წრეში ტრიალებდა, მათ სატკივარს ხედავდა და განიცდიდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ მამის წერილის გახსნისას ოთახში დედა, მამიდა ეკატერინე, ერთგული მსახური ბერელა და ცხრა წლის ალექსანდრე განმარტოვდნენ: „დედაჩემმა კარები სულ ერთიან დამაკეტინა და მასუკან [ბერელას] ჰკითხა: - ბერელავ, ნუ დამიმალავ, აქ არავინ არის ამ შენი ბატონის დის მეტი და **ამ ჩემის ალექსანდრესი, რომელმაცა ამან არ იცის უბრალოთ ლაპარაკი აქა-იქ. მითხარ, როგორ იყო, როგორ მოკლეს შენი ბატონი**“(29-30).

ყმაწვილობაში განცდილი და გადატანილი ცხოვლად დააჩნდა ალ. ორბელიანის სულს, რაც შემდგომში რუსული მმართველობის წინააღმდეგ მის შეურიგებლობასა და ერთგვარ რადიკალიზმში გამოვლინდა.

1.6. „ჭეშმარიტი სიყვარული“

„ჭეშმარიტ სიყვარულში“ მწერალი აღწერს 1832 წლის შეთქმულების გაცემის შემდეგ მისი დაპატიმრების, ყაზარმობისა და გადასახლებაში გამგზავრების ამბებს. მკითხველი მემუარისტის განსაცდელის უშუალო თანამონაწილე ხდება. ისევე როგორც დ. ყიფიანის „1832 წლის ყაზარმობას“, ალ. ორბელიანის ამ მოგონებასაც ისტორიული პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს. ამასთანავე, ნაწარმოები საინტერესოა მწერლის პოლიტიკური მსოფლმხედველობის, საზოგადოდ, მისი პიროვნების გასაცნობად.

გ. გოზალიშვილის შეფასებით, „შეთქმულების მეტად თვალსაჩინო წევრი, ხელმძღვანელი სამეულის[7] განუყრელი მონაწილე იყო ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი, რომლის ირგვლივაც თავს იყრიდა შეთქმულების ყველა ძაფი“ (გოზა-ლიშვილი 1970: 47). მას კავშირი ჰქონდა შეთქმულების ცალკეულ წევრებთან, ჯგუფებთან თუ წრეებთან; ამასთანავე, ინიციატორი იყო შეთქმულებასთან დაკავშირებული მრავალი

[7] იგულისხმებიან ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი და სოლომონ დოდაშვილი.

საქმისა. ასე რომ, ალექსანდრეს ღვაწლი ყველა დანარჩენის ღვაწლს აღემატებოდა, რადგანაც მისი მოღვაწეობა მთელ შეთქმულებას სწვდებოდა (50).

ალ. ორბელიანი ამბავს მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით გადმოგვცემს. იგი თხრობას 1832 წლის 11 დეკემბრის ღამიდან იწყებს. ცოლ-ქმარს ცუდი წინათგრძნობა აღვიძებს: „...ჩვენ შუაღამის მეორე საათის შემდგომ, ორნივ **რაღაც საშინელებამ გაგვაღვიძა დაბნელებულს უსინათლოს ოთახში. ჩემს ახლოს კატინამ ძრწოლა დაიწყო შიშით**“ (ქართული მწერლობა 1992: 177). იგი ავ სიზმარს შეეშინებინა, თუმცა ცხადშიც ჰქონდა შფოთვისა და ღელვის მიზეზი. „ეხლანდელს ყმაწვილს კაცებს რომ განგიძრახავთ და შეთქმა გაქვთ, რუსები აქედგან გარეკოთ და ეს ამბავი ხალხში რომ მოგიფენიათ, **ერთი მაინც არ გაგცემსთ მცირეს თავის სარგებლობისათვის?**“ - ეკითხება შეშინებული ქალი ქმარს (178).

ალ. ორბელიანი, როგორც შეთქმულების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და მოთავე, აჯანყების დასაწყებად ხელსაყრელ დროს ელოდებოდა: **„ეს საქმე ჩვენის მეტი სხვამ არავინ არ უნდა შეიტყოს ამისთვის, რომ მინამ გარემოება თავისთავად არ მოიტანს საქმეს, არასგზით არ შეიძლება აღსრულებაში მოვიყვანოთ ეს განზრახვა ეხლანდელს ქართველებში. ისევ სჯობია, მხოლოდ ჩვენ ვიცოდეთ და გარემოებას მოვუცადოთ. ვინ იცის, იქნება ღმერთმა მოიტანოს რამე გარემოება...**“; ზოგიერთ შეთქმულს მისი რჩევა მოსწონებოდა, ზოგს კი ამგვარი გადაწყვეტილება ქალაჩუნობად მიეჩნია. - საქმეს დიდი გულმოდგინებით ვერ შევუდექით, ისე რომ, „**მშობლის მამულის მეტის სიყვარულით ავად ვსაქმობდით თუ კარგად, ვეღარ გავიგეთ-რა“,** - ეუბნება ალექსანდრე ცოლს (178).

ამ სჯა-ბაასში რომ იყვნენ, ხმაური მოისმა, შვილების ოთახში სანთელი ჩაქრა, მოახლე შემოვარდა და შეშინებული ხმით შეატყობინათ რუსი „სალდათების“ მოსვლის ამბავი. ალ. ორბელიანს მთავარმართებელთან იბარებდნენ, ასევე, მის ძმას, ვახტანგსა და დეიდაშვილს, გიორგი ერისთავს.

პატიმრები ავლაბრის ყაზარმებში გამოკეტეს. მთელ ღამეს არ შეწყვეტილა „დიდი ფეხის ხმიანობის, წასვლა-წამოსვლის ხმა... და კარების ჯახაჯუხი“ (181). ალ. ორბელიანი ერთ ოთახში ჩასვეს, რომლის ფანჯრებიც სქელი გაჯით გადალესეს და დააბნელეს ისე, რომ „მზის შუქი ძლივს დაინახებოდა“ (181).

მემუარისტი საინტერესოდ აღწერს პირველი დაკითხვის სცენას. ოთახში ორი გენერალი, ერთი პოლკოვნიკი და სამი-ოთხი ოფიცერი დახვდა. გენერალმა შაიკოვმა საქმის ვითარება გააცნო და „ზრდილობიანის კითხვით“ სთხოვა, ბრალი ეღიარებინა. ალექსანდრემ, როგორც კი საბეზღარ ქაღალდს თვალი მოჰკრა, მაშინვე შეიცნო იასე ფალავანდიშვილის ხელწერა[8]. ქაღალდების დასტას ბრალდებულს თითქმის სამი საათი უკითხავდნენ და ბრალდებას აცნობდნენ.

ალ. ორბელიანს მტკიცედ გადაეწყვიტა, არაფრით არ გამომტყდარიყო. პატიმარი რვა დღე-ღამე ბნელ ოთახში იმყოფებოდა ცარიელ პურსა და წყალზე. ბოლოს, ყველა თანამონაწილის, მათ შორის ძმისა და ახლო ნათესავების, აღიარებითი ჩვენებები წარმოუდგინეს და ცოლ-შვილისა და მოხუცებული დედის შეპყრობით დაემუქრნენ. მემუარისტი იგონებს: „**რვა დღემდისინ** ყოველდღე ავად მეკითხებოდნენ, გავტეხილიყავ, მაგრამ ვერასგზით ვერ გამტეხეს ამისთვის, რომ **ადრითვე პატიოსანი პირობა დაგვედო ჩვენ ამხანაგებს, თუ გამოცხადდეს ეს ჩვენი საქმე, არ გავტყდეთო. მხოლოდ იასე ფალავანდოვის საბეზღარზე ვერასგზით ვერ გამტეხდენ, მაგრამ რა დღესაც ჩვენ ერთიან დაგვიჭირეს, იმ დღეს ვისათვისაც კი ეკითხათ, მაშინვე გატეხილიყვნენ. იმათი ჩვენებაც თვითოეულად მაჩვენეს**“ (182).

ალ. ორბელიანმა ბრალდება აღიარა, მაგრამ თავი მოისულელა, როგორც თავის დროზე „ერთმა მცოდნე ჩინოვნიკმა“ პ.-მ[9] დაარიგა. ალექსანდრემ ჯავრი ი. ფალავანდიშვილზე იყარა: „რაღას დავზოგამდი იმ იუდას და დიდ დამნაშავედ ამოვაჩინე“ (184).

მემუარისტი გვიამბობს, რომ კომისია ცდილობდა, დამბეზღებლისთვის ხელი დაეფარებინა, რადგან მისი ძმა, ნიკოლოზ ფალავანდიშვილი, თბილისის სამოქალაქო გუბერანტორი იყო. მაგრამ ყველაფერი შეიცვალა მას შემდეგ, რაც პეტერბურგიდან კომისიის ახალი თავმჯდომარე, გენერალი ჩევკინი, მოვიდა. იგი განსაკუთრებული

---

[8] ი. ფალავანდიშვილმა შეკითხვაზე, თუ ვინ იყო შეთქმულების მეთაური, შემდეგნაირი პასუხი გასცა: „**მე უფროსებად არავის ვთვლი, ხოლო შეთქმულების მთავარ წამაქეზებლად მიმაჩნდა 1-ლი** აღმასრულებელი ექსპედიციის სოვეტნიკი **ორბელიანოვი,** მე-2 არტილერიის ყოფილი პოდპორუჩიკი **ელიზბარ ერისთავი** და მე-3 მასწავლებელი ბატონი **დოდაევი** (გ. გოზალიშვილი 1970: 311).

[9] ტიტულოვანი მრჩეველი დიმიტრი პაუშენკო დუშეთის მაზრის ისპრავნიკი იყო. როგორც ჩვენებებიდან ირკვევა, იგი აქეზებდა და გეზს აძლევდა შეთქმულებს.

სიმკაცრით გამოირჩეოდა. მან არც იასე დაინდო, იმდენად შეავიწროვა, რომ მოღალატემ კომისიის წევრებთან, ალექსანდრეს წინაშე, აღიარა: „მე მთავრობისაგან შემოჩენილი შპიონი ვიყავ თქვენში, რაც თქვენში განზრახვა იყო, უნდა შემეტყო და გამამეცხადებინა. მე თქვენში რასაცა ვლაპარაკობდი და ვსაქმობდი, სულ ცბიერობა იყო, რომ თქვენი განზრახვა ყველა წვრილად შემეტყო. შევიტყვე და წვრილადაც მამიხსენებიაო“ (185). იასემ თავი მაინც ვერ დაიხსნა და „ლიანდაში უსუდოდ გაგზავნეს“ (185). მემუარისტი აღნიშნავს, რომ ი. ფალავანდიშვილი გაცილებით დიდ სასჯელს იმსახურებდა, „თუ იმის ადგილას სხვა ყოფილიყო, უნდა დაეხრჩოთ. მაგრამ მხოლოდ რუსეთს გაგზავნეს სამსახურში და იმ დიდის უბედურებისაგან მოარჩინეს“ (193).

მემუარისტის გადმოცემით, კომისიის ხელში ბევრმა საქმემ გაიარა და ბოლოს დასკვნა ხელმწიფე იმპერატორს ეცნობა. მან ზოგს აპატია დანაშაული, ზოგს რუსეთში გაგზავნა მიუსაჯა გასამართლების გარეშე და ზოგიც „სუდში მისცა“. საბედნიეროდ, ყველა მონაწილის სახელი არ გაცხადდა, „ბევრი კარგებიც ერევნენ ჩვენს საქმეში, მაგრამ ვისიც სახელი და ამბავი იასემ იცოდა, იმათი გამოჩნდა და ვისიც არა იცოდა-რა, უფრო მომეტებულებისა, იმათი არა გამოჩნდა-რა, ისე დაფარულად დარჩა იმათი საქმე“ (185).

ალ. ორბელიანის შესახებ ბიოგრაფიული რომანის ავტორი **როსტომ ჩხეიძე** ზოგიერთი შეთქმულის დაფარვას ალექსანდრეს დიდ დამსახურებად მიიჩნევს. „ბრალდებულთა სიის შეკვეცა, პირველ ყოვლისა, მისი ღვაწლია და ისიც შესამჩნევია, რომ სხვათა საქციელს ზოგჯერ თვითონ იბრალებს, რათა ისინი დაიხსნას როგორმე“ (ჩხეიძე 1996: 115). რ. ჩხეიძის მტკიცებით, „ათეული წლების მერეც არ გაუმხელია, თუ ვინ იყვნენ ის დანარჩენნი, არც არავისთან, არც ჩანაწერებს ანდო. შეთქმულებაში ოდინდელ მონაწილეობაზე ალბათ პასუხს ვეღარ მოსთხოვდნენ, მაგრამ სხვა მიზეზს იშოვიდნენ, მათთვის უსიამოვნება რომ მიეყენებინათ, ხოლო ალექსანდრეს უჯრების გაჩხრეკა და თვითეული ფურცლის შესწავლა ყოველთვის მოსალოდნელი იყო“ (113-114).

1834 წლის გაზაფხულის ერთ საღამოს ბრალდებულები დაიბარეს და განაჩენი წაუკითხეს. ალ. ორბელიანს, როგორც შეთქმულების მეორე პირს[10], თორმეტი წლით ორენბურგის გუბერნიაში გადასახლება მიესაჯა. ალ. ორბელიანის თქმით, მთელი ქვეყანა

[10] შეთქმულების ბოლო ეტაპზე მეთაურად ე. ერისთავი დასახელდა.

ემადლიერებოდა ხელმწიფე იმპერატორს, რომელმაც „ასე სუბუქად დააბოლოვა ... საქმე და არაფრად მიიღო“ (ქართული მწერლობა 1992: 190).

მართლაც, სასჯელი იმაზე მსუბუქი აღმოჩნდა, ვიდრე მოელოდნენ. ალ. ორბელიანის აზრით, თავი რომ არ მოესულელებინა, ასე იოლად ვერ გადარჩებოდნენ ვერც ის და ვერც მისი ამხანაგები: „თუ მე მართლა თავი არ დამესუსტებინა და ჩემს ზოგიერთ ამხანაგებამდისინაც არ მიმეღწევინებინა, რომ იმათაც ისე ეთქოთ ჩემზე, მაშინ მთავრობა ჩვენს საქმეს ისე სუბუქად აღარ მოიღებდა და საუკუნედ დავიღუპებოდით ყველანი. მაგრამ ამ ჩვენი შეთქმის თავი პირველთაგანი მე რომ სუსტად დამინახეს, ამისთვის ყველანი იძახდნენ რუსნი თუ ქართველები: „სულელებს და ყმაწვილებს მოუხდენიათ შეთქმა და იმათგან რა შეთქმა უნდა ყოფილიყოო“ (185).

მემუარისტმა „ჭეშმარიტ სიყვარულში“ საინტერესოდ დაგვიხატა თავისი სათაყვანებელი დედისა და საყვარელი მეუღლის პორტრეტები: კატინას სახით მკითხველს წარმოუდგება ახალგაზრდა, ცხოვრებაში გამოუცდელი ქალი, მრავალჭირნახული თეკლე ბატონიშვილი კი ყველას ხიბლავს თავისი სიმტკიცითა და გონიერებით.

მწერლის თვალს არ ეპარება ცალკეული დეტალი მისთვის უძვირფასესი ადამიანების მოქმედებისა. კატინა არ იმჩნევდა, მაგრამ „დიდი მწუხარება ეტყობოდა სახეზე“ (190). დედამ შვილებს გამოუცხადა, რომ მასაც ასახლებდნენ. ალექსანდრემ და ვახტანგმა ფერი დაკარგეს. „ჩემი კატინა წამოდგა, - აგრძელებს მწერალი, - ბატონიშვილს დედას უკან მოეფარა, ფანჯრისაკენ თავი მიიღო და მსხვილი ცრემლები გადმოყარა. ყოვლის ღონით ცდილობდა, არავის შეემცნია ცრემლი“ (190). მოგვიანებით კატინამ „თვალები მოიმშრალა ბაღდადის მწვანეს ხელსახოცით, რომ ბატონიშვილმა დედამ ვერ შეამცნია. მას უკან მოვიდა და ცოტა მოშორებით დაჯდა ბატონიშვილს დედასთან“ (191). ასეთი დაკვირვებული, დაწვრილებითი თხრობით აცოცხლებს ალ. ორბელიანი შექმნილ დრამატულ სიტუაციას და დიდ დამაჯერებლობასაც აღწევს.

მოგონებაში ბევრია თეკლე ბატონიშვილისადმი შვილების უსაზღვრო სიყვარულისა და პატივისცემის გამომხატველი მაგალითი, რომლებიც ოსტატურადაა მოწოდებული მწერლის მიერ. ამ მხრივ ინტერესს იმსახურებს რამდენიმე ეპიზოდი:

პატიმარი შვილები „დიდის სიხარულით“ მოემზადნენ დედასთან შესახვედრად. „მცირეს ხანს უკან კარები გააღეს და **პატივსაცემი ბატონიშვილი დედაჩვენი, მედიდურის სახის მქონე, განსვენებულის სახით შემობრძანდა და ორთავ სიამოვნებით შემოგვღიმა.** ჩვენ, იმისმა შვილებმა, ერთმანერთს ხელს შევტაცეთ და მეორემ - მეორე ხელსა და კარგა ხანს ტუჩებიდან ვეღარ მოვიშორეთ. ასე ხელზე კოცნით შამოვიყვანეთ და ჩემს კრავოტზე დავსვით“, - გვიამბობს მემუარისტი (186).

თეკლე გადასახლებაში მიმავალ შვილს სთხოვს, კოცნით არავის დაემშვიდობოს, მხოლოდ სიტყვით „გამოესალმოს“, როგორც უწინდელ დროში იყო მიღებული ქართველებში. ალექსანდრეს ეტლთან ხვდებიან „ჭეშმარიტი მეგობარი“, პავლე თუმანიშვილი, მამიდაშვილი, თადია ჩოლოყაშვილი, რომელიც იმ საღამოს საგანგებოდ ჩამოვიდა სოფლიდან და სიმამრი, დავით ბარათაშვილი.

„ბრიჩკასთან რომ მივედი ჩასაჯდომად, ჩემი მეგობარი პავლე მოვიდა ჩემთან და შეწუხებულმა მითხრა: - საყვარელო მეგობარო ალექსანდრე, მე ვგრძნობ, შენ მშვიდობით დაბრუნდები, მაგრამ მე ცოცხალი აღარ დაგხვდები. გთხოვ, უკანასკნელად მაკოცნინო პირზე, რომ საუკუნო გამოსალმება იყოს.

იმის სიტყვაზე გულმა წუხილი დაიწყო. - ამბობს მემუარისტი, - ამ დროს ჩემი სიმამრი მოვიდა და იმანაც მამობრივი გულმტკივნეულობის კოცნა მთხოვა... მე სიტყვის თქმა აღარ დამცალდა, ჩემმა ბიძაშვილმა თადიამ კისერზე ხელი გადამხვია და იმანაც კოცნა მთხოვა. **მაგრამ მე მაინც ბატონიშვილის დედიჩემის სიტყვა ვერ გავტეხე და სამთავეს სიტყვით გამოვესალმე“** (195-196).

თეკლე ბატონიშვილი ძნელბედობის ჟამსაც გასაოცარ მოთმინებასა და სიმამაცეს იჩენს, რაც შვილის, ალ. ორბელიანის, დიდ აღფრთოვანებას იწვევს: „ზოგიერთი ჩვენი ამხანაგების დედები მწუხარებით დაიხოცნენ თავიანთის შვილების დაჭერაზე, რომელთაც ერთი და ორი შვილი კიდევ დარჩათ თავისთან სანუგეშოდ. მაგრამ დედაჩვენს სამი შვილის მეტი არა ჰყვანდა-რა, რომლებიცა სამივე უბედურებაში ჩავცვივდით“ (187).

თეკლე ბატონიშვილმა თავისი განაჩენიც „მოთმინების გულით“ მიიღო: „ასე არის დაუდგრომელი სოფელი. მინამ ადამიანი ცოცხალი არის, სოფელი არ ასვენებს. მე

უბედურობისა არ მეშინია... ჩემს გულსა აგრე ჩქარა ვერ შემირყევენ. **მე მეფის ირაკლის ქალი ვარ და იმის მაგარ გულზედ გაზდილი**“ (191).

მკვლევარ **თამარ პაპავას** სიტყვით, „ასე მხნეთ და ამაყად ხვდება თეკლა ბატონიშვილი ამ საშინელ კატასტროფას. მან იცის, რომ ამ დიდ მამულიშვილურ აქტს მსხვერპლიც დიდი სჭირია და მოხუცი ქართველი დედა შვილს ანდერძად უდებს, რომ „მაგისთანა პატიოსანს განზრახვასთან სანანურად ნუღარ მიგაჩნდებათ თავიო“ (პაპავა 1990: 62).

თეკლე ბატონიშვილი ამხნევებს გაჭირვებაში ჩავარდნილ ოჯახს. „ქვეყანაზე ბევრი უბედურნი არიან, რა ვქნათ, იმათ შორის ჩვენი სახლიც უბედური იყოს. ღმრთის მადლობით მოვითმინოთ... შენც ჩემსავით მაგრა იყავ და უბედურობას ნუ გაუტყდები... ღმრთისათვის მიმიბარებიხარ“, - აი, ასეთი გულშიჩამწვდომი სიტყვებით ემშვიდობება დედა გადასახლებაში მიმავალ შვილს (ქართული მწერლობა 1992: 195).

ნიშანდობლივია, რომ ალ. ორბელიანის ცხოვრების ეს მონაკვეთი ორ ბნელ ღამეს შორისაა მოქცეული: დაპატიმრებისა (1832 წლის 11 დეკემბერი) და რუსეთში, გადასახლებაში, გამგზავრებისა (1834 წლის 14 ივლისი). მთელ ამ ისტორიას კი მემუარისტი თავისი ცხოვრების ბედნიერებისა და უბედურების ამბავს უწოდებს: „აი, ჩემი ბედნიერებისა და უბედურობის ამბავი ეს არის“ (196).

1.7. „რუსების დასი ქართუელები ჩემზედ“

საქართველოს რუს მმართველებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს (1782 – 1856). მისმა მმართველობამ გარკვეული კვალი დააჩნია ქართველი ხალხის ისტორიასა და ცნობიერებას.

XIX საუკუნის 10-30-იან წლებში რუსეთის იმპერია კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, მართვა-გამგეობას სამხედრო პირებს, რუს გენერლებს, აბარებდა. მათი მთავარი მიზანი კი იმპერიის გაფართოება და შემოერთებული მიწების საზღვრების განმტკიცება იყო. მათ სულაც არ აინტერესებდათ დაპყრობილი ქვეყნების შიდა ცხოვრების მოწყობა და ადგილობრივი ხალხების ბედი. ამდენად, გასაგებია, რომ ეს წლები ჩვენს ქვეყანაში შინაგანი დაძაბულობით, მღელვარებითა და აჯანყებებით

აღინიშნება. 1804 წელს აჯანყდა მთა - ესაა ხანა მთიულეთის აჯანყებისა, 1812 წელს აჯანყებამ იფეთქა კახეთში, რამაც მთელი მხარე მოიცვა, 1819 წელს აჯანყდა იმერეთი, 1841 წელს აჯანყების ცეცხლი გურიაში აბრიალდა, ხოლო 1829 წლიდან 1832 წლის ჩათვლით მზადდებოდა შეთქმულება, რომელშიც ქვეყნის პროგრესული ძალები იყო ჩართული.

რუსეთის თვითმპყრობელობა იმ აზრამდე მივიდა, რომ საქართველოში მმართველობის თვალსაზრისით რაღაც უნდა შეცვლილიყო, პოლიტიკა რამდენადმე მაინც მოქნილი გამხდარიყო. 1844 წლისთვის კავკასიაში გაუქმდა სამხედრო მმართველობა, კერძოდ, მთავარმართებლის პოსტი, და გამოიგზავნა მეფისნაცვალი, რომელიც უშუალოდ იმპერატორს ექვემდებარებოდა, მისი მოადგილე იყო. ეს ერთგვარად ნიშნავდა სამხედრო მმართველობიდან სამოქალაქო მმართველობაზე გადასვლას. პირველ მეფისნაცვლად დაინიშნა ამ დროისათვის უკვე ასაკში შესული 60 წლის მიხეილ ვორონცოვი. მას ახალგაზრდობა ინგლისში ჰქონდა გატარებული და კარგად იცნობდა იქაურ საპარლამენტო მმართველობას. იგი რუს გენერლებზე გაცილებით ჭკვიანი და ცბიერი იყო. მას დიდმა რუსმა პოეტმა, ა. პუშკინმა, მელა შეარქვა.

მ. ვორონცოვს მიაჩნდა, რომ რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში უფრო მოქნილი პოლიტიკის გატარება იყო საჭირო, ხალხი რომ მიემხრო და გაეერთგულებინა. მისთვის სავსებით მისაღები იყო იდეა, რომლის თანახმადაც უნდა შენარჩუნებულიყო კავკასიური სხეული, რომელიც რუსული სულით აივსებოდა.

მ. ვორონცოვმა ქვეყნის მაღალი წრის წარმომადგენელთა, თავად-აზნაურთა, გულის მოგება და ასე მათი მიმხრობა გადაწყვიტა.

ჭკვიანმა და ცბიერმა მეფისნაცვალმა თავისი პოლიტიკით შიდა დაძაბულობა თანდათან განმუხტა. მისი მმართველობის წლები ქვეყანაში სიმშვიდით აღინიშნა. მართალია, ბრძოლები კვლავ წარმოებდა, მაგრამ უკვე ქვეყნის გარეთ, კავკასიის მთიანეთში. მათში სიამოვნებით ჩაება მაღალი წოდების ქართველობაც. მათი

აქტიურობის მოტივი პატრიოტული იყო - ისინი ებრძოდნენ საქართველოს ისტორიულ მტრებს, ქვეყნის დამარბეველ ლეკებს[11].

მ. ვორონცოვი ამიერკავკასიის კოლონიზაციისთვისაც ზრუნავდა. მან აქ გადმოასახლა სამი ათას ხუთასი კომლი რუსი რასკოლნიკი (ქიქოძე 1947: 81).

მეფისნაცვალმა აშკარად მოახერხა ქართველებში ნდობის გაჩენა და თავისი შორსმიმავალი მიზნის, გარუსების პოლიტიკის, თანდათან გატარება.

უნდა გარკვევით აღინიშნოს, რომ პირველი ქართველი მოღვაწე, რომელმაც იმთავითვე ფხიზლად დაინახა, შეაფასა ვორონცოვის ზრახვები და უნდობლობა გამოუცხადა მას, ალ. ორბელიანი იყო. მწერლის პოზიცია მეფისნაცვლის პიროვნებისა და პოლიტიკისადმი ნათლად ჩანს მის მოგონებებში - „რუსების დასი ქართუელები ჩემზედ“ და „ვარანცოვთან ჩემი დაბეზღება“.

ალ. ორბელიანი, საზოგადოდ, თავისი ცხოვრების წესით გამოხატავდა პროტესტსა და შეურიგებლობას რუსეთის მთავრობის მიმართ. როგორც უკვე ითქვა, გადასახლებიდან დაბრუნებული მწერალი სახელმწიფო სამსახურში აღარ შესულა, იგი მხოლოდ ეროვნულ საქმეს ემსახურებოდა, რისკენაც სული და გული მიუწევდა. „დავრჩი მარტო უამხანაგოთ, ასე რომ ჩემის მეტი ჩუენის ქუეყნისათვის აღარავინ აღარ იყო და თუ იყო ვინმე, დიახ ცოტა. ადრინდელი ჩემი ამხანაგები რუსეთის მთავრობას მიუდგნენ, იმათი ჩინოვნიკები შეიქმნენ, იმათ სიმართლეც მიუძღოდათ, ამიტომ რომ აღარაფრის

---

[11] ამის თვალსაჩინო მაგალითია გრ. ორბელიანის მიერ დაღესტნიდან გამოგზავნილი წერილები. 1848 წლის 16 აგვისტოს გრ. ორბელიანი თავის უმცროს ძმას, ილიას, ტურჩიდაღიდან სწერს: „სალტას, ქუდალას, ყუპპას, კოჰორს იდგნენ ორი ათასი კომლი კაცი, მგონია უფრო მეტი; ახლა სად არიან, რა იქმნენ? - წლეულს გეგებილიც ამგვარად გალეწეს; დარჩა მხოლოდ ცარიელი სალი კლდე. - მამავაცხონე, **ეს სულ საქართველოს სისხლის ღაღადისია“** (XIX-XX საუკუნის ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკიდრეობა 2012: 106).

1857 წლის 10 სექტემბერს გრ. ორბელიანი ყაფლან ორბელიანს სწერს: „თიბათვეში ამოველ ჯარითა სალათავიაში, სადაცა ვაშენებ ციხესა. - შამილაც იყო აქა დიდის ჯარითა, ქურდსავით ტყეში იდგა და რამდენჯერაც გამოვიდა ტყიდამ, იმდენჯერ დამარცხებული, ცხვირ-პირ ჩამტვრეული მირბოდა: 24 ივნისს ვეება ხევი ავავსე იმათის დახოცილებითა; ორნი ნაიბნი და მრავალნი მწიგნობარნი ყადიები სულ შტიკებზედ ავაგებინე... დღეგრძელობა შენა გქონდეს, რომ მე ისინი დათვსავით ვაღრიალე და **კახეთის სისხლი ავიღე!“** (XIX-XX საუკუნის ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2015: 86-87).

ასევე, აღსანიშნავია გრ. ორბელიანის სიტყვები ლექსიდან „პასუხი შვილთა“:

„მამანი თქვენნი, თავის დროს ძენი,
თავის დროს იყვნენ სახელოვანნი!
ოსმალ-სპარსები, **დაღესტნის მთები,**
ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეთ!“

იმედი აღარ იყო, თვინიერ მთავრობასთან დაახლოება“, - აღნიშნავს იგი გულისტკივილით (საოჯახო ბიბლიოთეკა 2009: 50).

უხვი წყალობა, რომელიც მეფისნაცვალმა ორბელიანების ოჯახზე გაიღო, მწერალს ქვეყნის უბედურებაზე თვალის დახუჭვის უფლებას არ აძლევდა. „რაც ვარანცოვმა ჩუენ ორბელიანთ კარგი შეგვეძღვნა, ნამეტნავად ჩუენს ოჯახს, ვის შეეძლო ისა?..[12] **ბედნიერება შემოგვძღვნა ჩუენ ვარანცოვმა, მაგრამ ამის სარგებლობისათვისა ჩუენი ქუეყნის უბედურებაზე როგორ ვიდღესასწაულო და ტყუილი როგორ ვთქუა, რომ ვარანცოვის მართებლობა აქა ჩუენი დიდი ბედნიერება ყოფილიყოს?**“, - ამბობს მწერალი (55-56).

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ალ. ორბელიანს სძულდა რუსი დამპყრობლები და არა - რუსი ერი, საზოგადოდ: „რა ვქნა, რა უყო, ღმერთს ისე დაუბადებივარ, რომ **საქართველოში** მე რუსები არ მიყუარან? - მე ისინი რუსეთში დიდად მიყუარან, იქ უკეთესი ხალხი არ უნდა ისინი არიან და ბევრი კარგიც მახსომ მე იმათგან, მაგრამ, აბა, რა ვქნა, აქ მე ისინი არ მიყუარან, არა, ბევრჯელ ვეცადე, ეს ჩემი უსიყვარულობა იმათზე ჩემს გულში მამეკლა, მარამ ვერას მოთმინებით ვერ შევიძელ, არა გამეწყო რა“ (45-46).

ალ. ორბელიანის შეფასებით, **„დიდი გონების ცბიერი კაცი იყო ვარანცოვი“** (S – N1653/ა). როდესაც იგი მეფისნაცვლად დაინიშნა, უპირველეს ყოვლისა, თავისი მომხრეების დასი შექმნა. „დიდმა დიპლომატიკმა“ კარგად უწყოდა, რომ ქართველები ძალაუფლებისკენ ილტვოდნენ, სომხები - სიმდიდრისკენ. მანაც „ორსავე მისცა, რაც უნდოდათ: ქართველებს ფუჭი დიდკაცობა და სომხებს გატენილი პარკი ფულებითა“ (S - N1653/ა). ისინიც, „დამონებულობის სიამოვნებით გადარეულები“, მეფისნაცვლის სამსახურში თავს არ ზოგავდნენ და ერთგულებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

მ. ვორონცოვის თაოსნობით განხორციელებული კულტურული პროექტები ალ. ორბელიანს გარუსების მზაკვრული გეგმის ნაწილად მიაჩნდა. მისი თქმით, „იმისთანა ჯილდოები, იმისთანა განცხრომშექცევანი, იმისთანა თიატრლიტერატურა, იმისთანა

[12] იგულისხმება 40 000 დესეტინაზე მეტი მამული, რომელიც ვორონცოვმა გაყოფის დროს ალ. ორბელიანის ოჯახს არგუნა. ალექსანდრე თავის პირველ ჩვენებაში (1832 წლის 18 დეკემბერი) საუბრობს ორბელიანების გაყრის საქმეზე, რომელიც 1803 წლიდან წარმოებდა. „ჩემს ხვედრს წილს არ მაძლევენ ჩემნი სახლი კაცნი... ამთენი არზის მწერლის ფულის მიცემის ღონე აღარა მაქვს... ამთენის სასამართლოს სიარულით ბევრჯელ მშიერი დავრჩები და მეტი დაქანცვით დაღალული მოვალ და მეძინება...“ (გ. გოზალიშვილი 1935: 196). სწორედ ეს დავა გადაწყვიტა ვორონცოვმა ალ. ორბელიანის ოჯახის სასარგებლოდ.

თავისუფლებანი“ ქართველებს აღაფრთოვანებდა, ისინიც ვორონცოვის სახელს ადიდებდნენ და ღმერთს მადლობას სწირავდნენ დიდი წყალობისათვის, რომელიც მარადიული ეგონათ (საოჯახო ბიბლიოთეკა 2009: 51).

მემუარისტის აზრით, სინამდვილეში ვორონცოვის პოლიტიკა მხოლოდ და მხოლოდ ქართველების გადაგვარებასა და გარუსებას ემსახურებოდა. მან შეძლო ის, რაც მისმა წინამორბედებმა ვერ მოახერხეს - ქართველებში ნდობისა და სიყვარულის მოპოვება. „ვარანცოვამდისინ ქართუელები შორს ვიდექით რუსებზე და იმან რუსებში გაგვრია შეგვაერთა ამ ცფიერმა დიპლომატმა“, - სინანულით აღნიშნავს მემუარისტი (53).

ალ. ორბელიანის თქმით, მ. ვორონცოვმა ჩვენში ისეთი მკვიდრი საფუძველი მოამზადა, რომ სრული გარუსებისაგან ღმერთი თუ გვიხსნიდა: „ვაიმე, რომ მაშინ ქართუელები აღარ იქნებიან... ერთი ინჩი ქართული სიტყუა აღარ იქნება ქართუელებში და მხოლოდ ის გადარუსებულები იტყვიან: ერთს დროს ამ ქუეყანაში ქართუელები ყოფილანო“ (52-53). მწერლის აზრით, არც აქაურ სომხებს მოელოდათ კარგი დღე, მათ რუსულ ეკლესიას დაუმორჩილებდნენ, არადა, უცხოეთში გადაასახლებდნენ, ნახევარ მილიონამდე მაჰმადიანი ჩერქეზის მსგავსად, რომლებიც ოსმალეთში გადახვეწეს.

ალ. ორბელიანის შეფასებით, მ. ვორონცოვის ცხრაწლიანი მმართველობა კავკასია-საქართველოში „სულ რუსეთის ამაღლება იყო და ცფიერულად ჩუენი წახდენა“ (52).

ნ. ვახანიას აზრით, „მთავრობისაგან განზე გამდგარი ალ. ორბელიანი კარგად ხედავს მოვლენებს, ზუსტად აფასებს მეფისნაცვალთა პოლიტიკას საქართველოში და შესანიშნავად ახერხებს მეფისნაცვლის გარშემო შემოკრებილ ჩინოსანთა გულისნადების დანახვასა და ამაო ფაციფუცის აღწერას“ (ვახანია 2004: 8). მისივე სიტყვით, „მიხეილ ვორონცოვის პიროვნებასა და პოლიტიკაზე თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ის შეხედულებაა მიღებული და დამკვიდრებული, რომელიც თავის დროზე ალ. ორბელიანს ჰქონდა (ამას ადასტურებს შესაბამისი ადგილები „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიიდან“ და „საქართველოს ისტორიის ნარკვევებიდან“)“ (9). მ. ვორონცოვის შესახებ არსებობს საპირისპირო აზრიც, რომელიც საკმაო პოპულარობით სარგებლობს[13].

[13] მკვლევარ თამარ შარაბიძის სიტყვით, „ერთნი უაღრესად დადებითად აფასებენ საქართველოში მეფისნაცვლის კულტურულ მოღვაწეობას (ესენი არიან: გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, პ. იოსელიანი, ა. წერეთელი, ი. მეუნარგია, ა. ჯორჯაძე, მიხ. თამარაშვილი, კ. მესხი, შ. ამირეჯიბი, ს. ყუბანეიშვილი, თ.

თავის მოგონებაში ალ. ორბელიანი სხვა მეფისნაცვლებზეც საუბრობს, რომლებიც მ. ვორონცოვის შემდეგ დაინიშნენ საქართველოში. მწერალი ერთგვარი სიმპათიით იხსენებს მეფისნაცვალ **ნიკოლოზ მურავიოვს**. იგი, ვორონცოვის მსგავსად, ჩვენთან

ჯოლოგუა და სხვ.), მეორენი კი - უარყოფითად (ა. ორბელიანი, ნ. ნიკოლაძე, ვ. კოტეტიშვილი, ლ. ასათიანი, ა. ბაქრაძე, ს. გერსამია, გ. თავზიშვილი, ალ. კალანდაძე, რ. ჩხეიძე, ნ. ვახანია, ნ. კუპრეიშვილი და სხვ.)“ (ქართული რეალიზმის სათავეებთან 2015: 21-22).

დ. ყიფიანი მ. ვორონცოვის მეფისნაცვლად დანიშვნას დიდი მნიშვნელობის ისტორიულ მოვლენად მიიჩნევს: „1845 წ. დამდეგს ტფილისში მობრძანდა გრაფი მიხ. სიმ. ვორონცოვი. ხოლო უკვე არა მთავარ-მართებლის წოდებით, არამედ მისი იმპერატორობითი უმაღლესობის მოადგილედ, რომელსაც ჰქონდა მინიჭებული მთავარ-მართებლობის ყოველ დარგში, გარდა სამხედროსი, მინისტრის სრული უფლებანი...“ (ყიფიანი 1930: 32).

დ. ყიფიანის გადმოცემით, ვორონცოვი საქართველოში ახალგაზრდობაშიც მსახურობდა, მთავარმართებელ ციციანოვის მმართველობის პერიოდში. მისი აზრით, მეფისნაცვალს ქართველი თავადაზნაურობისადმი იმ დროიდან უნდა შემორჩენოდა ღრმა პატივისცემის გრძნობა.

ა. წერეთელი „ჩემს თავგადასავალში“ მ. ვორონცოვის სახეს მეტად მიმზიდველად ხატავს. ალ. ორბელიანისა და დ. ყიფიანისგან განსხვავებით, იგი მეფისნაცვალს პირადად არ იცნობდა, მხოლოდ მისი საქვეყნო საქმეები აძლევდა აღფრთოვანების საფუძველს.

აკაკის სიტყვით, იმ დროში წარმოუდგენელი იყო, საქართველოდან რუსეთში ვინმე წასულიყო და ოდესაში მცხოვრები ვორონცოვის ქვრივი არ მოენახულებინა: „პეტერბურგში პირდაპირ მიმავლისათვის, რასაკვირველია, ხმელეთით წასვლა უფრო მოხერხებული იყო და არც ისე საშიში, როგორც ზღვით, მაგრამ ამ გზით მიტომ გამისტუმრეს, რომ იქ ვარანცოვის ქვრივი ეგულებოდათ და მისი ნახვა დამავალეს“ (წერეთელი 1989: 73).

აკაკიზე ვორონცოვის ქვრივთან სტუმრობას ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ ორმოცი წლის შემდეგაც პირვანდელი ემოციით აღწერს: „ასე მგონია, თუ ეს ყოველიფერი ახლა იყო-მეთქი, ისე ნათლად ჩამრჩა მისი ალერსიანი სახე გულში და სიტყვებიც ტკბილად ყურში მიწივიან“ (75). ნიშანდობლივია ისიც, რომ ვორონცოვის მმართველობიდან საკმაო დრო იყო გასული, როცა ჭაბუკმა აკაკიმ მეფისნაცვლის ოჯახი მოინახულა. ვორონცოვის სახელი ამ დროს ქართველებში არათუ დაკნინებული, განდიდებულიც კი იყო. „სანამ საქართველოს სახსენებლი არ მოისპობა, ვარანცოვის სახელიც არ დავიწყდება“, - იმეორებს მწერალი ბევრჯერ გაგონილ და გულში ჩარჩენილ სიტყვებს (74).

აკაკისთან საუბარში ვორონცოვის ქვრივმა ნათლად გამოხატა მეფისნაცვლის დამოკიდებულება ქართველებისა და საქართველოს მიმართ: „**განსვენებულ თავადს აღტაცებით უყვარდა ქართველები, დიდ პატივსა სცემდა მათ წარსულს და მომავალზე იმედობდა. სულ იმას ამბობდა: ეს პატარა საქართველო დიდ რუსეთის ქარგაში უმშვენიერესი ფერადი და უმტკიცესი ოქროქსოვილი იქნებაო! მხოლოდ ჩვენ კი უნდა მივუშვათ ნებაზე, ვუწინამძღვროთ და გარედან ხელი შევუწყოთო“** (74-75). იმავე თვალსაზრისს აკაკი სხვაგანაც ახმოვანებს: ვორონცოვი საქართველოს უყურებდა, როგორც „პოლიტიკურად გარუსებულს, მაგრამ თავის სარწმუნოებით, ენით და ეროვნული ელფერით“ (წერეთელი 1961: 458).

საზოგადოდ, აკაკი ვორონცოვს უდიდეს მოღვაწედ მიიჩნევდა, დიდი ქართველი მეფეების ტოლ-სწორად სახავდა: „სადაც დავით აღმაშენებელი, თამარი და გიორგი ბრწყინვალე იხსენიება, იქ არც ვორონცოვია დასავიწყარი. ბევრი კარგი უყო საქართველოს, და, რომ დასცლოდა, ვინ იცის, რას არ მიანიჭებდა?“ (წერეთელი 1989: 353).

მკვლევარ თამაზ ჯოლოგუას აზრით, „თუ მ. ვორონცოვი, ერთი მხრივ, ყველაფერს აკეთებდა რუსეთთან საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური შერწყმისთვის, მეორე მხრივ, ამ თანამდებობაზე თავის წინამორბედთა თუ მემკვიდრეთაგან განსხვავებით, მონდომებით იღვწოდა რუსეთის სახელმწიფოებრივ ფარგლებში ქართველი ხალხის ნაციონალურ-კულტურული ინდივიდუალობის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის. ასე რომ, საქართველოში მ. ვორონცოვის მოღვაწეობის შეფასება ვერ იქნება ვერც ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური და ვერც ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური“ (ჯოლოგუა 2007: 260-261).

წინათაც მსახურობდა, ერმოლოვისა და პასკევიჩის დროს. ალ. ორბელიანი მის პოლკში იდგა ოფიცრად და კარგად იცნობდა. მემუარისტის თქმით, „მურავიოვი სწორე და მართალი კაცი იყო, პირდაპირი, დაუფერებელი, ვისაც რას ეტყოდა, მართალს და არც ვისმე ატყუებდა... ის იყო პატიოსნებისა და სიმართლის მოყუარული და არა მომტყუებელი“ (55).

ალ. ორბელიანი მეფისნაცვალ მურავიოვის შეხედულებებებს მისი მონოლოგით გვითვალსაჩინოებს: „მე ეხლანდელი თქუენი ქართუელები ვეღარ მიცვნია, ის თქუენი ძველი პატიოსანი ქართუელების ხასიათი სრულიად დაუკარგავთ. ეხლა დიდს განცხრომის ცხოვრებაში შესულან და ვალებში ჩაცვივნულან, ასე ჰგონიათ: განათლება ეს არისო. განათლება ეს არ არის. განათლება ის არის, რომ თქვენი შვილები კარგს სასწავლებლებში გაიზარდნენ, მასუკან ისინი იპოვნიან განათლება რაც არის, თუ არადა იმისთანა განცხრომებით და იმთენის ვალების აღებითა დაიღუპებიან და შვილებისთვის აღარა ექნებათ რა, რომ მასწავლებლებში გაიზარდნენ“ (56).

მემუარისტის თქმით, მურავიოვმა ქართველებისთვის ბევრი კარგი საქმე გააკეთა, მეფისნაცვლის სიყვარულისა და ნდობის უდიდესი გამოვლინება კი „როგორც თვითონ ქართუელი, ისე ნამდვილი ქართუელებისთვისა კეთილგამძრახველი“ დ. ყიფიანის დანიშვნა იყო კანცელარიის დირექტორის თანამდებობაზე.

ალ. ორბელიანის სიტყვით, ვორონცოვის მომხრეები ახალი მეფისნაცვლის მიმართ იმთავითვე მტრულად განეწყვნენ, მათი „დამსახურება“ იყო ისიც, რომ დ. ყიფიანი კანცელარიის დირექტორად არ დაამტკიცეს: „მურავიოვი ის ასეთი ის ისეთი, ის ყიფიანი იმისთანა იმ დიდს ადგილზე როგორ დააყენაო... ასე გეგონებოდათ: ერთი რაღაც უბედურება მოსვლიათო. ასე ღავღავებდნენ მურავიოვზედ და ყიფიანზედ ისინი“ (57).

დ. ყიფიანი თავის მემუარებში მეტად საინტერესოდ აღწერს კარიერული წინსვლის ამბავს: „ტფილისში მოხელეთა წრეში მალე გავრცელდა ხმა არაჩვეულებრივი მოვლენის შესახებ, რომ მურავიოვმა კომპლიმენტი უთხრა თავის ახალ დირექტორს: მაშასადამე, ყიფიანი მაგრა ზის თავის ადგილზეო.

და ეფერებიან მას, ულაქუცებენ. ის კი მუშაობს თავისთვის კანცელარიაში დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 11 საათამდე, ყოველდღე, სამი თვის განმავლობაში.

- თავს შეაკლავს კანცელარიას, - ამბობენ ერთნი.

- მთელი ძალა ახლა იმაშია! - ამბობენ მეორენი, - იქნება ერთი ბებუთოვიღა იყოს მაღლა და იმასაც ხომ ძალიან უყვარს.

ის კი სულ ზის კანცელარიაში და მუშაობს, საქმე მეტად ბევრია“ (ყიფიანი 1930: 51).

სამი თვის შემდეგ პეტერბურგიდან უარი მოვიდა, დ. ყიფიანი კანცელარიის დირექტორად არ დაამტკიცეს. „რაღა მეფის მოადგილე ვარ, თუ კი დირექტორის ამორჩევაც არ შემიძლიანო“, - უთქვამს გულდაწყვეტილ მურავიოვს. „ჩამომართვა მაგრა ხელი და დამაბრუნა უკან საბჭოს კანცელარიაში“, - იგონებს დ. ყიფიანი (51).

ალ. ორბელიანის თქმით, მურავიოვი რუსი იყო, ისიც რუსეთის ინტერესებს ემსახურებოდა, მაგრამ „არც ქართუელების გაგლესა უნდოდა ქუეყანაზედ იმას - იმას უნდოდა, რომ ქართულებიც ყოფილიყვნენ ქუეყანაზედ ქართუელების სახელითვე“ (საოჯახო ბიბლიოთეკა 2009: 58).

ვორონცოვის დასის მონდომებამ შედეგი გამოიღო, მურავიოვი **ალექსანდრე ბარიათინსკიმ** შეცვალა. ალ. ორბელიანის აზრით, იგი მ. ვორონცოვის დაწყებული საქმის გამგრძელებელი იყო. „მხოლოდ იმ ორს პირებში ეს იყო განსხუავება, რომ ბარიატინსკი მედიდურად იქცეოდა, ვარანცოვი ქრისტეს სიმდაბლითა, მაგრამ ორივე გვატყუებდნენ: ბარიატინსკი მედიდურობით და ვარანცოვი ქრისტეს სიმდაბლითა“ (58).

ბარიათინსკის მმართველობის დროსაც გრძელდებოდა ალ. ორბელიანის დევნა და თვალთვალი. ალექსანდრეს საკუთარ თავზე მეტად სამშობლო ადარდებდა: „...არ დამიჭირონ-მეთქი? - ბევრჯველ ღამე ამ ფიქრში წავიდოდი ძილის დროსა და ამ ფიქრით გავათენებდი... **ვშიშობდი საქართუელოსთვისა, მზრუნველი აღარავინ აღარ იქნებოდა პატრიოტი და თუ იყვნენ ვინმე, ისინიც ჩემს უბედურებასთან გაჰქრებოდნენ“** (59).

ალ. ორბელიანის შევიწროება მხოლოდ მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებლად **გრიგოლ ორბელიანის** დანიშვნის შემდეგ შეწყდა: „გრიგოლის დროსა სრულიად მოვისვენე, ამიტომ რომ, რაც უნდა ყოფილიყო, **ჩემი ახლო სისხლხორცი**

ნათესავი იყო და ნამდვილი ქართუელიც“ (59).

ალ. ორბელიანის თქმით, სამივე ძმამ, გრიგოლმა, ზაქარიამ და ილიამ, რუსების სამსახურს შესწირა თავი. ზაქარია და ილია ომში დაიღუპნენ, გრიგოლი კი განსაკუთრებული ღვაწლის გამო გენერალ-გუბერნატორი შეიქნა.

ძმებს განსხვავებული ხასიათი ჰქონიათ: **„გრიგოლ მშვიდობისმყოფელი გაუბედავი კაცი იყო, ზაქარია ენერგიით სამსე, გამბედველი და ილია უფრო ყიზილბაშური, რომლებიცა სამნივ ესენი კეთილები იყვნენ, კარგი ქართველებიც და სამნივ პატივმოყუარულები“** (59).

როგორც ვხედავთ, გრ. ორბელიანის სიფრთხილეს პოლიტიკურ ასპარეზზე, მის დიდ დიპლომატიურ ნიჭს მმართველობასთან შეურიგებელი ალ. ორბელიანი გაუბედაობად მიიჩნევს. საინტერესოა, რომ პოლემიკური ხასიათის ლექსებში: „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“ ილიაც თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ალ. ორბელიანის აზრს: „მაგრამ გაუბედავია, თუმცა უყვარს თვისი ერი“, რაც, ბუნებრივია, დინჯი, დაფიქრებული გრ. ორბელიანის უკმაყოფილებას იწვევს.

ალ. ორბელიანის აზრით, გრიგოლს თავისი გაუბედაობით მთავრობაზე დიდი გავლენა არ ჰქონდა, ზაქარია პირდაპირობის გამო საქართველოში არ დააყენეს და შურისკენ მისცეს პოლკი, ილიას კი თავისი ყიზილბაშური ხასიათით დიდი გავლენა ჰქონდა ვორონცოვზე და რასაც უნდოდა, იმას აკეთებინებდა.

ალ. ორბელიანის მშვიდი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა, გრ. ორბელიანი დიდმა მთავარმა **მიხეილ რომანოვმა** შეცვალა, რომელიც „დიდის ყოფებით მიაღებინეს ხალხს“. მტრებმა თავი ისევ წამოყვეს, ალექსანდრეს შესახებ ბევრი ავი უთხრეს მეფისნაცვალს, თან ისიც დაუმატეს, სუსტი გონებისა არის, სულელიო.

ალ. ორბელიანი, რასაკვირველია, ხვდებოდა დევნისა და შევიწროების მიზეზს, რომ ზოგიერთი ქართველი და სომეხი მისი დაბეზღებით რუსებს ერთგულებას უმტკიცებდა და სანაცვლოდ სარგებელს ნახულობდა. „ვაი თქუენი ბრალი, უბედურო ქართუელებო, მე თქუენთვის ვარ და თქუენ კი ეშმაკებისთვისა“, - გულისტკივილით ამბობს იგი (60). ამ სიტყვებში მთელი სიმძაფრით იკვეთება ქართველის ხალხის მაშინდელი მდგომარეობის ტრაგიზმი.

1.8. „ვარანცოვთან ჩემი დაბეზღება“

მემუარისტი საგანგებოდ აღწერს ვორონცოვთან მისი დაბეზღების ამბავს. მოგონება დაწერილია 1862 წლის 24 ივლისს, მომხდარიდან საკმაო დროის გასვლის შემდეგ.

მოგონების მიხედვით, ალ. ორბელიანს შამილთან მიმოწერა დააბრალეს. ამის შესახებ მწერალმა თავისი ნათესავისაგან, ილია ორბელიანისგან, შეიტყო. მან ურჩია, მეფისნაცვალ ვორონცოვს ხლებოდა და თავი ემართლებინა. ალექსანდრეს ელდა ეცა, ნათქვამი ენიშნა, გაახსენდა, რომ ვორონცოვი თავის „ბალ-ვეჩერებზე“ ხმას არ სცემდა და თავს არიდებდა. ალ. ორბელიანმა ბრალდება მაშინვე უარყო: **„ას ორმოცი წელიწადი მეტი ჩუენი საქართველო სრისეს ლეკებმა და ნახევარი საქართველო გააოხრეს იმათ და მის შემდგომ მე იმათთან მიწერ-მოწერაღა უნდა მქონდეს, დასაჯერებელი არი?”** (S - N1653/ა). ვორონცოვთან მისვლაზე კი უარი თქვა, დაბნეულობა მოიმიზეზა და შუამდგომლობა ილიკოს სთხოვა: „მე ერთი დამფრთხალი კაცი ვარ, მე სულ ვერას ვიტყვი, ავურევ“ (S – N1653/ა).

ილიკოს ალექსანდრეს უარი საწყენად დაურჩა. ნათესავებს შორის ურთიერთობა გაფუჭდა. ილია ოთხი-ხუთი თვე ხან ძალიან მრისხანე სახეს მაჩვენებდა, ხანაც პირს მარიდებდაო, - იგონებს მწერალი. თავის მხრივ, ალ. ორბელიანს ბიძაშვილის მიმართ ეჭვი და უნდობლობა გაუჩნდა. „ღვთის უნდა ეშინოდეს იმას ასე უდანაშაულოდ ყელს მჭრის ვარანცოვთან. ერთხელ ხომ ვიყავ ორენბურღში გაგზავნილი, თუ ახლა ილიამ კატორღაში არ გამაგზავნოს. დეე, ასე იყოს, ასე მამკლას. ვნახოთ ან ილია, ან ვარანცოვი რას შეიძენენ ჩემის უბედურებითა“, - შესჩივის მწერალი თავის მეგობარს, ანდრია ხერხეულიძეს (S –N 1653/ა).

მემუარისტის თქმით, სენსაციური ამბავი თბილისში სწრაფად გავრცელდა: „ქალაქში ჭორი დარხეულა, პუპლიას მიმოწერა აქვსო შამილთან. ვორონცოვს რომ შეუტყვია, ბევრი უცინია. მეორე დღეს სადილად დაუპატიჟია და უთქვამს: თქვენ თურმე შამილთან მიმოწერა გაქვთ, მე არ ვწუხვარ, რამდენიც გინდა, იმდენი სწერეთო. პუპლიას ძალიან შეშინებია, ვორონცოვს რომ შიში შეუნიშნავს, უთქვამს, ნუ შეშინდებით, მე თქვენ

არაფერს დაგიშავებთ, არ გაგიმეტებთ, ჩემთან ისიამოვნეთ და ნურაფერს საეჭვოს ნუ იფიქრებთ ჩემზე“ (S – N1653/ა).

შამილთან ალ. ორბელიანის მიმოწერის შესახებ თავის „ჩემს თავგადასავალში“ საგანგებოდ საუბრობს ა. წერეთელი: „ერთხელ თურმე შამილს მისწერა წერილი: „ამა და ამ დროს ჩამოდიო“. მტრებმა დაიჭირეს ის წერილი და მთავარმართებელს გადასცეს. მთავარმართებლად მაშინ ვარანცოვი იყო; საიდუმლოდ დაიბარა ა. ორბელიანი და სთხოვა: „ეს მოუწერია ვიღაც ქართველს და შინაარსი მითარგმნეო!..“. ორბელიანს ელდა ეცა გულზე, მარა რაღას იზამდა! მაშინ ვარანცოვმა ჩამოართვა სიტყვა: „მეორედ ნუღარ იზამ ამისთანა საქმესო! თუ უკმაყოფილო ხარ რამეში, მე მითხარიო და ეს შემთხვევაც ჩვენ შორის დარჩეს, სხვებმა არ გაიგონო!“ მამაშვილური სიამტკბილობით გაისტუმრა შინ დამშვიდებული“ (წერეთელი 1989: 101).

როგორც ქალაქში გავრცელებულ ჭორში, ისე აკაკის მონათხრობში, მ. ვორონცოვი მოწყალე მმართველად გვევლინება. იგი დამნაშავეს დიდსულოვნად პატიობს ღალატს. სინამდვილეში საქმე არცთუ ისე იოლად მოგვარდა. როგორც ალ. ორბელიანი გვიამბობს, მას ი. ორბელიანი და ვ. ბებუთოვი დაუდგნენ თავდებად, რომ „მართალი და უმანკო“ იყო.

ნ. ვახანიას შეფასებით, „ალ. ორბელიანის ნაწერებში კარგად ჩანს გასული საუკუნის 40-იან წლებში ქართველთა ზნეობრივი გადაგვარება. თუ მანამდე მამულის ერთგული შვილები სამშობლოს სიყვარულში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. ვორონცოვის ლიბერალური პოლიტიკა ხელს უწყობდა იმას, რომ გუშინდელი პროტესტანტები, მორალურად დაცემულნი, დღეს უკვე ბეზღობასა და მთავრობის მლიქვნელობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ხშირად აბეზღებდნენ ვორონცოვთან ალ. ორბელიანს - რუსეთის სიძულვილსა და ორგულობაში ადანაშაულებდნენ. საგულისხმოა, რომ მწერალი მოგვიანებით ამ ბრალდებას სავსებით კი არ უარყოფდა, მხოლოდ იმის გამო გამოთქვამდა შეშფოთებას, რომ ამით ზნეობა ილახებოდა. ვორონცოვს „ჩემი ბევრი ორგულობა უთხრეს რუსეთისა, - წერს მწერალი, - არც ტყუოდნენ, მაგრამ ამგვარად კაი კაცობის გაკეთება იმისთანა ოჯახის შვილებისაგან სირცხვილია“ (ვახანია 2004: 9).

1.9. ალექსანდრე ორბელიანის მემუარების მხატვრულობის შესახებ

ბოლოს **კიდევ** ზოგიერთი რამ ალ. ორბელიანის მემუარული მემკვიდრეობის მხატვრული მხარის, ალ. ორბელიანის, როგორც მთხრობლის, ოსტატობის შესახებ.

ერთ-ერთი პირველი, ვინც მიმართა ალ. ორბელიანის ჯერ კიდევ დაუბეჭდავ ხელნაწერებს, იყო ვ. კოტეტიშვილი. სწორედ მან გაამახვილა ყურადღება ალ. ორბელიანის თხრობის თავისებურებაზე. მკვლევარი საგანგებოდ ჩერდება დარეჯან დედოფლის რუსეთში იძულებით გადასახლების აღწერაზე („მეფის ირაკლის მეორის მეუღლე დარია ანუ დარეჯან"); დედოფალი რუსის ჯარის თანხლებით მიჰყავთ. ღამე კაიშაურში უნდა გაათიონ. შუაღამისას ვიღაც მოხუცი გამოეცხადება დედოფალს და მას მთიელების სახელით მიმართავს: „მთელი მთიულეთი დიდი ხანია მზადებაში ვართ, ეხლა სულ შეყრილი გახლავართ. აქ, მახლობლად. თუ თქვენ ნებას მოგვცემთ, გათენებისას დავესხმით ამ რუსის ჯარს, გავწყვეტთ, თქვენ ერთიან მთაში შეგიყვანთ და მას უკან რაც მოხდეს, ის ღვთის ნება იყვეს, დედოფალო". მოხუცის ამ სიტყვებს თეკლე ბატონიშვილმაც აუბა მხარი: „მამა-ჩემს, მეფეს ირაკლისთან გახლავარ დასწრობილი ბევრ სროლაში, თვით თქვენც იცით ესა, რომლისგანაც ნება მქონდა, კაცურად ჩაცმული ვყოფილიყავ და იმათთან მევლო... ახლა თუ თქვენი ნება იქნება, კიდევ ვაუკაცურად ჩავიცვამ, თოფ-იარაღს შემოვირტყამ, ამ ჩემს ქმარსაც თან წავიყვან და ამ მოხუცებულ კაცს, ქვევით თან გავყვებითო" (კოტეტიშვილი 1965: 226).

კიდევ: დარეჯან დედოფალი პეტერბურგში დაასახლეს. ძნელი იყო ეს საპატიო ტყვეობა, მაგრამ სხვა გზა არა ჩანდა. ერთ დილას დედოფლის სასახლის წინ გალიაში დამწყვდეული ჩიტები გაატარეს გასაყიდად. დარეჯანმა ბრძანა, რომ მთელი გალია ეყიდათ. ყველანი გაოცდნენ, თუ რად უნდოდა დედოფალს ამდენი ჩიტი. დარეჯანმა გალიის ფანჯარა გამოაღო და დატყვევებული ფრინველები სათითაოდ გაუშვა: ჩვენც გვეყოფა ტყვეობა, თქვენ მაინც იყავით თავისუფალიო.

ვ. კოტეტიშვილი აგრძელებს: „კიდევ რამდენ ასეთ დეტალს აგვიწერს ჩვენი ავტორი. ეს თითქოს ისტორია არის, მაგრამ აქ იმდენი **გრძნობა არის გადაშლილი,** რომ „ცივი აზროვნება" უკანა რიგში რჩება, ხოლო მაღლდება ამ ნაწარმოების **ემოციური და**

მხატვრული ღირებულება. თუ გნებავთ, ეს ლამაზი ისტორიული მოთხრობაა, რომლის ყოველი ამბავი სინამდვილე იყო, მაგრამ ამ სინამდვილეს იმდენი ვნება ჩაატანა, ისეთი მთრთოლავი მხარე მისცა, რომ იგი **უფრო მაღალი და წმინდა ჩანს, ვიდრე ისტორიული ფაქტი. ეს ხელოვნება არის და არა ისტორია“** (226-227).

ვ. კოტეტიშვილი აღტაცებას ვერ ფარავს, როცა იგი ქართული არტილერიის უფროსის, გიორგი გურამიშვილის, მიმართვაზე მსჯელობს („აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში“). სარდალი განწირულ ქართველთა ჯარს ამხნევებს და სახელოვანი სიკვდილისათვის ამზადებს: „ქართველებო, ძმებო! ცხადად ვხედავთ, აუცილებელი სიკვდილი მოსულა ჩვენზე, მაგრამ ესეც შეგვიძლიან, უნამუსოდ დავნებდეთ ყიზილბაშებს. აბა, რომელი გინდათ, სახელით სიკვდილი მამულისათვის და კარგის მეფისათვის, თუ უნამუსოთ სიცოცხლე?“ (227).

ვ. კოტეტიშვილი ყურადღებას ამახვილებს მხედართმთავრის მოწოდებაზე: „თითით ყველამ მიწა ავიღოთ, შევჭამოთ, ეს იყოს წმიდა საიდუმლოს მაგიერი. მას უკან საიქიოს წავიდეთ სახელოვნად“. „ჩვენ არ ვიცით, ეს ამბავი სინამდვილე არის თუ ალ. ორბელიანის გზნების ნაყოფი. - წერს ვ. კოტეტიშვილი, - ორივე შემთხვევაში ალ. ორბელიანი **დიდ პოეტად** მოჩანს. პირველ შემთხვევაში, როგორც მხედველობა გამახვილებული და არტისტულად ნაწრთობი ადამიანი, მეორე შემთხვევაში კი როგორც უზომო გრძნობის მქონე და სიცოცხლის უღრმესი განმცდელი“ (227).

მართლაც, დრამატიზმით სავსე, სულის შემძვრელი ეპიზოდებია მკვლევრის მიერ ალ. ორბელიანის ისტორიულ მოთხრობებში შერჩეული და ამგვარ ეპიზოდებზე ჩვენ უკვე გავამახვილეთ ყურადღება მწერლის მოგონებებში („1811-ის წლის ჭირი საქართველოში“, „მოგონება“, „ჭეშმარიტი სიყვარული“, „რუსების დასი ქართუელები ჩემზედ“).

როგორც უკვე ითქვა, ალ. ორბელიანი გულმოდგინედ ცდილობს ფაქტების სიზუსტის დაცვას. იგი ყოველთვის ეძებს სანდო მთხრობელს, ხშირად ამასაც არ სჯერდება, ერთსა და იმავე შემთხვევას სხვადასხვა პირს ათხრობინებს, ნაამბობს ერთმანეთს ადარებს და მხოლოდ ამის შემდეგ ანდობს ფურცლებს. მწერალი სხვისგანაც იმავეს მოითხოვს: „თუ ვინმემ მოინდომოს მეფის ირაკლის მეორის ისტორიის დაწერა,

ღვთის გულისათვის, ისე ადვილად ნუ შეუდგები იმის დაწერასა, მინამ კარგათ არ გამოიკითხო, მინამ სრული ფაკტები ხელში არ ჩაიგდო, იმაზედ ნურას დასწერ. ჯერ რამდენიმე წელიწადები იზრუნე, ყოვლის მხრიდგან იმაზედ ფაკტები მოკრიფე და მასუკან შეუდეგ იმის დაწერასა“ (კაკაბაძე 1914: 49).

ისტორიკოს **მ. ბერძნიშვილის** სიტყვით, ალ. ორბელიანის „ნაწერებში მკაფიოდ ჩანს ჭეშმარიტების სიყვარული... ჭეშმარიტების დადგენაში ის ხშირად ეკამათება პლატონ იოსელიანს და ააშკარავებს მის მონათხრობში ფაქტიურ შეცდომებს“ (ბერძნიშვილი 1983: 128).

ალ. ორბელიანის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ნამდვილ მხატვართან, რომელიც დამაჯერებლად, მწერლური ოსტატობით გადმოგვცემს გაგონილსა და ნახულს, გვიხასიათებს ბევრ ისტორიულ პირს, აცოცხლებს მათ სახეებსა და საქმეებს მკითხველის თვალწინ, რომელთაც ისინი მათთვის დამახასიათებელი თვისებებით წარმოუდგებიან. ეს იქნება მწერლის დედა - თეკლე ბატონიშვილი, მამა - ვახტანგ ორბელიანი, ბიძა - ალექსანდრე ბატონიშვილი, ორბელიანები, რუსი მეფისნაცვლები... არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ალ. ორბელიანის ოჯახის ისტორია საქართველოს ისტორიაა და, ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანი ყველა ქართველისათვის.

ალ. ორბელიანს თავისი მოგონებები გამოარჩევს. „იგი მოგონებებით ცოცხლობს, თავისი იქნება იგი თუ სხვისგან გადმოცემული. მას პიროვნებათა ცხოვრების აღწერა იზიდავს და აქ იგი... ცხოვრების ოსტატია“ (კოტეტიშვილი 1965: 224-225). მას უნდა უმადლოდეს შთამომავლობა მე-18 საუკუნის ამბებიდან მოყოლებული, რასაც იგი აღადგენს სანდო პირთა ნაამბობის საფუძველზე, მე-19 საუკუნის 60-იან წლებამდე ფაქტებს, მოგონებებს ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან, რაც უკვე, ძირითადად, იხილა, განიცადა და იწვნია საკუთარ თავზე.

რა თქმა უნდა, ალ. ორბელიანის მემუარებში ამბის შესაბამისად არის ერთგვარად პათეტიკური თხრობანი. მემუარისტი წარსულს ფერგადასულსა და გახუნებულს კი არ გვიხატავს, არამედ სავსესა და ცოცხალს. საერთოდ კი, ჩვენი მწერალი თხრობისას სადა, დაუძაბავია და ეს სისადავე და დაუძაბავობაც ხიბლავს მკითხველს.

დასკვნა: ალ. ორბელიანის მოგონებები მნიშვნელოვანი და სარწმუნო ისტორიული წყაროა. მემუარისტი საინტერესოდ აცოცხლებს იმას, რაც საკუთარი თვალით უნახავს ან გაუგია. ასეთი ამბები მის მიერ საგანგებოდ არის შესწავლილ-შემოწმებული და მხოლოდ ამის შემდეგ გასაჯაროებული. წარსული ცხოვრება ალ. ორბელიანის უშუალო ინტერესისა და კვლევის სფეროა;

ალ. ორბელიანი სხვა მემუარისტებისაგან პოეტურობით გამოირჩევა. იგი მშრალად კი არ გადმოგვცემს ფაქტებს, არამედ პოეტური გზნებით. მის მიერ დახატული რეალურ-ისტორიული გმირები დღესაც თავიანთი დამაჯერებლობით ხიბლავენ მკითხველს;

მოგონებებში ნათლად ჩანს მწერლის პიროვნული თვისებები. იგი პირდაპირი, წრფელი, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ადამიანია, რომელიც ვერაფრით შეჰგუებია რუსეთის მიერ საქართველოს დამონებას;

ალ. ორბელიანის მოგონებები გამსჭვალულია სამშობლოს სიყვარულით, წარსულის ნოსტალგიითა და თავისუფლების დაკარგვით გამოწვეული სევდით.

თავი II. დიმიტრი ყიფიანის მემუარები

მე-19 საუკუნის ქართველ მემუარისტებში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს **დიმიტრი ყიფიანი**. მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა ერთდროულად აღფრთოვანებასა და გაოცებას იწვევს თანამედროვეთა თუ შთამომავალთა თვალში. ილიას სიტყვებით, „იგი იყო გულთა-სრული კაცი... იგი იყო კაცი ხასიათისა“ (ჭავჭავაძე 1991: 395). დ. ყიფიანისნაირი ადამიანები თავიანთი ცხოვრებითა და ღვაწლით სხვებს პირდაპირობის, უკომპრომისობისა და სიმამაცის მაგალითს უჩვენებენ და თავზე წმინდანის გვირგვინს იდგამენ.

დ. ყიფიანი ჭაბუკი მონაწილე აღმოჩნდა 1832 წლის შეთქმულებისა. სხვებთან ერთად ისიც შეიპყრეს და გასამართლების შემდეგ ქ. ვოლოგდაში გადაასახლეს. სამშობლოში 1837 წელს დაბრუნდა და სახელმწიფო სამსახურში ჩადგა, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც ენერგიულმა, უმწიკვლო მუშაკმა; 50-იანი წლებისთვის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი გახდა. სხვადასხვა დროს იგი იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურთა წინამძღოლი. 1876-1879 წლებში დ. ყიფიანი არჩეულ იქნა თბილისის ქალაქისთავად. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ამ თანამდებობაზე ქართველი დაინიშნა.

მრავალი ჩინოსნისაგან დ. ყიფიანი იმით გამოირჩეოდა, რომ თავის სამსახურებრივ მდგომარეობას კარგად იყენებდა ეროვნულ-საზოგადოებრივი ინტერესებისათვის. არ არსებობდა არავითარი წამოწყება, რომლის ორგანიზატორი და მოთავე იგი არ ყოფილიყო.

80-იან წლებში, რეაქციის გამძვინვარების პერიოდში, კიდევ უფრო გააქტიურდა დიდი მამულიშვილი და მძაფრად დაუპირისპირდა რუსეთის იმპერიის პოლიტიკას. ილიასთან, იაკობ გოგებაშვილთან ერთად ისიც ჩაება საქართველოსა და ქართული ენის დაცვისათვის ბრძოლაში, რაც გამოიხატა კ. იანოვსკისადმი მიმართულ წერილში. იგი წერდა: „მერე რა ენისას ამბობენ კაცობრიობის მგმობელნი, უნდა გაჰქრესო? იმ ენისას, რომელსაც ლაპარაკობდნენ ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ მნათობი... რომელზედაც ჰმწერლობდნენ პოეტნი, როგორც შოთა რუსთაველი,

ფილოსოფოსნი, როგორც პეტრიწი, სჯულის-მდებელნი, როგორც ვახტანგ მეფე... ჩინგის-ხანმა, ლანგ თემურმა, შაჰაბასმა, ნადირშამ ვერ შემუსრა ჩვენი ხალხოსნობა და ახლა თქვენ გინდათ შემუსროთ...“ (ქართული მწერლობა 2003: 94-95)[14].

დიმიტრის პროტესტს, მის ბრძოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იმ დროისთვის დიდი სახელითა და პატივით სარგებლობდა არა მარტო ეროვნულ ძალებში, არამედ ოფიციალურ წრეებშიც და მის სიტყვას დიდი წონა ჰქონდა.

როცა რუსმა ეგზარქოსმა იოსებ ლაღიაშვილის მიერ სემინარიის რექტორის, ჩუდეცკის, მკვლელობის გამო ქართველი ერი დაწყევლა, დ. ყიფიანმა, ამ დროს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლმა, მას წერილობით მიმართა, რომ იმ ქვეყანაში დარჩენის უფლება არ ჰქონდა, რომელიც შეაჩვენა.

ა. წერეთელი გადმოგვცემს, „იმ წირვაზე ქართველი დიდებულებიც იყვნენ, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავსთ და ყიფიანმა კი შორიდან მისწერა წმინდა მამას მრისხანე საყვედური. ეს წერილი ჩაუვარდა მთავრობას ხელში, შეუკეცა წინანდელი უსიამოვნებაც და ავტორი ყიფიანი გადაასახლეს სტავროპოლს, პატიმრად“ (წერეთელი 1989: 115-116); ხოლო იქ რუსმა ჯალათებმა რკინის ნაჭრის თავში ჩარტყმით სიცოცხლეს გამოასალმეს. აკაკის თქმით, „ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ჰფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს. და იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის სძგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს!“ (116).

დ. ყიფიანის სიკვდილმა ერი გამოაფხიზლა, აგრძნობინა სამშობლოსთვის ზვარაკად შეწირვის ძალა.

საქართველომ დიდი პატივით მიაბარა დ. ყიფიანის ნეშტი მთაწმინდის მიწას.

2.1. დიმიტრი ყიფიანის ლიტერატურული საქმიანობა

დ. ყიფიანისათვის მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწის სამსახურებრივი მოუცლელობის გამო მწერლობა არ იყო ძირითადი საქმიანობა. გარდა მემუარებისა, მის კალამს ეკუთვნის პუბლიცისტური წერილები, რამდენიმე ორიგინალური ლექსი და მოთხრობა, ქართული ენის გრამატიკა და თარგმანები. დ. ყიფიანის ღვაწლისა და მისი მრავალმხრივი მემკვიდრეობის აღიარებული მკვლევრის **თამაზ ჯოლოგუას**, აზრით,

[14] იხ.: ტ. ფუტკარაძე, დიმიტრი ყიფიანი და ქართული ენა, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XVIII, ქუთაისი, 2014, გვ. 158-167.

„ზოგიერთ მის თხზულებაში - „ჩემო გულითად საყვარელო თეიმურაზ!“, „უცნაური ნადირობა“ და სხვ. - ორგანულადაა შერწყმული ბელეტრისტიკაც, პუბლიცისტიკაცა და მეცნიერებაც“ (ქართული მწერლობა 2003: 518).

დ. ყიფიანი თავის ნაწარმოებებს ჟურნალ „ცისკარში“ „ბაქარ ქართლელისა“ და „თეიმურაზ ვაკელის“ ფსევდონიმით აქვეყნებდა. მისი მოთხრობა „თურქმენული ცხენი“ შესულია „ქართული მწერლობის“ მრავალტომეულის მე-20 ტომში (2003), ასევე, „მსოფლიო ლიტერატურა - რჩეული მოთხრობების“ მე-7 ტომში (2014).

„თურქმენულ ცხენთან“ დაკავშირებით ა. წერეთელი „ჩემს თავგადასავალში“ ამბობს: „[დ. ყიფიანმა] დასწერა ალეგორიული ზღაპარიც: „არაბული ცხენი“, სადაც თავისი თავი ჰყავდა გამოხატული და მისი მომავალი ცხოვრების პროგრამაც დასურათებული“ (წერეთელი 1989: 114). მტერს ისეთ ხერხს ნუ ასწავლი, რომელიც შენვე დაგამარცხებს - ესაა ნაწარმოების მთავარი შეგონება.

დ. ყიფიანის მხატვრულ-ლიტერატურულ ნამოღვაწარზე საუბრისას, პირველ რიგში, მისი თარგმანები უნდა აღინიშნოს. პირველმა სწორედ მან თარგმნა რუსულიდან დიდი ინგლისელი დრამატურგის, უილიამ შექსპირის, ტრაგედია „რომეო და ჯულიეტა“. ამასთან დაკავშირებით ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, სწერდა: „...ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: კიპიანმა გადმოთარგმა „Ромео и Джулиетта», შექსპირის ტრაღედია და მე ვთარგმნე Юлии Тарентский, ტრაღედია ლეიზევიცისა; თუ წაგიკითხავს, ბიბლიოტეკაში იყო დაბეჭდილი; მე ძალიან მომეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე გასინჯე, იტირეს“ (ქართული მწერლობა 1992: 611).

დ. ყიფიანი მოგვიანებით კვლავ დაუბრუნდა „რომეო და ჯულიეტას“; კერძოდ, 1859 წელს „ცისკარში“ გამოაქვეყნა ახალი, ფრანგულიდან შესრულებული თარგმანი. გარდა „რომეო და ჯულიეტასი“, მან შექსპირის კიდევ სამი პიესა თარგმნა, ამჯერად ინგლისური ენიდან, რომელთაგან ორია გამოქვეყნებული: „ორი ვერონელი აზნაური“ და „ვენეციელი ვაჭარი“. სწორედ „ვენეციელი ვაჭრით“ დაიწყო შექსპირის სცენური სიცოცხლე საქართველოში. იგი 1873 წელს დადგეს სამეგრელოში, სოფელ ბანძაში, 1878 წელს კი - თბილისშიც.

შეიძლება ითქვას, რომ ქართველი საზოგადოების შექსპირით დაინტერესება დ. ყიფიანის დამსახურებაა[15]. მას, ასევე, ნათარგმნი აქვს ფრანგული ლიტერატურის ბევრი შედევრი.

ჩვენი ამჟამინდელი საგანგებო ინტერესის საგანია დ. ყიფიანის მემუარები. ესენია: „სკოლა სულისა“ და „1832 წლის ყაზარმობა“.

„სკოლა სულისას“ პირველი სამი თავი - „სწავლის დროს“, „მთავრობის სამსახურში“, „სამსახურში არჩევნებით“ - დათარიღებულია 1884 წლის 4 მარტით, ხოლო უკანასკნელი მეოთხე თავი - „კერძო ცხოვრებაში“ - დაწერილი უნდა იყოს 1885 წელს. სწორედ პირველი სამი თავი დაიბეჭდა 1886 წელს ჟურნალ „რუსკაია სტარინას“[16] ხუთ (49-53) ნომერში სათაურით „Записки Дмитрия Ивановича Кипиани с 1820 г.“. მოგვიანებით „სკოლა სულისა“ ქართულ ენაზე თარგმნა დ. ყიფიანის რძალმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, ნინო ტატიშვილმა.

„1832 წლის ყაზარმობა“ უფრო ადრე (1884 წლის 17 იანვარი) არის დაწერილი, ვიდრე „სკოლა სულისა“. როგორც დ. ყიფიანსა და „რუსკაია სტარინას“ შორის გამართული მიმოწერიდან ჩანს, ავტორი დაბეჭდვის თაობაზე ჟურნალის რედაქციასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა. მოგვიანებით, 90-იანი წლების დასაწყისში, „1832 წლის ყაზარმობა“ ქართულად თარგმნა დ. ყიფიანის ვაჟმა, კოტე ყიფიანმა და დასაბეჭდად ჟურნალ „მოამბეს“ გადასცა. სამწუხაროდ, არც „მოამბეში“ დაბეჭდილა „ყაზარმობის“ თარგმანი.

1930 წელს სიმონ ხუნდაძემ წინასიტყვაობითა და შენიშვნებით ერთ წიგნად გამოსცა „სკოლა სულისა“ და „1832 წლის ყაზარმობა“, დაურთო მათ 1832 წლის შეთქმულების გაცემის შემდეგ დ. ყიფიანის მიერ მიცემული პირველი ჩვენებაც და უწოდა „მემუარები“.

დ. ყიფიანის „მემუარები“ მაშინვე იქცა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად[17]. თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1990 წელს, იგი მეორედ გამოქვეყნდა, ამჯერად სოლომონ ხუციშვილის რედაქტორობითა და აკაკი ბაქრაძის წინასიტყვაობით. სულ ბოლოს, 2003

[15] მოგვიანებით, 1873 წელს, შექსპირის „მეფე ლირი“ ი. ჭავჭავაძემ და ი. მაჩაბელმა თარგმნეს, რასაც მაჩაბლის სხვა შესანიშნავი თარგმანები მოჰყვა.
[16] ჟურნალი „რუსკაია სტარინა“ გამოდიოდა 1870 - 1918 წლებში პეტერბურგში.
[17] დაიბეჭდა 4 000 ცალი.

წელს, „მემუარები“ დაიბეჭდა „ქართული მწერლობის“ მე-20 ტომში თამაზ ჯოლოგუას რედაქტორობით.

დ. ყიფიანის მემუარები „უაღრესად საინტერესო მასალას იძლევა XIX საუკუნის საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების რთული პროცესების წარმოსადგენად და ამ მხრივ მას დღეს პირველხარისხოვანი წყაროს მნიშვნელობა ენიჭება. ამას გარდა, „მემუარები“ უძვირფასესი მასალაა თვითონ მისი ავტორის ბიოგრაფიის, მსოფლმხედველობის, ხასიათის, ინტერესებისა და ცხოვრების წესის გამოსარკვევად“ (ქართული მწერლობა 2003: 523).

2.2. „სკოლა სულისა“

დ. ყიფიანის მდიდარი ფაქტობრივი მასალით დატვირთული მემუარების პირველი ნაწილის („სკოლა სულისა“) პირველი თავი („სწავლის დროს“) წარმოადგენს ნამდვილ ცოცხალ ბელეტრისტულ თხრობას მწერლის განსწავლის წლებზე კეთილშობილთა სასწავლებელში.

კეთილშობილთა სასწავლებელი პირველია საქართველოში, რომელიც რუსეთის მმართველობის დამკვიდრებისთანავე გაიხსნა, 1802 წელს, ხოლო მოქმედება 1804 წელს დაიწყო. მისი დაარსება უკავშირდება გარუსებულ ქართველ გენერალს, პავლე ციციანოვს. დ. ყიფიანის თქმით, „პირველ ხანს ყველა ისე ერიდებოდა ამ სასწავლებელს, რომ თავად - აზნაურთა შვილები მხოლოდ, მაშინდელი დროის პირობით, დიდი ჯილდოს დანიშვნით მიიზიდეს“ (ყიფიანი 1930: 127). ყოველი მოწაფე თვეში 25 მანეთს იღებდა, რაც იმ დროისათვის საკმაოდ დიდი თანხა იყო. მოგვიანებით 25 მანეთი 5 მანეთზე ჩამოიყვანეს. თავად დ. ყიფიანი სასწავლებელში სწავლის განმავლობაში 5 მანეთს იღებდა თვეში. ხოლო მეორე სასწავლებელი სასულიერო სემინარია იყო, რომელიც 1817 წელს დაარსდა ერმოლოვის მთავარმართებლობის დროს.

დ. ყიფიანი რვა წლისა იყო, როცა უფროსმა ძმამ, ქაიხოსრომ, სასულიერო სემინარიაში შეიყვანა, ხოლო ერთი წლის შემდეგ იგი კეთილშობილთა სასწავლებელში გადაიყვანეს.

მემუარისტი მოკლედ, მაგრამ თვალსაჩინოდ აღწერს 20-იანი წლების თბილისის მდგომარეობას. იმდროინდელ თბილისში არ არსებობდა საზოგადოებრივი თავშეყრის, დროის გატარების ადგილები. ზოგჯერ საიდანღაც გაჩნდებოდნენ ჟონგლიორები ან ჯამბაზები და ისევ წავიდოდნენ. იშვიათად თუ გაიმართებოდა შინაური წარმოდგენა, რომელშიც ქალების როლსაც მამაკაცები ასრულებდნენ. ზოგჯერ საცეკვაოდ შეიკრიბებოდნენ, სადაც ცოტანი იყვნენ მოცეკვავე მანდილოსნები და კავალრები - კიდევ უფრო ნაკლები. საქმე ისაა, რომ ახალგაზრდა ოფიცრები ჯარში იყვნენ გაწვეულნი სპარსეთში, ხოლო ფრაკოსანი მოცეკვავე სამი თუ ოთხი მოიძებნებოდა.

ამ ნაკლის შესავსებად მაშინდელი გუბერნატორის, ამავე დროს, კეთილშობილთა სასწავლებლის უშუალო მმართველის, გენერალ ხოვენის გადაწყვეტილებით ცეკვებზე მაღალი კლასების მოსწავლეები იგზავნებოდნენ სათადარიგო კავალრებად. ამით გუბერნატორი ორი კურდღლის დაჭერას ცდილობდა: თან მოცეკვავე მანდილოსნებს ასიამოვნებდა და თან უფროსკლასელებს წააქეზებდა კარგი სწავლისა და ქცევისათვის.

დ. ყიფიანის მემუარებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, პირველ ყოვლისა, იმ აზრით, რომ იგი თვალსაჩინო წარმოდგენას გვიქმნის მე-19 საუკუნის საქართველოში ერთ-ერთ პირველ სასწავლებელზე, რომელიც, ისევე როგორც მომდევნო სასწავლებლები, მიზნად ისახავდა აღეზარდა იმპერიის უსიტყვო, ერთგული მსახურები.

რაც შეეხება კეთილშობილთა სასწავლებელში სწავლების საქმეს, დ. ყიფიანის თქმით, მთელი მაშინდელი პედაგოგიური სიბრძნე ორი უმთავრესი და, ამასთანავე, ერთადერთი წესით გამოიხატებოდა: გაკვეთილების სწავლა ზეპირად, ე. ი. შეუგნებლად, მექანიკურად და ყოველი დანაშაულისათვის ხელისგულზე სახაზავით ცემა.

მემუარისტი კეთილშობილთა სასწავლებელსა და იქ სწავლებაზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად ასეთ გზას მიმართავს: იღებს სწავლის პერიოდიდან რამდენიმე ტიპურ ეპიზოდს და მათი გადმოცემით აცოცხლებს სასწავლებელში გამეფებულ ატმოსფეროს და იმასაც, თუ რა რიგის შემთხვევები და ფაქტები აყალიბებენ ჩვენი რჩეული ყრმის სულს და უფრო ხშირად ამახინჯებენ მოსწავლეთა ფიზიონომიას.

როგორც ითქვა, შემთხვევები ჩვეულებრივია და გავრცელებული. პირველი შემთხვევა, რომელიც ყმაწვილის სულს ძალიან მწარედ დააჩნდა, სწავლების მეორე დღესთანაა დაკავშირებული: კლასში, რომელშიც დ. ყიფიანი მიიღეს, უცებ შემოდიან დირექტორის მოადგილე პ. ი. შიპულინი, რუსული ენის მასწავლებელი პ. ს. სროტინსკი და მათ უკან რამდენიმე უფროსკლასელი მოწაფე. ერთი იმათგანის, ლამაზი შესახედაობის ყმაწვილის, ლევან მუხრანსკის, ჩვენებით ყველანი დ. ყიფიანის მერხთან ჩერდებიან.

„ - როგორ გაბედე შენ უბრძანებლად ზარის დარეკვა? - მრისხანედ მეკითხება უფროსი.

მე ეს კითხვა არ მესმის და სულელივით შევსცქერი.

წამავლებენ ყურში ხელს და ხელახლა მეკითხებიან.

- მე არ დამირეკია, - ვუპასუხებ.
- ნამდვილად ეს არის? - მიუბრუნდება ყრმას და ეკითხება შიპულინი.
- ეგ არის, ეგა, - უმტკიცებს ის და მასთან მისი ამხანაგებიც.
- ო, ო! შენ უარზედაც ხარ? აბა, ერთი სახაზავი! - და მირტყეს ხელისგულზე

გააფთრებით ერთი ოცჯერ მაინც.

თან მტკივა, თან ყელში ბრაზი მომდის.

- რის გულისათვის? - ვეკითხები ჩემს თავს ქვითინით“ (ყიფიანი 1930: 4).

დიმიტრის დედა ასწავლიდა: შეცდომა უნდა აპატიოო. მართალია, მანაც აპატია, მაგრამ დავიწყება ვერ შეძლო.

და რაც მთავარია და რამაც გამორჩეულ მოსწავლეს უმალ დაანახა თავისი სასწავლებლის დირექტორის მოადგილის ნამდვილი სახე: შიპულინმა თავისი შეცდომა შემდეგ შეიტყო, „მაგრამ იმდენი მოქალაქეობრივი გამბედაობა ვერ გამოიჩინა, რომ ეს ბავშვისთვის ეჩვენებინა, მიალერსებოდა“ (4). ეს უაღრესად მრავლისმთქმელი დეტალია. მოწაფე თვალნათლივ გრძნობს აღმზრდელის პატარაკაცობას, იგი ვერასოდეს დაიბრუნებს ყრმის თვალში ღირსებას.

მეორე მაგალითიც, ასევე, უსამართლობასთან არის დაკავშირებული. ახლა უკვე შიპულინს ემატება თათრულის მასწავლებელი მირზა ჯაფარ თუშმალოვი. სრულიად

უმიზეზოდ მან უფროსკლასელი დ. ყიფიანი მესამეკლასელების წინაშე თმით ითრია, შეურაცხყოფილ და ტკივილით გამწარებულ დიმიტრის ცხვირიდან სისხლი წასკდა. თუშმალოვმა შიპულინს შესჩივლა, ხელი შემიბრუნა მოწაფემო, ორივენი კი დირექტორთან გაიქცნენ საჩივლელად. მოულოდნელად ამ სცენას ბოროდინოს გმირის, პეტრე ბაგრატიონის, ძმა, გენერალ-ლეიტანანტი თ-დი ბაგრატიონი შეესწრო, რომელსაც უკვე დამშვიდებულმა ბავშვმა ყველაფერი უამბო.

„აქ ბაგრატიონი, გულდასმით რომ მისმენდა, მიუბრუნდა გუბერნატორს ამგვარად:

- როგორ, რომან ივანოვიჩ! კეთილშობილთა სასწავლებელში ხომ თავად-აზნაურთა შვილები სწავლობენ! ჩემი ვაჟებიც ხომ იქ არიან! ეს სადაურია? ვის შეუძლია მათი გალახვა გაბედოს? და განა თმებით თრევა იგივე გალახვა არ არის? როგორც გენებოთ, მაგრამ ამისთანა რამ კი შეუძლებელია!“ (6).

ასე იხსნა ქართველმა გენერალმა ქართველი მოწაფე ჯალათისაგან, მაგრამ ფაქტი ის იყო, რომ ეს უსამართლობა, უფროსთა სულმდაბლობა და ტყუილები დიმიტრის სულს მძიმედ აწვებოდა.

როგორც სხვა სასწავლებლებში, მცირე ნათელი სხივი კეთილშობილთა სასწავლებელშიც კრთის, აქაც გამოჩნდებიან ზოგჯერ კარგი მასწავლებლები, რომელთა გაკვეთილები, პირადი მაგალითი ღრმად აღიბეჭდება მოწაფეთა მგრძნობიარე გულებში. არადა, რა ცოტაა ხშირად საკმარისი, რომ ყრმამ სამუდამოდ აღიბეჭდოს აღმზრდელის სახე.

მემუარისტის თქმით, კეთილშობილთა სასწავლებელში ასეთი იყო ელპიდიფორ პეტრეს ძე მანასეინი, რუსული ენისა და სიტყვიერების მასწავლებელი, სასწავლებლის დირექტორი ერთი წლის განმავლობაში. „მოწაფეებმა მხოლოდ მისგან დაიწყეს გადმონაცემის შეგნებით შეთვისება, მხოლოდ მის დროს გადაიქცა დიდ სასჯელად მოწაფის ნახევარ საათით კუთხეში დაყენება ან ნახევარ საათით კლასში დატოვება, როდესაც დანარჩენნი უკვე წასულნი იყვნენ. გულამოსკვნით სტიროდნენ ხოლმე, ვისაც კი ეს სასჯელი შეხვდებოდა.

ყურებისა ან თმების მოწევა, სახაზავით ცემა, დაჩოქება ან სხეულის სხვაგვარი სასჯელი მანასეინის ყოფნის დროს გულში გასავლებადაც კი შეუძლებელი იყო“ (7-8).

სამაგიეროდ, - ასკვნის მემუარისტი, - მოსწავლეები არასოდეს ყოფილან ისეთი კეთილშობილნი, როგორიც მანასეინის დროს. ერთი სიტყვით, თმებით თრევა, ყურების ახევა, შიში, უაზრო ზეპირობა კი არ იძლევა საუკეთესო შედეგს, არამედ მოწაფესთან ადამიანური მოპყრობა და ჭეშმარიტი სულიერი საზრდოს მიწოდება.

მოსწავლეებში ასევე დიდი სიყვარულით სარგებლობდნენ მანასეინის შემცვლელი, ხარკოვის უნივერსიტეტის კანდიდატი, ნიკოლოზ ტიმოთეს ძე დემენტიევი და თავადი ივანე ზაქარიას ძე არღუთინსკი-დოლგორუკოვი, რომელიც ისტორიას ასწავლიდა. მათ უმადლის დ. ყიფიანი, თუ რამე წესიერი შეითვისა სასწავლებელში, „სხვა დანარჩენ მასწავლებლებთან მოწაფენი შეგნებით მხოლოდ სიცრუეს სწავლობდნენ“ (8).

დ. ყიფიანის მოგონებების ეს ნაწილი **ერთგვარი წინაპირობაა** შემდგომ ქართველ მწერალთა მემუარულ თხზულებებში უხვად, ხშირად მაღალმხატვრულად, მოწოდებული მასალისა მათი სასკოლო შთაბეჭდილებების შესახებ, იქნება ეს აკაკი, გიორგი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, სოფრომ მგალობლიშვილი თუ დავით კლდიაშვილი...

დ. ყიფიანის მოგონებათა ამ ნაწილიდან არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ერთი მომენტიც, რომელიც იმ დროის თბილისის ცხოვრებას მეტად შინაარსიანს ხდიდა. ყოველგვარ გასართობსა და სანახაობას მოკლებულ ქალაქში იყო ერთი ღონისძიება, რომელიც გამორჩეულ საზეიმო, სანახაობით ხასიათს ატარებდა და კეთილშობილთა სასწავლებელთან იყო დაკავშირებული. ეს იყო ე. წ. საჯარო აქტები, ანუ სასწავლებლის გამოსაშვები საღამოები.

გამოცდებს სასწავლებელში ცალკეულ საგნებში თვითონ მასწავლებლები იბარებდნენ, მაგრამ თითქმის ყველასგან მოსწავლეები სიცრუესა და თვალთმაქცობას სწავლობდნენ. მოწაფეები პედაგოგებს წინასწარ უთანხმებდნენ, თუ ვინ რაზე ისაუბრებდა. ამგვარად, გამოცდები მოჩვენებითად კარგად ტარდებოდა და ამას მოსდევდა შემდეგ საჯარო აქტები.

აქტის დროსაც წინასწარი გარიგების ხერხი იყო გამოყენებული, ოღონდ აქ უფრო ზერელედ და მოკლედ ტარდებოდა გამოცდა. „ამას გარდა, წაიკითხავდნენ ანგარიშს, წარმოსთქვამდნენ სიტყვებს და ბოლოს საუკეთესო მოწაფეთ ჯილდოს მისცემდნენ“ (8).

გამოაცხადებდნენ უფროს კლასებში გადაყვანილთა სახელებს და კურსდამთავრებულთ ატესტატებს დაურიგებდნენ.

ასეთ აქტებს სიამოვნებით ესწრებოდნენ უმაღლესი პირები: მთავარმართებელი, საქართველოს ეგზარქოსი, გუბერნატორი, შტაბის უფროსი და ყველა პირი, თბილისში მცხოვრები თუ აქ შემთხვევით მოხვედრილი.

„რაკი სხვა გასართობი არ იყო, საჯარო აქტები წლიურ სადღესასწაულო წარმოდგენას უდრიდა“ (9). ამ „წარმოდგენებზე“ მანდილოსნები არასოდეს ყოფილან, თუმცა უცნობია, რატომ. არადა, არ შეიძლება მათ ცნობისმოყვარეობას არ მოესურვებინა ერთხელ მაინც იმის გაგება, თუ რა ხდებოდა აქ.

და აი, ერთხელ თბილისის ულამაზესმა მანდილოსნებმა: ნინო ჭავჭავაძემ და მანანა ორბელიანმა მოიწადინეს საჯარო აქტის შინაურულად წარმოდგენა, რომელშიც რამდენიმე უფროსკლასელმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის დ. ყიფიანმაც. რა თქმა უნდა, აქტს ოფიციალური პირები არ დასწრებიან, ესწრებოდნენ მხოლოდ თავადის ასულების ნათესავები. ყველაფერი ეს არდადეგების დროს მოხდა მანანა ორბელიანის სახლში. გავიდა არდადეგებიც და სასწავლებლის მმართველობამ იმავე შიპულინის მეთაურობით „უფროსული მრისხანების უანგარიშო მეხი თავზე გადმოაყარა“ მოსწავლეების იმ ჯგუფს, რომელიც მონაწილეობდა მანდილოსანთა მიერ მოწყობილ აქტზე. „გადასწყვიტეს ამ საშინელი თავხედობისათვის ექვსივე კაცი სამაგალითოდ დაესაჯათ: გაეწკეპლათ ყველანი და გაეწკეპლათ ყველა კლასში, რომ მოწაფეებს დაენახა!“ (9). „დამნაშავეებმა“ ისე განიცადეს, რომ თავის მოკვლაც კი გადაწყვიტეს და ასეც გააკეთებდნენ, რომ ისევ თავადის ულამაზესი ასულები არ გამოსარჩლებოდნენ მათ და არ დაეხსნათ დამცირებისა და ტკივილისაგან. რაში იყო მოწაფეთა დანაშაული, ეს მათთვის არავის უთქვამს, არავის განუმარტავს.

მემუარების ამ ნაწილს მოჰყვება მეორე ნაწილი - **„მთავრობის სამსახურში“.**

დ. ყიფიანმა კეთილშობილთა სასწავლებლის დასრულების შემდეგ მოინდომა სამაზრო სასამართლოში სამსახურის დაწყება, მაგრამ არ დაამტკიცეს, რადგან აზნაურობის ქაღალდი არ იყო წარდგენილი.

ამ დროისათვის კეთილშობილთა სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა და გარკვეული გამოცდების ჩაბარებისა და დაბადების თარიღის შეცვლის შემდეგ თექვსმეტი წლის დიმიტრი, როგორც უკვე ოცი წლისა, გიმნაზიის მასწავლებლად მიიღეს.

მემუარების ამ ნაწილში დ. ყიფიანი არაფერს ამბობს 1832 წლის შეთქმულებასა და მასში მონაწილეობაზე, რადგან, როგორც უკვე ითქვა, თავისი ცხოვრების ეს მონაკვეთი მას ცალკე აქვს აღწერილი. აქ ავტორი გადასახლებაში, ვოლოგდაში, სამსახურის ამბებზე ჩერდება ძალიან მოკლედ. ამ პერიოდში მან თავი გამოიჩინა, როგორც კანცელარიის ბეჯითმა თანამშრომელმა. დ. ყიფიანი წერს: „კანცელარიის საქმეები ბრწყინვალე მდგომარეობაში ვერ აღმოჩნდა და მეც მათს წესიერებაში მოყვანას თავდავიწყებული გატაცებით შევუდექი. ვალაგებდი მათ 12, 15 და 16 საათის განმავლობაში დღე და ღამე“ (12).

1837 წლის დამდეგს დ. ყიფიანი ვოლოგდიდან თბილისში გადმოიყვანეს. გუბერნატორად ისევ ნიკო ფალავანდიშვილი იყო, ძმა იასე ფალავანდიშვილისა, „არხანგელსკში დაღუპული დამბეზღებლისა“ (14).

მემუარების ამ ნაწილში ჩვენი ავტორი დაწვრილებით აღგვიწერს თავის სამსახურებრივ საქმიანობას მთავარმართებლის კანცელარიაში. ეს აღწერა იმ მხრივ იწვევს ინტერესს, რომ აქ იკვეთება დიდი ქართველის შინაგანი პასუხისმგებლობა, საქმის სიყვარული, ერთგულება და, რაც მთავარია, პირდაპირობა და შეუპოვრობა, თან დიდი იუმორის გრძნობა.

ამ მხრივ ორი მაგალითი იპყრობს ყურადღებას, რომელთაც მემუარისტი გადმოგვცემს. იმხანად სამოქალაქო მმართველობის უფროსად მუშაობდა გენერალ-ლეიტენანტი იოსებ ალექსანდრეს ძე გურკო. „სამმართველოს საქმეებისა, რომელთაც ის უფროსობდა, სულ არა გაეგებოდა რა, ხოლო პატივის-მოყვარულობა კი დიდი ჰქონდა“; უცოდინარობის გადაფარვას მომხსენებლებთან უთავბოლო კამათით ცდილობდა, ამით მათ ბევრ დროსაც აკარგვინებდა და უსიამოვნებასაც იწვევდა (23).

- თქვენ აასრულეთ ჩემი უმაღლესი ბრძანება? - შეეკითხა ერთხელ დ. ყიფიანს მოხსენების დროს[18].

[18] დ. ყიფიანს ამ დროს კანცელარიაში განყოფილების უფროსის თანამდებობა ეჭირა.

- „ნებას მივსცემ ჩემს თავს, თქვენთვისვე გირჩიოთ, რომ...

- როგორ მიბედავთ მე რჩევის მოცემას?

- მაშ, მოგახსენებთ პირდაპირ, რომ თქვენ ყოველგვარად ერიდეთ სიტყვა **უმაღლეს ბრძანების** ხმარებას!

- რადაო?

- იმიტომ, რომ უმაღლეს ბრძანებას იძლევა მხოლოდ ხელმწიფე იმპერატორი და არავინ სხვა!

გურკო მთლად გაშტერდა.

- ჰო, მე უნდა მეთქვა - ჩემი ბრძანება - მეთქი

- ბრძანება შეგიძლიანთ მხოლოდ თქვენი დენსჩიკებისა და ლაქიებისა; ჩვენ კი ხელმწიფის მოხელენი ვართ.

- მაშ, როგორ? რანაირადღა ვსთქვა ხოლმე?

- შეგიძლიანთ დაგვავალოთ; შეგიძლიანთ **გვთხოვოთ**, რადგან კარგად იცით, რომ **თხოვნას** ყველა ჩვენგანი ბრძანებად მიიღებს. სამოქალაქო სამსახურში მიღებული არ არის მკვახე ლაპარაკი. ჩვენ ხომ ცოტად თუ ბევრად განათლებული ხალხი ვართ და განათლება კი, როგორც თქვენს აღმატებულებას მოეხსენება, ყველას გვათანასწორებს“ (23-24).

დ. ყიფიანის ამ გაბედულმა ნაბიჯმა „ისეთი დამაწყნარებელი შთაბეჭდილება“ მოახდინა გურკოზე, რომ კაცს შეეცოდებოდა კიდეც (24).

ეს მაგალითი ცხადად მეტყველებს დ. ყიფიანის ხასიათის თვისებებზე - მის სიამაყეზე, პირდაპირობაზე, იუმორის ნიჭზე.

არანაკლებ შთამბეჭდავია მეორე მაგალითიც, სადაც, ასევე, თვალნათლივ ჩანს დ. ყიფიანის მახვილგონიერება, მოვლენებისა და ადამიანებისადმი იუმორისტული მიმართება. ეს ფაქტიც გურკოსთან არის დაკავშირებული;

იმ დროისათვის გახშირდა საქმიანი ქაღალდების შედგენა. მთავარმართებელი ევგენი გოლოვინი ამის შესახებ ამბობდა: „იქამდე მივალთ, რომ მიწის მომხვნელი აღარავინ იქნება, ყველა წერას დაიწყებს“ (27). დ. ყიფიანს დაევალა, გასცნობოდა საქმეს და გარკვეული წესები შეემუშავებინა საკანცელარიო საქმის წარმოების შესამცირებლად.

დ. ყიფიანმა ღრმად შეისწავლა საქმე. უკვე ახალმა მთავარმართებელმა, გენერალმა ალექსანდრე ნეიდგარტმა[19], მას ანგარიში მოსთხოვა, გაქვთ თუ არა რამე გეგმაო. „გეგმა კი მაქვს, მაგრამ დაწერა არ არის ჩემთვის ადვილი“, - იყო პასუხი. მთავარმართებლის ნებართვით მან ზეპირად წარადგინა ანგარიში. ნეიდგარტმა მოიწონა პროექტი და ჰკითხა: „მერე რა გიშლით ხელს, რომ წერილობით გამოხატოთ თქვენი გეგმა?“ დ. ყიფიანმა მიზეზად დროის უქონლობა დაუსახელა და სთხოვა, გაეთავისუფლებინა სამოქალაქო მმართველობის უფროსის, იოსებ გურკოს, მოხსენებებისგან, რომელიც იმ დროს მათ საუბარს ესწრებოდა. დ. ყიფიანმა თანხმობა მიიღო. მაგრამ, როცა გურკომ დანაკარგი გააცნობიერა, ქვეშევრდომი თავისთან იხმო და მწარედ უსაყვედურა:

- როგორ მიეცით თქვენს თავს ნება, გეთხოვათ, გამეთავისუფლებინეთ ჩემი მოხსენებებისგან.

- თუ თქვენ ეს გეწყინათ, ახლავე წავალ და ვიტყვი, რომ მინდობილ საქმეზე უარს ვამბობ.

გურკო დაიბნა: „არა, არა! მე ამას მხოლოდ ისე ვამბობ, მე მხოლოდ მინდა ვიცოდე, თქვენ რად...

- მე გადაჭრით უარს ვამბობ მონდობილ საქმეზე!

- რას ამბობთ, რასა? კარგი ერთი, გეთაყვა! არაფერს აღარ ვამბობ, სრულებით არაფერსა!“ - მოიკუნტა გურკო (28).

„დრო კი მართლა რომ ცოტა არ მოვიგე მისი მოხსენებების თავიდან აცილებითა“, - წერს დ. ყიფიანი (28).

ასეთი ღიმილის მომგვრელი ფაქტები ცოცხლად წარმოგვიდგენს დ. ყიფიანს, მის მდიდარ ბუნებას.

2.3. გურიის აჯანყების დიმიტრი ყიფიანისეული შეფასება

1841 წლის გურიის აჯანყების თემისადმი ინტერესი საყოველთაოდ ცნობილია. ჩვენს წარმოდგენაში ეს ფაქტი, უპირველესად, ფიგურირებს ეგნატე ნინოშვილის

[19] ალ. ნეიდგარტი - კავკასიის მთავარმართებელი 1842-1844 წლებში.

რომანის, „ჯანყი გურიაში“, მიხედვით. ამის გარდა, ამ აჯანყების ჩახშობაში აქტიური მონაწილეობის ბრალს უყენებენ დიდ ქართველ პოეტს, გრიგოლ ორბელიანს, და სხვა ბრალდებებს ამასაც ზედ ურთავენ.

ძალზე საინტერესოა გურიის აჯანყების მიზეზებისა და შედეგების დ. ყიფიანისეული ახსნა, რაც ისტორიკოსებმა უსათუოდ უნდა გაითვალისწინონ.

მემუარისტი გულწრფელად აცხადებს, რომ ამ მღელვარების ოფიციალური მიზეზები მისთვის უცნობია. მისთვის მხოლოდ ცნობილია ამ ჯანყის ორი ნამდვილი და არსებითი მიზეზი: პირველია მოთხოვნა ფულადი გადასახადებისა და მეორე - ბრძანება კარტოფილის მოყვანისა. იგი წერს: მიზეზი ხალხის გულისწყრომისა, „ერქმევა იმას აღელვება თუ ამბოხება, ხანდახან შეიქმნება ხოლმე ხელოვნურად, ხოლო უმეტეს შემთხვევაში კი, როგორც იყო აქაც, გამოწვეულია მხოლოდ მმართველთა დაუფიქრებლობითა და წინდაუხედავობით, საქმეს რომ აურევენ და ბოლოს წყლიდან თვითონ მშრალები გამოდიან, თითქო ამით საქმე გააკეთესო“ (24).

1840 წელს გურიაში დაიწყეს ფულადი გადასახადის შეწერა. ამ დროს არავინ შეჰკითხვია თავის თავს, შეიძლებოდა თუ არა ამის რეალიზაცია. რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა. საქმე ისაა, რომ რუსული მმართველობა გურიაში მოგვიანებით, 1829 წელს, შემოიღეს. აქ მხოლოდ გურიის დროებითი მმართველი იღებდა ჯამაგირს რუსული ფულით, წელიწადში 600 მანეთს, მმართველობის დანარჩენი პერსონალი კი ნატურით კმაყოფილდებოდა.

მაშასადამე, გურიაში ადმინისტრაციას მხოლოდ 600 მანეთი შემოჰქონდა და ისიც ქუთაისში მიდიოდა, რადგანაც მხოლოდ იქ შეიძლებოდა ჩაის, ყავის, შაქრის, ხორბლეულისა და ტანსაცმლის ყიდვა.

არც ვაჭრობას მოჰქონდა აქ ფული. ფულის ერთეულად იხმარებოდა მხოლოდ თათრული ფარა, კაპიკის ერთ მეოცედს ან უფრო ნაკლებს რომ უდრიდა.

ცხადია, გურიაში ფულადი გადასახადის მოთხოვნა სრულიად დაუფიქრებელი ნაბიჯი იყო, რადგან, უბრალოდ, ფული არ არსებობდა. მაგრამ რახან გაწერეს, პოლიცია ფულს ითხოვდა, ხოლო უარის თქმაზე ეგზეკუციას აყენებდა. ამას დაემატა კარტოფილის მოყვანის მკაცრი მოთხოვნა. გურულებს ოდითგანვე ღომი და ლობიო მოჰყავდათ, თან

საკმარისი რაოდენობით. აქ კარტოფილის მოყვანის არავითარი საფუძველი და პირობა არ არსებობდა.

დ. ყიფიანი ერთ გარემოებასაც უსვამს ხაზს - „ეს არის უაღრესად მოთაკილე და წყენის ფიცხად ამყოლი ხასიათი გურულებისა. აქ კი თითქმის ყოველ სახლში ჩაყენებული ყაზახები, ძალიან ზრდილობიანნი, ვსთქვათ, მაგრამ მაინც ყაზახები“ (25).

და განმეორდა ის, რაც ადრე კახეთში იყო: „მომეცი, რაც არა გაქვს, თუნდ გაუჩენელი გააჩინე და სჭამე, რაც არ გინდა, ყელზეც რომ გადგებოდესო“ (25).

და ასე „გაისმა ჯერ კვნესა, მერე ყვირილი, შემდეგ ტკაც-ტკუც და აპრიალდა ერთბაშად გურია, ეს პატარა, მშვენიერი მხარე, დასახლებული მართლმადიდებელი, პატიოსანი, მამაცი ხალხით, მტკიცეთი თავის ერთგულებაში 1841 წლამდე და შემდეგში, მეტადრე 1853-1856 და 1877-1878 წლების ომებში“ (26). დ. ყიფიანი აქ შენიშნავს: „ამ დროსაც, 1856 წ. მე ვიყავი გურიაში, ახლა თ-დ ვას. ოს. ბებუთოვთან, მისი მოძრავი კანცელარიის დირექტორად და რაზმის ხაზინადრად; მაშინ გურიაში რუსის ერთი მხედარიც აღარ იყო. გურულები თვითონ იფარავდნენ თავსაც და ჩვენი რაზმის ზურგსაც თათრების მოწოლისაგან“ (26).

ადგილობრივი უფროსი, პოლკოვნიკი ბრუსილოვი და საფოსტო ოლქის უფროსი, გენერალი კახნოვი, ოზურგეთში აღმოჩნდენენ აჯანყებულთაგან გარშემორტყმულნი.

გენერალმა ე. გოლოვინმა მათ მისაშველებლად და ამბოხების ჩასაქრობად გაგზავნა პოლკოვნიკი არღუთინსკი, შემდეგში შამილთან ომში სახელგანთქმული გენერალი. თვითონაც საჩქაროდ დაამთავრა ექსპედიცია დაღესტანში და ქუთაისს გაეშურა. როგორც დ. ყიფიანი გადმოგვცემს, მას წილად ხვდა პატივი მოძრავი კანცელარიის მსგავსი რამ ყოფილიყო, მაგრამ ქუთაისს იქით მათ წასვლა არ მოუხდათ. გურიაში უკვე დამთავრებული იყო ყველაფერი.

ერთგვარად განმტკიცებული აზრის მიხედვით, გურიის 1841 წლის აჯანყების ჩაქრობაში აქტიურად მონაწილეობდა სახელგანთქმული პოეტი გრ. ორბელიანი და საერთოდ, „გურული გლეხების წინააღმდეგ ბრძოლა გრ. ორბელიანის ცხოვრების ქრონიკის ყველაზე საჩოთირო ფურცელია“ (მაღრაძე 1967: 92). ლიტერატურის მკვლევარი ი. ევგენიძე დაწვრილებით მიმოიხილავს რა ამ საკითხს, ეხება დ. ყიფიანის

„მემუარებსაც“. მისი სიტყვებით, დ. ყიფიანი აქვე მიუთითებს გრ. ორბელიანის სიახლოვეზე მ. არღუთინსკისთან. სავარაუდოა, ამ სიახლოვის ნაყოფი იყოს აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მშვიდობიანი მოლაპარაკება გურულებთან და მათი განთავისუფლებაც ქუთაისის ციხიდან, რასაც ძალიან უწონებს ბიძას დისშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილი(ევგენიძე 1995: 38-39).

ი. ევგენიძის მიხედვით, ოფიციალური წყაროებით არ ჩანს და არც დ. ყიფიანის მემუარები იძლევა იმის საბუთს, რომ გრ. ორბელიანის აქტიურ მონაწილეობაზე ვისაუბროთ გურიის გლეხობის რბევაში.

მემუარისტი მხოლოდ აღნიშნავს: „აქ დააწინაურა მან [არღუთინსკიმ] **კაპიტანი თ-დი ორბელიანი, შემდეგში გენერალ-ადიუტანტი, გენერალი ინფანტერიისა, გრიგოლ დიმიტრის ძე, ერთხელ რომ ასრულებდა კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობას**“ (ყიფიანი 1930: 26).

დ. ყიფიანი გურიის აჯანყების ჩახშობასთან დაკავშირებით ძალიან საგულისხმო დასკვნას აკეთებს: გურიის აჯანყების ჩაქრობაში იმაზე ათჯერ მეტი „რუსის ოქრო ჩაითესა“, ვიდრე ფულადი გადასახადების ამოღებისაგან მოელოდნენ; „ხოლო კარტოფილზე კი ხმაც აღარავის ამოუღია“ (26).

2.4. „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა“

მემუარების მეოთხე თავში, „კერძო ცხოვრებაში“, დ. ყიფიანი საინტერესოდ გვაცნობს იმ დიდ ღვაწლს, რომელიც მას და მის ამხანაგებს მიუძღვით პირველი კერძო ბიბლიოთეკის დაარსების საქმეში. ეს 40-იანი წლების დასაწყისში მოხდა, როცა დ. ყიფიანი მთავარმართებლის კანცელარიაში განყოფილების უფროსი იყო. მან მთავარმართებელ ე. გოლოვინს აცნობა, რომ რამდენიმე ამხანაგთან ერთად კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის დაარსება სურდა. თანხმობის მიღების შემდეგ დ. ყიფიანმა წარადგინა ბიბლიოთეკის წესდების პროექტი.

თბილისის კერძო ბიბლიოთეკა „1840-იანი წლების „დეზორგანიზებული ეროვნული ცხოვრების“ გამოცოცხლების პირველი სერიოზული ცდაა და მისი ადგილი XIX საუკუნის ქართული კულტურის ისტორიაში სწორედ ამ გარემოებით უნდა განისაზღვროს (ამ

დროს, და საერთოდ, მთელს XIX საუკუნეში ჩვენი მოღვაწეების კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას მკაფიოდ გამოკვეთილი პოლიტიკური მიზანდასახულობაც ჰქონდა. კერძოდ, სახელმწიფოებრიობადაკარგულ ქვეყანაში ბრძოლა ეროვნული კულტურის გადარჩენისა და განვითარებისთვის თავისთავად ნიშნავდა ბრძოლას მამულის, როგორც ნაციონალური ინდივიდუუმის, გადარჩენისა და განვითარებისთვის)“ (ჯოლოგუა 2002: 78).

კერძო ბიბლიოთეკის საქმეს თავიდან ბოლომდე დ. ყიფიანი თავკაცობდა. მასთან ერთად ბიბლიოთეკის დამაარსებელი იყო ოცდაერთი პირი, რომელთაც შემდეგ კიდევ ცხრა შეემატა. დამფუძნებელთა შორის იყვნენ: გრიგოლ, ვახტანგ და ზაქარია ორბელიანები, ელიზბარ და ზაქარია ერისთავები, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლევან მელიქიშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და სხვები.

კერძო ბიბლიოთეკამ დ. ყიფიანის ოჯახში დაიდო ბინა და 1848 წლამდე იარსება. როგორც მემუარისტი აღნიშნავს, ამ დროის განმავლობაში თანდათან შემოეცალნენ ბიბლიოთეკის წევრები და ბოლოს მთელი პასუხისმგებლობა მხოლოდ მას დაეკისრა. დიმიტრის სამსახურთან ერთად ბიბლიოთეკის პატრონობა და თავის ბინაზე შენახვა აღარ შეეძლო.

1846 წელს მეფისნაცვლის კანცელარიასთან დაარსდა სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა, რომელსაც დ. ყიფიანმა თავისი წიგნები, სულ 510 ტომი, ჩააბარა იმ პირობით, რომ საჭიროების შემთხვევაში მათ უკან წაიღებდა, ნაწილს კი შენაწირის სახით დატოვებდა.

დ. ყიფიანს მალე პირი უშალეს და წიგნები აღარ დაუბრუნეს. საკომპენსაციო ორი ათასი მანეთის ნაცვლად ათასი მანეთი გადაუხადეს და თან ბრძანებაც მოაყოლეს, რომ ამ თანხას დასჯერებოდა. „მახსოვდა რომ „ძალა აღმართსა ხნავსო“ და მეც ამით დავკმაყოფილდი, ხოლო ჩემს გულში კი ვსთქვი: მადლობა თქვენ, რომ ეს მაინც მომეცით-მეთქი“, - ამბობს მემუარისტი (ყიფიანი 1930: 107).

ის დიდი მიზნები, რომლებიც დ. ყიფიანსა და მის თანამოაზრეებს ჰქონდათ, ჯერჯერობით ვერ განხორციელდა, რადგან მიზანმიმართული საქმიანობისთვის ნიადაგი მწირი აღმოჩნდა; თუმცა „ამ მწირ ნიადაგში მაინც ჩავარდა ის თესლი, რომელმაც დროთა

მანძილზე სასიკეთო ნაყოფი წარმოშვა და სრულებით არაა შემთხვევითი ის გარემოება, რომ მომდევნო ხანის დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივ-კულტურულ წამოწყებათა სათავეებთანაც დიმიტრი ყიფიანს - „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამაარსებელს - ვხედავთ“ (ჯოლოგუა 2002: 94).

უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისათვის დ. ყიფიანისა და მისი ამხანაგების მიერ დაარსებულმა ბიბლიოთეკამ გარკვეული ბიძგი მისცა ქართული ინტელექტუალური ცხოვრების გამოღვიძებას.

2.5. დიმიტრი ყიფიანის არჩევა თავადაზნაურობის წინამძღოლად

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს თავადაზნაურობა მნიშვნელოვანი ცვლილების - საგლეხო რეფორმის - მოლოდინში იყო, რომელიც გაბატონებულ ფენას მემკვიდრეობით მიღებული პრივილეგიების დაკარგვას უქადდა. არისტოკრატია იმედს თავადაზნაურობის წინამძღოლის კარს მომდგარ არჩევნებსა და ახალ მეთაურზე ამყარებდა, რომელსაც მისი ინტერესები უნდა დაეცვა, მისი ქომაგი და შემწე ყოფილიყო. მათ უმრავლესობას ასეთ კაცად დ. ყიფიანი მიაჩნდა. მას კანონიერადაც ეკუთვნოდა კენჭისყრაში მონაწილეობა, როგორც თბილისის გიმნაზიის საპატიო მზრუნველს.

მემუარისტი მეტად საინტერესოდ აღწერს იმ ვნებათაღელვას, რომელიც ამ თანამდებობაზე მის არჩევას ახლდა თან. დ. ყიფიანის თქმით, მისი მოწინააღმდეგე იყო თავად-აზნაურთა ელიტა - „წარმომადგენელნი ორი არისტოკრატიული სახლისა, იმ სახლისა, რომელნიც... ერთადერთნი იძლეოდნენ ამ თანამდებობის კანდიდატებს, სახელდობრ: თავადნი ბაგრატიონ-მუხრანსკები და ორბელიანები“ (ყიფიანი 1930: 97). ყველა თავადის გვერდის ავლა და უბრალო, უტიტულო აზნაურის კანდიდატურის წამოყენება შეუძლებელია, ეს არასდროს ყოფილა, - ამბობდნენ ისინი, - ამას ხელი უნდა შევუშალოთ, რადაც უნდა დაგვიჯდესო.

როგორც დ. ყიფიანი გადმოგვცემს, მას თავად-აზნაურთა წინამძღოლობა არც არასოდეს სდომებია. იგი, როგორც კანონმორჩილი ადამიანი, მხოლოდ დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა. მისი თქმით, „თუ საზოგადოება აკისრებს სამსახურს ერთ-ერთს თავის წევრთაგანს, არავის არა აქვს უფლება უარი სთქვას ამაზე“ (99).

მოწინააღმდეგეები გულხედაკრეფილნი არ ყოფილან. მათ დ. ყიფიანს თავიანთი კანდიდატი დაუპირისპირეს - მეფის გენერალ-ლეიტენანტი რევაზ ანდრონიკაშვილი[20], რომელმაც, როგორც ჩანს, გადამწყვეტ მომენტში არჩევნებში მონაწილეობა ვერ გაბედა და ძმის პირით უარი შემოთვალა.

არც ყოფილ წინამძღოლს, ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანს[21], მოუსურვებია დ. ყიფიანთან დაპირისპირება. არჩევნების დროს იგი პარიზში იმყოფებოდა და მისგან არაფერი ისმოდა.

„მემუარებში“ ვკითხულობთ: კენჭისყრის წინ გრ. ორბელიანი „თავისთვის სრულიად უჩვეულო აღელვებით და გაცხარებით ამბობს ასეთს სიტყვას: წინამძღოლად ამორჩევა არა საპატიო თავადის, არამედ უბრალო აზნაურისა, შეურაცხყოფაა მთელი საზოგადოებისათვის; ამორჩევა ყიფიანისა კი უფრო მეტი შეურაცხყოფა იქნება, ვინაიდგან ის გ ა მ ო გ დ ე ბ უ ლ ი ა სამსახურიდანო!“ (99).

სიტყვა „გამოგდებამ“ დ. ყიფიანი „მართლა რომ მოთმინებიდან გამოაგდო“ და საჯარო შეურაცხყოფაზე შემდეგი სიტყვებით უპასუხა: „დიდად შესაწუხებელია ჩემთვის, რომ წინააღმდეგი ლაპარაკი მიხდება თ-დ გრიგოლ დიმიტრის ძესთან, რომელსაც **ყოველთვის ეკუთვნოდა ჩემი ღრმა პატივისცემა;** მაგრამ ყრილობას ფაქტი უნდა განვუმარტო; შარშან მაგან, მეფის მოადგილის თანამდებობას რომ განაგებდა და **თავადი ბარიათინსკის ბრძანებას ასრულებდა**, სამსახურიდან დათხოვნაზე წარმადგინა. გამოვიდა უმაღლესი **ბრძანება ჩემი სამსახურიდან დათხოვნისა თანახმად სურვილისა.** მაგრამ მე არ მითხოვნია ეს დათხოვნა; მაგრამ არ მითხოვნია აგრეთვე არც პენსია, არც მუნდირი; მე კი მებოძა ერთიც და მეორეც; **გამოგდებულებს არც ერთს და არც მეორეს არ აძლევენ!“** (99).

მხარდამჭერებს კენჭისყრის გარეშე უნდოდათ დ. ყიფიანის წინამძღოლად დამტკიცება, მაგრამ, მემუარისტის თქმით, ის მომხრე იყო კანონიერებისა და სურდა, მათი სურვილი კენჭით გამოხატულიყო. მართლაც, არჩევნები „სრულის წესიერებით“ ჩატარდა. დ. ყიფიანმა მიიღო 273 თეთრი და 4 შავი კენჭი.

---

[20] რ. ანდრონიკაშვილი 1870 წელს მარშლად მაინც აირჩიეს მას შემდეგ, რაც დ. ყიფიანმა უარი განაცხადა ამ პოსტზე თავისი კანდიდატურის წამოყენებაზე. მანამდე კი იგი ზედიზედ ორჯერ წინამძღოლობდა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას სამ-სამ წლიანი ვადით (1864-1866 და 1867-1869).

[21] **ალ. დავითის ძე ორბელიანი** თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი იყო 1858-1864 წლებში.

გამარჯვებულმა დ. ყიფიანმა მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს. მას განსაკუთრებით ახარებდა საზოგადოების ცრუ შეხედულებებისაგან განთავისუფლება, რაშიც იგი გაბატონებულ ტრადიციაზე უარის თქმას გულისხმობდა.

რა თქმა უნდა, დ. ყიფიანი კარგად აცნობიერებდა უფლება-მოვალეობებს, რომლებსაც მას საპატიო თანამდებობა აკისრებდა: „უფლება და მოვალეობანი თავად-აზნაურთა წინამძღოლისა გარკვეულნი არიან: მთავრობის წინ ის არის წარმომადგენელი თავისი წოდებისა და შუამავალი მის სასარგებლოდ; წოდების წინ ის მთავრობის ნაკარნახევის აღმასრულებელი“ (100). გარდა დაწერილი წესისა, - აღნიშნავს დ. ყიფიანი, - იგი ემორჩილება საკუთარ სინდისს, რომელიც გაცილებით მეტ რამეს ავალებს - ესაა ერთგულება ხელმწიფე-იმპერატორისა და „მისი უმაღლესი ტახტისა“.

ასე დამთავრდა თავად-აზნაურთა წინამძღოლის არჩევნები 1864 წლის 16 თებერვალს.

„მაგრამ თავადი გრიგოლ დიმიტრის ძე ლოგინად ჩავარდა და თვე ნახევარი იწვა. მეფის მოადგილე[22] ნახულობდა მას და ამშვიდებდა, რომ ყიფიანს არ დაამტკიცებენო“, - იგონებს მემუარისტი (101).

დ. ყიფიანის არჩევა თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობაზე იმ დროისათვის მეტად პროგრესული ნაბიჯი იყო, რაც ბევრგანაა აღნიშნული. კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსის, **ბარონ ნიკოლაის**, მოხსენებაში ვკითხულობთ: „თავადობამ იმისი საჭიროებაც იგრძნო, რომ მათ თანამოაზრეები უნდა ეძებნათ არა გვაროვნულ ნუსხებში, არამედ ნიჭიერთა და განათლებულთა შორის“ (ჯოლოგუა 2007: 219). ბარონ ნიკოლაის აზრით, „ყიფიანმა თავის სამსახურებრივ და საზოგადოებრივ მდგომარეობას დაუღალავი შრომით მიაღწია. არც გვარიშვილობით, არც ქონებრივად იგი არ ეკუთვნის აქაური თავადაზნაურობის მაღალ ფენებს, მაგრამ არაჩვეულებრივი ნიჭისა და თავაუღებელი შრომის წყალობით მან საზოგადოებაში დაიმკვიდრა ისეთი მნიშვნელოვანი ადგილი, რომელმაც წინამძღოლის არჩევნებზე გადასძალა გავლენას უძველესი გვარეულობებისა“ (217).

[22] მ. რომანოვი (1832-1909) - დიდი მთავარი, კავკასიის მეფისნაცვალი 1862-1881 წლებში.

ნ. ნიკოლაძის შეფასებით, „თავადაზნაურობის მასამ, მიკროსკოპული ნაწილის გამოკლებით, ხელი აიღო თავის ცრურწმენაზე აუცილებლად მყვირალა გვარის მქონე ადამიანის მეთაურად დაყენების შესახებ და ზეიმით აირჩია დ. ი. ყიფიანი“ (ჯოლოგუა 2011: 8).

არჩ. ჯორჯაძე მიიჩნევს, რომ „აქ მართლაც მოხდა შეჯახება კონსერვატიულის და პროგრესიულისა, რადგან გალაშქრება გადაბირებულ აზროვნების წინააღმდეგ პროგრესიულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს“ (ჯორჯაძე 1989: 459).

მართლაც, დ. ყიფიანის არჩევა თბილისის გუბერნიის მარშლის თანამდებობაზე თავად-აზნაურთა პროგრესული ნაწილის გამარჯვება იყო, რომელიც წინამძღოლისაგან საქმეს ითხოვდა და არა - ცარიელ სამშვენისებს: ბრჭყვიალა გვარსა და ბრწყინვალე წარმომავლობას.

დ. ყიფიანმა გაამართლა საზოგადოების მოლოდინი. არჩ. ჯორჯაძის შეფასებით, „არც ერთს მარშალს არც მანამდე, არც მერმედ ასეთი დიდი ღვაწლი, ასეთი დიდი სამსახური არ გაუწევია ჩვენის ქვეყნისათვის“ (506).

არჩევნების დროს ყურადღებას იქცევს გრ. ორბელიანისა და დ. ყიფიანის წინააღმდეგობრივი ურთიერთობა. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მემუარისტს ერთხელაც არ დასცდენია აუგი სახელოვან პოეტზე; როგორც იგი აცხადებს, გრ. ორბელიანს „ყოველთვის ეკუთვნოდა მისი ღრმა პატივისცემა“, თუმცა ფაქტი ისაა, რომ მოგონებებში ავტორი არსად მოიხსენიებს გრ. ორბელიანს, „თვითმპყრობელს ჩვენის ქართულის ენისა... მეუფეს ჩვენის სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა“ (ილია), როგორც პოეტს, იმ დროს, როცა თავის მეგობარს, ვახტანგ ორბელიანს, „შესანიშნავ, სასიქადულო პოეტად“ სახავს, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილს „დიდებულ პოეტს“ უწოდებს.

2.6. დიმიტრი ყიფიანი და საგლეხო რეფორმა

როგორც უკვე ითქვა, მე-19 საუკუნის 50-60-იან წლებში საქართველოს თავადაზნაურობა დიდი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა: მას თვალი უნდა გაესწორებინა მისთვის არცთუ სასიამოვნო სიახლისთვის და კარს მომდგარი საგლეხო რეფორმა განეხორციელებინა.

საქმის მეთაურობა აქაც დ. ყიფიანს დაეკისრა. მან ორჯერ შეიმუშავა პროექტი: პირველად - 1857-1858 წლებში ბარიათინსკის დავალებით გრ. ორბელიანთან ერთად, ხოლო მეორედ - 1862-1863 წლებში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მოთხოვნითა და მონაწილეობით.

პირველი პროექტი უყურადღებოდ იქნა დატოვებული, ხოლო მეორე გარკვეული ცვლილებებით წარმატებით განხორციელდა.

მემუარებში დ. ყიფიანი საინტერესოდ აყალიბებს თავის მოსაზრებას ბატონყმობის გადავარდნის აუცილებლობასთან დაკავშირებით: „**ბუნების წინააღმდეგი** მონური დამოკიდებულება ადამიანისა ადამიანზე ყველგან არსებობდა; მაგრამ იმ საზოგადოებებსა და სახელმწიფოებში, რომლებიც **მოწინავედ** ითვლებოდნენ, ერთში **გადავარდა** ის მშვიდობის საშუალებით, მეორეში, როგორც, მაგ. გერმანიაში და, დიდი ხანი არ არის, ამერიკის შეერთებულ შტატებში - **სისხლის** მდინარეებით წაირეცხა“ (ყიფიანი 1930: 88).

დ. ყიფიანს, როგორც პროგრესულად მოაზროვნე ადამიანსა და მამულიშვილს, სურდა, ძველი ფორმაციის ახლით ჩანაცვლება უმტკივნეულოდ მომხდარიყო. მისი აზრით, ამის განხორციელება მხოლოდ ლეგალური გზით იყო შესაძლებელი: **„ლეგალობა საერთოდ მეტისმეტად საყურადღებოა სწორედ იმით, რომ კი არ აღიზიანებს, არამედ აწყნარებს ვნებათ“** (89).

მემუარისტის თქმით, ქართველი თავადაზნაურობა საგლეხო რეფორმას გაბედულად შეხვდა: „ჯერ არსად, რამდენადაც ცნობილია, არ შეუხედნიათ ისე გაბედვით და ისე პატიოსნად ამ მომხდარი ამბავისთვის, როგორც შეხედა მას 1862 წელს საქართველოს თავადაზნაურობამ“ (89). დ. ყიფიანი ერთგვარი სიამაყით აღნიშნავს, რომ „მრავალრიცხოვან თავადაზნაურობაში კრინტიც არავის არ დაუძრავს თვით ამ ბატონყმობის გადაგდების წინააღმდეგ“, ლაპარაკი მიდიოდა მხოლოდ გლეხების განთავისუფლების პირობებზე (90).

1862 წლის აპრილში თბილისში ჩატარდა და 6 დღე გრძელდებოდა გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო ყრილობა, რომელმაც პროექტის ძირითადი დებულებები

შეიმუშავა: მიწა თავად-აზნაურების ხელში რჩებოდა, გლეხს კი მიწით სარგებლობის სანაცვლოდ გადასახადი ძველებურად უნდა ეხადა.

ს. ხუნდაძე დ. ყიფიანის თავდადებული მუშაობის შესახებ წერს: „ერთი მხრივ, მან შეაგროვა რუსეთის მთავრობის ღონისძიებანი, რომელიც შეეხებოდა საქართველოში ბატონყმობის მოწესრიგების საკითხს, მეორე მხრივ, შეადგინა ცალკე 14 მუხლისგან შემდგარი კითხვები და დაუგზავნა ყველა მაზრის თავადაზნაურობას, რომ გამოეთქვათ თავიანთი აზრი ბატონყმობის მოსპობის პირობებზე“ (164-165).

დ. ყიფიანის მიერ თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მაშინდელი წინამძღოლისადმი, ალ. ორბელიანისადმი, გაგზავნილ წერილში, რომელიც 1862 წლის მაისით თარიღდება, ვკითხულობთ: „ღმერთმან ხომ იცის, არა მეშურვის რა ჩემში საზოგადოს საქმისათვის, არცა ჯაფა, არცა უსიამოვნება, არცა რა სხვა შეძლება ჩემი, მაგრამ ამაოდ შრომა, ამაოდ მოქმედება ზარალს შეადგენს და არა - სარგებლობასა და რადგან ამდენმა ხანმა ასე უსარგებლოდ განვლო და ხელისგამართვას ვერსაითგან ვხედავ, მარტო მე საზოგადო საქმის წარმართვა არას გზით არ შემიძლია“ (დ. ყიფიანის ფონდი, N 771: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დ. ყიფიანის პირადი ფონდი, საქმე N 771).

დ. ყიფიანმა მთელი წელი მოანდომა მიწათმფლობელებისაგან მიღებული ცნობების საფუძველზე პროექტის შემუშავებას (1862 – 1863) და მისთვის დამახასიათებელი თავდადებით საქმე ბოლომდე მიიყვანა. თავად-აზნაურთა უმრავლესობამ პროექტი მოიწონა, რის შემდეგაც განსახილველად და დასამტკიცებლად მთავრობას გადაეცა. იმპერატორმა პროექტი გარკვეული ცვლილებებით დაამტკიცა და 1864 წლის 8 ნოემბერს საზეიმოდ გამოაცხადა[23].

რუსეთის მთავრობის შიში შესაძლო ექსცესების შესახებ არ გამართლდა. დ. ყიფიანის სიტყვით, „არაფერი არეულობა არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო“, რაც სწორედ მისი შორსმჭვრეტელობისა და თავგანწირვის შედეგი იყო (ყიფიანი 1930:102). მან საზოგადოება სათანადოდ მოამზადა სიახლისათვის და უკეთესის მოლოდინით განაწყო. დ. ყიფიანმა „დაიარა ქართლ-კახეთი, ზოგან ეტლით, ზოგან

[23] დ. ყიფიანი ამ დროს უკვე არჩეული იყო თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად.

ცხენით; ფეხითაც მოუხდა რამდენჯერმე სიარული. ის აჯერებდა თავადაზნაურობას გლეხთა განთავისუფლების დიადს მნიშვნელობას, აწყნარებდა ხალხს და ანუგეშებდა კიდეც“ (ჯოლოგუა 2007: 130). აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველმა თავადაზნაურობამ რუსეთის იმპერატორისაგან არნახული კომპენსაცია მიიღო: ერთ სულ გლეხში 25-დან 50 მანეთამდე, რომლის მეხუთედიც გადაიდო მეტად მნიშვნელოვანი საქმისთვის - სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დასაარსებლად.

დ. ყიფიანი გაწეული სამსახურისთვის დაჯილდოვდა: „იმ დღეს დილით მე მივიღე ანას პირველი ხარისხის ორდენი გვირგვინით; ხოლო მივიღე **არა როგორც განსაკუთრებულმა მოღვაწემ ამ რეფორმისა და არა როგორც წინამძღოლმა იმ თავად-აზნაურობისა, ამ საქმეშიც რომ თვისი მაღალი ღირსების სრული შეგნება გამოიჩინა, - მივიღე როგორც წევრმა საგლეხო კომიტეტისა თბილისში**“ (ყიფიანი 1930: 102).

აღსანიშნავია ისიც, რომ კომიტეტის მთელ შემადგენლობაში ყველაზე ნაკლები ჯილდო დ. ყიფიანს ერგო, რადგან „თავისი აზრი ცალკე ჰქონდა შეტანილი“[24]. „მე არ დავიშლიდი ჩემი აზრის შეტანას იმ შემთხვევაშიაც, რომ მცოდნოდა წინედ მიღებულ ჯილდოებსაც წამართმევდნენ. **სიმართლე ჩემთვის ყველაზე მაღლა სდგას“,** - შეუთვალა მან ბარონ ნიკოლაის (102). აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა დ. ყიფიანის უდრეკი და პირდაპირი ხასიათი - მას უკან დახევა არ სჩვეოდა.

როგორც უკვე ითქვა, დ. ყიფიანის მემუარების უდიდესი ნაწილი მის სამსახურებრივ საქმიანობას ეხება. ამ მხრივ იგი დეტალების გადმოცემასაც არ ერიდება, უფრო ძუნწია თავის თავსა და ახლობელ ქართველ მწერლებსა თუ მოღვაწეებზე საუბრისას, მაგრამ მემუარების გაცნობისას მაინც არ იფარება და ერთგვარად მთლიანობაში წამოიმართება დიდი მამულიშვილის ფიგურა, მისი პიროვნული თვისებები.

როგორც დ. ყიფიანი აცხადებს, მის მიერ განვლილ სულის სკოლაში საკმარისად ჰქონდა გაკვეთილები, რომ ერთი უტყუარი წესი შეეთვისებინა - „**პირდაპირ და თამამად** გამოეთქვა თავისი აზრი, მეტადრე მაშინ, როდესაც ამის შესახებ ეკითხებოდნენ“ (47-48).

[24] „ცალკე შეტანილ აზრში“ პროექტზე დართული მოხსენება უნდა იგულისხმებოდეს, რომელშიც ავტორი რეფორმის მნიშვნელობას განმარტავს.

დ. ყიფიანს, მისი სამაგალითო მოთმენის ნიჭის გამო, შეარქვეს „უმომთმინესი ქართველებში“, მაგრამ ამ დიდად მომთმენ კაცსაც ზოგიერთი ყეყეჩი ჩინოვნიკის უსაქციელობის გამო აფეთქება უწევდა.

საზოგადოდ, დ. ყიფიანს გამახვილებული ჰქონდა საკუთარი პიროვნული ღირსების შეგნება და მისი დაცვის გრძნობა. იგი „მიუწდომლად შორს იყო პირმოთნეობისაგან“, რომლის მსგავსსაც ხელქვეითების უმეტეს ნაწილში ხშირად ხვდებიან მათი უფროსები (48).

დ. ყიფიანს უცხო წრეშიც დიდი პატივით ხვდებოდნენ, როგორც ძველ ნაცნობს. „მხოლოდ ამას შეუძლია გამოგვიყვანოს იმ უდაბურ ტყიდან, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით“, - უთქვამთ მასზე, როცა საქმეში ვერ ერკვეოდნენ და თავს ვერ ართმევდნენ (75).

დ. ყიფიანის პიროვნება, როგორც საქმის ერთგულის, დიდად განათლებულის, ქართველთა ქომაგის, მამულიშვილის, ყველას სიმპათიით, ნდობით მსჭვალავდა.

2.7. „1832 წლის ყაზარმობა“

როგორც უკვე ითქვა, დ. ყიფიანმა ცალკე დაწერა მემუარული ნაშრომი 1832 წლის შეთქმულების შესახებ, რომლის გამოქვეყნებაც მას ძალიან ეწადა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ მოესწრო, რამდენადაც თბილისში უკვე სხვა ამბები დატრიალდა და სამოცდათორმეტი წლის დ. ყიფიანიც თავისი პირდაპირობით, პრინციპულობით მსხვერპლად შეეწირა დიდ ქართულ საქმეს, საქართველოს ღირსების დაცვას.

„მემუარების“ ეს ნაწილი „1832 წლის ყაზარმობითაა“ ცნობილი. იგი საყურადღებოა არა მარტო მოცემული მონაკვეთის, არამედ მთლიანად დ. ყიფიანის მემუარების ხასიათის გასაგებად. თავდაპირველად მწერალი საჭიროდ მიიჩნევს, გაგვაცნოს ის პრინციპები, რომელთა საფუძველზეც აგებს თავის ნაშრომს.

მემუარისტი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ სამოცდაათი წლისა, სავსებით ჯანმრთელი, სულიერად დამშვიდებული და თავისუფალი საზოგადოებრივი მოღვაწეობისაგან, თანდათანობით იხსენებს ყველა იმ შემთხვევას, რომლებიც მოხდა მის თვალწინ და მისი მონაწილეობით.

მწერლის სურვილია, მოგონებების წამკითხველებმა, ახლობლებმა და შორეულებმაც, გაიცნონ ის საინტერესო ფაქტები და მოვლენები, მის დროს რომ მოხდა საქართველოში. ამასთანავე, დ. ყიფიანის თქმით, იგი მკაცრად დაიცავს იმ წესს, რომლისთვისაც არ უღალატია მთელი სიცოცხლის განმავლობაში - ყოველი ფაქტი აღნიშნოს ისეთად, როგორადაც მას მიაჩნდა: „სრულებით შეუცვლელად, არც მეტად, არც ნაკლებად“ (114).

მოგონებები აქაც, როგორც პირველ ნაწილში, ტიპური ეპიზოდების შერჩევის წესით არის გადმოცემული. „რაც შეეხება წეს-რიგს, რომელიც უნდა იყოს აღებული ამ ფაქტების მოთხრობის დროს, მე მგონია, რომ ყოველი საქმე სავსებით შეინარჩუნებს თავის საკუთარ კოლორიტს და თავის მნიშვნელობას სხვებთან ერთად, თუ ჩვენ იმათ მოვიყვანთ ეპიზოდური წესით“, - ამბობს მემუარისტი (114).

დ. ყიფიანი საჭიროდ მიიჩნევს, რომ საგანგებოდ ახსნას ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია საყოველთაო უკმაყოფილება, სხვადასხვა განწყობილებისა და ინტერესის, სხვადასხვა შესაძლებლობის ადამიანთა გაერთიანება და შეთქმულებაში ჩაბმა.

დ. ყიფიანი მიზეზების ვრცელ სპექტრს წარმოადგენს ისტორიულ ჭრილში. მისი აზრით, ჩვენი უბედურება და მწარე განცდები მეტწილად გაუგებრობისა და შეცდომების შეუგნებლობით არის გამოწვეული, „შეცდომა და გაუგებრობა კი იმდენი მოგროვდა საქართველოში და ისე გამწვავდა, რომ ამისი შველა უბრალო განმარტებებით უკვე ძალიან ძნელი იყო“ (116).

მოვლენების აღნუსხვას დ. ყიფიანი იწყებს 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით. მისი შეფასებით, ტრაქტატის პირობების შეუსრულებლობამ გამოიწვია საქართველოს დედაქალაქის აკლება სპარსეთის მიერ 1795 წელს. რუსეთის მინისტრ-რეზიდენტი კოვალენსკი, რომელიც იმ დროისათვის იმყოფებოდა საქართველოში, დ. ყიფიანის აზრით, თავად იყო „ყველაზე უფრო მწვავე“ გაუგებრობა.

1798-1799 წლებში საქართველოში შემოვიდა გულიაკოვისა და ლაზარევის პოლკები. მალე ჩამოვარდა უთანხმოება რუსეთის ხელისუფალთა, გენერალ ლაზარევსა და მინისტრ კოვალენსკის, შორის. მათ საქართველოზე ზრუნვისთვის არ ეცალათ. მეორე

მხრივ, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სამეფო ოჯახის წევრები, რომლებიც ბლომად იყვნენ.

დ. ყიფიანის აზრით, ქვეყანაში მოსალოდნელი იყო დიდი არეულობა, რაც მოჰყვებოდა სნეული მეფის გარდაცვალებასა და მრავალრიცხოვან მემკვიდრეებში გაჩაღებულ ბრძოლას. მეფე გიორგიმ - „ავადმყოფობით დასუსტებულმა და სულით-ხორცით დაცემულმა“ - რუსეთის იმპერატორს ქართლ-კახეთში უშუალო მმართველობის დამყარება სთხოვა, რათა ქვეყანა გარეშე მტრებისა და შინაური არეულობისგან დამშვიდებულიყო.

დ. ყიფიანის გადმოცემით, რუსეთის იპერატორი ალექსანდრე ჯერ უარზე დამდგარა, შემდეგ კი დაუკმაყოფილებია მეფე გიორგის თხოვნა. დაიწერა მანიფესტი, რომელიც არც კი თარგმნეს ქართულად და ისე წაუკითხეს სიონის საკათედრო ტაძარში შეკრებილ ხალხს, რასაც „აღშფოთებისა და უკმაყოფილების გრგვინვა“ მოჰყვა (119).

საქმის წარმოება საქართველოშიც ისე სრულდებოდა, როგორც რუსეთის შუა გუბერნიებში. ადგილობრივებს არ ესმოდათ არც რუსული ენა და არც ის წესები, რომლებსაც მათ თავზე ახვევდნენ. ადმინისტრაციის განზრახვანი და მცხოვრებთა ბედი ხელში ჩაუვარდა რამდენიმე წერა-კითხვის უცოდინარ თარჯიმანს.

გაუგებრობას გაუგებრობა ემატებოდა ხალხსა და მმართველობას შორის. ახალმა მმართველობამ სამეფო ოჯახის წევრების განდევნაც კი მოიფიქრა საქართველოდან, რაც უსამართლობად და სისასტიკედ შეფასდა თავად-აზნაურთა ერთი ნაწილის მიერ. განსაკუთრებით კი მარიამ დედოფლისა და გენერალ ლაზარევის სისხლიანი ინციდენტი იქცა მითქმა-მოთქმისა და უკმაყოფილების მიზეზად, როგორც დედაკაცზე, მართლმადიდებელ დედოფალზე, მომხდარი ძალადობა.

საქართველოს მმართველებად დანიშნული გენერლები ადმინისტრაციულ საქმეებსაც ვერ განაგებდნენ, რადგან მთელ დროს ანდომებდნენ სხვადასხვა დაპყრობით ბრძოლებს. „ზოგი ამათგანი ლეკებისგან დარბევას ებრძოდა, ზოგი კიდევ სხვა სახანოების მიწასთან გასწორებას უნდებოდა“ (122). ასე რომ, სამოქალაქო მმართველობა საქართველოში დარჩათ იმ პირებს, „რუსეთიდან რომ მოჰყავდათ და იმათგან შესდგებოდა მთელი პერსონალი საგუბერნიო თუ საოლქო და სამაზრო

მმართველობისა“ (123). მათ განათლებაც ცოტა ჰქონდათ იმისათვის, რომ შესძლებოდათ ღირსეული წარმომადგენლობა ხელისუფლებისა და „ასრულება ხალხის იმ იმედებისა და სასოებისა, რომლითაც ის აღსავსე იყო რუსეთის სახელისადმი“ (123).

ამას ემატებოდა ისიც, რომ კანონები, რომლებიც სრულიად უცხო იყო ქართველებისათვის, ქართულ ენაზე არ იყო თარგმნილი, სამართალი ხალხისთვის გაუგებრად წარმოებდა. მთლიანად უგულებელყოფილი იყო ვახტანგ VI-ის სამართალი, რომლის რუსულ ენაზე გადათარგმნა არც არავის უფიქრია...

საქართველოში რუსეთის მმართველობის დამყარებას მოჰყვა წოდებათა შორის ურთიერთობის გამწვავება. მემუარისტის თქმით, მანამდე ბატონსა და ყმას შორის დამოკიდებულება პატრიარქალური და ოჯახური იყო. „არც სამ-სამი დღის მუშაობისა ბატონისთვის, არც ყალანისა[25], არც ხარკის გადახდისა, როგორც რუსეთში იყო, საქართველოში არა იცოდნენ რა“ (125).

უწინდელი სიყვარული სიძულვილით შეიცვალა, გახშირდა ბატონის მოკვლაც, ხანდახან შურისძიების მსხვერპლი მემამულის მთელი ოჯახი ხდებოდა. ცხადია, მკვლელს დანაშაულს არ პატიობდნენ: მას სიკვდილით დასჯა ან გაციმბირება ელოდა. საბოლოოდ, ორივე მხარე ნადგურდებოდა: „ოჯახური მდგომარეობა გლეხისაც და მისი ბატონისაც, ასის წლობით რომ მტკიცედ ჰქონდათ დაცული გარეშე მტრებისაგან, ახლა მთლად მოისპო, დაერღვათ და დაექცათ ამ ახალი მფარველი ტიტულიარნი სოვეტნიკების მოწყალებით“ (125).

მემუარისტი რუსული მმართველობის დანაშაულად მიიჩნევს იმასაც, რომ ყმობისგან თავის დაღწევის მიზნით დაწყებული სასამართლო პროცესები ათი, ოცი წელი გრძელდებოდა და ორივე მხარის გაღატაკებით მთავრდებოდა.

როცა ვეცნობით დ. ყიფიანის მიერ წარმოდგენილ მიზეზებს, რომლებმაც საყოველთაო აჯანყებები და 1832 წლის შეთქმულება მოამზადა, გვაგონდება შესანიშნავი ქართველი პოეტის, მოქალაქის, ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ფხიზელი დამკვირვებლის, **ალ. ჭავჭავაძის**, „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი 1801-დან 1831 წლამდე“,

[25] ყალანი (ძვ.) - ბეგარა, გადასახადი.

რომელიც XIX საუკუნის 30-იან წლებში დაიწერა, ნახევარი საუკუნით ადრე დ. ყიფიანის მემუარებამდე.

ძალიან დიდია ამ ორი გამორჩეული ქართველის მიერ დასახელებულ მიზეზებში საერთო, ისინი ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან. ერთიც და მეორეც უკმაყოფილების, მღელვარების, აჯანყების მიზეზებს ხედავენ იმ უდიდეს უსამართლობაში, რომელიც რუსეთის მმართველობას მოჰყვა საქართველოში. ადგილობრივ მმართველთა და, საერთოდ, ჩინოვნიკთა სრული უვიცობა და თავხედობა, ადგილობრივი ცხოვრების წესის, ადათ-ტრადიციების უცოდინარობა და სრული უგულებელყოფა, ხალხის აბუჩად აგდება, ენობრივი ბარიერი, ჯარისკაცთა თავაშვებულობა და სიველურე, ლოთობა და გარყვნილება, სასტიკი ეგზეკუციები, მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა, ხალხის მიჩნევა უძლურებად, უვიცებად და ველურებად - ყოველივე ამან შექმნა ნიადაგი აჯანყებებისა და ქვეყნის საუკეთესო შვილთა შეთქმულებისათვის.

ეს აზრი, შეიძლება ითქვას, საერთო აზრია. აქ თანხვდება ერთმანეთს ყველა დიდი ქართველი მწერალი; ასე ფიქრობს დიდი **ილია**. გავიხსენოთ თუნდაც მისი 60-იან წლებში ჩაფიქრებული „მგზავრის წერილები“. ასეთივეა დიდი ქართველი პროზაიკოსის, **ალ. ყაზბეგის**, პოზიცია, როცა თავის „ელგუჯაში“ ხალხის მდგომარეობასა და საერთო განწყობილებაზე წერს: „ლაპარაკი სულ ერთსა და იმავე საგანს შეეხებოდა და ეს საგანი იყო ხალხის მდგომარეობა. ყველას რომელიმე უსამართლოება და ხალხზედ ძალის მიტანა გაეგონა, ყველა ამაზე ლაპარაკობდა, ყველას ეტყობოდა გულის ღრენა და აშკარა სურვილი შეერთებისა, ერთად შებრძოლებისა ხალხის შემაწუხებელ მდგომარეობასთან, რომელსაც ბოლო აღარ უჩანდა და თანდათან ფესვებს იმაგრებდა...“ (ყაზბეგი 1976: 67). ალ. ყაზბეგის თქმით, საქართველოში უამრავი „ბედის მძებნელი ხალხი“ მოდიოდა, „რომელთაც ხელი აეღოთ სინდისზე, ნამუსზე და გამოქცეულიყვნენ საქართველოში, რათა ასცდენოდნენ თავიანთ ქვეყანაში კანონიერ სასჯელს; გამოქცეულიყვნენ საქართველოში, ჩაეგდოთ მმართველობა ხელში და ისე შემაგრებულიყვნენ, რომ თვით მართებლობისგან დანიშნულ მოთავეებსაც ვერა გაეწყოთ-რა იმათთან“ (ყაზბეგი 1976: 67).

უნდა გარკვევით ითქვას, რომ, მე-19 საუკუნის საქართველოში არსებული მძიმე რეალობიდან გამომდინარე, ყველა დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ოფიციალურად მხარს უჭერდა ჩვენი ქვეყნის კავშირს რუსეთთან, მაგრამ აპროტესტებდა იმ უხეშ პოლიტიკას, იმ ძალადობას, რომელსაც რუსეთის იმპერია საქართველოში და, საერთოდ, დაპყრობილ ქვეყნებში იჩენდა. ესაა ქართველთა ეროვნული ბრძოლის შინაარსი მთელი XIX საუკუნის განმავლობაში და სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას ჩვენი მემუარისტი.

დ. ყიფიანი, რომელიც მაშინ გიმნაზიაში მასწავლებლად მუშაობდა, შეთქმულების ერთ-ერთ ჯგუფში აღმოჩნდა. „1832 წლის ყაზარმობაში“ მემუარისტი არ საუბრობს შეთქმულებაში მონაწილეობის საკუთარ მიზეზებსა და მიზნებზე, დაწვრილებით არც გადასახლებაში გატარებულ წლებს აღწერს, მაგრამ მისი ნააზრევი მნიშვნელოვანია შეთქმულების მონაწილე ზოგიერთი პირის დახასიათებისათვის; კერძოდ, დ. ყიფიანი შთამბეჭდავად აღწერს შეთქმულების გამცემ ი. ფალავანდიშვილთან „პირველ და უკანასკნელ შეხვედრას“[26]:

„შესახედაობა ჰქონდა ძალიან რიგიანი, მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი, გარეგნობა ატყუებსო. ეს შესახედავად ასეთი მორიდებული, სათნო ადამიანი, დაუძინებელი მტერი აღმოჩნდა ყოველი წესწყობილებისა და ამასთან ისეთი სისხლისმსმელი ადამიანი, რომლის მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არავინ არ შემხვედრია.

მისი აღგზნებული სიტყვები იმდენად მძვინვარე და იმდენად შეუბრალებელი იყო, რომ იქ დამსწრეთა უმრავლესობამ დიდი ზიზღი იგრძნო იმ საქმისადმი, რის ჩადენასაც ის ურჩევდა და ყოველი მისი რჩევა სრულიად უკუაგდეს“ (ყიფიანი 1930: 128). დ. ყიფიანის თქმით, ი. ფალავანდიშვილი მოითხოვდა რამდენიმე წარჩინებული ქართველის, მათ შორის თავისი ძმის, ნიკოლოზის, მოკვლას.

საინტერესოა მემუარისტის მოსაზრება შეთქმულების გაცემის მოტივის შესახებ. დ. ყიფიანის გადმოცემით, **იასე ფალავანდიშვილმა გულის აცრუება შეატყო შეთქმულებს და იმის შიშით, ვინმე გამცემი არ გამოჩნდესო, საიდუმლო ორგანიზაციის დაბეზღების ქაღალდი მთავრობას წარუდგინა,** რასაც შეთქმულთა დაპატიმრება მოჰყვა.

[26] დ. ყიფიანის მიერ მიცემული ჩვენებებიდან ირკვევა, რომ იგი ი. ფალავანდიშვილს შეთქმულთა წრეში რამდენჯერმე შეხვდა, რასაც რატომღაც არ ამჟღავნებს თავის მემუარებში.

არსებობს სხვა შეხედულებაც: აჯანყების ერთ-ერთი მოთავის, ალ. ორბელიანის, აზრით, **იასე ფალავანდიშვილის ორგულობის მიზეზი ორბელიანების ოჯახთან ფალავანდიშვილების პირადი მტრობა და სიძულვილი უნდა გამხდარიყო.**

ალ. ორბელიანის გადმოცემით, ფალავანდიშვილები გლეხები ყოფილან, გვარად ყორჩიშვილები. ახალ დროში იასეს ძმამ, ნიკოლოზმა, ჯერ აზნაურობა მიიღო და შემდგომ „თავადობის ღირსების“ მძებნელი შეიქნა. ალექსანდრეს მამა, ვახტანგ ორბელიანი, რომელიც მაშინ თავად-აზნაურთა წინამძღოლი (მარშალი) იყო, წინ აღუდგა ფალავანდიშვილის სურვილს, თუმცა მოგვიანებით ნიკოლოზმა მაინც შეძლო თავადობის დამტკიცება და რუსეთის ერთგული სამსახურით გუბერნატორობასაც მიაღწია. ალ. ორბელიანი შეთქმულთა უპირველეს მტრად სწორედ ნიკოლოზს მიიჩნევს, რომელმაც „თავის ძმას იასეს საქართველოს ამთენი თავადები გააუბედურებინა“ (ქართული მწერლობა 1992: 182).

როგორც ჩანს, იასე ფალავანდიშვილი უნებისყოფო და მხდალი ადამიანი იყო. მას თავდაპირველად შეთქმულებთან გულწრფელი ურთიერთობა უნდა ჰქონოდა, შემდეგ კი ძმის ზეგავლენით თავის გადასარჩენად ღალატის გზას დაადგა.

დ. ყიფიანი ვრცლად და საინტერესოდ აღწერს ავლაბრის ყაზარმებში გატარებულ პერიოდს. მისი თქმით, ყველა პატიმარი სათითაოდ გამოამწყვდიეს საკანში. მათ მიუჩინეს დარაჯი, რომელიც საათობით ხმის ამოუღებლად და გაუნძრევლად უნდა მდგარიყო. ზედამხედველთა ყოფა ჩვენსაზე უარესი იყოო, - აღნიშნავს დ. ყიფიანი.

სამი თვის შემდეგ ორ-ორი და სამ-სამი პატიმარი ჩასვეს ერთ ოთახში, რამაც მათი მდგომარეობა საგრძნობლად შეამსუბუქა. თავდაპირველად დ. ყიფიანი თავის სიყრმის მეგობართან, ზაალ ავთანდილაშვილთან (ავთანდილოვთან), ერთად აღმოჩნდა საკანში, შემდეგ იგი თეკლე ბატონიშვილის ვაჟებთან, ალ. და ვ. ორბელიანებთან, გადაიყვანეს.

პირველ ხანებში პატიმრებს კარგად ეპყრობოდნენ. დ. ყიფიანი წერს: „თითონ ასწრებდნენ ჩვენს სურვილებს, გვაჭმევდნენ კარგად, დილაზე ვისაც რა იამებოდა, იმას გვაძლევდნენ, ვის ჩაის, ვის ყავას და მე კი კაკაოსა. საღამოობით კი ყველას ჩაის“ (ყიფიანი 1930: 129). ყაზარმების კომენდანტს, შოსტენკოს, შეუმჩნეველი არ დარჩენია, რომ დ. ყიფიანი მხოლოდ კაკაოს ეტანებოდა და მისთვის უკითხავს:

„ - საიდან გაგიჩნდათ ასეთი ჟინი კაკაოს დალევისაო?

- ეს ჟინი არ გახლავთ, პოლკოვნიკო, ექიმმა მიბრძანა ვსვა, როგორც წამალი, მე გული მტკივა.

მაშინ მართლა მე, 18 წლისას, გული მტკიოდა“ (129).

პატიმრებს, ასევე, უფლება მისცეს, ესარგებლათ შტაბის ბიბლიოთეკით - ეკითხათ „სულის საცხონებელი წიგნები“, ოჯახიდან მიეღოთ საჭმელი და პირადი ნივთები.

მდგომარეობა შეიცვალა საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარედ გენერალ ჩევკინის დანიშვნის შემდეგ. მან დაამყარა ახალი წესრიგი, რომელიც „განსხვავდებოდა წინად მიღებული ადამიანური და ასე ვსთქვათ, განათლებული მოპყრობისაგან“ (132). დ. ყიფიანის თქმით, რაიმე იარაღით წამება არც ჩევკინის დროს იყო, მაგრამ „შემოიღეს ფეხების დაბრაგუნება, დაყვირება, შეტევა; ხან ერთს გაიყვანდნენ კამერიდან, ხან მეორეს და ცალკე დაამწყვდევდნენ, ცარიელ ხმელ პურზე, ერთი დღით კი არა, მთელი კვირაობით და თვეობითაც“ (132).

გამოძიებამ ერთ წელიწადს გასტანა. საქმეში ას კაცზე მეტი ერია, რომელთაც საზოგადოებაში თვალსაჩინო ადგილი ეჭირათ. მათი უმრავლესობა ადმინისტრაციული წესით დასაჯეს იმპერატორის, ნიკოლოზ პავლეს ძის, სურვლით, რომელმაც „თვისი სიდინჯე, მეფური სამართლიანობა გამოიჩინა“ (133).

დ. ყიფიანი ცალკე გამოყოფს თორმეტ თუ ცამეტ კაცს, რომლებიც სამხედრო სამართალში მისცეს. მათგან უმაღლესი სასჯელი მიესაჯა ექვს კაცს - შეთქმულების მოთავეებს: ელიზბარ ერისთავს, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებს, მამუკა ორბელიანს, თათარ მოლლა-ზამანს, სოლომონ დოდაშვილს[27].

მემუარისტი მიიჩნევს, რომ იასე ფალავანდიშვილი, როგორც „ყველაზე მძვინვარე შეთქმული, საშინელი განზრახვებით“, უდიდეს სასჯელს იმსახურებდა, მაგრამ „პატივი დასდეს იმის მიერ დაბეზღებას მთავრობასთან“ და ადმინისტრაციულ სასჯელს დააჯერეს - ფინეთის კორპუსში გააწესეს უნტეროფიცრად (135).

---

[27] შეთქმულები რამდენიმე კატეგორიად დაყვეს; კერძოდ: ე. ერისთავი, ს. დოდაშვილი, ალ. ორბელიანი... მიაკუთვნეს დამნაშავეთა მეორე კატეგორიას - „ვინც იყვნენ შეთქმულების წამომწყებნი და სხვებსაც უბიძგებდნენ შეთქმულების და თვით აჯანყებისკენ“. დიმიტრი ყიფიანი დამნაშავეთა მეოთხე კატეგორიაში აღმოჩნდა - „ვინც განზრახვაზე თანხმდებოდა და მონაწილეობას იღებდა შეთქმულების არსებობის მანძილზე ერთ-ერთ წელს, ოღონდ არა ქმედითად, ხოლო აჯანყების განზრახვა იცოდა ნაწილობრივად“.

დ. ყიფიანი ყურადღებას ამახვილებს სამ რუს ჩინოვნიკზე (პაუშენკო, მელნიკოვი და ზავილეისკი). მისთვის გაუგებარია, თუ როგორ გაერივნენ ისინი „ყაზარმობის საქმეში“. მემუარისტის სიტყვით, სამივე უმწიკვლო რეპუტაციით სარგებლობდა: პაუშენკოს ყველა იცნობდა, როგორც ნიჭიერ და სამაგალითო ჩინოვნიკს, მელნიკოვი მიიჩნეოდა მრისხანე და პატიოსან პოლიცმეისტერად, ზავილეისკი კი მეგობრობდა ორ გამოჩენილ ქართველთან: ალ. ჭავჭავაძესა და საქართველოს უზენაესი მმართველობის[28] პროკურორ ი. ჭილაშვილთან.

როგორც უკვე ითქვა, **ალ. ორბელიანი** თავის მოგონებაში ახსენებს ჩინოვნიკ პ.-ს, რომელიც სწორედ დ. პაუშენკო უნდა იყოს: „ერთმა მცოდნე ჩინოვნიკმა (პ...) მითხრა წინათ, თუ ეს ჩვენი საქმე გამოცხადდა და დაგვიჭირეს, მე მხოლოდ თქვენზე დიდს ნაკლულებას ვიტყვი. იციან, მე და თქვენ დიდი მეგობრები ვართ, ამის გამო მე აღარ გავტყდები და თქვენთვისაც სასარგებლო იქნება“ (ქართული მწერლობა 1992: 184).

ასევე, დ. ყიფიანი თავის პირველ ჩვენებაში (13 დეკემბერი, 1832) აღწერს ელიზბარ ერისთავთან სტუმრობის ამბავს, რომელიც სიძის, მელნიკოვის, სახლში ცხოვრობდა. საკვირველი არ იქნებოდა, რომ აჯანყების მოთავის უახლოესი ნათესავი შეთქმულთა იდეების გამზიარებელი ყოფილიყო. იგივე შეიძლება ითქვას ზავილეისკიზე, რომელიც ალ. ჭავჭავაძესთან მეტად დაახლოებული პირი იყო.

აშკარაა, რომ მემუარისტი „სამ რუს ჩინოვნიკზე“ ხელის დაფარებას ცდილობს, თუ რატომ, უცნობია.

დ. ყიფიანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსეთის მთავრობას სიკვდილით არავინ დაუსჯია და, თუკი ვინმე ამას ამტკიცებს, „უსირცხვილოდ სტყუის“.

მართლაც, 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთათვის გამოტანილი სასჯელი იმაზე მსუბუქი გამოდგა, ვიდრე ნიკოლოზ I-ისაგან იყო მოსალოდნელი. თ. ჯოლოგუას აზრით, „მონარქიას განზრახული ჰქონდა, საქართველოსა და საერთოდ კავკასიაში თავისი კოლონიზატორული პოლიტიკის დასაყრდენად ქართველი არისტოკრატია გადაექცია და მისთვის უფრო ადვილი და მოსახერხებელი იყო, ურთიერთობა ჰქონოდა შეწყალებულ და არა დასჯილ ფენასთან“ (ჯოლოგუა 2007: 253).

[28] საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ შეიქმნა საქართველოს უზენაესი მთავრობა, რომელმაც 1838 წლამდე იარსება.

შეთქმულთა შეწყალება რუსული მმართველობის მიზანმიმართული ნაბიჯი იყო: მადლიერი მეამბოხეები დანაშაულის გამოსყიდვას ხელმწიფე იმპერატორის ერთგული სამსახურით შეეცდებოდნენ; ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმ დროს რუსეთი დაპყრობით ომს აწარმოებდა ჩრდილოეთ კავკასიაში და ქართველ თავადაზნაურობასთან ურთიერთობის გამწვავება მისთვის არახელსაყრელი იყო.

ძალიან საინტერესოა მემუარებში აღწერილი დ. ყიფიანის შეხვედრა ინგლისელ ცოლ-ქმარ ურკვორტებთან პარიზში 1866 წელს, რამაც ავტორს „1832 წლის ყაზარმობის“ დაწერა შთააგონა.

მისტერ ურკვორტი ოცდაათიან წლებში კონსტანტინოპოლში, ინგლისის საელჩოში, მსახურობდა და დიპლომატიურ წრეებში რუსების დიდ მოძულედ მიიჩნეოდა. მისი აზრით, „რაც კი რამ სიბოროტე ხდებოდა დედამიწის ზურგზე, მიზეზი ერთადერთი რუსეთი იყო. ოღონდ ყველგან მოიპოვოს მფლობელობა რუსეთმა და ამისათვის არაფერს არ დაზოგავს არც ფულითა და არც ზნეობითო“ (ყიფიანი 1930: 115). ინგლისელებს ადარდებდათ, რომ სხვა სახელმწიფოთა ლიდერებს შორსმჭვრეტელობა არ ჰყოფნიდათ და რუსულ ოქროზე იყიდებოდნენ. რუსეთის მიერ ჩადენილ სისასტიკეთა ერთ-ერთ მაგალითად ცოლ-ქმარმა კავკასიაში შეთქმულების სისხლში ჩახშობა მოიყვანა - დაახლოებით ორმოც კაცს, საუკეთესო გვარიშვილებს, თავები დააყრევინესო.

დ. ყიფიანი, ერთი მხრივ, ინგლისელთა უსაფუძვლო ბრალდებებს უარყოფს, მით უმეტეს, იმ ორმოც კაცთაგან ერთ-ერთი თავად არის, მეორე მხრივ, ურკვორტების მონოლოგის დეტალურად გადმოცემით რუსული პოლიტიკისადმი ევროპის დამოკიდებულებას გვიჩვენებს.

2.8. დიმიტრი ყიფიანის მემუარების დამატება - „ჩემი მონაწილეობა 1832 წლის შეთქმულებაში“

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ს. ხუნდაძემ დ. ყიფიანის მემუარებს დაურთო დამატება სათაურით: „ჩემი მონაწილეობა 1832 წლის შეთქმულებაში“, რომელიც **პატიმრის მიერ მიცემული პირველი ჩვენებაა.** იგი 1832 წლის 13 დეკემბრით თარიღდება (შეთქმულება, როგორც ცნობილია, 9 დეკემბერს გაიცა, დაპატიმება კი 11 დეკემბრიდან დაიწყო).

დამატება დ. ყიფიანის „მემუარების“ მეორე (რედ. ს. ხუციშვილი) და მესამე (რედ. თ. ჯოლოგუა) გამოცემებშიც გადავიდა.

როგორც წესი, მემუარისტები მოგონებებში ხშირად რთავენ ამონარიდებს დღიურებიდან, ჩანაწერებსა და სხვა დოკუმენტებს, რაც ქმნის უტყუარობისა და ავთენტურობის შთაბეჭდილებას. რედაქტორ ს. ხუნდაძის მიერ დ. ყიფიანის მემუარებზე დართული ჩვენება კი ასეთი დოკუმენტი არ არის: 1. მემუარებში დოკუმენტს რთავს ავტორი და არა - წიგნის რედაქტორი; 2. თავის გასამართლებლად მიცემული აღიარებითი ჩვენება ნაკლებად სარწმუნო და დასაჯერებელია; 3. ჩვენებაში მეტად არასახარბიელოდაა დახატული დ. ყიფიანისა და შეთქმულების სხვა მონაწილეთა სახეები, რაც ეწინააღმდეგება „1832 წლის ყაზარმობაში“ მემუარისტის მიერ ასახულ ფაქტებს.

ს. ხუნდაძის აზრით, „ეს ჩვენება საინტერესო ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს; ერთი მხრივ, იგი სისწორით გადმოგვცემს შეთქმულთა საქმიანობის **რამდენიმე მომენტს**, ხოლო, მეორე მხრივ, იგი რამდენადმე გვისურათებს ჩვენი მაშინდელი ინტელიგენციის კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობასაც“ (171).

ჩვენების მიხედვით, დ. ყიფიანი შემთხვევით აღმოჩნდა შეთქმულთა წრეში. იგი ამბობს: „1831 წლის ნოემბერში იყო ჩემთან ჩემი ამხანაგი მასწავლებელი ავთანდილოვი, რომელსაც როგორღაც შევსჩივლე ჩემს მარტოობაზე, რომ მე სრულებით არა მყავს ნაცნობები, რომლებთანაც შემეძლოს თავისუფალი დრო მხიარულად გავატარო და რომ ამიტომ ხანდახან ვგრძნობ მეტისმეტ მოწყენილობას“ (137).

ორი კვირის შემდეგ ზ. ავთანდილაშვილმა დ. ყიფიანს გააცნო თეკლე ბატონიშვილის ვაჟები, ალ. და ვ. ორბელიანები, და მათი დეიდაშვილი, გიორგი ერისთავი (გლუხარიჩი). იგი თანდათან დაუახლოვდა დანარჩენ შეთქმულებსაც ისე, რომ მათი განზრახვის შესახებ არაფერი იცოდა. დ. ყიფიანი მათ საზოგადოებაში ატარებდა თავისუფალ დროს, ესმოდა ფრთხილი მსჯელობა და საიდუმლო ჩურჩული, რაც მასში დიდ ინტერესს იწვევდა.

დ. ყიფიანი ჩვენებაში დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ გაანდო გ. ერისთავმა საიდუმლო, რომელმაც მასში დიდი შიში და შფოთვა გამოიწვია:

„ერისთავი: ნუ შიშობ... როგორ კანკალებ! ჩვენი საქმის წამომწყებნი ცნობილი მთავარი პირები არიან, განსაკუთრებით **ჭავჭავაძე**, რომელიც შენ საკმაოდ კარგათ გიცნობს და გვეუბნებოდა, რომ როგორმე შენ...

მე (ცოტა მორბილებულად): - ჰო, ჰო! რომ მე ჩაგეჭირეთ! წააქეზე ჩემი თავმოყვარეობა... შემდეგ?..

ერისთ. I - ამრიგად, ახლა შენ ჩვენი ხარ. თავისთავად ცხადია, რომ მე არ მცოდნოდა, რომ შენ გაქვს გონიერება, რომ შენაც სავსებით შეგიძლია იგრძნო სიყვარული და თავდადება შენი სამშობლოსადმი, რომელიც ახლა საკმაოდ კრიტიკულ მდგომარეობაშია, მაშინ, რა თქმა უნდა, ამ მნიშვნელოვან საქმეს არ გაგიმჟღავნებდი. აბა, ახლა შენი იმედი მაქვს...“ (139).

(დ. ყიფიანის სხვა ჩვენებაში, რომელიც 1833 წლის 7 თებერვლით თარიღდება, უფრო სრულადაა გადმოცემული გ. ერისთავის მონოლოგი: „გამიგონე! მე შენ ერთ საიდუმლოს გეტყვი, მაგრამ ნუ გეშინია, კარგად მომისმინე: ჩვენ **შევადგინეთ საზოგადოება,** რომელიც აწყობს... ერთი სიტყვით, **შეთქმულებას,** რომლის მხურვალე მონაწილეც თვით **ალექსანდრე ჭავჭავაძეა.** ის შენ გიცნობს და დაგვავალა როგორმე **მასთან მიგიყვანოთ.** რასაკვირველია, მე რომ არ ვიცოდე, რომ შენ უკვე ისეთ ასაკში ხარ, შეგწევს შეგნება იგრძნო, **თუ რას ნიშნავს სამშობლოსადმი სიყვარული და რომ შენში იგი არსებობს,** მე შენ არასოდეს გაგიმჟღავნებდი. **უნდა როგორმე გავათავისუფლოთ საქართველო უსამართლო მმართველობისაგან**“ (გოზალიშვილი 1970: 250).

დ. ყიფიანის სიტყვით, მან დაიწყო ფიქრი ამ მნიშვნელოვან საქმეზე და გადაწყვიტა შეთქმულებს გარკვეულ „დრომდე“ არ ჩამოშორებოდა.

საიდუმლო ორგანიზაციის წევრებს სურდათ, დახმარება ეგვიპტის ფაშისა და კაზი-მულასთვის (დაღესტნელი იმამი, შამილის მასწავლებელი) ეთხოვათ; ისინი აგრეთვე აპირებდნენ რუსეთში „რომელიღაც ბატონიშვილთან“ კაცის გაგზავნას. წასვლის სურვილი დ. ყიფიანმაც გამოთქვა, თუმცა სხვა მიზნით: „წასვლის სურვილი აღტაცებით განვაცხადე მე, მაგრამ **მათ ხარჯზე და სავსებით სხვა განზრახვით**: წავსულიყავ

პეტერბურგში და აღარ დავბრუნებულიყავ; და პირველად ჩემს ცხოვრებაში მინდოდა **მათი მოტყუილება**; მაგრამ არ ვიცოდი, რომ **ტყუილებში ისინი უფრო მოხერხებულნი არიან**“ (ყიფიანი 1930: 141-142).

დ. ყიფიანი იხსენებს, როგორ გააცნო გ. ერისთავმა შეთქმულებს „ვიღაც კახელი ბერის მიერ“ (ფილადელფოს კიკნაძის) დაწერილი აქტი, რომლის მიზანიც ფარული ძმობის შექმნა იყო. შეთქმულებს ფიცი უნდა დაედოთ, რაზეც დ. ყიფიანმა და ზ. ავთანდილაშვილმა უარი თქვეს.

დ. ყიფიანი ჩვენებაში აღწერს რამდენიმე საიდუმლო შეხვედრას. შეკრებებზე მონაწილეები კითხულობდნენ გაზეთებსა და მხატვრულ ნაწარმოებებს (გ. ერისთავის „ოსურ მოთხრობას“, ს. რაზმაძის მიერ რუსულიდან თარგმნილ მიცკევიჩის „ფარისს“...), საუბრობდნენ ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებსა თუ აჯანყების ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

როგორც ჩანს, შეთქმულებს გლეხების იმედი ნაკლებად ჰქონდათ, ამიტომაც „ბრბოს აღსაშფოთებლად“ სურდათ, ახალწვეულთა შეკრების შესახებ ხმა დაერხიათ, დაექირავებინათ ცრუ მოქადაგეები, რომლებიც ხალხს წმ. მარიამისა და წმ. გიორგის სურვილებს „გადასცემდნენ“ და აჯანყებაში მონაწილეობისაკენ მოუწოდებდნენ.

ჩვენების მიხედვით, სხვადასხვა მიზეზის გამო რამდენჯერმე შეიცვალა აჯანყების დაწყების დრო. ბოლოს, შეთქმულები 1832 წლის 20 ნოემბერზე შეთანხმდნენ, მაგრამ, რადგან „საქმეში ავტორიტეტის მქონე თავადები“, გენერალი ალ. ჭავჭავაძე და მაიორი ლუარსაბ ორბელიანი, ვერ მიიმხრეს, გეგმა ჩაიშალა.

დ. ყიფიანი თავს შეცდომაში შეყვანილად მიიჩნევს და ნანობს, რომ უმადურობა გამოიჩინა რუსეთის მთავრობის მიმართ. ის იმედოვნებს, რომ მის ახალგაზრდობას გაითვალისწინებენ და საშუალებას მისცემენ, ემსახუროს „ყოვლად მოწყალე და კეთილ მონარქს, თავისი გზააბნეული შვილების გულშემატკივარ მამას“ ისე, როგორც ერთგულ ქვეშევრდომს შეჰფერის (147).

2.9. შეთქმულებაში დიმიტრი ყიფიანის მონაწილეობის შესახებ

ჩვენების მიხედვით, დ. ყიფიანი შეთქმულების შემთხვევითი, პასიური წევრია. ს. ხუნდაძის აზრით, აქ „გულწრფელ აღსარებასთან გვაქვს საქმე და მისი [დ. ყიფიანის] ჩვენება ახლო არის ფაქტიურ მდგომარეობის ვითარებასთან; მართალია, რამდენიმე ფაქტს ავტორი ცდილობს არ შეეხოს ან გაკვრით გააშუქოს, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს ფაქტები სხვებს შეეხებოდნენ“ (171).

ს. ხუნდაძემდე და შემდგომაც არაერთი მოსაზრება გამოითქვა შეთქმულებაში დ. ყიფიანის მონაწილეობის შესახებ.

არჩ. ჯორჯაძის აზრით, დ. ყიფიანი 1832 წლის შეთქმულების შემთხვევითი მონაწილე იყო, „რომლის ქსელში თავისდაუნებურად გაება“ (ჯორჯაძე 1989: 399); იგი თანაუგრძნობდა შეთქმულებს, თუმცა, „როდესაც საქმე მოქმედებამდე მივიდა, დიმიტრიმ შეთქმულთა წრეს თავი დაანება. გრძნობდა, რომ დიდი სისხლის ღვრა უნდა მომხდარიყო და შედრკა. დიმიტრი მშვიდი და ჩაფიქრებული ბუნების კაცი იყო. მეამბოხეობა მის გულს არ ეთვისებოდა“ (ჯორჯაძე 1909: N 262).

ა. ბაქრაძის შეფასებით, „დ. ყიფიანზე მკაფიოდ მე-19 საუკუნეში არავის გამოუხატავს ქართველთა ეროვნული ცნობიერების გაორება და დაბნეულობა“ (ყიფიანი 1990: 7).

რ. ჩხეიძე მიიჩნევს, რომ დ. ყიფიანი „უნებლიეთ გაეხვა საიდუმლო შეთქმულებაში და დიდად თავგამოდებული არა ყოფილა“ (ჩხეიძე 1996: 43).

საინტერესოა რუსი სახელმწიფო მოხელის, **კორნელი ბოროზდინის**[29] თვალსაზრისი. მისი ნაშრომები, „ბატონყმობა საქართველოში“, „სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებანი“, ავტორის ტენდენციურობის მიუხედავად, საქართველოს ისტორიის საყურადღებო წყაროებად მიიჩნევა. კ. ბოროზდინის გადმოცემით, მეფისნაცვალ მურავიოვის მიერ წამოყენებული დ. ყიფიანის კანდიდატურა კანცელარიის დირექტორის თანამდებობაზე 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო არ დაამტკიცეს: „სთქვეს, ყიფიანი ახალგაზრდობაში ორგულთა წრეში ერიაო და ეს მიზეზი, თუმცა სრულიად უადგილო იყო, მაინც ხელზე დაიხვიეს“ (ჯოლოგუა 2007: 54).

ის, რომ რუსეთის მთავრობა დ. ყიფიანს ბოლომდე არ ენდობოდა, დოკუმენტურადაც მტკიცდება.

[29] კ. ბოროზდინი (1828 – 1896) - რუსი სახელმწიფო მოხელე, ეკატერინე დადიანის მდივანი და მისი შვილების აღმზრდელი, სენაკისა და თელავის მაზრების უფროსი.

ი. უთურაშვილის შეფასებით, დ. ყიფიანი შეთქმულებაში მონდომებით იყო ჩართული. „მართალია, ის არ იყო შეთქმულების მეთაური, მაგრამ სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილს შეთქმულების ბელადობა არც მოეთხოვებოდა, მით უმეტეს, რომ შეთქმულთა შორის არაერთი გამოჩენილი, დიდად ავტორიტეტული მოღვაწე იყო გარეული“ (უთურაშვილი 2011: 118).

თ. ჯოლოგუა დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ასაბუთებს, რომ „შეთქმულების გაცემის წინა დღეებში დიმიტრის მონაწილეობით მუშავდებოდა ყაზარმების, არსენალის, ჰაუპტვახტის, ხაზინისა და სასურსათო ობიექტების ხელში ჩაგდების გეგმა. ამდენად, იგი იცნობდა „პირველი ღამის განკარგულებას“ და შეთქმულნი დიმ. ყიფიანის თანდასწრებითვე მსჯელობდნენ იმაზე, თუ რა საქმე ჩაებარებინათ მისთვის აჯანყების ღამეს“ (ჯოლოგუა 2011: 255-256).

თ. ჯოლოგუას აზრით, შეთქმულებაში დ. ყიფიანის მონაწილეობის არსებით მომენტებზე არასწორი მოსაზრებებია დამკვიდრებული, რისი მიზეზიცაა შეთქმულთა ჩვენებების ეჭვმიუტანლად მიღება. „სარწმუნოდ მხოლოდ ის ცნობები შეიძლება მივიჩნიოთ, სადაც შეთქმულები იძულებულნი ხდებიან აღიარონ თავიანთი ან სხვისი მონაწილეობა შეთქმულებაში საერთოდ და, კერძოდ, მასთან დაკავშირებულ ცალკეულ ფაქტებსა თუ მოვლენებში... რაც შეეხება უტყუარ წყაროს - კერძო მიმოწერას - მათი უდიდესი ნაწილის განადგურება შეთქმულებმა მოასწრეს“ (ჯოლოგუა 1997: 200). ამას ადასტურებს **ალ. ორბელიანის**, ასევე, მისი ძმიშვილის, **მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის**, მოგონებები.

ალ. ორბელიანი დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ გადამალა და გაანადგურა საიდუმლო ქაღალდები, რომლებიც შეთქმულთა მთავარ მამხილებელ საბუთად შეიძლებოდა ქცეულიყო: „მინამ დაგვიჭერდნენ, ერთის თვის წინათ გული მიგრძობდა ჩუენს დაჭერას, ამიტომ ჩემი საიდუმლო ქაღალდები და **ის ჩემი დაწერილი ძველი ამბების სია** ერთს ქილაში ჩავაწყე, ზევიდგან ერთი სალა სიპი ქვა პირზედ დავადე; საკუჭნაოს კუთხეში მე და ჩუენმა გრიგოლა დიაკვანმა ორმო მოვთხარეთ. ის ქილა შიგ ჩავდგი და მიწით ამოამსე ამ სიტყვით: გრიგოლა დიაკვანო, შენ ჩემი სარწმუნო პირი ხარ და ჩუენი ყმაწვილკაცები, ვინიცობა არის, რა ვიცი, იქნებ, დაგვიჭირონ, ეს ქილა მაშინვე

ამოიღე და რაც ამაში ქაღალდები იყოს, საჩქაროთ დაწვი, მაგრამ გაუფრთხილდი დაწვის დროს არავინ გნახოს“ (საოჯახო ბიბლიოთეკა 2009: 48). ქილაში ალ. ორბელიანის ბიძის, ალექსანდრე ბატონიშვილის, საპასუხო წერილიც ინახებოდა, რომელიც სხვა ქაღალდებთან ერთად დიაკვანმა გაანადგურა.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი გვიამბობს: „[მამამ] თავისი ცხოვრების მემუარებიც თან ჩაიტანა საფლავში: საწყალს თავის ტანჯულ წარსულსა და უიმედო აწმყოზე არ უყვარდა ლაპარაკი. მე იმედი მქონდა, რომ თავის ვეება საწერ მაგიდაში აღმოჩნდებოდა რაიმე მისი ხელნაწერი ან წერილები მეგობრებისა: დიმიტრი ყიფიანისა, გრიგოლ ორბელიანისა, კონსტანტინე მამაცაშვილისა, გიორგი ერისთავისა (თავისი დეიდაშვილისა), მაგრამ ამაოდ. ვერაფერი ვერ ვნახეთ. რა იქნა, თუ რამე იყო? ვფიქრობ, ამგვარი ქაღალდების შენახვა საშიში იყო და ამიტომ არც ინახავდა“ (64).

შეთქმულებაში დ. ყიფიანის მონაწილეობის შესახებ მისი მემუარები და, მით უფრო, აღიარებითი ჩვენებები სრულ და ამომწურავ ინფორმაციას არ იძლევა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დ. ყიფიანის „1832 წლის ყაზარმობა“ რუსულ ჟურნალში დასაბეჭდად იყო გამიზნული. მის მკითხველს კი მეამბოხე ქართველების თავგადასავალი ნაკლებად აინტერესებდა.

დ. ყიფიანი ერთიანი, მონოლითური პიროვნება იყო და მერყეობა არ ახასიათებდა. ა. წერეთლის სიტყვით, იგი „იმ თავიდან ამ ბოლომდე, სიყრმიდან სიბერემდე სულ თურმე საქართველოზე ჰფიქრობდა, - ცოტას ჰფიქრობდა პირადობაზე. დიდკაცობა და ძალა მიტომ უნდოდა, რომ ხალხში მეტი გავლენა ჰქონებოდა და მეტი სარგებლობა მოეტანა საქართველოსათვის. იმან კარგად იცოდა, რომ იმ დროში, კაცი გენიოსიც რომ ყოფილიყო, თუ მის ადამიანობას რუსის ბეჭედი არ ექნებოდა დაკრული, არავინ რას გაუგონებდა“ (წერეთელი 1989: 114).

დ. ყიფიანი, ალ. და ვ. ორბელიანები, გ. ერისთავი, ზ. ავთანდილაშვილი... ბოლომდე მეგობრებად და თანამოაზრეებად დარჩნენ. მათი მონაწილეობით არაერთი საქვეყნო საქმე გაკეთდა; კერძოდ, დ. ყიფიანმა ალ. ორბელიანის თხოვნით შეადგინა და 1882 წელს გამოსცა ქართული ენის გრამატიკა; გავრცელებულია აზრი, რომ გ. ერისთავს, დ. ყიფიანის რეკომენდაციით ანდეს „ცისკრის“ რედაქტორობა და ქართული თეატრის

მესვეურობა[30]; ე. ერისთავი და ვ. ორბელიანი იყვნენ დამფუძნებელი წევრები 1842 წელს დ. ყიფიანის ინიციატივით დაარსებული „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა“; ვ. ორბელიანი იყო, აგრეთვე დიმიტრის მიერ დაარსებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი...

1880-იან წლებში დ. ყიფიანსა და ვ. ორბელიანს შორის გაიმართა ერთგვარი ლიტერატურული დიალოგი; კერძოდ, ვ. ორბელიანმა დ. ყიფიანს მიუძღვნა ლექსები: „ძველს მეგობარს“ და „ბაქარ ქართლელს“. დიმიტრიმ ძველ მეგობარს ლექსითვე („ძველი მეგობრის პასუხი“) უპასუხა:

„... გვამხილე, რაც კი აღმადგენია მოთხრობის ძალით;

რაც რომ შემძლეა გვემული სულის განმტკიცებისა;

სამშობლო ქვეყნის, სამშობლო ენის აღმაფრენისა...“ (ქართული მწერლობა 2003: 7).

დ. ყიფიანი თანამოაზრეს სთხოვს „მოთხრობის ძალით“ დაუსახოს ქართული სულის განმტკიცების, სამშობლოსა და მშობლიური ენის აღდგენის გზები, „...ოღონდ ნუ გვეტყვი, რომ ვერ მოგვესწრო, მოგვბერე შენი ცხოველი სული ძმობილთა შენთა“ (7).

ამ ლექსიდან კარგად ჩანს, რომ შეთქმულებს ყმაწვილური ოცნებებისთვის არ უღალატიათ, მათ სამშობლოს აღორძინებაზე ფიქრი არ შეუწყვეტიათ. 1832 წლის მარცხმა ისინი დაარწმუნა, რომ იარაღის ძალით საქართველოს განთავისუფლება შეუძლებელი იყო, ამიტომ ბრძოლის სხვა გზები დასახეს.

2.10. „მემუარები“ კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების შესახებ

დ. ყიფიანის „მემუარები“ მწირ, მაგრამ საგულისხმო ცნობებს შეიცავს მე-19 საუკუნის 20-30-იანი წლების თბილისის კულტურული ცხოვრების შესახებ.

დ. ყიფიანი კურიოზულად მიიჩნევს ამბავს, რომ თბილისში, რომელიც მე-5 საუკუნიდან საქართველოს დედაქალაქი და მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მთელი ამიერკავკასიის ცენტრი იყო, პირველი ეტლი 20-იან წლებში, რუსეთ-სპარსეთის ომის

[30] ა. წერეთლის, ნ. ყიფიანის, თ. სახოკიასა და სხვათა ნაწერებში მოცემულია ცნობები, რომელთა მიხედვით ვორონცოვისათვის დიმიტრი ყიფიანს გამოუთხოვია ნებართვა და გიორგი ერისთავის კანდიდატურაც მასვე შეუთავაზებია.

დროს, გამოჩნდა. ეს იყო სამხედრო გუბერნატორის, ნიკოლოზ საპიაგინის, „პირველი კალიასკა“, მანამდე კი „მისვლა-მოსვლა ტფილისში ჩვენი უშნო ურმებით ან ბედაური ცხენებით იყო. მაგრამ ასეთი საშუალება დიდად უხერხული იყო ავდარში, როდესაც მშვენიერ სქესს უნდა დაემშვენებინა ხოლმე მთავარმართებლების მიერ ძალიან იშვიათად გამართული საღამოები და ბალები“ (ყიფიანი 1930: 104). ზორბა მუშის კისერზე შემოსკუპებული მანდილოსნები ქოლგით ხელში ქუჩიდან პირდაპირ ბალზე აღმოჩნდებოდნენ ხოლმე.

უნდა ითქვას, რომ „მემუარებში“ საგანგებო ყურადღება არ ეთმობა ლიტერატურულ საკითხებს. მხოლოდ ს. ხუნდაძის მიერ დართულ დ. ყიფიანის ჩვენებაში - „ჩემი მონაწილეობა 1832 წლის შეთქმულებაში“ - ვხვდებით რამდენიმე ცნობას იმდროინდელი ლიტერატურული ცხოვრების შესახებ; კერძოდ: დ. ყიფიანი და გ. ერისთავი აპირებდნენ, ეთარგმნათ მიხეილ გამაზოვის[31] ვოდევილი - „მეცხრამეტე საუკუნის ქართველები, ანუ არახელსაყრელი ქორწინება“; ვ. ორბელიანმა თარგმნა კარატიგინის პიესა „ნაცნობი უცნობები“, ხოლო ს. რაზმაძემ - მიცკევიჩის „ფარისი“ რუსული ენიდან. ჩვენებიდან აგრეთვე ვიგებთ, რომ ჟურნალი: „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ მკაცრი ცენზურის პირობებშიც ახერხებდა ეროვნული თავისუფლების იდეის გამოხატვას. ეს დიდ გაბედულებას მოითხოვდა როგორც რედაქტორის, ისე მწერლების მხრიდან. „როგორ გაბედე შენ დაგებეჭდა შენს ჟურნალში ისეთი სტატიები, რომელთათვისაც სხვა ჟურნალისტს პასუხისგებაში მისცემდენ?.. - ეკითხება **ე. ერისთავი ს. დოდაშვილს**, - აი, მაგალითად, ბატონი სენატორის ბიძაჩემის ლექსები[32]. ისინი რომ ახსნა-განმარტო, იცი, რომ ..? ან კიდევ: პოემა ამ ახალგაზრდა პოეტისა“[33] (140). როგორც ვხედავთ, ცნობები მეტად მწირია, მაგრამ საინტერესო.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დ. ყიფიანის მემუარები მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული პირველწყაროა. მათში საინტერესოდაა ასახული ორი

---

[31] მ. გამაზოვი (1811 – 1893) - პეტერბურგში დაბადებული და აღზრდილი სომეხი სამხედრო პირი, რომელიც სამსახურებრივმა ვალდებულებამ თბილისში ჩამოიყვანა. იგი იყო პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი და მთარგმნელი.

[32] იგულისხმება სენატორ გ. ერისთავის ლექსი: „მოწოდება ივერთა მამულის დაცვისათვის დროსა სპარსთა შემოსევისასა საქართველოს სამძღვართა შინა“. იგი დაიბეჭდა ჟურნალის N 3-ში (გვ. 58-64).

[33] იგულისხმება დრამატურგ გ. ერისთავის პოემა „ოსური მოთხრობა“, რომელიც ხელმოუწერლად დაიბეჭდა ჟურნალის N 2, 3 და 4-ში.

ქვეყნის, საქართველოსა და რუსეთის, პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია გეორგიევსკის ტრაქტატიდან მე-19 საუკუნის 80-იან წლებამდე, აგრეთვე საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება (20-30-იანი წლების სასწავლებლები, 1832 წლის შეთქმულება, 1841 წლის გლეხთა აჯანყება გურიაში, ვორონცოვის ეპოქა, 1864 წლის თავად-აზნაურთა არჩევნები, საგლეხო რეფორმა და სხვა მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები);

მემუარებში საგანგებო ყურადღება არაა დათმობილი ავტორის ეროვნული მოღვაწეობისთვის, საერთოდ, კულტურულ-ლიტერატურული საკითხებისთვის; ეს მხოლოდ იმით უნდა აიხსნას, რომ მემუარები დაიწერა რუსული ცენტრალური ჟურნალისთვის, რომლისთვისაც საქართველოში და, საერთოდ, კავკასიაში მხოლოდ და მხოლოდ რუსული მმართველობის შემოსვლა-დამკვიდრების ისტორია იყო საინტერესო;

მემუარებში ნათლად ჩანს დ. ყიფიანის მსოფლმხედველობა, ხასიათი, ინტერესები და ცხოვრების წესი.

თავი III. სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებები

სოფრომ მგალობლიშვილი ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია იმ მწერალთა ჯგუფისა, რომელიც ხალხოსნების სახელით არის დამკვიდრებული ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ქართლის სოფელში გაზრდილ მწერალს ბავშვობიდანვე ახლოს ყოფნა მოუწია გლეხკაცობასთან, უშუალო თანამოზიარე იყო მათი ჭირისა და ლხინისა, რამაც ერთგვარად განსაზღვრა, რომ იგი შეიქნა ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ხალხოსნური მოძრაობისა. ამ იდეით შეპყრობილ სხვა მოღვაწეებთან ერთად ს. მგალობლიშვილისა და მის თანამოაზრეთა ხალხოსნური მოღვაწეობა უფრო კულტურტრეგერულ საქმიანობაში გამოიხატა.

ს. მგალობლიშვილის შემოქმედება ცხადად წარმოგვიდგენს ქართული სოფლის ყოფას, გლეხკაცობის აუტანელ მდგომარეობას, ჩამორჩენილობას, უმეცრებას, ცრუმორწმუნეობასა და უუფლებობას. უფრო მოგვიანებით დაწერილ მის მოთხრობებში თავს იჩენს გლეხობის უკმაყოფილება, ბრძოლა მებატონეთა და სოფლის მოხელეთა წინააღმდეგ, ერთგვარი რევოლუციური სულისკვეთება.

ს. მგალობლიშვილი დაიბადა 1851 წელს სოფელ დირბში, ქარელის მახლობლად. სოფრომის მამა, ზაქარია, სასულიერო პირი იყო, მღვდელი; ძირითადად, მოღვაწეობდა თავისსავე სოფელში. მისი ოჯახი წიგნიერებით გამოირჩეოდა.

თავდაპირველი განათლება ს. მგალობლიშვილმა სახლში მიიღო. შემდეგ იგი შეიყვანეს გორის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში; სემინარიის დამთავრებისთანავე დაბრუნდა გორში და სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. რუსული ენისა და ლიტერატურის გარდა, იგი ქართულსაც ასწავლიდა. მაშინ ქართული სავალდებულო საგანი არ იყო, ამიტომ მისი ჩატარებით თავს არავინ იწუხებდა. სოფრომმა „მოსწავლეები დიდად დააინტერესა ქართული ენის გაკვეთილებით, მაღალ დონეზე დააყენა მისი სწავლება და თავის უფლებებში აღადგინა იგი“ (ევგენიძე… 2013: 355). ამავე დროიდან ჩაება იგი ხალხოსნურ მოძრაობაში. ხალხოსნები შეეცადნენ

რევოლუციური იდეების გავრცელებას, მაგრამ ხალხი მათ არ იკარებდა. ჟანდარმერიაც ძალიან გამკაცრდა. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხალხოსნებს დაპატიმრება და გადასახლება ელოდათ.

სოფრომმა და მისმა მეგობრებმა ბრძოლის ტაქტიკა შეცვალეს. ს. მგალობლიშვილის მოღვაწეობამ უკვე სასწავლებელში წმინდა აღმზრდელობით-საგანმანათლებლო შინაარსი შეიძინა. ამ დროიდანვე ს. მგალობლიშვილი აქტიურად ჩაება სცენისმოყვარეთა წრეში. სცენისმოყვარეები ხალხზე ზემოქმედების მოსახდენად გორიდან სოფლებშიც გადიოდნენ.

80-იან წლებში ს. მგალობლიშვილი აქტიურად მოღვაწეობდა როგორც ხალხოსანთა ჟურნალ „იმედში“, ასევე, მოგვიანებით - ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“.

1893 წელს ს. მგალობლიშვილი გაერიდა გორში ხალხოსანთა წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიებს და ქ. ფოთში დაიწყო მუშაობა გურია-სამეგრელოს ეპარქიის მდივნად; 1897 წლიდან გადმოვიდა თბილისში სინოდის კანტორის მდივნად. 1910 წელს იგი გაათავისუფლეს სამსახურიდან, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო.

წერა ს. მგალობლიშვილმა 70-იანი წლებიდან დაიწყო, მაგრამ აქტიურად მისი სამწერლო საქმიანობა 80-იანი წლებიდან გაიშალა. სხვა ქართველ ხალხოსან მწერალთა დარად ხალხოსნური ტენდენციები ს. მგალობლიშვილის შემოქმედებაში გარკვეული თემებისადმი ინტერესში, მასალის შერჩევასა და მისადმი მიდგომის თავისებურებებში გამოიხატა.

სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგაც გააგრძელა მწერალმა აქტიური ლიტერატურული საქმიანობა. თანამშრომლობდა სხვადასხვა გაზეთსა და ჟურნალში. ს. მგალობლიშვილი გარდაიცვალა 1925 წელს, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

3.1. „მოგონებანი“

ს. მგალობლიშვილის მწერლური ღვაწლის გათვალისწინებისას საგანგებო აღნიშვნის ღირსია მისი, როგორც მემუარისტის, დამსახურება. იგი ის ავტორია, რომელსაც კარგად აქვს გაცნობიერებული მემუარული ლიტერატურის მნიშვნელობა აწმყოსა და მომავლისათვის.

მოგონებებს ს. მგალობლიშვილი 900-იანი წლებიდან მთელი სიცოცხლის განმავლობაში წერდა და გზადაგზა სხვადასხვა ფორმით აქვეყნებდა კიდეც. პირველად მისი მოგონებები დაიბეჭდა 1910 წელს ჟურნალ „ერში“(რედ. პ. სურგულაძე), სადაც ხუთი თავი მოათავსა, ხოლო შემდეგი თავების გამოქვეყნება განაგრძო გაზეთ „თემში“ (რედ. გ. დიასამიძე).

მოგვიანებით, 1938 წელს, ლ. ასათიანმა თავი მოუყარა და ერთ წიგნად გამოსცა ს. მგალობლიშვილის მემუარული ხასიათის თითქმის ყველა ნაწარმოები. წიგნში არ შესულა ს. მგალობლიშვილის ავტობიოგრაფიული ხასიათის მოთხრობა „წარსულიდან“ (1898-1900), რადგანაც, რედაქტორის აზრით, „იგი უფრო ბელეტრისტიკის სფეროს ეკუთვნის, ვიდრე მემუარულ ლიტერატურას, თუმცა ნაწარმოები აგებულია ავტობიოგრაფიულ მასალაზე“ (მგალობლიშვილი 1938: XI).

როგორც ჩანს, ს. მგალობლიშვილზე დიდი ზემოქმედება მოახდინა ა. წერეთლის შედევრმა - „ჩემი თავგადასავალი“. სწორედ მისი შთაგონებით წერდა მწერალი თავის მოგონებებს. იგი ამბობს: „არც ერთმა ჩვენმა დიდებულმა მწერალთაგანმა არ დაგვიტოვა თვისი განვლილის ცხოვრების მოგონებანი. დღიურის წერა ხომ წესად არა გვაქვს. ერთადერთმა აკაკიმ **გაიხსენა თვისი წარსული და მშვენიერად, აკაკურად გადმოგვცა მოგონებანი თავისი დიდებული ცხოვრებისა.** ყველა კაცის ცხოვრებაში, რასაკვირველია, და განსაკუთრებით იმ კაცისა, რომელიც შემდეგ, ასე თუ ისე, გამხდარა საზოგადო მოღვაწე თუ მწერალი, ბევრი რამ საგულისხმო და საყურადღებო მოხდებოდა. „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისაო“, ნათქვამია. ყოველი საზოგადო მოღვაწე თუ ლიტერატორი რომ გაგვაცნობდეს თავისს წარსულს ცხოვრებას, ნანახს და გაგონილს, ჩემის აზრით, ეს დიდი განძი იქნება ჩვენის აწმყოსა და მომავლისათვის“ (1).

მწერალი აღნიშნავს, რომ მემუარების წერა მძიმე და სერიოზული საქმეა და მით უფრო საშური შესასრულებლად; ამიტომ განუზრახავს, რომ „მოიგონოს თავისი წარსული და გადასცეს ჩვენს საზოგადოებას“ (1).

საგულისხმოა, რომ მწერლის მოგონებებს სურს შემოინახოს ის, რაც იყო და უკვე ქრება, იცვლება და იცვლება, სამწუხაროდ უარესობისაკენ. მით უფრო საგულისხმოა ჩვენთვის ს. მგალობლიშვილის მოგონებანი, როცა მისი დროიდან საუკუნეზე მეტი

გვაშორებს, ჩვენს დროში კი ტემპი ცვლილებისა უარესობისაკენ კიდევ უფრო გაზრდილია.

3.2. სოფლის გარემო

ს. მგალობლიშვილის მოგონებები იწყება მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან ქართლის სოფლის აღწერით. მწერალი ადარებს 900-იანი წლების სოფელს თავის ბავშვობის დროინდელს და ფიქრობს სინანულით, რომ ბევრი რამ შეიცვალა უარესობისაკენ, რომ ახლანდელი სოფელი აღარ ჰგავს უწინდელს.

პირველ ყოვლისა, მწერალს აღონებს ის, რომ თანდათან იშლება ძველი პატრიარქალური ოჯახები. ადრე თურმე იშვიათი იყო ძმათა გაყრა. თვითონ სოფელი ვერ ეგუებოდა ერთმანეთთან შეუფერებელ ძმებს. ხშირი იყო ოჯახი, რომელიც სამოცი სულისაგან შედგებოდა, ოც-ორმოცკაციანი ოჯახი ხომ სათქმელადაც არ ღირდა.

სოფელ ტახტიძირში იყო ბაციკაძეების ოჯახი - ასამდე სული ცხოვრობდა აქ. სიმრავლე ოჯახის სიძლიერის საფუძველი იყო, „რაკი ოჯახში ბევრი მუშა ტრიალებდა, იგი შეძლებულიც იყო“ (2). გაჭირვება მარტოხელა კაცის სენი იყო. როცა დაიშალა ბაციკაძეების ოჯახი, დასუსტდა, „მხოლოდ ხსოვნაღა დარჩა დიდებული ოჯახისა“ (2).

შრომა ასეთ ოჯახებში განაწილებული იყო. ოჯახის უფროსები, პაპა და ბებია, ყავარჯენდაბჯენილნი, რიგს აძლევდნენ სახლში მომუშავეებს. ყველას თავისი საქმე ებარა და პირნათლად ასრულებდა მას: ერთი გუთნისდედა იყო საკუთარი გუთნეულით, მეორე - ფეიქარი, მესამე - მეფუტკრე, მეოთხე - მეცხვარე... ქალებშიც განაწილებული იყო საქმე.

მემუარისტის არგუმენტირებული აზრით, ერთ ან ორსულიანი ოჯახი დასაღუპავად განწირული იყო, რადგან თავის და ბატონის სამუშაოს იგი ვერ აუვიდოდა. ერთი სიტყვით, თავის დროზე დიდ პატრიარქალურ ოჯახებს ჰქონდა გამართლება და ამიტომაც წარმოიქმნა ისინი.

აქვე მწერალი გვაცნობს სიტყვა **„მოცადობას“**, რომელიც ათ-თორმეტ წლამდე გოგო-ბიჭებს გულისხმობს. მათ უფროსები უსაქმოდ არ აყენებდნენ, თავიდანვე აჩვევდნენ შრომის სიყვარულს. თავის დროზე აძლევდნენ თამაშის ნებასაც. წვრილმანი საქმეები მათი გასაკეთებელი იყო. უქმე დღეებში არავინ მუშაობდა. წირვა-ლოცვის შემდეგ გვიანობამდე თამაშობდნენ და ერთობოდნენ.

საყურადღებოა, რომ მემუარისტი საგანგებოდ ჩერდება და დაკვირვებული ეთნოგრაფის თვალით აღწერს ქართულ ხალხურ თამაშობებს. იგი წუხს, რომ ძველი

ქართული სპორტი - ბურთაობა, რომლის ხუთ-ექვსნაირი სახეობა არსებობდა, იმერეთში თუ შემორჩა აქა-იქ.[34] იგი ახასიათებს **გაკვრა-ბურთს, დახლა-ბურთს, წრე-ბურთს.**

მწერალს ადარდებს, რომ დაიკარგა ძველი სიმღერა-თამაშობანი; ახლანდელ სოფელს, ქალაქს აღარ ეპიტნავება ქართული ბურთაობა-თამაშობანი, ქართული სიმღერა-გალობანი: „ამას სჩივიან და ტირიან ზოგიერთი ჩვენი მემუსიკენი, მაგალითად, ია კარგარეთელი, მაგრამ გამგონი ვინ არის? აი, კიდევ ... მაგალითი: ბ-ნი ფოცხვერაშვილის სიმღერები ბევრს არ მოეწონათ. არ მოეწონათ „ფაცხაში“ ჩართული ბოლო სათქმელი, დასათავებელი ხმა, ვარიაცია; იგი ნამდვილი ქართულია, ძველი ჰანგებიდან აღებული. არ მოეწონათ იმიტომ, რომ ძველისა აღარ გაეგებათ რა, მათ ყურს ატკბობს მხოლოდ შარმანკული[35] ხმები“ (3-4). საინტერესოა, რომ ამას ამბობს სწორედ მგალობლიშვილი, წარმომადგენელი იმ გვარისა, რომელიც მგალობლებით იყო ცნობილი ისტორიულად. ამ შემთხვევაში პუბლიცისტის პოზიციას იღებს მწერალი და მიიჩნევს, რომ დიდი ცდა სჭირდებათ ქართველ მუსიკოსებს, რათა აღადგინონ და გაავრცელონ ჩვენს სულიერად დაცემულ ერში სიყვარული ნამდვილი ქართული სიმღერა-გალობისა.

ს. მგალობლიშვილი თავისი დროისთვის სხვებზე უფრო კატეგორიულად ფიქრობს, რომ რუსულის გავლენით ქართველს ქართულად აზროვნებაც ავიწყდება და სიმღერა-გალობაც; „ჩვენი ტვინის სისტემა მეცხრამეტე საუკუნეში სრულად გადაკეთდა, გარდაიცვალა... დამახინჯდა!“ (4). თანამედროვე ინტელიგენტი ქართველი ქართულად აღარ ფიქრობს და აღარ წერს. მისი ნაწერები რუსიციზმებით არის სავსე.

ს. მგალობლიშვილის სიტყვით, სოფელი ხშირად მოკლებული იყო გონებრივ მწვრთნელს და ამ ფუნქციას მღვდელი თუ ასრულებდა. ის იყო სოფლის ჭეშმარიტი ინტელიგენტი, მასწავლებელი და დამრიგებელი. ბავშვების აღზრდაც მისი საქმე იყო. ის უკითხავდა სოფლელებს კვირა-უქმით „ვეფხისტყაოსანს“, „დავითნს“, „სიბრძნე-სიცრუისას“, უხსნიდა სახარებას. ბუნებრივია, განუზომელი იყო მისი როლი სოფელში.

[34] ა. წერეთელი თავის „ჩემს თავგადასავალში“ საგანგებოდ საუბრობს ქართულ თამაშობებზე. „ქართველების ოდენა სხვადასხვაგვარი სათამაშო თითქმის არც ერთს ხალხს არა აქვს, - ამბობს იგი, - და ყოველგვარი სათამაშოც უთუოდ ისეთია, რომელიც ჭკუა-გონებასა და სხეულს სწვრთნის, ავარჯიშებს... დავასახელებ მხოლოდ „ბურთაობას“. აბა, რომელი „გიმნასტიკა“ შეედრება მას? ბურთაობის დროს თვალი, ფეხი, ხელი, თავი, ტანი და ყველაფერი თანასწორად ეჩვევა სიმარდეს“ (წერეთელი 1989: 14).

[35] შარმანკა (რუს.) - არღანი. შარმანკული ხმები - არღნული, აღმოსავლური მუსიკა.

ხალხიც პატივისცემით ეპყრობოდა მას. ასეთები იყვნენ სოფრომის პაპა და მამა, გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძეების პაპა - ფილიპე ყიფშიძე, პეტრე სამადალაშვილი.

მაშინდელმა მღვდელმა „ჩინ-ორდენები არ იცოდა, რა იყო, - ამბობს მემუარისტი, - აწინდელი კი სულს გაჰყიდის, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოს სამღვდელოება, ოღონდ გულზე რამე ჯილდოს ნიშანი ჩამოიკონწიალოს“ (33).

ს. მგალობლიშვილი სინანულით ასკვნის, რომ მისი თანამედროვე მღვდელი ჩინოვნიკად იქცა, ნამდვილ ბიუროკრატად. იგი სოფელს აწევს კისერზე, მოძღვრობის მაგივრად ჩარჩობს და ვაჭრობს, თანაც ორნაირად - სულიერად და ხორციელად.

მემუარისტის გადმოცემით, სოფლების უმრავლესობას ჰყავდა მებატონე თავადი ან აზნაური. ზოგიერთ თავადს აზნაურებიც ჰყავდა ყმებად - საბატონო აზნაურები. იყო სულ რამდენიმე სოფელი, რომლებსაც ბატონყმობის სუსხი არ უწვნევია. უბატონო სოფელი დიდად განირჩეოდა საბატონოსაგან პირდაპირობით, ზნეობით, შეძლებითაც. ერთი სიტყვით, საბატონო სოფლის გლეხები აშკარად უფრო დაჩაგრულნი იყვნენ, ეკონომიკურადაც უფრო გაჭირვებულნი.

ამ ფონზე გვაცნობს ს. მგალობლიშვილი თავის მშობლიურ სოფელ **დირბს**. დირბი ეკუთვნოდა ქართველთა მონასტერს იერუსალიმში. როცა მონასტერს ბერძნები დაეპატრონნენ, სოფელი მათ ხელში გადავიდა და ასე გრძელდებოდა ს. მგალობლიშვილის მიერ მემუარების წერის დროსაც, მე-20 საუკუნის 10-იან წლებში.

სამონასტრო მამული უზარმაზარი იყო, ექვსი ათასი დღიური. აქ ერთადერთ აზნაურს, დეკანოზიშვილს, ჰყავდა ცოტა ყმა. სოფლის დანარჩენი აზნაურები უყმონი იყვნენ; მათ მცირე მამული ჰქონდათ. სამონასტრო მამულებს განაგებდა იერუსალიმიდან გამოგზავნილი ბერი, ხარისხით არქიმანდრიტი. მას მოურავად ჰყავდა ადგილობრივი გამჭრიახი გლეხი. მწერალი დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ ხდებოდა მოსავლის აღება და გადასახადების დაანგარიშება.

დირბს სხვა ბატონიც არ აკლდა. რადგან სოფელს საკუთარი ტყე არ ჰქონდა, დირბელები იძულებულნი იყვნენ, სხვა მებატონის ტყით ესარგებლათ და მასაც მომსახურებოდნენ.

ყველაზე სასიამოვნო სამუშაო თვითონ გლეხისთვის იყო მკა. მწერალი ცოცხლად და ხატოვნად აღწერს მკის პროცესს .

მემუარისტი გვიამბობს, თუ როგორ შოულობდა გლეხი საჭირო ფულს. თვითონ გლეხები ვერ ახერხებდნენ თავიანთი ნაჭირნახულევის ქალაქში ჩატანასა და გაყიდვას, ჯერ ერთი, მოუცლელობის გამო და, მეორეც, უგზოობის გამო. ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ სოფლებს ესეოდნენ ჩარჩ-ვაჭრები, მეტწილად, ებრაელები და სოფლის სიმდიდრეს ძალიან იაფად იგდებდნენ ხელში, შემდეგ კი თვითონ ყიდიდნენ ქალაქში ძვირად.

გლეხთა ეკონომიკურ ღონეს შეადგენდა კიდევ სხვადასხვა შინამრეწველობა - მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მაწვნის, ყველისა და ერბოს მომზადება. ამ უკანასკნელისათვის შემოღებული იყო **ხანულობა.** მემუარისტი საგანგებოდ განმარტავს „ხანულობის“ მნიშვნელობას. გლეხები, რომლებსაც მხოლოდ ერთი ძროხა ჰყავდათ, ერთმანეთთან დროგამოშვებით ეზიდებოდნენ რძეს, რომ ასე დაგროვებით ეწარმოებინათ რძის პროდუქტი. ასე რომ, თითქმის ყველა ხელმოკლე გლეხს სამყოფი ჰქონდა დომხალიც, ყველიც, რძეც.

გაჭირვების დასაძლევად გავრცელებული იყო მოჯამაგირეობა. ძმებიდან ერთი, მეტწილად უცოლო და უმამულო, გადიოდა მოჯამაგირედ მღვდელთან ან შეძლებულ გლეხთან. ერთობ ძნელი იყო მოჯამაგირის ხვედრი, რადგან მძიმე შრომა უწევდა. მას კაცად არ მიიჩნევდნენ. მწერალი იმარჯვებს ხალხურ ლექსს, მოჯამაგირის გაუსაძლისი ყოფის ამსახველს: „მოჯამაგირის საქმესა ადვილად იტყვის ენაო, დილით რომ ქალაქს გააგდონ, საღამოს გორისკენაო...“ (10).

ს. მგალობლიშვილი ხალხური ლექსის ამ სიტყვებს საინტერესო შენიშვნას ურთავს: „ქალაქს დაბალი ხალხი, ძველადაც და ეხლაც **ტფილისს** ეძახის; სხვა ქალაქებს ქალაქებად არა სთვლიდა და ამიტომ სახელით იხსენიებდა. როცა ტფილისში მოდის გლეხი, თავის დღეში არ იტყვის, ტფილისს მივდივარო, არამედ იტყვის, ქალაქს მივდივარო“ (10).

მრავალგზის გვსმენია აღზევანის, იქიდან მარილის ჩამოტანის ამბავი; ხალხური ლექსიც ყველას გაგვიგონია. მემუარისტი საინტერესოდ აღწერს აღზევანიდან მარილის

ჩამოტანის ამბავს და ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ამ, გარკვეულად, სარისკო და სავაჟკაცო ფაქტზე. „აღზევანს უფრო ნავალი, ნაცადი და რჩეული ვაჟკაცი გლეხობა მიდიოდა, რადგან ხშირად შეტაკება ჰქონდათ ხოლმე თათრის ყაჩაღებთან. - წერს იგი, - აღზევანიდან დაბრუნება სახლში მშვიდობით დღესასწაული იყო. სიხარულით დაუხვდებოდა სოფელი მოსულებსა და იყო ერთი ხვევნა-კოცნა“ (15).

რევოლუციური ფრთის წარმომადგენელი ხალხოსანი მწერლისაგან სავსებით მოსალოდნელი იყო და გვაქვს კიდეც მის მოგონებებში საყურადღებო მასალა დაუმორჩილებელ ახალგაზრდებზე, უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლებზე. საინტერესოა, რომ მემუარებში მწერალი გვაცნობს თავის მოთხრობებში ასახულ, რევოლუციურად განწყობილ გმირთა პროტოტიპებს. ს. მგალობლიშვილი წერს: „გაჭირვებულს სოფელს ხმის ამომღებნიც ჰყვანდნენ... პოეტები თავისუფლებას გუნდრუკს უკმევენ, ათას ფერად ამკობენ: შენ ხარ ნავსაყუდელი გაჭირვებულთაო“[36].

მწერალი აქ ყურადღებას უთმობს თავის დროზე დაუმორჩილებელი მებრძოლი გლეხის, გაბრიელ მაჭარაშვილის, ახლა, ხანდაზმულობის ჟამს, სოფლის მამასახლისის ვაჟკაცობას. აქვე შენიშნავს, რომ იგი გამოყვანილი ჰყავს ვრცელ თხზულებაში „წარსულიდან“ მგელ-ბაბიად.

მემუარისტი აქვე იმასაც მიუთითებს, რომ სოფელს ჰყავდა მოლაპარაკენი, მოშაირენი, მესტვირენი, რომელთა არსებობაც სულის მოთქმა იყო სოფლისათვის.

მოგონებათა ეს ნაწილი უშუალოდ წარმოადგენს მხატვრულ თხრობას და ვერ გაარჩევთ ს. მგალობლიშვილის მხატვრულ თხზულებათაგან. დოკუმენტური სინამდვილე აქ სწორედ მხატვრული სახით გვეძლევა, რაც კიდევ უფრო ზრდის მის შემეცნებით ღირებულებას.

---

[36] უეჭველია, აქ ს. მგალობლიშვილი გულისხმობს ილიასეულ სტრიქონს - „თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი“ - პოემიდან „ქართვლის დედა“ და, მაშასადამე, მემუარისტი ილიასაც მოიაზრებს პოეტებში. უნდა ითქვას, რომ ი. ჭავჭავაძე ამ სიტყვებში, საკუთრივ სოციალურ, ეკონომიკურ შინაარსს კი არ დებს, არამედ აქ ეროვნულ თავისუფლებაზე, საქართველოს თავისუფლებაზე საუბრობს, რომელიც მთელი კავკასიის თავისუფლებაზეა დაფუძნებული. შვილს, კიაზოს, დედა კავკასიის თავისუფლებისათვის ბრძოლაში გზავნის.
ამის აღნიშვნას ის აზრიც აქვს, რომ აღიარებული მკვლევარი პავლე ინგოროყვაც ილიას ამ დრამატული პოემიდან სიტყვებს - „თავისუფლების მშოვნელი ამქვეყნად მარტო თოფია“ - საკუთრივ სოციალურ შინაარსს აძლევს. ილიას ეს სიტყვები მხოლოდ და მხოლოდ პატრიოტულ მიზანდასახულობას გულისხმობს. ამ ტაეპის წმინდა სოციალურად გაგება გამიზნულია იმისთვის, რომ ილია კლასთა ბრძოლის მომხრედ წარმოვიდგინოთ, რაც საფუძველშივე მიუღებელია (მინაშვილი 2015: 78-116).

ს. მგალობლიშვილმა მოგონებებში აღწერა ყმა გლეხის აუტანელი მდგომარეობა ავი მებატონის ხელში. მემუარისტის მიერ გადმოცემული ყმის მდგომარეობა პირდაპირ მიჰყვება სხვა მწერალთაგან მონათხრობს. ყმა გლეხს ეპყრობიან ნივთივით, ძარცვავენ სულიან-ხორციანად, ყიდიან, ცვლიან ძაღლში ან ცხენში. გადმოცემულში დასარწმუნებლად მწერალი მიგვითითებს „ივერიაში“ 1905 წელს დაბეჭდილ თავის მოთხრობაზე - „მაგრამ შენც მოგივა დრო“ (16).

ბატონი გამოესარჩლებოდა თავის ყმას, თუკი მას სხვა ვინმე მიაყენებდა შეურაცხყოფას. ამ დროს მებატონე, პირველ რიგში, საკუთარ ღირსებას იცავდა. მემუარისტი აღწერს, თუ როგორ აცემინა დიდმა თავადმა, გიორგი ერისთავმა, დიამბეგი, რომელიც მის ყმას უსამართლოდ მოეპყრო.

მებატონეთა შორის გამონაკლისებიც იყვნენ, მაგალითად, დავით დიასამიძე. მემუარისტის თქმით, იგი „წარმოადგენდა ერთადერთს თეთრს ზოლს ძველის ცხოვრების შავბნელ ფარდაზე“ (17). იგი ორმოც-ორმოცდაათიან წლებში ცხოვრობდა და გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი იყო.

დ. დაისამიძე ქართლში პირველი იყო, რომელმაც აბრეშუმის ჭია მოაშენა. ყველა მისი ყმა ვალდებული იყო, ეთესა თამბაქო და ენდრო. მემამულის მშობლიურ სოფელში, საქაშეთში, სხვადასხვა ხელოსანი ცხოვრობდა. იქ იქსოვებოდა ხალიჩები, ფარდაგები, ჯეჯიმები... მზადდებოდა ფარჩეულობა. მემამულის სახლეულობაც არ თაკილობდა ფიზიკურ შრომას. ს. მგალობლიშვილის გადმოცემით, დიასამიძის ქალიშვილი, ნინო, ხალიჩების შესანიშნავი მქსოველი იყო.

მემუარისტს დ. დიასამიძის კეთილშობილური მიზნის საჩვენებლად მოაქვს მისი წერილი. „ძალიან კარგი იქნება, ჩვენს მაზრაში, რაც კი შეიძლება, ბლომად გავრცელდეს ენდროს თესვა, - სწერს მემამულე კავკასიის მეფისნაცვალს. – ერთი უმთავრესი საშუალება იქნება **ხალხის სიმდიდრისა და კეთილდღეობისათვის,** უფრო იმიტომ, რომ ამ მრეწველობას დიდი ჯაფა და მუშაობა არ უნდება და არც ჰაერის მოვლენანი მოქმედებენ იმაზე ცუდად, როგორც სხვა მცენარეებზე. მე ამაში გამოცდილებით დავრწმუნდი“ (19).

მწერლის თქმით, დ. დიასამიძის შემდეგ ქართლში ერთი კაციც არ გამოჩენილა, რომელიც მის გზას გააგრძელებდა. მოისპო ენდროსა და თამბაქოს თესვა. ცრუმორწმუნეობის გამო მეფუტკრეობასა და მეაბრეშუმეობასაც თავი დაანებეს.

ს. მგალობლიშვილის გადმოცემით, გლეხი უდრტვინველად ეწეოდა უღელს, მხოლოდ მაშინ თუ ამოანთხევდა დაგუბებულ ვარამს, როდესაც მის სულს მძლავრად შეარყევდნენ: გაყიდიდნენ ან ოჯახის ასულის ნამუსს შეურაცხყოფდნენ. ეს უკანასკნელი მოვლენა ხშირად ბატონის სიკვდილით მთავრდებოდა. ბატონყმობის დრო სავსეა ამგვარი ამბებით.

ს. მგალობლიშვილი მემუარებში საგანგებოდ წერს იმის შესახებ, თუ რა უბედურება მოუტანა ქართლის მოსახლეობას ლეკიანობამ და არა მხოლოდ მე-17-18 საუკუნეებში, არამედ მე-19 საუკუნეშიც, „მინამ დაღესტნის არწივს შამილს დღე დაეთვლებოდა“ (21). „ქართლ-კახეთში და თითქმის იმერეთშიაც“ ლეკები დას-დასად თარეშობდნენ. ისინი ანაზდეულად გამოჩნდებოდნენ ქართლის სოფლებში, ვისაც კი ხელში ჩაიგდებდნენ, ტყვედ მიჰყავდათ, რასაც კი მოიხელთებდნენ, თან მიჰქონდათ. ტყვედ უფრო ქალები მიჰყავდათ, იმათში მეტ გამოსასყიდს იღებდნენ. ზოგჯერ ლეკებიც უვარდებოდათ ტყვედ ქართველებს, „რამდენიმე ნალეკარი ოჯახია ქართლში“ (22).

ხალხი მუდამ ფხიზლად იყო. თითქმის ყველა სოფელს პატარა შეიარაღებული რაზმი ჰყავდა. გაჭირვების დროს ქუდზე კაცი გამოდიოდა, მაგრამ ცხენოსანი ლეკები თავს სწრაფად შველოდნენ.

ტყვეების დახსნა იოლი არ იყო. მოვიდოდა მთხრობელი, ტყვე ამ ადგილას ჰყავთ და, თუ ამდენ თუმანს მიიტანთ, დაგიბრუნებენო. „ვისაც შეძლება ჰქონდა, იხსნიდენ; ზოგი რჩებოდა“ (22).

ს. მგალობლიშვილის თქმით, ლეკთა თარეშზე მძიმე გამოდგა ოსების შემოსევა. მემუარისტი დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ მოხვდნენ ოსები ქართლში. თავდაპირველად ისინი მაჩაბლებისა და ერისთავების ყმები იყვნენ. „შემდეგ და შემდეგ, როცა გამრავლდნენ, სხვადასხვა თავადთა და აზნაურთა მამულებში გაიხიზნენ და მოედვნენ თითქმის მთელს ქართლის მთა-ტყეებსა, ბარად იშვიათად ცხოვრობდენ...“ (22).

დროთა განმავლობაში ოსები „დაიძვრნენ მთებიდან და ხეობებიდან და ჩამოესახლნენ ქართლის განაპირა სოფლებთან. მთელი კალთები დიდის მთებისა ჩრდილოეთის მხრივ იმათ დაიჭირეს... **წრესავით შემოერტყნენ გორისა და დუშეთის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილსა“** (25).

თითქოს მემუარისტი იმ ისტორიის დასაწყისს გვაცნობს, რომელსაც შემდეგ ხევისთავთა, ერისთავთა თუ მაჩაბელთა ჯაყოს ხიზნობა მოჰყვა, ხოლო ბოლოს შუაზე გაგლეჯილი ქართლი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი მივიღეთ. მწერალი აშკარად მიგვანიშნებს, რომ ჩვენი გოროზი, გაზულუქებული მებატონეების დიდი წვლილიცაა ამ უბედურებაში.

ს. მგალობლიშვილის მოთხრობაში „ჯორ-ზაქარა“, რომელიც „ერთგვარი დოკუმენტის როლსაც კი ასრულებს“, დახატულია ქართველი თავადი - ესტატე მარუშიძე, რომელიც ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნას მთიდან ჩამოყვანილი იათი მუშახელის - ოსების - ხარჯზე აპირებს (ევგენიძე... 2013: 358). იგი ცოლს ეუბნება: „მამულები, რაც მისაზმონი იყო, მიუზმონეთ ჩვენს ნაყმევებსა, დანარჩენი მამულები ხელუხლებელია; როგორც ჩვენ გვენებოს, ისე გავცეთ; ჩამოვიყვანოთ ჩვენი მთიდან ოსები და სულ იმათ მივცეთ იჯარითა... მერე ვიცხოვროთ ხელმწიფურად...“ (მგალობლიშვილი 1963: 585-586).

მემუარისტი ყურადღებას ამახვილებს ოსთა კერპთაყვანისმცემლობაზეც. მათი კერპი იყო თხა, რომლის თავი დიდი რქებით იყო დასვენებული უზარმაზარი ცაცხვის ან მუხის ხეზე. იქ თავს იყრიდა ხალხი, ლოცულობდა, თაყვანს სცემდა თავის ღმერთს. „დიდი ჯაფა დასჭირდათ ქართველს მღვდლებს, რომლებიც მაშინ მისიონერობდნენ, რომ მოესპოთ კერპთთაყვანისცემა და გაევრცელებინათ ქრისტიანობა“ (მგალობლიშვილი 1938: 22).

ოსების დიდი ნაწილი ქურდობა-ავაზაკობით ცხოვრობდა. სახელი მას ჰქონდა გავარდნილი და ვაუკაციც ის იყო, ვინც ამ საქმეში კარგად იყო დახელოვნებული. ოსებს აკლებული ჰქონდათ ქართული სოფლები. მათგან ძილი და მოსვენება არ იყო. ლეკებისგან განსხვავებით, მათ ტყვეები არ მიჰყავდათ. „ვისაც მოასწრობდნენ, დედიშობლს გახდიდნენ, წაასხავდნენ პირუტყვს საქონელსა, თუ გაუძალიანდებოდა ვინმე, სიცოცხლეს ასალმებდნენ“ (23).

ოსები მომეტებულად გუნდ-გუნდად დაძრწოდნენ, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ცალკე ან ორ-სამ კაცთან ერთად ყაჩაღობდნენ. მაგალითად, კანი და ბისტი.

ხალხი საკუთარი ძალით იგერიებდა მტერს: ბევრს ხოცავდა, იჭერდა, მაგრამ ახალ-ახალი ბრბოები ჩნდებოდნენ. უიარაღო ხალხთან თამამი და ვაჟკაცი ოსი ავაზაკები, როგორც კი იარაღიან მდევარს შენიშნავდნენ, გარბოდნენ და ტყეში, ჩირგვებში, იმალებოდნენ. სოფლელებმა ამისი წამალიც იპოვეს: მტერს დაგეშილი ძაღლებით აგნებდნენ, იარაღს აყრევინებდნენ და თხებივით იჭერდნენ.

ამ გაჭირვებაში სოფელს პატრონი გამოუჩნდა - დირბში მცხოვრები ახალგაზრდა კაცი, გამოჩენილი მონადირე და მსროლელი **ტარას მგალობლიშვილი** და მასთან შეზრდილი **შიო ტეფნაძე.** მათ შექმნეს პატარა რაზმი, რომელმაც ოსთა თარეში ალაგმა. მემუარისტმა ცალკე წერილი უძღვნა ამ ორ თავდადებულ ვაჟკაცს.

ს. მგალობლიშვილის თქმით, არანაკლებ დააზარალეს სოფელი **რუსმა ჯარისკაცებმა,** რომლებიც აქ ყირიმის ომის[37] შემდეგ ერთი წლით ჩამოასახლეს. თითოეულ ოჯახში ორიდან ოთხამდე ჯარისკაცი იდგა. „ეს რაზმები უცნაურის კულტურის თესლსა სთესავდნენ სოფლის ფაქიზსა და წმინდა გულში“ (20).

ჯარისკაცებმა დიდი უბედურება მოუტანეს ქართულ სოფელს; იტაცებდნენ ყველაფერს ცხადლივ, დღისით, თვით უფროსებიც ვერაფერს აწყობდნენ მათთან, არც გარიგება შველოდათ. ყველაზე დიდი საფრთხე კი სოფლის ახალგაზრდა ქალებს დაემუქრათ პირუტყვი „სალდათებისგან“. სოფლელები იძულებულნი იყვნენ, ნამუსის დასაცავად ქალიშვილები სხვაგან გაეხიზნათ ან სახლებში ჩაეკეტათ. სოფელი გატყავდა ქურდობისაგან და გაიხრწნა ზნეობრივად. მას შემდეგ ხალხი დიდი ხანი მოუნდა ჭკუაზე მოსვლას.

ქართული სოფლის დახასიათებაში ბევრი რამაა ნიშანდობლივი და ზოგიერთი რამ შეიძლება სადღეისოდაც ძალზე აქტუალური ჩანდეს. მემუარისტი ამბობს: „ამჟამად რომ უპატრონოა სოფელი, ამას ყველა ჩვენგანი გრძნობს, მუდამ იმას ვჩივით და ვსტირით, რომ მივხედოთ სოფელსა, სოფელი იყვლიფება, მამულ-დედული ეცლება

[37] ყირიმის ომი (1853-1856) - რუსეთ-თურქეთის ომი, რომელიც რუსეთის დამარცხებით დამთავრდა. 1856 წელს პარიზში დადებული ზავის მიხედვით, რუსეთს წაერთვა ბესარაბიის ნაწილი, ასევე, აეკრძალა შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლა და სიმაგრეების გაკეთება.

ჩვენს გლეხს ხელიდან და ფეხქვეშიდან; ვჩივით, ინტელიგენცია გაურბის სოფელსაო“ (24). ეს სიტყვები იწერება ერთი საუკუნის წინ, 1910 წელს. როგორც ვხედავთ, უკეთესობისაკენ არაფერი შეცვლილა, თუ არ დავუმატებთ, რომ სოფელი თანდათან იცლება და ცარიელდება, ბევრი ჩვენი სოფელი უკვე გაუკაცურდა.

როგორც მწერალი შენიშნავს, არათუ საუკუნე-ნახევრის შემდეგ, არამედ თვით მის სიცოცხლეში იცვალა სახე ქართულმა სოფელმა და ქალაქმაც. ამდენად, ფასდაუდებელია ჩვენი მწერლების და, კერძოდ, ს. მგალობლიშვილის მოგონებები, რომ გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე, მის გარემოზე მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

3.3. სწავლა-აღზრდა ძველ სოფელში

ს. მგალობლიშვილმა ერთგვარი სიმპათია გამოხატა სწავლა-აღზრდის ძველი სისტემის მიმართ. მღვდლის ოჯახში გაზრდილი მწერალი ჩინებულად იცნობდა საშინაო განათლების შინაარსს, რომელიც საინტერესოდ გადმოგვცა თავის მოგონებებში.

როგორც უკვე ითქვა, სოფელში სწავლა-განათლებას მღვდელი უძღვებოდა. იგი შემოიკრებდა თავად-აზნაურთა შვილებს და იწყებდა მათ წვრთნას. ქალებს მღვდლის ცოლი, ფოფოდია, ამეცადინებდა. მხედრული ანბანი პ. იოსელიანის გრამატიკით ისწავლებოდა, ხოლო ხუცური - „დავითნით“. ასოები, როგორც წესი, ბეჭზე ან ქაღალდის ნაფხრეწზე გამოჰყავდათ: „რამდენიმე ასოს დასწერდა მღვდელი ბეჭზე, როგორც მხედრულს, ისე ხუცურსა და რის ვაი-ვაგლახით შეასწავლებდა, თან აწერინებდა თვითეულ შეგირდს ბეჭზევე, რომელიც ყველა ბავშვს ჰქონდა“ (33).

სწავლა-აღზრდა ძველად ძალდაუტანებელი იყო. ტახტზე მოკალათებული შეგირდები მორიგეობით მეცადინეობდნენ. „სწავლების დროს იდგა ერთი გნიასი, ყველა თავისთვის სწავლობდა, ხმამაღლა ამბობდა ასოების სახელებსა... ოსტატს ისე გამახვილებული ჰქონდა ყურთა სმენა, რომ ხმით ყველას იცნობდა...“ (34). მწერალი ისე ცხადად გვიხატავს ანბანის სწავლას, რომ ჩვენც ამ პროცესის თანამონაწილენი ვხდებით. თითქოს ყურში ჩაგვესმის სიტყვები: „ანუ“, „ბანუ“, „განუ“...

ქალებისა და ვაჟების სწავლების წესი ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდებოდა. გოგონებს დამატებით ხელსაქმესაც ასწავლდიდნენ: ჭრა-კერვას,

ქსოვასა და ქარგვას. მეცადინეობის შემდეგ ისინი დაირაზე უკრავდნენ, ლეკურსა და სამაიას ცეკვავდნენ, „ძერა-ძერაობას“ თამაშობდნენ. ვაჟები კი ჭიდაობდნენ და ბურთაობდნენ. ოსტატი ბავშვებს თვალს ადევნებდა, მათ ცელქობაზე გულიანად ხარხარებდა, თვითონაც ერეოდა საერთო მხიარულებაში, მხდალებს აქეზებდა, გაბედულებს აქებდა. როცა თამაშით გულს იჯერებდნენ, მოსწავლეები თავიანთი სურვილით დაიშლებოდნენ. მასწავლებელი არასგზით არ ეტყოდა მათ, თამაშს მორჩითო.

ამ სიტყვების კითხვისას შეუძლებელია არ გაგვახსენდეს ი. ჭავჭავაძის ავტობიოგრაფია, როდესაც მწერალი სოფლის განმანათლებელ მთავარდიაკვანზე საუბრობს. „მთავართან ვსწავლობდი ამავე ჩემ სამშობლო სოფლის გლეხკაცების შვილებთან, - ამბობს ილია, - რამდენადაც მახსოვს, ხუთნი თუ ექვსნი იყვნენ. ყველანი შინიდან დავდიოდით მთავართან დილ-დილით და სწავლა გვქონდა მხოლოდ შუადღემდე. წერა-კითხვას, როგორც მახსოვს, სულ ერთ საათს არ ვანდომებდით ხოლმე, დანარჩენი დრო შუადღემდე იმაში გადიოდა, რომ ვთამაშობდით თვით მთავრის ზედამხედველობითა და ხელმძღვანელობით, და უმთავრესად უფრო იმაში, რომ ვისხედით და ვისმენდით იმის გასატაცებელ ნაამბობს“ (ჭავჭავაძე 2012: 343).

ს. მგალობლიშვილის შეფასებით, ახალ და ძველ მოსწავლეს შორის დიდი განსხვავებაა: „ეხლანდელი მოსწავლე ავტომატია, ყმაა გამეფებულის ოფიციალობისა, მისი მე ჩაკლულია“, მისი ბედი და უბედობა ქულებზეა დამოკიდებული, ქულები კი - მასწავლებლის კეთილგანწყობაზე (35). შეგირდს ბავშვური ცელქობის უფლებაც არა აქვს - დიდ ცოდვად, დანაშაულად ეთვლება. ძველი მოსწავლე კი ლაღი და ბუნებრივი იყო, მას თვითგამოხატვის მეტი საშუალება ჰქონდა[38].

3.4. გორის სასულიერო სასწავლებელი

[38] უფრო ადრე ა. წერეთელმა გამოხატა თავისი შეხედულება ბავშვის თავისუფლად გაზრდის შესახებ. „აბა, წარმოიდგინეთ ერთი მხრით თავისუფალი, შველივით მონავარდე, სოფლელი ბავშვი და მეორე მხრით „დაჩანჩურებული“ ქალაქელი ყმაწვილი!.. - ამბობს იგი „ჩემს თავგადასავალში“, - გამოსუდრულა ტანსაცმელში, საძრაობა აღარ აქვს, ეუბნებიან: ჭკვიანად იყავი, რაც ჩვენ გირჩიოთ, მხოლოდ ის იკისრე შენცო!.. იმ საბრალოს ერთი გადაკოტრიალება ქვეყანას ურჩევნია, მაგრამ განა გაბედავს, რომ ტანისამოსი დასვაროს?.. იზრდება ბრძანებით მომავალი ჭლექი და მუმია“ (წერეთელი 1989: 14).

ს. მგალობლიშვილმა ერთგვარად გააგრძელა ქართველი მემუარისტების ტრადიცია - აღწერა მაშინდელი სასწავლებლები და იქ გატარებული ყმაწვილობის წლები.

ალ. ხახანაშვილის თქმით, ს. მგალობლიშვილი „საუცხოვო მცოდნეა სემინარიის ბურსისა, საერთოდ, სასულიერო სასწავლებლების სისასტიკის და ულმობელის წესწყობილებისა“ (ხახანაშვილი 1917: 199).

ს. მგალობლიშვილი გორის სასულიერო სასწავლებელში 1860 წელს შეიყვანეს. მწერალი დაწვრილებით აღწერს იმ საშინელებას, რომელიც სასწავლებელში სუფევდა. ნაცვლად იმისა, რომ ბავშვს სკოლაში სითბო ეგრძნო მასწავლებლებისგან, ისინი წკეპლას გადაუშხეილებდნენ ყველას, ვინც იცოდა და არ იცოდა გაკვეთილი. „ასე რომ, მცოდნე და უცოდნელი ერთს ბარაში გამოდიოდნენ... ზოგი ისე შეეჩვია როზგსა, რომ აღარა გრძნობდნენ ტკივილსა“ (მგალობლიშვილი 1938: 37). ზოგიერთი მოსწავლე ვერ უძლებდა ამდენ ტანჯვას, სასწავლებლიდან გარბოდა, მაგრამ შინ კი არ ბრუნდებოდა, სხვაგან, სადმე, დგებოდა მოსამსახურედ. სასწავლებლიდან გაქცეულებს მალე პოულობდნენ, გაბაწრულები უკან მოჰყავდათ, საჯაროდ დიდ ოთახში ჩამოატარებდნენ და ყველა შეგირდს ან უნდა მიეფურთხებინა ამხანაგისათვის, ან ეთქვა: „ფუი შენს კაცობას!“... შემდეგ წამოაქცევდნენ და ორმოცდაათ-ას წკეპლას ურტყამდნენ შიშველ ტანზე. მოსწავლეები „ხშირად, ძალიან ხშირად სისხლისაგან იცლებოდნენ და გულშეწუხებულს ძლივს აბრუნებდნენ ცივის წყლითა“ (38).

შეგირდების დიდი ნაწილი ცემა-ტყეპისაგან სულ მთლად ლაყდებოდა. კლასიდან კლასში გადაყვანა მხოლოდ ქრთამით ხდებოდა. ვინც მცირე ძღვენს მოიტანდა, „რიყეზე რჩებოდა, ვინ აღირსებდა გადასვლას. ამიტომ ღარიბი ოჯახის შვილები ოთხი-ხუთი წელიწადი რჩებოდნენ თითო კლასში“ (38).

მემუარისტის გადმოცემით, მოწაფეებს თავისუფლების დროსაც ეკრძალებოდათ გართობა. ყოველ საღამოს სკოლის ზედამხედველები ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ და ვაი იმას, ვისაც ეზოში თამაშის დროს გამოიჭერდნენ. გართობა არც სკოლაში შეიძლებოდა და არც - სკოლის გარეთ.

მოსწავლეებისთვის ნამდვილი შვება იყო ზაფხულის არდადეგები. მემუარისტი ნამდვილი მწერლური ოსტატობით აღწერს სოფელში გატარებულ დაუვიწყარ დღეებს: ეს პერიოდი, „ცხოვრების, ბუნების დიდი წიგნი საუკეთესო სახელმძღვანელო იყო: მასში ვკითხულობდი ბუნების სიმშვენიერეს, გლეხების გაჭირვებულ ცხოვრებასა, მისს ჭირს და ვარამსა, მის ლხინსა, სულის მისწრაფებას, იქიდან მესმოდა ფრინველთა და ადამიანთა გულსაკლავი სიმღერა-გალობანი, ვეწაფებოდი ხალხის ნაწარმოებსა - ლექსებსა, ზღაპრებს, მის გამოთქმულ ნაკვესებსა“ (43).

1863 წელს გორის სასულიერო სასწავლებელში მოვიდა **იაკობ გოგებაშვილი**. მწერალი სიყვარულით ხატავს დიდი პედაგოგის მამის პორტრეტს. იაკობს მოჰყვაო „ლამაზი სახის მღვდელი, რომლის სახეს უფრო ალამაზებდა და აბრწყინვებდა ლამაზი თეთრი წვერი“ (40). ს. მგალობლიშვილის მიერ მოკლედ, შთამბეჭდავად წარმოდგენილი სვიმონ გოგებაშვილის პორტრეტი ცხოვლად რჩება მკითხველის მეხსიერებაში.

ი. გოგებაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიაში დანიშნეს მასწავლებლად. მემუარისტის თქმით, „პირველი სხივი ადამიანურის აღზრდისა იაკობ გოგებაშვილმა შეიტანა ტფილისის სემინარიასა და სასულიერო სასწავლებელში“ (40).

აქვე მემუარისტი გვთავაზობს საინტერესო მოგონებას **გიორგი ერისთავზე.** ჩვენ წარმოგვიდგება ყმაწვილის ხსოვნაში აღბეჭდილი დიდი ქართველი მოღვაწის, პოეტისა და დრამატურგის შთამბეჭდავი სახე. გ. ერისთავი 60-იანი წლების დასაწყისში გორში ცხოვრობდა, იმ უბანში, სადაც ს. მგალობლიშვილს ეკავა ბინა. მემუარისტი გ. ერისთავის შესახებ იმარჯვებს ა. წერეთლის აზრს: „ფოლადი თუ ტალს არ მოხვდა, ისე ნაპერწკალს ვერ გაჰყრის! და თუ ცოტა არ მოღამდა, ვარსკვლავები თავს ვერ იჩენენ. ერთი ამგვარი მოღამება ჩვენში „ყაზარმობა“ იყო... ამ დროს გამოჩნდნენ მამულის-შვილები, აქ გავარდა ნაპერწკალი და თანვე მიჰყვნენ მგოსნები, რომელთ რიცხვში ყველაზედ უფრო შესანიშნავად ბრწყინავს თ. გ. ერისთავი“ (40).

ს. მგალობლიშვილს კარგად ახსოვს ყრმობის დროს ბევრგზის ნახული გ. ერისთავი, რომელსაც „ჯერ კიდევ ჭაღარა არ მორეოდა, შავი სქელი ულვაში და აქეთ-იქით ლოყებზე ჩამოშვებული ბიღები უმშვენიერებდნენ ბადრს სახესა“ (40). სიარულის დროს იგი ჯოხს ძალიან ეყრდნობოდა, ეტყობოდა, ფეხები სტკიოდა. უბნის ხალხი მას

გლუხარიჩს ეძახდა. მრავლისმთქმელია მემუარისტის შენიშვნა: **„არავინ კი არ იცოდა, თუ რა ღვაწლი მიუძღოდა მათს გლუხარიჩსა სამშობლოს წინაშე“** (40).

ყრმის ხსოვნამ კარგად შემოინახა გ. ერისთავის გარდაცვალების ამბავი. დიდძალი ხალხი მოვიდა მამულიშვილის პატივსაცემად. სწორედ ს. მგალობლიშვილის მემუარებიდან ვიცით, თუ როგორ შეხვდნენ გ. ერისთავის მეგობრის, გრ. ორბელიანის, ჩასვლას გორში: **„ორბელიანიც მოვიდა, ორბელიანიცაო, ყვიროდა და ხმაურობდა ხალხი“** (40-41).

მემუარისტი გასაგები მიზეზების გამო საგანგებოდ აღნიშნავს, თუ როგორ ტიროდნენ სოფლიდან ჩამოსული გლეხები, „დედაკაცები ხომ სულ იხოცებოდნენ ტირილითა“ (41). თურმე ისინი პოეტის ნაყმევები იყვნენ, რომლებიც გ. ერისთავმა ბატონყმობის გაუქმებამდე გაათავისუფლა. იქნებ გრძნობდა მოახლოებულ სიკვდილს და სურდა, დამტკბარიყო მათი თავისუფლებით, „რომლის დამყარებისათვის კაცთა შორის მრავალჯერ აძგერებულა მისი სხივ ბრწყინვალე გული“ (41). გ. ერისთავი გარდაიცვალა ორი თვით ადრე ბატონყმობის გადავარდნის გამოცხადებამდე გორში, 1864 წლის 9 სექტემბერს.

როგორც ვხედავთ, გლეხკაცის ბედით შეწუხებული ს. მგალობლიშვილი დიდ ყურადღებას უთმობს ამ ფაქტებს; გ. ერისთავის ღვაწლზე საუბრისას მის მწერლურ და თეატრალურ დამსახურებაზე კი არ ჩერდება, არამედ იმ დიდ მოვლენაზე, თუ როგორ გაბედულად გადადგა მან კეთილშობილური ნაბიჯი მანამ, სანამ საქართველოში ჯერ კიდევ ყველაფერი ძველებურად რჩებოდა.

ს. მგალობლიშვილი გვიამბობს, თუ როგორ გაიხარა ქართველმა გლეხობამ განთავისუფლებით და რა ერთსულოვნად დაიტირეს ნაბატონარი გ. ერისთავი. ბუნებრივია, მემუარისტი გულწრფელია ამ ფაქტების გადმოცემისას და ჩვენგან სრულ ნდობას იმსახურებს.

ამგვარი იყო განსწავლის წლები, რომლებიც მომავალმა მწერალმა გორის სასულიერო სასწავლებელში გაატარა. კურსის დასრულების შემდეგ (1867) იგი თბილისის

სემინარიის მეხუთე კლასში გადაიყვანეს, სადაც ოჯახის შორეული ნათესავის, **კონსტანტინე მამაცაშვილის**[39], შეწევენით სახელმწიფო ხარჯით დაიწყო სწავლა.

3.5. თბილისის სასულიერო სემინარია

ს. მგალობლიშვილი თავის მოგონებებში შთამბეჭდავად აცოცხლებს თბილისში ჩამოსვლისა და სემინარიაში ჩარიცხვის ამბებს. აქ მას სულ სხვა ატმოსფერო დახვდა. ამ დროს სემინარიაში ასწავლიდნენ ისეთი მადლიანი პედაგოგები, როგორებიც იყვნენ დიდი **იაკობ გოგებაშვილი, თომა ტურიაშვილი, გიორგი იოსელიანი, ნიკოლოზ ცხვედაძე** და სხვები. მათი წყალობით **„სემინარია სრულიად ქართულს სასწავლებელს წარმოადგენდა, ქართული სული ედგა, ქართულად ჰფეთქავდა“** (47). იაკობი და მისი თანამებრძოლები საგნებსაც გააზრებულად ასწავლიდნენ და ადამიანურადაც ეპყრობოდნენ მოსწავლეებს.

ი. გოგებაშვილი სემინარიის ზედა სართულზე ცხოვრობდა. მასთან ხშირად დადიოდნენ თბილისში მყოფი მწერლები და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები: ს. მესხი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ა. ფურცელაძე, ნ. ყიფიანი და სხვები. მათი ფიქრი ერთთავად საქართველოს, მშობლიურ ენასა და ლიტერატურას დასტრიალებდა. მოწინავე სემინარიელები, მათ შორის ს. მგალობლიშვილი, ეცნობოდნენ და უახლოვდებოდნენ მათ.

მემუარისტის სიტყვით, პროვინციებიდან ჩამოსული მოსწავლეებისაგან აშკარად გამოირჩეოდნენ „გოგებაშვილის გაწვრთნილი შეგირდები“ (45). ისინი ქართულადაც და რუსულადაც მშვენივრად ლაპარაკობდნენ, „წაკითხული ჰქონდათ თითქმის რუსის ყველა მწერლები, ნაკითხი ჰქონდათ ქართული ჟურნალები“ (45). საბედნიეროდ, ჩამორჩენილებს გულშემატკივრები გამოუჩნდნენ - ესენი იყვნენ უფროსკლასელი სემინარიელები, რომლებიც სრულიად უანგაროდ ეხმარებოდნენ მათ სწავლაში:

[39] კ. მამაცაშვილი (1818-1900) - რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, საზოგადო მოღვაწე, მწერალი. იგი იყო თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის ერთ-ერთი დამაარსებელი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. კ. მამაცაშვილს ეკუთვნის პატარა ბიოგრაფიულ-მემუარული ხასიათის ნარკვევი ნ. ბარათაშვილზე, რომელიც მისი სკოლის ამხანაგი და მეგობარი იყო.

უხსნიდნენ გაკვეთილებს, წასაკითხად აძლევდნენ ადვილად გასაგებ წიგნებს. ისინიც ტაატით მისდევდნენ გოგებაშვილის გაწვრთნილ შეგირდებს.

ს. მგალობლიშვილის გადმოცემით, სემინარიას ჰქონდა იმ დროისათვის საკმაოდ კარგი წიგნსაცავი. იქ იყო ისტორიული, საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური წიგნები, ასევე, რუსული და უცხოური მხატვრული ლიტერატურა (შექსპირი, ბაირონი, შილერი...).

შეგირდებს საკუთარი ხარჯით შეძენილი ბიბლიოთეკაც ჰქონდათ. მასში იყო ჟურნალ „სოვრემენიკის“ თითქმის ყველა ნომერი, ბელინსკის, პისარევისა და დობროლიუბოვის კრიტიკული თხზულებები, გერცენის „კოლოკოლის“ ზოგიერთი ნომერი, ნეკრასოვის ლექსები...

სემინარიელები ქართულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს კერძო პირებისაგან შოულობდნენ. ისინი დიდი ინტერესით კითხულობდნენ „საქართველოს მოამბის“, „ცისკრისა“ და „დროების“ ნომრებს; ეცნობოდნენ „ქართლის ცხოვრებას“... გრ. რჩეულიშვილის „თამარ ბატონიშვილი“ თითქმის მთელმა სემინარიამ ზეპირად იცოდა, ხოლო „ვეფხისტყაოსანი“ ყოველ მათგანს სახარებად გაეხადა.

„ბევრჯელ თავზე დაგვათენდებოდა კითხვაში. კარგი ის იყო, რომ ნაკითხს ურთიერთს ვუზიარებდით, გაჩნდებოდა ხოლმე სჯა-ბაასი, აზრთა შეჯახება, დავა და მოცილეობა. ამ ბაასის დროს გამოვარკვევდით ხოლმე ბუნდოვანად გაგებულს აზრს რომელიმე მწერლისას ანუ ფილოსოფოსისას“, - გვიამბობს მწერალი (46). კვირაში ერთი დღე იყო გამოყოფილი „ქართლის ცხოვრების“ საკითხავად. შეგირდები რიგრიგობით წარმოადგენდნენ ამა თუ იმ თავს, ისე რომ, თითქმის მთელი „ქართლის ცხოვრება“ შეისწავლეს.

ქართული თბილისის სემინარიაშიც არ ისწავლებოდა. მოწაფეებს კვირაში ერთხელ უკითხავდნენ ხუცურ წიგნებს. მოგვიანებით ქართული გალობა შემოიღეს და მასწავლებლად დანიშნეს ცნობილი მგალობელი მღვდელი - გრიგოლ კარბელაშვილი.

ს. მგალობლიშვილისთვის დაუვიწყარი იყო დღე, როდესაც სიტყვიერების მასწავლებლმა, თ. ტურიაშვილმა, ილიას თხზულება - „სცენები მომრიგებელ მოსამართლესთან“ - წაუკითხათ. „პირველად გვესმოდა ამისთანა კითხვა. - ამბობს იგი, - გლახა ჭრიაშვილი ჩვენი ნაცნობი გამოდგა, ვიცანით მასში ჩვენი დაბეჩავებული გლეხი,

ვიცანით თავგასული კნეინა და მისი მონათესავენი...“ (47). სემინარიელებმა იმ დღიდან გაიგეს ქართული წიგნების კითხვის გემო, გარედან შემოჰქონდათ ქართული ჟურნალ-გაზეთები და თავისუფლად კითხულობდნენ, დამშლელი არავინ ჰყავდათ. საყურადღებოა, რომ თვითონ მოსწავლეებმა დააარსეს ხელნაწერი ჟურნალი „შრომა“, რომელშიც მოღვაწეობდნენ გიორგი უთურგაული, ნიკო ლომოური, იოსებ (სოსიკო) ბაქრაძე, იონა მეუნარგია, სოფრომ მგალობლიშვილი... ჟურნალი 1871 წლამდე გამოდიოდა. სემინარიელები დიდ ინტერესს გამოხატავდნენ სათარგმნი მასალის შერჩევისას. ასე მაგალითად, ს. მგალობლიშვილმა პირველ ნომერში მოათავსა შილერის „ორლეანელი ქალწულის“ პირველი მოქმედების თარგმანი; ორიგინალურ თხზულებათაგან გამოაქვეყნა „რა მიზეზია?“, რომელიც შემდეგ გადაკეთდა მოთხრობად „დედა მაია“. იმავე მოთხრობამ მწერალს შთააგონა „ღამის მეხრე ცეცო“.

ს. მგალობლიშვილის თქმით, 70-იანი წლების დასაწყისში სემინარიაში ლიბერალური რეჟიმი იყო. სემინარიელები თავისუფლად დადიოდნენ რუსულ თეატრსა და იტალიურ ოპერაში, მხოლოდ თუ დააგვიანდებოდათ, გალავანზე გადმოძვრებოდნენ, რომელიც მაშინ მაღალი არ იყო. ისინი, ასევე, მონაწილეობდნენ ქართველ სცენისმოყვარეთა მიერ დადგმულ სპექტაკლებში. პირველი ასეთი სპექტაკლი იყო ზ. ანტონოვის „ქმარი ხუთი ცოლისა“. რეპეტიციები იმართებოდა **დ. ყიფიანთან, ა. ფურცელაძესთან, გ. იოსელიანთან...** ასეთ საზოგადოებაში ყოფნა სემინარიელებისათვის მეტად უჩვეულო იყო; განსაკუთრებით შთაბეჭდავი იყო **დ. ყიფიანთან** შეხვედრა. „პირველად რომ შევედი რეპეტიციაზე **დიმიტრი ყიფიანისას,** - იგონებს ს. მგალობლიშვილი, - თვალთ დამიბნელდა, მეგონა, აგერ მიწა იძრა და ქვესკნელს ჩამიტანა-მეთქი. ასევე დამართნოდა ჩემს ამხანაგს შიო შიუკაშვილსა... **დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი** ერთობ ზრდილობიანი და თავაზიანი კაცი იყო, შეგვატყო აბუზვა და გარეტება, მოვიდა და მიგვიყვანა მაგიდასთან“ (50).

ახალგაზრდებმა სემინარიაშიც დაიწყეს სპექტაკლების დადგმა. იქ ამ დროს ხერხდებოდა ასეთი წამოწყებების განხორციელება.

მემუარისტის შეფასებით, თბილისის სასულიერო სემინარიამ მომავალ თაობაზე „ზნეობითი გავლენა“ იქონია. „მაშინდელ მოსწავლე ახალგაზდობამ ბაძვა დაუწყო თვისს

მოწინავეებს, თვითონაც ხელთნაწერი ჟურნალები გაიჩინეს, თვითონაც ჩაერივნენ მწერლობაში“ (158).

3.6. კულტურული ცხოვრება მე-19 საუკუნის 70-80-იან წლებში

ს. მგალობლიშვილი მე-19 საუკუნის სამოცდაათიან წლებს ქართული ლიტერატურის აღორძინების ხანად მიიჩნევს. ამ დროს დაარსდა ქართული ჟურნალ-გაზეთები, რომლებთანაც აქტიურად თანამშრომლობდნენ ჩვენი მწერლები და ლიტერატორები. სემინარიელებიც ენთუზიაზმით ჩაებნენ ლიტერატურულ საქმიანობაში. ისინი მეტწილად თავს იყრიდნენ „დროებისა“[40] და „მნათობის“[41] გარშემო. ახალგაზრდები თავდაპირველად მხოლოდ დაბეჭდვა-აწყობასა და კორექტურაში მონაწილეობდნენ, მოგვიანებით კი სალიტერატურო ასპარეზზეც გამოვიდნენ. სწორედ „მნათობის“ საშუალებით გაიცნო ლიტერატურულმა საზოგადოებამ ნიჭიერი სემინარიელი ნ. ლომოური - „ჩვენი სახელოვანი ბელეტრისტი“ (59). მისი პირველი გამოქვეყნებული ლექსი იყო „ჩემს ვარსკვლავს“. აქვე „ჩაილდ ჰაროლდის“ თარგმანით დაიწყო ბეჭდვა ი. ბაქრაძემ. ამის შემდეგ ჟურნალის თითქმის ყველა ნომერში იბეჭდებოდა ამ ორი ახალგაზრდა პოეტის ლექსები.

როგორც უკვე ითქვა, ლიტერატურული მოღვაწეობა ს. მგალობლიშვილმაც თარგმანებით დაიწყო. თავისი პირველი თარგმანი **შილერის „ორლეანელი ქალწული“** მას არ გამოუქვეყნებია; მეორე თარგმანი კი - **როსელის „სიკვდილით დასასჯელის უკანასკნელი დღეები“** - ხელმოუწერლად დაიბეჭდა 1872 წლის „მნათობის“ მეორე ნომერში.

სხვა ქართველ ახალგაზრდებთან ერთად, რომლებიც ჟურნალის საქმიანობაში

---

[40] გაზეთი „დროება“ დაარსდა 1866 წელს. მისი პირველი რედაქტორი იყო გ. წერეთელი (1866-1869). შემდეგ რედაქტორობდნენ: ს. მესხი (1869-1883) და ი. მაჩაბელი (1883-1885). მთელი ოცი წლის განმავლობაში „დროება“ ერთადერთი ქართული გაზეთი იყო, რომელიც რეგულარულად გამოდიოდა. მისი ტირაჟი 800-1000 ცალს აღწევდა.

[41] სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი „მნათობი“ გამოდიოდა 1869-1872 წლებში. მას რედაქტორობდა ნ. ავალიშვილი. ჟურნალის უმთავრესი თანამშრომელი იყო ა. ფურცელაძე. მასში იბეჭდებოდა ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის, ა. წერეთლის, გ. ქიქოძის, ე. გაბაშვილისა და სხვათა ნაწარმოებები.

იღებდნენ მონაწილეობას, მემუარისტი საგანგებო ყურადღებას მიაპყრობს კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტს, **ნიკოლოზ ინაშვილს**, რომელიც, სამწუხაროდ, სტუდენტობაშივე აღესრულა ჭლექით. „მნათობის“ პირველსავე ნომერში დაიბეჭდა მისი საინტერესო წერილი - „საჭიროა თუ არა ქართული რიგიანი ჟურნალი“. იმავე 1869 წელს, მაისისა და ივნისის ნომერში, გამოქვეყნდა მისი თარგმანი: „ქალების განთავისუფლება (ჯონ-სტიუარტ მილლის თხზულებათაგან)“.

ს. მგალობლიშვილი აღტაცებას ვერ ფარავს, გამოწვეულს **მამია გურიელთან** შეხვედრით. მაშინ მამია თბილისში ცხოვრობდა. მემუარისტი გვიხატავს პოეტის საინტერესო გარეგნულ პორტრეტს - „ლამაზი სახის, ცქვიტი, შავ-წვერ ულვაშით შემკული, თავიდან ფეხებამდე შავ ტანისამოსში გამოწყობილი, თავზე გარიბალდის ქუდით“ (59). მან ლექსი მოიტანა „მნათობის“ რედაქციაში - „მზისადმი“. რედაქტორმა წაკითხვა სთხოვა. მამიამ ზეპირად წარმოთქვა ლექსი. ს. მგალობლიშვილიც ადასტურებს სხვათა შთაბეჭდილებას, მ. გურიელის წაკითხულით მიღებულს. ჟრუანტელმა ამიტაცაო, - ჰყვება ს. მგალობლიშვილი, - თმა ყალყზე დამიდგა, უეჭველია, სხვებიც ჩემს მდგომარეობაში იქნებოდნენ. ახლაც ყურებში ჩამესმის მისი ლექსის სტროფები. კითხვა რომ დაამთავრა, ცოტა ხანს დუმილი ჩამოვარდა, თითქოს გონს ვერ მოვედით, ისე გაგვიტაცა მისმა მშვენიერმა კითხვამ... რა თქმა უნდა, ლექსი დაიბეჭდა. ამის შემდეგ მ. გურიელმა „კრებულში“ დაიწყო ბეჭდვა **„ფაზელის“** ფსევდონიმით.

1872 წლიდან ს. მგალობლიშვილი **„დროების“** მუდმივი კორესპონდენტი გახდა, რაც გაზეთის იმჟამინდელი რედაქტორის, **სერგეი მესხის,** დიდი დამსახურება იყო. ამას წინ უძღოდა ერთი ამბავი, რომელმაც სოფრომის მომავალი მნიშვნელოვნად განსაზღვრა.

იმ წელს თბილისის სასულიერო სემინარიას პეტერბურგიდან რევიზორი ეწვია. მასწავლებლებმა მას კლასიკური ენების სწავლების შემოღება სთხოვეს. ს. მგალობლიშვილმა ამასთან დაკავშირებით დაწერა წერილი - „ძველ-ახალი ამბები“. მისი გამოქვეყნება „დროებაში“ გადაწყდა. სოფრომმა წერილი გაზეთის მაშინდელ რედაქტორს, ს. მესხს, ჩააბარა და გულისფანცქალით დაელოდა პასუხს. რედაქტორის გულისხმიერებამ და ყურადღებამ მომავალ მწერალზე კეთილისმყოფელი გავლენა

მოახდინა. „მე რაღაც უცნაური სიამოვნება ვიგრძენ, სერგის ტკბილმა ლაპარაკმა მომხიბლა და ბანგდალეულივით რაღაც გამოურკვეველს ოცნებას მივეცი. ხშირად დავდიოდი მას შემდეგ სერგისთან და იმ წლიდან სამუდამო კორესპონდენტი გავხდი „დროებისა“, - იხსენებს ს. მგალობლიშვილი (60).

მემუარისტი განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსად მიიჩნევს **ნიკო ნიკოლაძის** ღვაწლს, რომელმაც „სულ ახალი მიმართულება შექმნა ლიტერატურაში და ცხოვრებაში“ (71). იგი იყო ჟურნალ **„კრებულის“**[42] **„უმთავრესი თანამშრომელი, სულის ჩამდგმელი და მიმართულების მიმცემი“** (60). „კრებულის“ გარშემო გაერთიანდა მთელი მწერლობა და მაშინდელი ინტელიგენცია. ჟურნალში იბეჭდებოდნენ ილია, აკაკი, გ. წერეთელი, მ. გურიელი, ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე, პ. უმიკაშვილი, თვით ნ. ნიკოლაძე **„სკანდელის“** ფსევდონიმით.

ს. მგალობლიშვილი, თავის მხრივ, გვაწვდის უძვირფასეს ცნობას ი. ჭავჭავაძისა და ნ. ნიკოლაძის იმდროინდელ ურთიერთობაზე, იმაზე, რაც ჩვენ ნ. ნიკოლაძისა და სხვათაგან მოგვისმენია. „კრებულის“ დაარსებისას ილია დუშეთში მსახურობდა მომრიგებელ მოსამართლედ. ჟურნალმა იწყო თუ არა გამოსვლა, ნ. ნიკოლაძემ აიძულა ლიტერატურულ საქმიანობას გარიდებული ი. ჭავჭავაძე, „კრებულის“ აქტიური თანამშრომელი გამხდარიყო. ს. მგალობლიშვილის ცნობით, იგი ყოველკვირა მიდიოდა დუშეთში ან საგურამოში და იქიდან ილიას ნაწარმოებები ჩამოჰქონდა. მაშინდელ დროს ეკუთვნის ი. ჭავჭავაძის შედევრები: „გლახის ნაამბობი“, „აჩრდილი“, „ბედნიერი ერი“ და სხვა მრავალი ლექსი.

ს. მგალობლიშვილის ეს ცნობა უნდა დაზუსტდეს. საქმე ისაა, რომ ილიას არც „გლახის ნაამბობი“ და, მით უმეტეს, არც „აჩრდილი“ 70-იან წლებში არ დაუწერია. „გლახის ნაამბობი“ ი. ჭავჭავაძეს ჯერ კიდევ 1859 წელს ჰქონდა მთლიანად მოფიქრებული. ამ ნაწარმოების პირველი ექვსი თავი თავის დროზე დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“, დანარჩენი ექვსი თავი კი სწორედ „კრებულის“ მესვეურთა თხოვნით ილიამ დაამთავრა 1872 წლისათვის და მოთხრობა სრულად დაიბეჭდა

[42] ჟურნალი „კრებული“ გამოდიოდა 1871-1873 წლებში. მისი რედაქტორი იყო გ. წერეთელი, ხოლო უმთავრესი თანამშრომელი - ნ. ნიკოლაძე. „კრებული“ იყო ყოველთვიური ორგანო, გაზეთ „დროების“ დამატება.

ჟურნალ „კრებულში“ 1873 წელს (ჭავჭავაძე 1988: 590-592). რაც შეეხება „აჩრდილს“, იგი 1859 წლის 26 იანვრისთვის უკვე იყო დაწერილი, მაგრამ 60-იან წლებში მის დაბეჭდვაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ხერხდებოდა მხოლოდ ერთი ნაწყვეტის დაბეჭდვა - „ჩემო არაგვო, რარიგ მიყვარხარ“. მართალია, პოემა სრულად ვერც „კრებულში“ დაიბეჭდა, მაგრამ ფაქტი იყო, რომ იგი, ცენზურისაგან შეკვეცილი, ჟურნალში მაინც გამოქვეყნდა (ჭავჭავაძე 1987: 439-440). ასე რომ, „კრებულის“ რედაქტორების - ნ. ნიკოლაძისა და კ. ლორთქიფანიძის - როლი ამ მხრივ მართლაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო.

მემუარისტი სინანულით აღნიშნავს, რომ ჩვენში ხანგრძლივი არაფერია, „უხეირობისა და სიდუხჭირის გარდა“ (61). „მნათობსა“ და „კრებულს“ შორის ატყდა დაუსრულებელი პოლემიკა, რომელიც კინაღამ სისხლისღვრით დამთავრდა. შემდეგ უსახსრობისა და სხვა მიზეზების გამო ორივე ჟურნალი დაიხურა. დარჩა ერთადერთი გაზეთი - „დროება“, რომელსაც თანდათან შემოეცალნენ თანამშრომლები, შერჩნენ მხოლოდ აკაკი და ს. მესხი. ეს უკანასკნელი თავგანწირულად მუშაობდა იქამდე, „სანამ ზედ არ დააკლა ჯერ კიდევ სამშობლოს ტრფიალებით აღსავსე თავი“ (61).

70-იან წლებში „დროებისა“ და „კრებულის“ გარშემო გაერთიანებული ქართველი მოღვაწეების მიერ დაარსდა ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელმაც დიდი გავლენა იქონია ახალ თაობაზე. მემუარისტის თქმით, აქ „ყველანაირი წიგნი იშოვებოდა რუსულს ენაზე“ (61). მოწაფეები წყალმოწყურებულებივით დაეწაფნენ წიგნების კითხვას და შეუდგნენ თვითგანვითარებას. აქვე იკრიბებოდნენ ქართულ, სომხურ და რუსულ გამოცემათა მეთაურნი და თანამშრომელნი.

ს. მგალობლიშვილი განსაკუთრებულად აღნიშნავს ამ საქმეში ქართველ ხალხოსანთა ერთ-ერთი ლიდერის, ეგნატე იოსელიანის, წვლილს. მან რუსეთში თავისი ხარჯით შეიძინა წიგნები და საქართველოში გამოგზავნა. სამწუხაროდ, მათ დანიშნულების ადგილამდე ვერ მოაღწიეს. მეორედ თვითონ ეგნატემ ჩამოიტანა რამდენიმე ყუთი და ქართველ მოღვაწეებს გადასცა. ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგედ დაინიშნა ვინმე ივანოვი, რის გამოც ამ საზოგადო ბიბლიოთეკას ი ვ ა ნ ო ვ ი ს ბიბლიოთეკა ეწოდა. „ეგნატე იოსელიანმა იშრომა, სახელი კი სხვას დარჩა“, - გულისტკივილით აღნიშნავს მწერალი (74).

ამავე დროიდან დაიწყო ქართული წიგნების ბეჭდვაც. ამ საქმეს შეუდგნენ ზ. ჭიჭინაძე და არ. კალანდაძე.

მწერლის თქმით, ლიტერატურული ცხოვრების აღორძინებასთან ერთად განახლების გზას დაადგა ქართული თეატრიც. ნ. ავალიშვილმა და ა. ფურცელაძემ შეადგინეს სცენისმოყვარეთა წრე ქართული წარმოდგენების გასამართავად. აქ პირველად ითამაშა მსახიობმა **ბაბო ხერხეულიძემ** (ავალიშვილისამ). იგი იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი მსახიობი ქალი; ძირითადად ასრულებდა დრამატულ როლებს. ამ დროს ქალის სცენაზე გამოსვლა, თანაც არისტოკრატი ქალისა, სათაკილოდ იყო მიჩნეული. ბაბო ახალგაზრდა იყო, ინსტიტუტის ახლად კურსდამთავრებული, ამასთან, მეტად ლამაზი და გამბედავი.

მართალია, თბილისში გამოცოცხლდა ლიტერატურული და თეატრალური ცხოვრება, მაგრამ პროვინციაში, ქუთაისის გარდა, ჯერ კიდევ ყველაფერი ძილს მოეცვა. როცა ს. მგალობლიშვილი გორში ჩავიდა სამუშაოდ (1873), აქ მარტო ერთი ნომერი მოდიოდა გაზეთ „დროებისა“, არც წიგნის კითხვის რაიმე ტრადიცია არსებობდა. მწერალმა ჩაიტანა თბილისში დაბეჭდილი წიგნები: „სურამის ციხე“, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, „კაცია ადამიანი?!“, „ვეფხისტყაოსანი“, „სიბრძნე სიცრუისა“, „თამარ ბატონიშვილი“, ლექსების კრებული „ჩონგური“, „საქართველოს მოამბისა“ და „ცისკრის“ ნომრები... ს. მგალობლიშვილის უდიდესი ღვაწლია, რომ გორში გაღვივდა წიგნის კითხვის ინტერესი, ასე რომ, კიდევ რამდენჯერმე მოუწია მას ამ წიგნების შეძენა, რადგან ძველი ნაყიდი კითხვაში გაცვდა.

მემუარისტის თქმით, გორის ინტელიგენციას შეადგენდნენ მასწავლებლები. აქ მაშინ ორი სასწავლებელი იყო: სასულიერო და სამოქალაქო. საოსტატო სემინარია ჯერ კიდევ არ იყო დაარსებული. ქალაქში „საშინელი მყუდროება იყო, მოსაწყენი, კაეშნის აღმძვრელი, გამომწვევი ღვინოში დარდების ჩაკვლისა“ (72). საზოგადოება ნელ-ნელა გამოდიოდა საღათას ძილისგან, ბოლოს გორმაც ბანი მისცა თბილისს და გახდა „მეთაური ქართლისა“.

ს. მგალობლიშვილი დაწვრილებით აღწერს 70-იანი წლების გორის კულტურული ცხოვრების ამბებს. აქ რუსეთ-ოსმალეთის ომის (1877-1878) შემდგომ დადგა დიდძალი

ჯარი, სადაც ბლომად იყო ქართველი ოფიცრობა. ქართლის თავადაზნაურობა ხომ თითქმის სულ გორში ცხოვრობდა. მათ ემატებოდა ქალაქიდან ჩამოსული ინტელიგენცია. ამდენ ხალხს, თავისთავად, სჭირდებოდა კულტურული გართობა. გადაწყდა, გორშიც შექმნილიყო სცენისმოყვარეთა დასი. მწერალი საინტერესოდ გვიყვება, თუ როგორ გაიმართა სცენა მტკვრის ნაპირას, ძველი როტონდის ადგილზე (1879) და რა დიდი ღვაწლი დასდეს ამ კეთილშობილურ წამოწყებას მაზრის უფროსმა, რევაზ ერისთავმა, ნიკო დიასამიძემ, აღალო თუთაევმა…

აქ გამართულ რეპეტიციებს, სპექტაკლებს ხშირად ესწრებოდნენ ა. წერეთელი, ა. ფურცელაძე. სცენისმოყვარეებმა აქ წარმოადგინეს აკაკის „კუდურ ხანუმი“ და ა. ფურცელაძის „ყაჩაღები“.

წარმოდგენები საქველმოქმედო შინაარსს ატარებდა. შემოწირულობას უგზავნიდნენ ადგილობრივ სკოლებს, ხელმოკლე სტუდენტებს.

„შემდეგ და შემდეგ საქმე გაფართოვდა და წარმოდგენები ქსელივით გაება თითქმის ყველა მოზდილ დაბა-სოფელში“ (52). ზაფხულობით სპექტაკლები იდგმებოდა სურამში, ქარელში, ხაშურში, ცხინვალში, მეჯვრისხევში, რეხაში…

ს. მგალობლიშვილი გვაცნობს თეატრში თავისი მოღვაწეობის მოკლე ისტორიას. თავიდან იგი მხოლოდ სუფლიორობით იყო დაკავებული, ამზადებდა რეკვიზიტს და ხანდახან რეჟისორობდა კიდეც. სუფლიორობისას ხშირად გლეხების როლებს გლეხურ კილოზე კარნახობდა; ჩააცივდნენ, რომ სცენაზეც წაეკითხა გლეხთა მონოლოგები. მწერალმა იცოდა რამდენიმე სცენა რაფიელ ერისთავისა,ზოგი მიაწოდა კოლა ერისთავმა, შემდეგ თვითონაც დაიწყო შედგენა. ს. მგალობლიშვილის ეს სცენები დიდი პოპულარობით სარგებლობდა, განსაკუთრებით სოფლებში. გლეხური სცენების შესრულებისას მას საკუთარი ტანსაცმელი ჰქონდა, რომელშიც თავს ბუნებრივად გრძნობდა და, სადაც წავიდოდა, თან დაჰქონდა. ერთხელ კინაღამ გააძევეს კულისებიდან, გლეხი ეგონათ, შენ აქ ვინ შემოგიშვაო.

ს. მგალობლიშვილი საჭიროდ მიიჩნევს რამდენჯერმე აღნიშნოს, რომ მომავლის თეატრის ისტორიკოსმა სათანადოდ უნდა მიაგოს პატივი **აღალო თუთაევსა** და **ნიკო დიასამიძეს**, რომლებმაც დაუფასებელი ღვაწლი დასდეს გორის სცენას.

მწერლის თქმით, ზაფხულობით თავის სამკვიდრო სოფელ ხელთუბანში ჩამოდიოდა მიხეილ თუმანიშვილის ვაჟი **გიორგი თუმანიშვილი,** ქართული თეატრის დიდი მოამაგე. იგი ხშირად თვითონაც ხელმძღვანელობდა წარმოდგენებს. მისი რეჟისორობით დაიდგა გ. სუნდუკიანცის ცნობილი პიესა **„ხათაბალა“**, რომელშიც ახალგაზრდა სოფრომმაც მიიღო მონაწილეობა.

მწერლის გადმოცემით, გორის სცენას ხშირად სტუმრობდა თბილისის სცენისმოყვარეთა დასი, რომელსაც თან მოჰყვებოდა „ვინმე ჩვენი წარჩინებულთაგანი“: აკაკი, ი. მაჩაბელი, დ. ერისთავი, ალ. ყაზბეგი... ყველა გორელი ინტელიგენტის კარი ღია იყო საპატიო სტუმრებისათვის.

ს. მგალობლიშვილი აღფრთოვანებით იხსენებს **მაკო საფაროვას** პირველ სტუმრობას გორში. მთელი ინტელიგენცია, ქალი და კაცი, დახვდა სადგურზე მსახიობთა დასს; გარს შემოეხვივნენ, თავი მოაბეზრეს მოკითხვებით, სურვილების გადაცემით.

„აი, მაშინ პირველად ვნახე მე მაკო, - იხსენებს მწერალი, - იგი იყო შუა ტანისა, მკვრივი აგებულებისა, ცქრიალა, ჟუჟუნა, წყლიანი თვალებით, ფართო შუბლით, ღიმილით, მკაფიოდ მოლაპარაკე“ (სსლმ, N 15 705 – ხ.).

მემუარისტი მეტად მაღალ შეფასებას აძლევს მაკო საფაროვას სამსახიობო ოსტატობას. ერთხელ ს. მგალობლიშვილი ისე გაიტაცა მაკოს თამაშმა, რომ სუფლიორობა დაავიწყდა. ასე პირდაფჩენილი დავრჩებოდი, რომ კულისებიდან არ გამოვეფხიზლებინეო, - ამბობს იგი.

ასეთი იყო მე-19 საუკუნის 70-80-იანი წლებში კულტურული ცხოვრება თბილისსა და გორში, რომელიც შესანიშნავად აისახა ს. მგალობლიშვილის მოგონებებში.

3.7. ბატონყმობის გადავარდნა საქართველოში

როგორც „მოგონებანის“ რედაქტორი ლ. ასათიანი აღნიშნავს, სტატია - „ბატონყმობის გადავარდნა საქართველოში“ - დაიბეჭდა გაზეთ „თემში“ (N 6) 1911 წელს. იგი დაიწერა ბატონყმობის გაუქმების 50 წლისთავთან დაკავშირებით.

სტატიაში ბევრი რამ გამეორებულია და ზოგიც ახალია. იგი ავსებს იმ შთაბეჭდილებებს, რომლებიც გაბნეულია საკუთრივ მოგონებებში. ს. მგალობლიშვილი

არის ერთ-ერთი ის ავტორი, რომელიც ძალიან ქუფრ ფერებში გვიხატავს ყმების მდგომარეობას ბატონყმობის დროს. მემუარისტის თქმით, გლეხკაცობის ცხოვრება ბევრად გაუარესდა XVIII საუკუნის ბოლოს, როცა დაქსაქსული ბატონიშვილები და თავად-აზნაურები ენით გამოუთქმელი აღვირახსნილობით მოქმედებდნენ. ხოლო რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ გლეხების მდგომარეობა კიდევ უფრო აუტანელი გახდა - „თავადაზნაურობას საქმე აღარა ჰქონდა, მცონარეობას მიეცა და ჩინ-აპელატებს დაუწყო ტრფიალი. ამას ზედ დაემატა ახალი სახელმწიფო გადასახადები, ბეგარები, ბაჟები და ათასი სულის შემხუთავი გარემოებანი“ (მგალობლიშვილი 1938: 62).

აუტანელმა ტანჯვა-ვაებამ, სულისა და ხორცის შებორკვამ, ნამუსის ახდამ გააბოროტა ხალხი, იწყეს ბატონების ხოცვა. „ასეთი ამბები ხშირი იყო და უფრო იმატა მაშინ, როცა თანდათან ვრცელდებოდა ხალხში ხმა, რომ ბატონყმობა უნდა გადავარდესო. ბატონები ჯიბრზე უფრო და უფრო მარწუხს უჭერდნენ ყმებს და ყმებმაც მიჰყვეს ბატონების ხოცვას ხელი“ (64).

სტატიაში ბევრი რამ მეორდება ვარიაციით. მწერალი აქაც აღნიშნავს, რომ ქ. გორში, როცა წაკითხული იქნა ბრძანება[43], „ხალხში ზრიალი ჩავარდა, ტირილი სიხარულისა, პირჯვრის წერა და მუხლის მოყრა“ (64).

ბოლოს მემუარისტი ასკვნის: მართალია, ბატონყმობის გაუქმებიდან 50 წელიწადი სრულდება, მაგრამ მთა და ბარი მაინც ვერ გასწორდა. განთავისუფლდა ადამიანის სული, მაგრამ ვერ გაუმჯობესდა მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. გლეხი მიწას არის მოკლებული და ამიტომ ერთობ დაქვეითებულია ეკონომიკურად.

3.8. ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში (1870-1880)

1924 წელს ჟურნალ „რევოლუციურ მატიანეში“ (N 4-5) დაიბეჭდა ს. მგალობლიშვილის ვრცელი ნაშრომი „სოციალ-რევოლუციონური (ხალხოსნური) მოძრაობა საქართველოში 1870-1880 წლებში“.

[43] ბრძანება წაიკითხა პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის მამამ, დეკანოზმა სოლომონ ხახანაშვილმა.

ამ ნაშრომში ვრცლადაა საუბარი 70-იანი წლების პროცესებზე ქართულ სინამდვილეში როგორც თბილისში, ასევე გორსა და, საერთოდ, აღმოსავლეთ საქართველოს პროვინციებში.

მწერალს მიზნად აქვს დასახული, ფარდა ახადოს 70-იანი წლების „წყვდიადს ღამეებს“ და დაანახოს საზოგადოებას ის „ბრწყინვალე ვარსკვლავები, რომელნიც ამ წყვდიადს ნათელს ჰფენდნენ, რომელთა ვინაობა დღევანდელმა ქართველმა არ იცის“ (70).

ს. მგალობლიშვილის ეს სტატია ყოველთვის იყო ყურადღების ცენტრში, იგი საგანგებოდ განიხილა ლ. ასათიანმაც და ამჯერად ჩვენ მას შედარებით მოკლედ შევეხებით.

თავდაპირველად მემუარისტი მსჯელობს ქართული ხალხოსნობის მიმართებაზე რუსულ ხალხოსნობასთან. მას მიაჩნია, რომ ქართული ხალხოსნობა პირდაპირი გამოძახილი იყო რუსულისა. გლეხობის გაჭირვება და მისი დახმარების სურვილი „ნაროდნიკებში“ რევოლუციურ სულისკვეთებას აღვივებდა. აქცენტი კეთდებოდა გლეხების უმიწოდ განთავისუფლებაზე. **ალექსანდრე მეორემ** არ უღალატა მამის ანდერძს, რომ ბატონყმობის გაუქმება შინაარსობრივად ბევრს არაფერს შეცვლიდა. ჩერნიშევსკიმ და სხვა რევოლუციონერ-დემოკრატებმა მოითხოვეს, რომ მიწა, რომელზეც გლეხები ცხოვრობდნენ, მათ საკუთრებაში გადასულიყო.

ალექსანდრე მესამემ საშინელი რეაქცია გაამეფა რუსეთში - დევნა, დახრჩობა, გაციმბირება. ციხეები ვერ იტევდა პოლიტპატიმრებს, მაგრამ არც რევოლუციონერებს ეძინათ. რუსულ ხალხოსნურ მოძრაობაში, ს. მგალობლიშვილის დახასიათებით, ამ დროს ორი ფრთა შეინიშნებოდა - ბაკუნინისა და ლავროვისა, მაგრამ ალექსანდრე მესამის დროს რუსეთში ეს ორი ფრთა გაერთიანდა და დაიწყო ორივე მხრიდან შეურიგებელი ბრძოლა.

ყველაზე მძლავრად, ს. მგალობლიშვილის სიტყვით, ჩვენში რუსეთის მოძრაობას გამოეხმაურა ი. ჭავჭავაძე, ხოლო საზღვარგარეთ - რუსეთიდან გაქცეული ნ. ნიკოლაძე. მემუარისტის თქმით, ილიამ თავისი მხატვრული ქმნილებებით შექმნა რევოლუციური სული. თუმცა ისიც ფაქტია, რომ **ხალხოსნური სულისკვეთების მწერალი ბოლომდე და ღრმად ვერ იგებს ი. ჭავჭავაძის ეროვნულ იდეალებს.**

ს. მგალობლიშვილი ჩვენში ხალხოსნური მოძრაობის დასაწყისს 1873 წლიდან ვარაუდობს. ეს ის დროა, როდესაც იგი გორში იწყებს მუშაობას სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად. აქ გაეცნო და დაუახლოვდა მწერალი ვასილ დეკანოზიშვილს, ეგნატე იოსელიანსა და მიხეილ ყიფიანს, რომლებიც იქცნენ მოთავეებად ხალხოსნურ-რევოლუციური მოძრაობისა. მათ შემდეგ შემოუერთდნენ შიო დავითაშვილი, მათე კერესელიძე და სხვები. გორი შეიქნა **„ბუდე ხალხოსნობისა და რუსების რევოლიუციონერებისა“** (171).

ხალხოსნებმა წამოიწყეს აგიტაცია იმ მიზნით, რომ ხალხს შეეგნო, თუ როგორ უსინდისოდ მოატყუეს იგი, როგორ გაძარცვეს და დატოვეს ისევ და ისევ დამოკიდებულები ძველ მებატონეებზე. მაგრამ, მწერლის აღიარებით, ხალხოსნური მოძრაობა, რუსული „ნაროდნიკობა“, თავდაპირველად ინტელიგენციამ და სტუდენტობამ გაიზიარა. ხალხი მათ არ იკარებდა, განსაკუთრებით გლეხობა... როგორც კედელს ცერცვი, ისე ხვდებოდა ხალხს მათი სიტყვა.

მწერალი გვიამბობს: ერთხელ მშობლიურ სოფელ დირბში, რომლის „მცხოვრებლებს ხუთი თითივით ვიცნობდი, მათთან გავიზარდე, ასე გასინჯეთ, ჩემი მოთხრობების გმირებიც კი, რომელთაც იცოდნენ ამ მოთხრობების შინაარსი, შევყარე ყველანი, მიტინგი გავმართე, გავუბი ლაპარაკი, რომ მიწა მშრომელი გლეხისაა, მიწის მუშისაა, რომ მეფემ გლეხი უმიწოთ გაათავისუფლა და ამიტომ ისინი ისევ ბატონყმობას განიცდიან, უფრო უარეს ყოფაში ჩაცვივდნენ, რომ მეფემ მხოლოდ ძვალი გადუგო მათ, როგორც მაჩხუბარ ძაღლებსა, რომ ამისთანა მთავრობა დასაგმობია, მას ძალაუფლება უნდა წაერთვას და ხალხს გადაეცეს“ (83). გლეხებმა უპასუხეს, რომ ხელმწიფის ორგულობა არ შეიძლება, ღვთისგან დაყენებული კაცია, ბატონყმობა ხომ იმან გადააგდო. მართალია, მიწა არა გვაქვს, მაგრამ შევისყიდითო.

გლეხები ადასტურებდნენ ბატონების, ბოქაულების, დიამბეგების, მეფის მოხელეების თავგასულობას, მაგრამ, როცა საქმე მოქმედებაზე, რაიმე ნაბიჯის გადადგმაზე მიდგებოდა, უკან იხევდნენ.

მწერლის გულისტკივილი, რომ ხალხი მათ არ მიჰყვება, არ იკარებს, სავსებით გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ იდეური მომწიფება გლეხობისა, მათი

საბრძოლველად განწყობა ძალზე რთული საქმეა, თითქმის შეუძლებელია. თავისი გმირების პროტოტიპებზე რომ ლაპარაკობს მწერალი, აქაც ხომ ყველაფერი ცხადია, მასთანაც ხომ ასეა წარმოდგენილი, ადამიანი წონასწორობიდან მაშინ გამოდის (მით უმეტეს, გლეხკაცი), იარაღს მაშინ ჰკიდებს ხელს, როცა უსამართლობა საკუთრივ მას მისწვდება, როცა მას გაამწარებენ, ნამუსის წართმევას დაუპირებენ.

უნდა გარკვევით ითქვას, რომ ის ამოცანა, რომელიც ს. მგალობლიშვილმა ამ ვრცელი ნაშრომის შექმნისას დაისახა, სავსებით არის გადაჭრილი. მწერალი მართლაც ერთობ დამაჯერებლად, მაღალი ოსტატობით აცოცხლებს ხალხოსნური მოძრაობის გაღვივებას ქართლში, ხალხოსან მოღვაწეთა საქმიანობას, ძირითადად, მათ კულტურტრეგერულ მოღვაწეობას მოზრდილ მოსწავლეებში, ღალატის, გაცემის, დაპატიმრებისა და გაციმბირების ამბებს.

აქ ძალიან ვრცლად, ცოცხლად არიან დახატული ხალხოსნური მოძრაობის მოთავენი გორის მაზრაში: ვასილ დეკანოზიშვილი, მიხეილ (მიშო) ყიფიანი, შიო დავითაშვილი...

ს. მგალობლიშვილის აღიარებით, საქართველოში „ნაროდნიკული“ მოძრაობა უტოპიური გამოდგა. „მშვიდობიანი გზით რევოლიუცია ვის გაუგონია; - ამბობს იგი. - ჩვენ ვცდილობდით ხალხი პირდაპირ გადაგვესკუპებინა, კაპიტალისტურის ხანის გაუვლელად, სოციალიზმში. ჩვენ გვეგონა, ხალხს ერთს რომ დავუწრუპუნებდით, მაშინვე ანაზდეულად გასოციალისტდებოდნენ. ეს შეუძლებელი გახდა და ზოგიერთებმა სხვა გზით დავიწყეთ მუშაობა, ფრონტი შევცვალეთ“ (86).

მართლაც, როგორც თანამედროვე ისტორიკოსები აღნიშნავენ, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ქართველი ხალხოსნების მსოფლმხედველობასა და პრაქტიკულ საქმიანობაში. „ბევრმა მიატოვა უტოპიური ოცნება, ზეცაში ფრენა, რეალურ ნიადაგზე დაეშვა. მათ განიცადეს ძველი და ახალი თერგდალეულების გავლენა. დაიწყეს გაზეთ „შრომის“ და ჟურნალ „იმედის“ გამოცემა. დიდი ადგილი დაუთმეს საგანმანათლებლო საქმიანობას, მეტი ყურადღება მიაქციეს ეროვნულ საკითხს“ (საქართველოს ისტორია 2012: 83).

3.9. მოგონებები ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებზე

ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ს. მგალობლიშვილის ის მოგონებებია ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებზე, რომელთაც დიდი თუ მცირე წვლილი მიუძღვით ქართული მწერლობის, საზოგადოდ, ქართული კულტურის განვითარებასა და წინსვლაში. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ს. მგალობლიშვილი ამ თვალსაზრისით საგანგებოდ იქცევს ყურადღებას, რამდენადაც მან შედარებით ბევრი მნიშვნელოვანი მოგონება დაგვიტოვა.

ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძის მძლავარი ფიგურა ყოველთვის იყო ს. მგალობლიშვილის საგანგებო დახასიათების ობიექტი. არსებობს მისი ორი მოგონება ი. ჭავჭავაძეზე, ერთი დაიბეჭდა 1914 წელს ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“, ხოლო მეორე - 1922 წელს გაზეთ „ბახტრიონში“. მეორე მოგონება, ძირითადად, იმეორებს პირველს, განსხვავდება მხოლოდ ზოგიერთი ცნობით.

ს. მგალობლიშვილი, ისევე როგორც ბევრი სხვა მწერალი და ლიტერატურის ისტორიკოსი, აღიარებს „მამათა და შვილთა“ ბრძოლას XIX საუკუნის 60-იან წლებში ქართულ სინამდვილეში და ი. ჭავჭავაძეს, ბუნებრივია, ახალგაზრდობის მედროშედ სახავს.

პირველად ი. ჭავჭავაძე ს. მგალობლიშვილს უნახავს საგურამოში 1875 თუ 1876 წელს, სადაც სააღდგომოდ ყოფილა ნათესავ მღვდელთან სტუმრად. ილია თურმე ჯერ მოშორებით, ხის ქვეშ, „ბუნების ხავერდზე“, წოლილა, პაპიროსს ეწეოდა, რაღაცაზე ჩაფიქრებული. ხოლო, როცა ეკლესიაში გაისმა „ქრისტე აღსდგა!“, მანაც სხვებთან ერთად საყდარს მიაშურა. „ბადრს სახეს უმშვენებდა შავი წვერი და შუაზე გაყოფილი და კისერზე ჩაშვებული შავი და გრძელი თმა“ (მგალობლიშვილი 1938: 165).

ს. მგალობლიშვილი ილიას პირადად გაეცნო 1877 წლის შემოდგომაზე, როცა „ივერიის“ თანამშრომელი გახდა. მემუარისტი ძვირფას ცნობას გვაწვდის იმის შესახებ, თუ როგორ უყვარდა ილიას თავისი თანამშრომლების ნახვა, მათთან გამოლაპარაკება. მეგობარმა, ი. ბაქრაძემ, იხმო ს. მგალობლიშვილი თბილისში და ილიას სურვილითვე

წარუდგინა მას. აღელვებული სოფრომი დაამშვიდა დიდი მოღვაწის მეტყველმა სახემ, მისმა უშუალობამ.

საგულისხმოა ი. ჭავჭავაძის დარიგება: „პროვინციები ჩამორჩენილია კულტურულ ცხოვრებას, განათლებას, კაცები არ გვყავს სოფლად, რომ გააცნობიეროს იგი. ყველა თქვენგანმა პროვინციის ქალაქებში უნდა ჯგუფები შეადგინოთ და ამ ჯგუფებმა იმოქმედონო“ (130). ილია დაინტერესებულა, თუ რამდენი განათლებული კაცი ეგულებოდა სოფრომს გორში. სამი-ოთხი ვიქნებით, სოფლებიდან თითო-ოროლა გვეშველება და შეერთებული ძალით ვმუშაობთო, - იყო პასუხი.

ი. ჭავჭავაძეს, ასევე, უკითხავს ს. მგალობლიშვილისათვის: „სჩანს, რომ ხალხს კარგად იცნობ, რატომ ხალხის ცხოვრებიდან მოთხრობებს არა სწერთ?“ (131). სოფრომი გამოუტყდა, რომ ჰქონდა დაწერილი, მაგრამ ჯერ ვერ ბედავდა დაბეჭდვას. სცადეო, - წააქეზა ისევ ილიამ.

როცა „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა (1886), ს. მგალობლიშვილს მოუწია ზაფხულში სამსახური გაზეთის რედაქციაში. მან დაგვიტოვა ძალზე საინტერესო მოგონება „ივერიის“ თანამშრომელთა ყოველდღიური მუშაობის შესახებ.

საღამოობით შევიყრებოდით და შემდეგი დღეების მასალას ვკითხულობდით ილიას თავმჯომარეობით, - ჰყვება ს. მგალობლიშვილი, - სწორედ განკითხვის დღეს განვიცდიდით ამ დროს; ზოგჯერ ისე გაასწორებდა ნაწერს, რომ მისგან ნატამალიც არ რჩებოდა. განსაკუთრებით ენის მხრივ იყო ილია უშეღავათო. გრიგოლ ყიფშიძესაც აღებული ჰქონდა ილიას სწორების მანერა. განსაკუთრებით ხდებოდა სწორების ობიექტი არტემ ახნაზაროვისა და ილია ხონელის (ბახტაძის) ნაწერები. - რიღას მაქნისი ვარ, აიღეთ და თქვენა სწერეთო, - მწარედ იხუმრა ერთხელ ილია ხონელმა. - აზრი შენი რჩება, ჩვენ მხოლოდ ხორცს ვასხამთო, - უპასუხა ილიამ.

იაკობ მანსვეტაშვილის, გრიგოლ ყიფშიძისა და სხვათა მოგონებებთან ერთად ს. მგალობლიშვილის მოგონებებიც გვაწვდის უტყუარ ცნობებს „ივერიის“ რედაქციაში თანამშრომელთა საქმიანობის შესახებ. ს. მგალობლიშვილისეული დახასიათება ილიას სარედაქციო მუშაობისა არსებითად ემთხვევა დანარჩენების ნაამბობს, რაც იმასაც ნიშნავს, რომ ილიას მონოლითურ პიროვნებას ყველა ერთნაირად ხედავს.

ს. მგალობლიშვილზე, ისევე როგორც სხვებზე, დიდ ზემოქმედებას ახდენდა ი. ჭავჭავაძის „წყლიანი, მოსწრებული ლაპარაკი, მისი სამაგალითო დასაბუთებული ბაასი ამა თუ იმ საჭირბოროტო საგანზე“ (132).

მემუარისტის აზრით, „ყველაფერში ბუმბერაზი იყო: ლაპარაკში, მსჯელობაში, მუშაობაში, თუნდა ძილში და მადიანს ჭამა-სმაში. მთელი ღამე შეეძლო ემსჯელ-ეკამათნა. ორი დღე-ღამ შეეძლო მჯდარიყო სამუშაოდ. თუ დასვენების შემდეგ დაიძინებდა, დაიძინებდა სწორედ მდევურად“ (132).

ს. მგალობლიშვილს ილიას თავგანწირული მუშაობის საინტერესო მაგალითები მოჰყავს. ნიშანდობლივია, როცა ს. მგალობლიშვილმა თბილისში გადმოსვლა მოინდომა სამუშაოდ, „ილიამ საშინელი უარი სტკიცა: ქალაქის ცხოვრება ჩაგითრევს, მწერლობას თავს დაანებებო. ახლა კაცებია საჭირო პროვინციაში, დაბრუნდი, ცოტა სასყიდელს მოგცემთ სტრიქონობითა და იოლად წადიო“ (133).

ამგვარი პასუხი ილიასაგან არ გვიკვირს, მოსალოდნელი იყო, ეს ილიასებურია და რომ ეს ასეა, ამას ს. მგალობლიშვილი გვიდასტურებს ვაჟა-ფშაველას ევროპაში გაშვებასთან დაკავშირებით. ერთხელო, - ჰყვება ს. მგალობლიშვილი, - ილიას ვუთხარით, კარგი იქნება ვაჟა-ფშაველა და მისთანა ზემომადლებული ნიჭით მოსილნი საზღვარგარეთ გავგზავნოთ განსავითარებლად. „ილიამ ხელები გაასავსავა: იქ ფილოსოფიას დაეწაფება, ემაგ პოეტობას კაჩხაზე ჩამოჰკიდებს და დავიღუპებითო, აღარ გაეკარება ფშავის მთებს, რომლებიც აძლევენ მის სხივოსან პოეზიას საზრდოსაო. განვითარება შინაც შეიძლება. **ვის რა გამოგვყოლია სასწავლებლიდან? თუ კვალდაკვალ არ მიჰყე ცხოვრებას, თუ განვითარების გზას ერთი წუთითაც ჩამოუდექ, დაჩლუნგდებიო“** (133).

ამის შემდეგ ს. მგალობლიშვილი ვრცლად გვაცნობს უსიამოვნო შემთხვევას, რომელმაც გამოიწვია მემუარისტის ცხარე წერილები „ივერიის“ რედაქციისადმი და „ილიას ბრძნული და დალაგებული წერილი“ მის საპასუხოდ.

ს. მგალობლიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სინდისის ქენჯნა, რომელიც მას წლების განმავლობაში აწუხებდა, ერთგვარად ნელდება გულწრფელი აღიარებით, თუ როგორ დიდებულად გამოიყურება ი. ჭავჭავაძე ყველა შემთხვევაში, ჯერ ერთი,

როგორი ფაქიზი და, ამავე დროს, პრინციპულია ყველა თანამშრომელთან ურთიერთობაში, ამასთანავე, როგორ იცავს თავისი „ივერიის“ ღირსებას და როგორი შეუვალია იგი, როცა საქმე ღირსების დაცვას ეხება.

ს. მგალობლიშვილი ერთგან ერთმანეთს ადარებს ილიასა და აკაკის და მათი ბუნების სხვადასხვაობაზე მიანიშნებს. აქ იგი ვერ ფარავს სიმპათიას აკაკის პოეტური ბუნებისადმი. მას მოსწონს ის, რომ აკაკის კარგად იცნობს ხალხი, რადგან ის ხშირადაა ხალხში, ბევრს დადის; ილია კი მაინც კაბინეტის კაცია, მას მხოლოდ ქალაქის ინტელიგენცია იცნობს, იცნობს თავადაზნაურობა, რომელიც იკრიბება ბანკის სხდომებზე. დიდ ადამიანთა გასვლას ხალხში ს. მგალობლიშვილი დიდ მნიშნველობას ანიჭებს.

პირველ მოგონებაშიც შეჩერდება, მაგრამ მეორე მოგონებას ს. მგალობლიშვილი პირდაპირ იწყებს ილიას მოკვლის შემზარავი ფაქტის გახსენებით. მემუარისტი იმ აზრს ავითარებს, რომელიც ძალზე დიდებულად გამოხატა დიდმა ი. გოგებაშვილმა ილიას მოკვლის დღეებში (გოგებაშვილი, 1955: 176-177)

ს. მგალობლიშვილის სიტყვებით, „მკვლელნი მოსტყუვდნენ ანგარიშში, მათ ეგონათ, ილიას სახელს ჩრდილს მიაყენებენ ქართველი ერის თვალში! პირიქით, - ამ შემთხვევამ გააასკეცა ის შარავანდედი, რომელიც სიცოცხლეში ილიას ფართე შუბლს აბრწყინებდა“ (მგალობლიშვილი 1938: 164).

მოგონებები ი. ჭავჭავაძეზე გამორჩეულია ს. მგალობლიშვილის მემუარებში. ისინი იძლევა დიდი მწერლისა და მოქალაქის შთამბეჭდავ მონუმენტურ სახეს.

აკაკი წერეთელი

დიდ აკაკის ს. მგალობლიშვილის ორი მოგონება ეძღვნება: „ჩვენთან არს აკაკი“ და „აკაკი“. ისინი პოეტის გარდაცვალების დღეებში გამოქვეყნდა ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ (N 5, 7). მათში უდიდესი გულისტკივილია გამოხატული აკაკის სიკვდილის გამო.

მემუარისტი კიდევ ერთხელ საგანგებოდ აღნიშნავს აკაკის, როგორც ჭეშმარიტი პოეტის, თვისებას - მოგზაურობის სიყვარულს, უშუალოდ ხალხთან სიახლოვის სურვილს. აკაკიმ არანაკლები გააკეთა თავისი სტუმრობით ხალხთან. „იგი ყოველ წლივ ეწვეოდა ხოლმე ხან ერთს კუთხეს საქართველოსას, ხან მეორეს, ხან მესამეს. პირადად ეცნობოდა თავის ერს, ცხოველი სიტყვა გაჰქონდა ხალხში და ჭირვარამს უქარვებდა და სწმენდდა გულიდან“ (155).

ს. მგალობლიშვილი აღწერს აკაკის პირველი ხილვის შთაბეჭდილებას; თავის სემინარიელ მეგობარს, ი. ბაქრაძეს, რომელიც ყველა ქართველ მწერალს იცნობდა, დაუნახვებია დიდი აკაკი და მისი მეგობრები ქაშუეთის გვერდით მდებარე ბაღში, სადაც ისინი კვირაობით გამოდიოდნენ. ს. მგალობლიშვილი გააოცა აკაკის წარმოსადეგმა გარეგნობამ: ხუჭუჭი თმა ჩეჩქივით ადგა თავზე და შემოსჯაროდა ფართო და ნათელ შუბლსო.

მეორედ „დროების“ რედაქციაში ნახა აკაკი, სადაც სემინარიელმა სოფრომმა წერილი მიიტანა დასაბეჭდად. სოფრომი ძალიან ღელავდა. დაბნეული სემინარიელი აკაკიმ სკამზე დასვა, რედაქტორმა, ს. მესხმა, კი მას სტატიის დაბეჭდვა აღუთქვა.

მემუარისტი აღნიშნავს, რომ აკაკის დიდი გავლენა ჰქონდა ახალგაზრდებზე. როცა პოეტი გორში იყო, იქაური ახალგაზრდობაც ხშირად დადიოდა მასთან. ს. მგალობლიშვილის გადმოცემით, გორში აკაკის ხვდებოდნენ ვაჟა-ფშაველა და მისი ძმა, ბაჩანა, ალ. ნათაძე, თ. ხუსკივაძე, ალ. ციმაკურიძე და სხვანი.

როცა აკაკის რაიმე აზრი დაებადებოდა, სახე გაუბრწყინდებოდა, მაშინ იგი გაბრუებული იყო, ოცნებაში გართული. ერთხელ იგი ასეთი აღტაცების მომენტში იყო, რკინიგზის ლიანდაგზე მიმავალი. ამ დროს მატარებელი წამოეწიათ. ს. მგალობლიშვილმა იგი სწრაფად გადაიყვანა ლიანდაგიდან, თორემ შეიძლებოდა

ყველაფერი ცუდად დამთავრებულიყო; აკაკიმ უსაყვედურა, რას მეძიძგილავებოდიო. როცა სოფრომმა აუხსნა საფრთხე, მერე გამოერკვა. შემდეგ იგი ხშირად იხსენებდა: ამ კაცმა სიკვდილს გადამარჩინაო.

მემუარისტი აკაკის წერის ერთ თავისებურებაზე ჩერდება. პოეტს უბით მუდამ დაჰქონდა რვეული, შიგ იდო ძაფზე მობმული ფანქარი; ღამე უცებ აინთებდა სანთლს და რვეულში ლექსს ან ხალხურ ამბავს ჩაწერდა. ერთ დილით აკაკიმ ს. მგალობლიშვილს ჩააწერინა ლექსი „არწივი“.

ა. წერეთელი ერთ-ერთი პირველია, ვინც ჩვენში ლექციების კითხვა დაიწყო. გორელმა ახალგაზრდებმა ნ. დიასამიძეს[44], ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, დაავალეს, რომ მოეწვია აკაკი გორში ლექციების წასაკითხად. ლექცია უნდა წაკითხულიყო გორის კლუბის დიდ დარბაზში. გორელები შეუდგნენ სამზადისს. დაიდგა იქ პატარა სცენა, მაგრამ კლუბის იმ დღის მორიგე მამასახლისის, ტერ-მინასოვის, გამო ლექცია კინაღამ ჩაიშალა. თუმცა ყველაფერი დროზე გაირკვა და ნ. დიასამიძემ ტერ-მინასოვი და მისი ძმა კლუბიდან ცემა-ტყეპით გაყარა. ლექციამ დიდი წარმატებით ჩაიარა. ყველა, მათ შორის აკაკი, საქმის კურსში იყო და ნ. დიასამიძის მამაცობაზე შემდეგ საუბრობდა.

აქ ს. მგალობლიშვილი საჭიროდ მიიჩნევს, აღნიშნოს ერთობ საინტერესო ფაქტი. იმ სომეხთა შთამომავლები, რომლებიც გორში ჯერ კიდევ XI საუკუნეში ჩამოსახლდნენ, არსებითად ქართველთაგან არ ირჩეოდნენ, შეთვისებული ჰქონდათ ქართული ბუნება, ჭირსა და ლხინში ქართველებთან ერთად იყვნენ, ქველმოქმედებას ეწეოდნენ, როგორც ქართველები, ისინიც ხელს უმართავდნენ ქართულ წამოწყებებს (ა. თუთაევი, ქველმოქმედი და გორში სცენისმოყვარეთა წამოწყების ხელისშემწყობი, კმარა ამის მაგალითად). მხოლოდ XIX საუკუნეში სომეხ გენერალ ვ. ბებუთოვისაგან ქართლში გადმოსახლებული ჩარჩი სომხები შოვინისტობდნენ, „ხსენებული ტერ-მინასოვის მამა ასეთი სომეხი იყო“ (182).

ყოფითი დეტალების გადმოცემის თვალსაზრისით საინტერესოდ გვიყვება მემუარისტი აკაკის ფეხსაცმელების (წაღების) ამბავს. პოეტი ერთხელ გორში დიდხანს შემორჩა და წაღები შემოაცვდა. ფულიც არ ჰქონდა, რომ ახალი შეეძინა. მეგობრებმა

[44] ნ. დიასამიძე (1845-1897) - საზოგადო მოღვაწე, მეცენატი, ქართული თეატრის მოამაგე.

დაითანხმეს და მისთვის საგანგებოდ შეაკერინეს ახალი ფეხსაცმელები. პოეტს ისინი ვიწრო მოუვიდა, მაგრამ არ შეიმჩნია და ჩაიცვა. ასე გაისტუმრეს აკაკი გორიდან. როცა მეორედ ჩამოვიდა, სოფრომმა სიხარულით მიიღო საპატიო სტუმარი და თავიდან ბოლომდე შეათვალიერა. აკაკიმ უთხრა: „ფეხზე ნუ მიცქერი, ახალი წაღები მაცვია, თქვენმა ვიწრო წაღებმა ისე გამაფრთხილეს, გორს რომ მოვდივარ, უწინ წაღებს ვიშინჯავ, დახეული არ იყოს და გორელებმა კვლავ ვიწრო წაღით ფეხები არ დამიკოჟიჟონო“ (182).

ცნობილია, რომ აკაკის, როგორც პოეტური ბუნების ხელოვანს, ახასიათებდა მოსწრებული სიტყვა. ს. მგალობლიშვილის ამ მოგონებაშიც ამის არაერთი ნიმუში გვხვდება, მაგალითად: აკაკის გორში სტუმრობას მოჰყვებოდა სუფრა. ერთ-ერთი ასეთი სუფრის დროს შეზარხოშებული მოქეიფეები მღეროდნენ: „ყანწით ვსვამ ღვინოს, შენს სადღეგრძელოს და გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს“, ზედ აყოლებდნენ: „მიმინო მყავდა, მყავდა მიყვარდა“. აკაკის ხმაურიანი ღრეობა არ უყვარდა და ბოლოს გულშეღონებულმა თქვა: „ღვინოს რომ სვამთ ყანწით, კი ვხედავ, მაგრამ უმიმინობას გამჩნევთო, მიმინო რომ გყავდეთ, ამდენი მწყერი არ გეყოლებოდათო“.

ს. მგალობლიშვილის ორივე მოგონება („ჩვენთან არს აკაკი!“, „აკაკი“) დაწერილია ა. წერეთლის პიროვნების ღრმა სიყვარულითა და პატივისცემით.

გიორგი წერეთელი

შეიძლება ითქვას, რომ უნაკლოდაა შესრულებული მოგონება გ. წერეთელზე. ს. მგალობლიშვილის შეფასებით, გ. წერეთელი 60-იანელთა გუნდის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. „სამოციანი წლები საქართველოში ოქროს ასოებით არის აღბეჭდილი“ (122). საკეთებელი საქმე ძალიან ბევრი იყო და მოღვაწენი კი ძალიან ცოტა და ამიტომ უწევდათ მათ ყველა დარგში მოღვაწეობა. გ. წერეთელი, პირველ ყოვლისა, ცნობილი იყო, როგორც ბელეტრისტი და პუბლიცისტი. მისი ღვაწლი დაუვიწყარი იქნება ქართულ მწერლობაში.

ს. მგალობლიშვილი უკვე მიუთითებს გ. წერეთლის ბუნების იმ ნიშან-თვისებაზე, რომლითაც მკვლევრები ხსნიან როგორც მის პრაქტიკულ საქმიანობას, ასევე მის შემოქმედებას; კერძოდ, ს. მგალობლიშვილის თქმით, გ. წერეთლის „დიდი ღვაწლი

გამოიხატება იმაში, რომ იგი დიდი ორგანიზატორი იყო, დროს ალღოს ამღები“ (123). როგორც ბოლო დროს აღნიშნავენ, მას, „პირველ ყოვლისა, გამოარჩევს ძალიან განვითარებული **სიახლის** გრძნობა. იგი კარგად გრძნობს სიახლეს ცხოვრებაში და მოთხოვნილება აქვს მის მხარეს დადგეს; ამას არავინ არ ავალდებულებს, არავინ არ აძალებს, ის თავად გრძნობს დროის მოთხოვნილებათა ცვლილებებს და თავის საქმიანობაშიც ამისდამიხედვით შეაქვს სათანადო შესწორებები... ასეთია გიორგი წერეთელი მხატვრულ შემოქმედებაშიც. აქაც მან თანამედროვეობის გამომხატველი თემა შემოიტანა ჩვენს ლიტერატურაში. ასეთია მისი 90-იან წლებში გამოქვეყნებული „პირველი ნაბიჯიც“, და ასეთია აკაკი წერეთლის მიერ საუკეთესოებად აღიარებული „რუხი მგელი“ და „მამიდა ასმათი“ (მინაშვილი 2013: 253-254). დროის ალღოს გამძაფრებული გრძნობის წყალობით იყო ისიც, რომ გ. წერეთელმა გაზეთ „კვალის“ გამოცემისას შეამჩნია მესამე დასელთა ახალი მიმართულების ჩასახვა და „მაშინავე თავის „კვალში“ მისცა მათ ბინა“ (მგალობლიშვილი 1938: 123).

ს. მგალობლიშვილის გადმოცემით, 1893 წელს „ივერია“ ი. ჭავჭავაძემ გადასცა მეველეს (დ. მიქელაძეს). მან შეადგინა ახალი რედაქცია, საიდანაც ძველი თანამშრომლები „გამოცოცხეს“. ს. მგალობლიშვილი შეეკედლა გ. წერეთლის გაზეთ „კვალს“. აქ იმაზეცაა საუბარი, თუ როგორ აქეზებს რედაქტორი ს. მგალობლიშვილს, გააგრძელოს ბეჭდვა სურათებისა - „დღიური ბიძია თომასი“.

მემუარისტის დახასიათებით, გ. წერეთელი ძალიან მოძრავი, ფრიად ენერგიული კაცი იყო. ხშირად დადიოდა საქართველოს ახლად შემოერთებულ პროვინციებში - ქობულეთში, აჭარაში, შავშეთში. ერთ-ერთი პირველი გაეცნო იგი მაჰმადიან ქართველობას, ერთ-ერთმა პირველმა შეიტანა შეგნება მაჰმადიან ქართველებში, რომ ერთი ეროვნებისანი არიან ისინი დანარჩენ ქართველებთან. ამ მხრივ იგი სხვა ქართველ მოღვაწეებსაც აქეზებდა, როგორც სასულიეროთ, ისე საეროთ.

გ. წერეთელი ენერგიულად ილაშქრებდა რუსიფიკაციული პოლიტიკის წინააღმდეგ, მან გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს, გრიგოლს, სთხოვა, პროტესტი გამოეთქვა ეკლესიებში მეგრული წირვა-ლოცვის შემოღების წინააღმდეგ. ეპისკოპოსმა, რომელიც თვითონაც „სულითა და გულით წინააღმდეგი იყო ამ ლოცვებისა და

დაუფარავი მომხრე ქართულის სწავლებისა სამეგრელოს სკოლებში“, მთავრობასთან ამის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა (126).

ს. მგალობლიშვილი შეწუხებულია, რომ ეს დაუღალავი და გულწრფელი მოღვაწე ხეირიანად არ არის დაფასებული ჩვენი კრიტიკისგან. არც არავინ კისრულობს მისი თხზულებების ტომებად გამოცემას. სამწუხაროა, ასეთი გულცივობა გიორგისადმი. „კარგი იქნება, რომელიმე გამომცემელი იკისრებდეს გიორგის ნაწერების სრულს გამოცემას“ (127).

უნდა ითქვას, რომ ს. მგალობლიშვილის ეს სურვილი სურვილად რჩება დღეისთვისაც. გ. წერეთლის თხზულებათა მეტნაკლებად სრული კრებული, სამწუხაროდ, არც ამჟამად არსებობს.

ბოლოს ს. მგალობლიშვილი ასკვნის, რომ „ბევრი მწარე დრო ნახა გიორგიმ თვის სიცოცხლეში, მაგრამ მაინც მედგრად იბრძოდა და ამ ბრძოლაში პოულობდა სიტკბოებას“ (129).

იაკობ გოგებაშვილი

დიდი ქართველი პედაგოგისა და შესანიშნავი მწერლის, ი. გოგებაშვილის, სახელი არაერთგზის გაიელვებს ს. მგალობლიშვილის მოგონებებში. გარდა ამისა, მან ცალკე მოგონებაც უძღვნა დიდ იაკობს, რომელიც 1923 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ლომისში“ (N 28).

თავდაპირველად მემუარისტი ი. გოგებაშვილს წარმოგვიდგენს, როგორც 60-იანი წლების ერთ-ერთ უპირველეს მოღვაწეს. შემდეგ მოკლედ გვაცნობს მის ცხოვრებას, ბიოგრაფიას.

იაკობი პირველი შვილი იყო სვიმონ გოგებაშვილისა. კიევის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ იგი მამასთან ერთად გორში ჩავიდა სამსახურის საშოვნელად, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, მან თბილისის სასულიერო სემინარიაში დაიწყო მუშაობა.

ს. მგალობლიშვილის აზრით, ი. გოგებაშვილი ივანე მაჩაბლის ტიპის პიროვნება იყო: „ისეთივე ფხიზელი, სწრაფი მოლაპარაკე, ცქვიტი, პირუთვნელი, მტყუანის კარებამდე მიმყოლი“ (188).

ს. მგალობლიშვილი აქაც, როგორც სხვა შემთხვევაში, ახსენებს დიდ რუს პედაგოგს, ნიკოლოზ პიროგოვს[45]; უსათუოდ იცნობდაო იაკობი მის მოღვაწეობას.

ი. გოგებაშვილის უდიდეს დამსახურებად მემუარისტს ის მიაჩნია, რომ მან სასულიერო სემინარიაში აკრძალა როზგი და ყველანაირი ცემა-ტყეპა მოსწავლეებისა. ამის გამო მას დიდი დაპირისპირება შეხვდა, ძნელი იყო უსულგულო პედაგოგებისთვის დასჯაზე უარის თქმა. იაკობი სიტყვით იყო მკაცრი, ამ მხრივ იყო შეუვალი. სემინარიის მოსწავლეები დიდ პედაგოგთან ხშირად იკრიბებოდნენ. მას მოჰქონდა ახალი წიგნები, აცნობდა მოსწავლეებს, რაც მათზე დიდ ზემოქმედებას ახდენდა. სწორედ ი. გოგებაშვილის შთაგონებით დააარსეს მოწაფეებმა ხელნაწერი ჟურნალი „შრომა“. რამდენიმე მწერალიც გაიზარდა სემინარიაში: ი. მეუნარგია, ნ. ლომოური, ს. მგალობლიშვილი, ი. ბაქრაძე, გ. უთურგაული.

ბოლოს მთავრობამ შეიტყო იაკობისა და ქართველ მასწავლებელთა საქმიანობის შესახებ და მათი დევნა დაიწყო. ისინი სამსახურიდან დაითხოვეს. მაშინ ი. გოგებაშვილი უფრო მუყაითად შეუდგა სახელმძღვანელოების შედგენას. ს. მგალობლიშვილის სიტყვით, იგი „ნამდვილი დარაჯი იყო ქართული ახლად დაწყებული საქმისა. თუ ვინმე გადაეღობებოდა ამ დაწყებულ საქმეს, იგი უპასუხოდ არ გაუშვებდა, რუსულს ჟურნალ-გაზეთებში აძლევდა პასუხსა „ვარიანელის“ ფსევდონიმით“ (190). მან „ძალიან გაცოცხა“ დავით კეზელი[46], რომელმაც რამდენჯერმე გაილაშქა მისი სახელმძღვანელოების წინააღმდეგ.

ი. გოგებაშვილი ფიცხი კაცი იყო. თუ რედაქცია დროზე არ დაუბეჭდავდა წერილს, შემოსწყრებოდა და, რომც შეხვეწნოდნენ, აღარაფერს მიაწოდებდა. მემუარისტი იგონებს, თუ როგორ გაუწყრა იაკობი „ივერიის“ მესვეურთ. გრ. ყიფშიძეს დავიწყებოდა მისი სტატია, დეკანოზ ვოსტორგოვის საწინააღმდეგოდ დაწერილი. ი. გოგებაშვილმა ს.

---

[45] ნ. პიროგოვი (1810-1881) - გამოჩენილი პროფესორი-ქირურგი, პედაგოგი, სახალხო განათლების მოღვაწე. სახელი გაითქვა თავისი პედაგოგიური ხასიათის წერილებით. იგი იცავდა ბელინსკის გამოთქმულ აზრს, რომ **საჭიროა პირველ რიგში არა სპეციალისტის, არამედ ადამიანის აღზრდა.**

[46] დ. კეზელი (1854-1906) - თავის დროზე ცნობილი ჟურნალისტი, თანამშრომელი თითქმის ყველა ქართული და რუსული პერიოდული გამოცემისა. მისი ფსევდონიმი იყო „არაგველი“, „ზოილი“ და „დავით სოსლანი“. ს. მგალობლიშვილის სიტყვით, იგი „ერთობ ლირფი მწერალი იყო. უსათუოდ დაეტაკებოდა ჩვენს მოწინავე კაცებსა - ილიას, აკაკის და გოგებაშვილს, თვისს ნამასწავლებლარს. უზნეო წერისათვის ნიკოლაძემაც განდევნა კეზელი თავის გაზეთიდან“ (მგალობლიშვილი 1938:191).

მგალობლიშვილს მისწერა მკაცრი წერილი, რვეული უკან დამიბრუნეთო; ბევრს ეხვეწა სოფრომი, აუხსნა დაუბეჭდაობის უნებლიე მიზეზი, იგი თითქოს ცოტა მოლბა, მაგრამ წერილი მაინც წაიღო.

ზოგი ფიქრობდა, რომ იაკობი გოროზი კაცი იყო. ამას ისინი ამბობდნენ, ვინც მას კარგად არ იცნობდა. სეირნობის დროს დიდმა პედაგოგმა თავაღერებული სიარული იცოდა და ამაყი შეხედულება ჰქონდა. ეგებ ამან განუმტკიცა ზოგს წარმოდგენა მისი გოროზობის შესახებ. სინამდვილეში, იაკობი უბრალო კაცი იყო, უყვარდა სუფრაზე შექცევა და ლხინი. მწერალი იხსენებს, თუ როგორ ისტუმრა სურამში მყოფმა ი. გოგებაშვილმა დიდი აკაკი, ა. ქუთათელაძე, ს. მგალობლიშვილი და ი. მაჩაბელი, როგორ გულითადად გაუმასპინძლდა მათ მშვენიერ ჭალაში, როგორ მოილხინეს, იმღერეს. სიმღერას ი. გოგებაშვილი იწყებდა, სხვები მოძახილსა და ბანს ეუბნებოდნენ; ცოტა შეხურებულნი ღვინისაგან, წინასწარმეტყველებდნენ სამშობლოს დახსნას რუსეთის მონარქიის ბრჭყალებიდან.

მემუარისტი საგანგებოდ საუბრობს ი. გოგებაშვილზე, როგორც დიდ ქველმოქმედზე. იაკობზე ზოგი ამბობდა, ნათესავების მიმართ გულცივიაო, რაც, ს. მგალობლიშვილის აზრით, სრულიადაც არ შეესაბამება სიმართლეს; პირიქით, მან ძმისშვილ-დისშვილები დაზარდა სასწავლებელში თავისი ხარჯით, ასე გასინჯეთ, ძმისა და დის სიძეებსაც არ ივიწყებდა, რაც მთავარია, ეხმარებოდა გაჭირვებულ ქართველ სტუდენტებს.

ი. გოგებაშვილი გამოესარჩლა და დახმარების ხელი გაუწოდა გასაჭირში მყოფ ს. მგალობლიშვილს 1910 წელს, როდესაც იგი სამსახურის გარეშე დარჩა: გაუჩინა კერძო საქმეები, აძლია თავისი სახელმძღვანელოები კორექტურისათვის, ასევე, შესთავაზა სახალხო კალენდრის შედგენა და ხელმძღვანელობაც აღუთქვა.

მემუარისტი არც იმას ივიწყებს, თუ როგორ უსაყვედურა ი. გოგებაშვილმა მწყრალად მყოფ ა. ფურცელაძეს, რომელმაც სოფრომს ხმა დაუყარა - დიდი შეძლება აქვსო.

ი. გოგებაშვილი უცოლშვილოდ, უოჯახოდ გადაეგო და მთელი თავისი ქონება ქართულ საზოგადოებას დაუტოვა.

ვაჟა-ფშაველა

გასაგები მიზეზების გამო, ძალზე საინტერესოა ჩვენთვის ის მოგონებები, რომლებიც ს. მგალობლიშვილმა ვაჟას შესახებ დაწერა; საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ჭაბუკი ვაჟა, გორში ჩამოსული, მოექცა გამორჩეული პედაგოგის ყურადღების ქვეშ. შემდეგ მათი ურთიერთობა თანდათან მეგობრობაში გადაიზარდა, ბოლოს კი მოწაფემ მასწავლებელზე, როგორც მწერალმა პროზაიკოსმა, ისეთი ზემოქმედება მოახდინა, რომ მისი გავლენით მოთხრობა დაწერა, რასაც აკაკის მოწონება და წაქეზებაც მოჰყვა.

ს. მგალობლიშვილს ვაჟაზე დაწერილი აქვს ორი მოგონება; პირველი ვაჟას გარდაცვალების დღეებში დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო ფურცელში“ (N 454) – „ვაჟა-ფშაველას საღამოს გამო“[47], ხოლო მეორე მოგვიანებით გამოქვეყნდა 1922 წელს გაზეთ „ბახტრიონში“ (N 13).

ვაჟა-ფშაველა გორის საოსტატო სემინარიაში ჩაირიცხა 1879 წელს. ამ დროიდან არ მოკლებია მას ს. მგლობლიშვილის ყურადღება და მხარდაჭერა. 80-იანი წლებისთვის გორში უკვე იყო თავმოყრილი საინტერესო ინტელიგენცია. წიგნები მოიპოვებოდა როგორც მათე კერესელიძის[48], ასევე ს. მგალობლიშვილის ოჯახში. მოსწავლეები უახლოვდებოდნენ მასწავლებლებს, მათგან მიჰქონდათ წიგნები წასაკითხად. ს. მგალობლიშვილს არც ის რჩება მხედველობიდან, რომ გორში ამ დროს ქართული ენის კარგი მასწავლებლები აღმოჩნდნენ: არისტო ქუთათელაძე, ხოლო შემდეგ მიხეილ ყიფიანი, დიდად განათლებული კაცი, ხალხოსანი მოღვაწე. ს. მგალობლიშვილი შთამბეჭდავად აცოცხლებს ვაჟას მეგობართა წრეს, მის ლიტერატურულ გატაცებებს. ვაჟას შესანიშნავი ამხანაგები ჰყავდა: ალექსანდრე ნათაძე - პედაგოგი და მწერალი,

---

[47] ს. მგალობლიშვილის ეს მოგონება, როგორც დამატებითი მასალა, რედაქტორმა ლ. ასათიანმა გაიტანა ს. მგალობლიშვილის მოგონებათა შენიშვნებში (მგალობლიშვილი 1938: 262-263). იგივე წერილი იხ. კრებულში „ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველას შესახებ“ (ევგენიძე... 2003: 176-178).

[48] მ. კერესელიძე იყო ხალხოსანი მოღვაწე, „კიევის სასულიერო აკადემიელი, დიდად განვითარებული, ნაკითხი, მქონე რევოლიუციონური და აგრეთვე სხვადასხვა წიგნებისა“ (მგალობლიშვილი 1938: 73). გორში,

მის ოჯახში იკრიბებოდა ინტელიგენცია, ახალგაზრდობა. აქვე იმართებოდა რეპეტიციები. მ. კერესელიძის მეუღლე, მარიამი, თითქმის ყველა პიესაში მონაწილეობდა.

თეოფილე ხუსკივაძე - ბელტრისტი, ალექსანდრე ციმაკურიძე - ჰაინეს ლექსების მთარგმნელი. განსაკუთრებული მეგობრობა ვაჟას აკავშირებდა ნიკო ლეონიძესთან, დიდი ქართველი პოეტის, გიორგი ლეონიძის, მამასთან. ეს ახალგაზრდები გამოირჩეოდნენ წიგნის სიყვარულით, ნიჭიერებით. მასწავლებელმა, კერძოდ, მ. ყიფიანმა ვაჟას დაავალა რეფერატების მომზადება ისტორიაში ვახტანგ გორგასალზე, დავით აღმაშენებელზე, თამარ მეფეზე. ეს რეფერატები ჯერ სემინარიელებთან ისმინებოდა, ხოლო შემდეგ - ოჯახებში.

მასწავლებელი ჭაბუკ ვაჟას ახასიათებს, როგორც „ნამდვილ მთის არწივს“. იგი იყო „ყოჩაღი, გამბედავი, შეუპოვარი, მეგობართათვის თავდადებული, გამჭრიახი, წყლიანი მოლაპარაკე“ (262)... „კერპი და შეუპოვარი იყო ცხოვრებაში, არავითარიმე საფრთხეს, განსაცდელს არ მოერიდებოდა“ (263).

ს. მგალობლიშვილის მოგონებები იმ მხრივაც არის ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ მწერალი და გულისხმიერი მასწავლებელი იმთავითვე თვალს ადევნებდა ვაჟას ხასიათის ფორმირებას, მასში პოეტური ნიჭის გამომჟღავნება-განვითარებას. ს. მგალობლიშვილს სწორად ახსოვს, რომ ვაჟამ ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლისას დაიწყო ლექსების წერა, მაგრამ „მაშინდელი მისი ლექსი დაბალი ხარისხისა იყო, მხოლოდ რიფმების შეკოჭვა იყო და იბეჭდებოდა ჟურნალ „იმედში“ (171). მემუარისტი გულისხმობს ლექსებს, რომლებიც დაწერილია 1877-1883 წლებში და ზოგი მათგანი, კერძოდ, „ყარსის ბოლოს“, „დროება“, „მეომარი“, „როდის იქნება“, „ჯერ არ მომკვდარა მორწმუნე გული!“ დაიბეჭდა ჟურნალ „იმედში“.

ვაჟა-ფშაველას სრული კრებულის (ათტომეულის) ლექსების ტომების (I-II) რედაქტორი **ზურაბ ჭუმბურიძე** ამ ლექსების შესახებ წერს: „ვაჟას ყრმობის დროინდელი ლექსები მხატვრულად მართლაც საგრძნობლად მოისუსტებს, მათში ვაჟას ჯერ კიდევ არა აქვს ნაპოვნი თავისი პოეტური ხმა“ (ვაჟა-ფშაველა 1964: ტ. II, 511).

ვაჟა-ფშაველა თავის ერთ-ერთ წერილში: „PRO DOMO SUA“ ასე აფასებს ჟურნალ „იმედში“ გამოქვეყნებულ თავის ლექსებს: „რასაკვირველია, იმ ლექსებში ბევრი არა ყრია რა, იქნება ცოტა რამ კი ეტყობოდეს ნიშან-წყალი გრძნობისა“ (ვაჟა-ფშაველა 1964: ტ. IX, 179).

„როგორც აღნიშნავენ, პირველი ლექსი, რომელშიაც ვაჟამ თავისი პოეზიის შესაფერი ფორმა იპოვა და დიდი შემოქმედებითი მწვერვალებისაკენ მიმავალ გზას დაადგა, არის „ამირანი“ (ვაჟა-ფშაველა 1964: ტ. II, 511).

ს. მგალობლიშვილის თქმითაც, ვაჟა-ფშაველამ შექმნა „ახალი დარგი პოეზიისა“ (მგალობლიშვილი 1938: 172). პირველ ხანებში „მის კილოს ვერ შეეგუა მკითხველი საზოგადოება, მაგრამ ძალიან მალე ვაჟა სათაყვანებელი გახდა. მის კილოს უკვე იცნობდა საზოგადოება რაფიელ ერისთავისა და ბაჩანასაგან.... ვაჟამდე ფშაველის ახალს კილოზე ბაჩანამ იწყო წერა“ (172).

რა თქმა უნდა, ს. მგალობლიშვილის ეს ცნობა გარკვეულ კორექტივს საჭიროებს. საქმე ისაა, რომ მთის კილოზე წერის საკითხს თვითონ ვაჟა-ფშაველა შეეხო თავის ცნობილ წერილში: „PRO DOMO SUA“. ვაჟამ სავსებით გარკვევით განაცხადა, რომ მასზე რაფიელ ერისთავმა მოახდინა გავლენა, რომ იგი მანამდეც იცნობდა უამრავ ლექსს ფშაურ დიალექტზე ნაწერს, ძალიან მოსწონდა, მაგრამ ჯერ ვერ ბედავდა ამ კილოთი წერას, რადგან „მწერლობაში ლექსების წერის კილოდ არ იყო მიღებული, არამედ სხვა კილო მეფობდა. ჯერ დღესაც სჭირს ამ ფშაურს კილოზე ნაწერის ლექსების საზოგადოებისაგან ყურის დაგდება და მაშინ ხომ უფრო საძნელო იქნებოდა. ჩვენმა სახელოვანმა მხცოვანმა მგოსანმა რაკი საერო კილო დაუმკვიდრა ლექსებს და ჟურნალ „ივერიამაც“ გზა დაუთმო, მასაც გაბედულება მიემატა“ (ვაჟა-ფშაველა 1964: ტ. IX, 180). ასე რომ, ხუთი წლით უმცროსი ბაჩანას აღიარება პირველად ამ კილოთი ლექსების მთქმელად და მხოლოდ შემდეგ, გარკვეულად მისი ზემოქმედებითაც, ვაჟასი, მართებული არ არის.

ს. მგალობლიშვილის გულწრფელი აღიარებით, „ვაჟამ ყველას გაასწრო. ბედაური და დალოცვილი ჯიშის იყო იგი. წვრილ ლექსებს, „სიმღერებს“, მიჰყვა ზედიზედ მისი მსხვილმანობა - პოემები“ (მგალობლიშვილი 1938: 172).

ს. მგალობლიშვილის მეხსიერებას კარგად აქვს შემონახული ვაჟას ცხოვრების პერიპეტიები, ის, რომ სემინარიის დამთავრების შემდეგ იგი ორი წელი მასწავლებლობდა, რომ სცენისმოყვარეთა დახმარებით პეტერბურგში გაემგზავრა სასწავლებლად და იქ გარკვეული დრო დაჰყო, „იგი განვითარდა, მსოფლმხედველობა

გაუფართოვდა და დაბრუნდა სრულიად მოწიფული“ (171). შემდეგ ვაჟა მიიწვიეს ამილახვრის ოჯახში პატარა გიორგის მასწავლებლად. აქ იგი დიდხანს არ დარჩენილა, დაქორწინდა და „მიმართა თვის ფშავეთსა, მიაგნო თავის ნამდვილ ბინას“ (172).

ს. მგალობლიშვილის მოგონებები იმ აზრითაც მნიშვნელოვანია, რომ იგი აღადგენს დიდი ილიას დამოკიდებულებას ვაჟას მიმართ, ვაჟას ილიასეულ შეფასებას. ამ მხრივ მწერალი თანხმობაში მოდის სხვა მემუარისტებთან, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ამ ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტის სისწორეში.

ს. მგალობლიშვილიც გვიდასტურებს იმ აზრს, რომელსაც ილიას სხვა ბიოგრაფები, მემუარისტები გადმოგვცემენ (ი. მანსვეტაშვილი, გრ. ყიფშიძე...): „ვაჟას დიდებული პოემების დაბეჭდვის შემდეგ ილიამ თურმე სთქვა: „ჩვენ მოგონილი პოეტები ვართ, აი, პოეტი ვაჟაა, რომელმაც მთელი მთა აალაპარაკა, სიპ ქვასაც კი ხმა ამოაღებინაო“ (172)... „ჩვენ, ეხლანდელმა პოეტებმა, უნდა ადგილი ვაჟას დავუთმოთო, ჩვენ იმასთან აღარ გამოვჩნდებითო“ (263).

ს. მგალობლიშვილი გვიყვება: „ივერიის“ რედაქციაში, როცა ვაჟას „გველის ჭამია“ წაიკითხეს, აღიძრა ლაპარაკი, გაგზავნილიყო იგი საზღვარგარეთ განსავითარებლად, ევროპიული განათლების მისაღებად.

ილია ჭავჭავაძემ ხელები გაასავსავა, - ვაი შენ, ჩემო თავო! ეგ არ გამაგონოთ, სამუდამოდ დავკარგავთ ამ დიდის ნიჭის პატრონსაო; ევროპაში ფილოსოფიას გამოეკიდება და ამ დიდებულს ჩანგს კაჩხაზე ჩამოკიდებსო... დაანებეთ თავი, იყოს თავის ფშავეთში და განაგრძოს თავისი შემოქმედებაო“ (172).

ს. მგალობლიშვილის მემუარების ამ ნაწილთან დაკავშირებით საჭიროა გავიხსენოთ შემდეგი: როგორც კრებულის „ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველას შესახებ“ შემდგენლები წერენ, ს. მგალობლიშვილის მოგონებაში ვაჟას შესახებ დაშვებულია რამდენიმე ფაქტობრივი ხასიათის შეცდომა. „მაგალითად, როცა ილიას აზრს აღადგენს ს. მგალობლიშვილი, ერთგან წერს: „ივერიის“ რედაქციაში, როცა ვაჟას „გველის ჭამია“ წაიკითხეს, აღიძრა ლაპარაკი, გაგზავნილიყო იგი საზღვარგარეთ“ - ეს არაა სწორი. აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია ი. მანსვეტაშვილის, ი. იმედაშვილის და სხვათა მიერ, რომ ეს მოხდა ჯერ კიდევ ადრე, ვაჟას ახალგაზრდობის დროს, როცა

იგი პეტერბურგიდან დაბრუნდა... მით უფრო, რომ „გველის მჭამელი“, რომელსაც მწერალი „გველის ჭამიას“ უწოდებს, „ივერიის“ რედაქციაში განხილვის საგნად არასოდეს ქცეულა. ეს პოემა „მოამბეში“ დაიბეჭდა 1901 წელს (N II-III) და ვაჟაც ამ დროს ყმაწვილი კი არა, ორმოცი წლის კაცია, თვით სოფრომ მგალობლიშვილიც ამ ხანებში უკვე „ივერიის“ თანამშრომელი აღარაა“ (ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველას შესახებ 2003: 28-29).

საერთოდ კი, ს. მგალობლიშვილის მოგონებები არა მარტო დიდი თაყვანისცემის და კრძალვის გრძნობითაა დაწერილი გენიალური ვაჟას მიმართ, არამედ დიდად სარწმუნოცაა და მნიშვნელოვანი ვაჟა-ფშაველას პიროვნების ფორმირებისა და მისი შემოქმედების გასათვალისწინებლად. ს. მგალობლიშვილთან ჩვენ გვაქვს აღმზრდელ-მასწავლებლისა და ამავე დროს მწერლის მიერ აღდგენილი ვაჟას სასწავლო და საყოფაცხოვრებო გარემო, ვაჟას, როგორც გენიალური პოეტის, ფორმირების ერთგვარი სურათი.

ს. მგალობლიშვილის მოგონებებზე, ვაჟა-ფშაველასთან მის დამოკიდებულებაზე საუბრისას ისიც უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ ს. მგალობლიშვილს აქვს ერთი მოთხრობა - „უკვდავების წყარო ვარ“, რომელიც, როგორც ამბობენ, სტილურად მკვეთრად განსხვავდება მისი სხვა მოთხრობებისაგან და, ალბათ, ამის გამოც ა. წერეთლის მოწონება დაიმსახურა. აკაკი სოფრომისადმი მიწერილ მოწონების წერილში იმასაც აღნიშნავს, რომ თავდაპირველად, როცა ამ მოთხრობის კითხვას შეუდგა, მიიჩნია, რომ თხზულება თედო რაზიკაშვილის ან ვაჟას ნაწარმოები იყო. მართლაც, ს. მგალობლიშვილის ამ მოთხრობას აშკარად ეტყობა დიდი ვაჟას ზემოქმედების კვალი, „თუმცა ჩამორჩება მხატვრულობის თვალსაზრისით მიბაძვის ობიექტს. ამ მოთხრობაში, ვაჟასაგან განსხვავებით, იდეა დიდად ბატონობს მხატვრულ მასალაზე - იგი შიშვლადაა წინ წამოწეული, რაც ასე უცხოა ვაჟასათვის“ (მინაშვილი 2013: 369).

ჩვენთვის ახლა მნიშვნელოვანი ისაა, რომ ვაჟაზე უფროსი, მისი მასწავლებელი, ს. მგალობლიშვილი ემორჩილება დიდი ნიჭის ძალას და მის ზემოქმედებას ღიად განიცდის. ეს ჩვენი მემუარისტისა და ვაჟას მასწავლებლის დიდბუნებოვანებაზეც მეტყველებს და მის

თაყვანისცემით დამოკიდებულებაზეც გენიალური ვაჟა-ფშაველასადმი აშკარად მიანიშნებს.

ალექსანდრე ყაზბეგი

რა თქმა უნდა, ძალზე საყურადღებოა ის მცირე მოგონება, რომელიც ს. მგალობლიშვილმა დიდი ქართველი მწერლის, ალ. ყაზბეგის, შესახებ დაგვიტოვა. მოგონება დაიბეჭდა 1914 წელს „თეატრსა და ცხოვრებაში“(N 3).

ს. მგალობლიშვილი თავდაპირველად ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ შეიტყო მან ალ. ყაზბეგის შესახებ საერთოდ.

ერთ საღამოს, 1871 თუ 1872 წელს, თეატრის მოყვარულებს რეპეტიცია ჰქონდათ ანტონ ფურცელაძესთან. ამზადებდნენ ზ. ანტონოვის კომედიას „ქმარი ხუთი ცოლისა“ და მოლიერის „ძალით ცოლის შერთვევინებას“, დ. ყიფიანის თარგმანს. რადგან ახალი არაფერი ჰქონდათ, ძველებით კმაყოფილდებოდნენ. ანტონმა მათ სასიხარულო ამბავი აცნობა, რომ გაიცნო ახალგაზრდა ქართველი, ალ. ყაზბეგი, რომელსაც ერთი ზანდუკი ჰქონდა ნაწერებით სავსე, მათ შორის იყო დრამატული ნაწარმოებებიც. მე ვთხოვეო, რომ ეს ნაწარმოებები საზოგადოებისთვის გაეცნო. მაგრამ ალ. ყაზბეგი ამ წლებში არ გამოჩენილა, იგი მოგვიანებით გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე მოხევეთა ცხოვრების აღწერით, რომელსაც მოაყოლა „საუცხოვო მოთხრობანი“ (114).

ს. მგალობლიშვილის მიერ წარმოდგენილი ეს ფაქტი სავსებით სარწმუნოა. ამას გვაცნობს თვითონ ალ. ყაზბეგი თავის ჩანაწერებში. იგი წერს: „1874-ში ვიყავი თბილისში, სადაც გახშირებული ლაპარაკი იყო რეპერტუარის უქონლობის გამო. ესევე იყო მიზეზი, რომ თითო-ოროლა სპექტაკლებიც დიდი გაჭირვებით იმართებოდა... მე წავედი შინა და მოვუდექ პიესების წერას, თარგმანს და გადმოკეთებას. მოკლე ხანში შევადგინე ოცდაერთი პიესა და თბილისისაკენ გამოვწიე, დარწმუნებულმა, რომ ქართულს თეატრზედ მზრუნველი საზოგადოება სიამოვნებით მიიღებს ჩემს შრომას“ (ყაზბეგი 1950: 185-186). მწერალი აგრძელებს: „წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც მადლობის მაგიერ ცხვირ წინ ფრუტუნი დამიწყეს და მასხრად ამიგდეს, როდესაც ერთს კრებაზედ დრამატიულს საზოგადოების მართველობას შევატყობინე ჩემის შრომის შესახებ“ (186).

თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რომ შესაძლოა ან მემუარისტს, ან ალ. ყაზბეგს წელი ეშლებოდეს, სხვა მხრივ ს. მგალობლიშვილის ცნობა და ალ. ყაზბეგის ნაამბობი ერთმანეთს ემთხვევა.

ს. მგალობლიშვილი გაეცნო ალ. ყაზბეგს გორში, როცა მწერალი და მსახიობი აქ დასს ჩამოჰყვა. ზედიზედ მოჰყვა მისი „მარგალიტებივით ასხმული ნაწერები“ ერთმანეთს. უკვე მის სიცოცხლეშივე ზოგს არ სჯეროდა ალ. ყაზბეგის ავტორობა. მემუარისტი ასახელებს ექიმ **ქაიხოსრო ფურცელაძეს**, რომელიც გორის ინტელიგენციას არწმუნებდა, რომ ყველა ეს ნაწერი ეკუთვნოდა არა ალ. ყაზბეგს, არამედ - მის ბიძაშვილს, დ. ყაზბეგს; „ის მოკვდა და იმის ნაწერებით მაგან ისარგებლაო“ (მგალობლიშვილი 1938: 115). როგორც ცნობილია, დ. ყაზბეგის ავტორობის შესახებ მოარული ხმების მეცნიერული დაცვა XX საუკუნის 20-იან წლებში სცადა **მიხეილ ზანდუკელმა**. ს. მგალობლიშვილი სავსებით სამართლიანად ფიქრობს, რომ ეს აზრი დიდად შემცდარია. მწერალს მოაქვს თავისი თვალსაჩინო საბუთი. 1885 წელს, ენკენისთვეში, გორში ს. მგალობლიშვილის სანახავად ჩავიდა ალ. ყაზბეგი. ამ დროს ჟურნალ „ივერიაში“ იბეჭდებოდა სანდროს „მოძღვარი“, ხოლო ს. მგალობლიშვილს უკვე დაემთავრებინა მოთხრობა „ცვრევაზედ“ და „ივერიისთვის“ დასაბეჭდად ამზადებდა. მასპინძელმა სტუმარს თავისი მოთხრობა წაუკითხა. ყაზბეგმაც მოუწონა, „უფრო ბუნების აღწერა“. სოფრომმა უთხრა: „სანდრო, ყველა ბუზი ბზუის, ფუტკართან კი ყველა სტყუის... შენმა ნაწერებმა აღგვაფრთოვანა, იმედებით აღგვივსო გული, დიდებულ მომავალს ვუმზერთ“. სანდრომ ჩვეულებრივად ტუჩებში ჩაიღიმა და ხმა არ გასცა. „რასაკვირველია, გრძნობდა თავისს ძალასა“ (115).

სოფრომმა სტუმარი მეორე ოთახში გაიყვანა მოსასვენებლად. სანდრომ საწერ მაგიდაზე ქაღალდები დააწყობინა; დილით რომ შევიდა, დაინახა, რომ „გაწეწილი იჯდა მაგიდასთან და ქაღალდის ნახევები ხრილივით ქონდა შემოყრილი“ (115). ს. მგალობლიშვილი უხმოდ გამობრუნდა და კარები რომ გამოიხურა, სანდრომ შეიტყო და თავისთან მოიხმო: რამდენიმე თავი დავწერე „მოძღვრისა“ და დღეს გიგოს თუ არ მივაშველე, დამახრჩობსო (იგულისხმება გრ. ყიფშიძე - „ივერიის“ თანამშრომელი).

„ჩემთან, ჩემს სახლში, ორი ნომრის მასალა დასწერა. ჩემის თვალით რომ არ მენახა, შეიძლება დამეჯერებინა, რომ სანდრომ თავისი ბიძაშვილის ნაწერებით

ისარგებლა“, - აღნიშნავს მემუარისტი. ს. მგალობლიშვილი იმასაც ამბობს, რომ სანდრო ძლიერ ასონაკლებად წერდა, სასვენ ნიშნებსაც ცუდად უსვამდა, ბეცი იყო, თვალს ვერ ადევნებდა, გადაკითხვა დაწერილისა და მისი შესწორება არ უყვარდა... გიგა იქ არ არის, ის გაასწორებსო (115).

ს. მგალობლიშვილის აზრით, ალ. ყაზბეგს რომ ჩვეულებად ჰქონოდა გადაკითხვა და შესწორება, „ერთი ორად მეტი ღირსებისა გამოვიდოდა მისი ნაწერები“ (115). თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი მემუარისტი ერთგვარ წინააღმდეგობაში მოდის თავის თავთან. საქმე ისაა, რომ იგი თავად უძვირფასეს ცნობას გვაწვდის მწერლის მუშაობის მანერის შესახებ - „ქაღალდის ნახევები ხრილივით ქონდა შემოყრილიო“. სწორედ ეს ქაღალდის ნახევების გროვა მეტყველებს იმაზე, რომ სანდრო ბევრს ფიქრობდა, დაწერილს ხევდა და ახალ ვარიანტს წერდა.

აქ ს. მგალობლიშვილი წარმოგვიდგენს ალ. ყაზბეგის საინტერესო და ძალზე საგულისხმო დახასიათებას: „ხასიათით იყო წყნარი, ტკბილი მოსაუბრე, მეგობრისათვის თავგადამკვდარი, დიდი მოტრფიალე სამშობლოსი, თვისი ენისა და ერისა. უნდა გენახათ, რანაირად აღფრთოვანდებოდა, თითქოს გაიზრდებოდა, **როცა თავისი სამშობლოს სიკეთეს გაიგებდა, თუ გამოჩნდებოდა ვინმე სამწერლო აპარეზზე.** როგორ ეალერსებოდა **ვაჟას** ლექსებს, რა აღტაცებით იხსენებდა! ქართულმა გუნდმა **აღნიაშვილისამ** ხომ კინაღამ გადარია. „დაგვეწყო ახლა კიდევ სხვა ხანა აყვავებისა, აღდგენისა, - მითხრა იმან ქუთაისიდან ჩამოსვლისას: - მოვესწარ მწერლობის აღდგენას, მოვესწარ თეატრის დაფუძნებას და წარმატებას, მოვესწარ კიდევ საერო სიმღერების აღდგენას“ (115-116).

ს. მგალობლიშვილი აქვე პირველად აქვეყნებს ალ. ყაზბეგის მიერ მისთვის მიწერილ ძალიან საგულისხმო წერილებს (116-117). ეს წერილები 1950 წელს დაიბეჭდა ალ. ყაზბეგის თხზულებათა სრული კრებულის მეხუთე ტომში (ყაზბეგი 1950: 215-216).

ს. მგალობლიშვილის მონათხრობშიც კარგად ჩანს, თუ რა გულისხმიერი მეგობარია სანდრო, როგორ ზრუნავს მასზე: სულ ჩამჩიჩინებდა, ქალაქში გადმოდიო. ვანო მაჩაბელს საყვედურობდა, რატომ ბანკში არ გადმოგყავსო. ქართლშიაც საჭიროა

ხალხიო, - ეტყოდა ვანო. ჩანს, ი. მაჩაბელი აქ ი. ჭავჭავაძის არგუმენტს იშველიებდა სოფრომის მიმართ - პროვინციაშიც გვჭირდება ხალხიო.

მემუარისტის რწმუნებით, სანდრო კერძო საქმეზე კი არ გამოელაპარაკებოდა ვინმეს, არამედ - საზოგადოზე. „მისი აზრი სულ სამშობლო ლიტერატურის, თეატრის, საზოგადოს გარშემო ტრიალებდა“ (მგალობლიშვილი 1938: 117).

ს. მგალობლიშვილი იმასვე ადასტურებს, რასაც სხვები, მაგალითად, დავით კლდიაშვილი. როგორც არტისტი და დრამატურგი სუსტი იყოო, მაგრამ სამაგიეროდ დიდად მოსწონს მისი ცეკვა მოხევური და ჩაჩნური ხანჯლებზე - „ის ბეცი კაცი გასაოცრად ატრიალებდა ხანჯლებს... ისე გაფრინდებოდა სცენაზე, როგორც მერცხალი“ (118).

ს. მგალობლიშვილი ალ. ყაზბეგის სიცოცხლის ბოლოზეც გვიამბობს. 1886 წლიდან მწერალს სულის ავადმყოფობა დაეტყო. იგი ბათუმიდან უგზავნიდა „ივერიას“ წერილებს, სულმნათ ილიას უკვირდა მისი ჩამოქვეითება, მაგრამ რედაქციის წევრებმა აუხსნეს, რომ სანდრო შეირყა და „სნეულებამ დაახშო მისი ბრწყინვალე ნიჭი და გონება“ (118). ერთობ საგულისხმოა მემუარისტის ბოლო ფრაზა ალ. ყაზბეგის შესახებ: „ცოტა ხანს იცოცხლა, მაგრამ ბევრი რამ განიცადა მისმა მაღალმა სულმა და საშინელი განცდანი იყვნენ მიზეზნი მისი სულის დაავადებისა“ (118).

ანტონ ფურცელაძე

ა. ფურცელაძე ერთ-ერთი დაუვიწყარი წარმომადგენელია ქართველი მწერლობისა. როგორც ს. მგალობლიშვილის მემუარებიდან ვიცით, სოფრომს ანტონთან ბოლო დროს ურთიერთობა გაუფუჭდა, რამდენადაც მან ცუდი როლი ითამაშა სოფრომის ურთიერთობაში დიდ ილიასთან. მაგრამ ს. მგალობლიშვილი ა. ფურცელაძეზე წერისას ყოველგვარ პირადულს განზე დებს და ხატავს მის ძალიან ცოცხალ და დამაჯერებელ პორტრეტს. მემუარისტის აზრით, ა. ფურცელაძე იყო „მედგარი მებრძოლი თავისუფლებისათვის, ბუნებით დემოკრატი-რევოლიუციონერი, მამაცი, პირუთვნელი, გაბედული, ერთობ სადა, ლმობიერი, გულჩვილი, თავგანწირული ჩაგრულ მოძმეთათვის“ (199). საზოგადოებრივი საქმიანობისთვის მას არასოდეს უღალატია.

კიდევ უფრო საგულისხმოა ს. მგალობლიშვილის შემდეგი დაკვირვება: ა. ფურცელაძე „ვერ შეჩერდა ერთ რომელიმე ლიტერატურულ დარგზე, მიმართულებაზე... იგი პუბლიცისტიც იყო, ბელეტრისტიც, დრამატურგიც, პოეტიც, ისტორიკოსიც, ყველანაირი მიმართულება გაიარა, ერთიდან მეორეზე გადადიოდა, იცვლიდა, როგორც სამოსელსა... ყოველი ახალი მიმართულება, ახალი მდინარება რაიმე აზრისა უაღრესად იტაცებდა, ჩაჰყვებოდა ამ მიმართულების ტალღებსა და ქართულ ლიტერატურაში შეჰქონდა ეს ტალღა (201). იგი ერთ დროს აჰყვა პისარევის ნიჰილიზმს. როგორც პისარევმა უარყო რუსული კლასიკური პოეზია, ისე ეს როლი ჩვენში იკისრა ა. ფურცელაძემ. მან უარყო დიდებული ბარათაშვილი, ტიტანი ი. ჭავჭავაძე. მაგრამ ნიჰილიზმმა მალე მოჭამა დრო, მალე გაჩნდნენ ეგრეთ წოდებული ნაროდნიკები. დაიწერა ტურგენევის „Новъ“, რომელმაც გაამასხარავა ხალხოსანთა მუშაობა. ერთ-ერთი წარმომადგენელი ხალხოსნური მიმართულებისა ჩვენში ა. ფურცელაძე იყო. ამ მოძრაობამ იგი მეტად გაიტაცა. ა. ფურცელაძე გვერდში დაუდგა გლეხებს - პირადად ეხმარებოდა მათ თავისი ღარიბი ჯიბიდან, უდგებოდა ადვოკატად სამსახურში. ს. მგალობლიშვილს მოჰყავს ამის მაგალითები.

მემუარისტი საგანგებოდ აღწერს იმასაც, თუ როგორ გამოიჩინა ა. ფურცელაძემ მაჰმადიანი ქართველებისადმი გულისხმიერება. იგი მათ დასახმარებლად თავს არ იზოგავდა: თბილისში ჩამოსულ მაჰმადიანთა დეპუტაციებს თავის სახლში იწვევდა, უმასპინძლდებოდა, აძლევდა რჩევას და საჭიროების შემთხვევაში ნივთიერ დახმარებასაც უწევდა. ერთ ნადიმზე, თავის სახლში, ანტონმა ისე მოხიბლა მუსლიმანი ქართველები, რომ ერთ-ერთი დაემოწაფა კიდეც. ეს იყო ჰასან ციციშვილი. მან ისწავლა ქართულად წერა-კითხვა და იმდენად დახელოვნდა, რომ აჭარიდან „ივერიაში“ ათავსებდა წერილებს.

მწერალი შედარებით დაწვრილებით აღწერს ა. ფურცელაძის საქმიანობას გორში ხალხოსანთა წრეში; არც მის თეატრალურ დამსახურებას ტოვებს უყურადღებოდ. ბევრი ქალი აიყვანა ანტონმა სცენაზე. იგი პატივისმცემელი და მეგობარი იყო ეკატერინე გაბაშვილისა. საერთოდ, ა. ფურცელაძემ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართველ ქალთა გაცნობიერებაში. მან ი. კერესელიძესთან ერთად დაიწყო წარმოდგენების

გამართვა. ივანე მალე ჩამოეცალა, მაგრამ ანტონი არ მოეშვა და საქმე ბოლომდე მიიყვანა. სცენისმოყვარეთა წრეში შევიდნენ ელენე დიმიტრის ასული ყიფიანი, ბაბო ხერხეულიძე, მაშო ყიფიანისა, ოლღა ყაზბეგი, ელენე ანტონოვსკისა; მამაკაცთაგან: დავით აბულაძე, სოსიკო თარხნიშვილი - ეკატერინე გაბაშვილის ძმა, პოეტი სოსო ბაქრაძე და ა.შ. წარმოდგენები იმართებოდა მუსიკალური საზოგადოების დარბაზში და არშაკუნის სახლებში. მათზე ხალხის ტევა არ იყო. ს. მგალობლიშვილის მოწმობით, ყველას უნდოდა სცენაზე ენახა სილამაზით განთქმული დიდი ოჯახების ქალები.

ა. ფურცელაძეს, ს. მგალობლიშვილის სიტყვით, დიდი ზნეობითი და გონებითი გავლენა ჰქონდა ახალგაზრდობაზე. თუ ის, ნ. ლომოური, ს. ბაქრაძე, გ. უთურგაული, ი. ნათაძე ლიტერატურით დაინტერესდნენ, ეს სულ ანტონის დამსახურება იყო. 1869 წლიდან მისი სახლი წარმოადგენდა ერთგვარ სალონს, სადაც იკრიბებოდნენ ჟურნალ „მნათობის“ თანამშრომლები და სემინარიელები.

ს. მგალობლიშვილის სიტყვით, ა. ფურცელაძეს, ისევე როგორც ბევრ სხვა მოღვაწეს, ერთი სენი შეეყარა: თავის თავზე დიდი წარმოდგენა შეიქმნა, „განდიდების იდეა სჭირდა“, ამიტომ იგი ბევრს არ უყვარდა.

ა. ფურცელაძემ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე გაწყვიტა კავშირი ქართველ არისტოკრატიასთან. ძველებისგან მხოლოდ ორი კაცისა სწამდა და სჯეროდა, მათ დიდ პატივს სცემდა და ყოველთვის სიყვარულით მოიხსენიებდა. ესენი იყვნენ **დ. ყიფიანი და კ. მამაცაშვილი.**

ა. ფურცელაძე ბევრთან კამათის სურვილით იყო შეპყრობილი, მაგალითად, 70-იან წლებში იგი დაუპირისპირდა ნ. ნიკოლაძეს, რომელიც „მიუცილებლად ჩვენი ლიტერატურის განმაახლებელი შეიქმნა, ჩვენი გონების მოძრაობის უნიჭიერესი მესვეური“ (211). რასაკვირველია, ნ. ნიკოლაძეც „არ აკლებდა თვისს შხამიანს კალამსა“ (211). ხოლო 60-იან წლებში, როგორც ვიცით, ა. ფურცელაძე ეკამათებოდა ი. ჭავჭავაძეს. ილიაც სათანადოდ უსწორდებოდა „ქერელ ბექას“ და, როგორც მემუარისტი აღნიშნავს, მას თავის სალიტერატურო სახელზეც კი ააღებინა ხელი. თუმცა, როცა ანტონი ი. ჭავჭავაძის მიერ დაარსებული ბანკის დირექტორი გახდა, ძალიან ცდილობდა ილიასთან

დაახლოებას, მის სიამოვნებას. ილია ამას ძალზე კარგად ხვდებოდა და შორს ეჭირა თავი ა. ფურცელაძის მაამებელი სიტყვებისგან.

ს. მგალობლიშვილის დაკვირვებით, ა. ფურცელაძეს უფრო გავლენა ჰქონდა მუშებსა და ხელოსნებზე. მისი ნაწერები სწორედ საზოგადოების ამ ნაწილზე ახდენდა მეტ ზემოქმედებას.

დასასრულ, მემუარისტი ა. ფურცელაძის დასახასიათებლად იშველიებს **გრ. ყიფშიძის** ნათქვამს: „ჩვენი მწერლობა, ჩვენი ახლად ფეხადგმული კულტურა, სხვა მიღწევებთან ერთად ვერ დაივიწყებს ანტონ ფურცელაძესაც, რომელიც თავის შესაფერ ადგილს დაიჭერს ჩვენის ლიტერატურისა და საზოგადოებრივობის ისტორიაში“ (215).

შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ს. მგალობლიშვილი კარგად ხედავს ა. ფურცელაძის ღირსებებსაც და ნაკლსაც, არც ერთს მატებს რაიმეს, არც მეორეს ჩქმალავს და შედეგად ვიღებთ მწერლისა და მოღვაწის მეტად საინტერესო პორტრეტს.

იოსებ დავითაშვილი

საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ს. მგალობლიშვილი ძალიან შთამბეჭდავად ხატავს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დაუვიწყარ სახეებს. მწერალს ემარჯვება როგორც მათი გარეგნული პორტრეტების, ისე შინაგანი სპეციფიკური თვისებების დაჭერა, რომლებიც განსაზღვრავს მწერალთა, მოღვაწეთა რაობას.

ს. მგალობლიშვილმა მუშა-პოეტის, ი. დავითაშვილის, დასამახსოვრებელი სახე შექმნა. მასზე ფიქრისას მწერალს წარმოუდგება დაჭმუნვებული, დაღვრემილი სახე ცხოვრებისაგან გათანგული კაცისა, რომელმაც თავისი ხანმოკლე სიცოცხლე განვლო და დალია სულ შრომასა და ვაებაში.

ს. მგალობლიშვილიც ადასტურებს ქართველ მწერალთაგან არაერთგზის აღნიშნულ ფაქტს - ჩვენ, ქართველებმა, გლოვა-ტირილი დიდი ამბით ვიცით, ხოლო სიცოცხლეში მივიწყებულნი გვყავს ზემადლით ცხებული ჩვენი მწერლები, რომლებიც სამშობლოში ასრულებენ სიცოცხლეს, უკიდურეს სიღარიბეში იხოცებიან და მხოლოდ სიკვდილი გაგვახსენებს ხოლმე, რომ დავკარგეთ დიდებული ადამიანი.

მემუარისტის სიტყვით, ამ ბოლო დროს ჩვენმა საზოგადოებამ შეიგნო სიყვარული და პატივისცემა თავისი მოწინავე შვილებისა, გამოიჩინა დიდი გულშემატკივრობა და თავისი ღარიბი ჯიბე აღარ შურს დასნეულებულ და სიღარიბეში მყოფ ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა დასახმარებლად.

ი. დავითაშვილის დროს კი არ ყოფილა ასეთი გულისხმიერება და დაფასება. სწორედ სიღარიბემ და გაჭირვებამ იმსხვერპლა ჩვენი „ერთადერთი სახალხო მგოსანი“ (119).

ი. დავითაშვილი შეხედულებით თითქოს ბრგე ვაჟკაცი იყო, მაგრამ სნეულებით გატეხილი ჰქონდა ჯან-ღონე. იგი თვითნასწავლი იყო. როგორც კი დროს იშოვიდა, კითხულობდა ქართულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს.

გორში ჩვენს მუშა-პოეტს და ჰყავდა, რომელთანაც საცხოვრებლად გადმოვიდა 80-იანი წლების დამდეგს, მაგრამ ამ დროს პატარა ქალაქში სამუშაოს შოვნა ძნელი იყო და ამიტომ სულ გაჭირვებაში იმყოფებოდა. როცა სცენისმოყვარეებმა გორში წარმოდგენები გამართეს, იოსებიც გამოცოცხლდა. ნ. დიასამიძემ თავისი სახლი მუქთად დაუთმო სცენისმოყვარეებს, თეატრის ყურისმგდებლად მუშა-პოეტი დაინიშნა. იგი თან დეკორაციებსაც დგამდა. ჯამაგირი მცირე ეძლეოდა.

ი. დავითაშვილს ძალიან სწყუროდა სწავლა. სულ იმის ოცნებაში იყო, როდის მოეფინებოდა საქართველოს სახალხო სკოლები, რომლებიც გლეხკაცობაში განათლების სხივს შეიტანდა. ს. მგალობლიშვილის მიერ სწორადაა დანახული ერთი მთავარი თემა ი. დავითაშვილის პოეზიისა - მის მიერ განსახიერებული ღამის მეხრეები და გუთნისდედები იხვეწებიან, რომ მათ წერა-კითხვა ასწავლონ. „სწავლის გზა ფართო მომეცით, არ დამიკეტოთ კარები...“ - ვკითხულობთ მის „გლეხის ბიჭის ვედრებაში“ (120).

ი. დავითაშვილი მოკრძალებული და მორცხვი ადამიანი იყო. ძალიან ერიდებოდა თავის გაჭირვებაზე საუბარი, რაც უნდა გაჭირვებული ყოფილიყო, სათხოვარს ვერ გაუბედავდა ვინმეს.

ბოლოს თელავში წავიდა, მაგრამ დიდხანს აღარ უცოცხლია. მემუარისტის თქმით, ყველგან დიდი პატივი მიაგეს განსვენებულ მგოსანს, განსაკუთრებით - თბილისში.

სულმნათმა ილიამ ი. დავითაშვილის გარდაცვალების გამო საგანგებო მეთაური დაბეჭდა „ივერიაში“ (1887, N 61), აქვე მოათავსა მისი ბიოგრაფიაც.

გრიგოლ (გიგო) ყიფშიძე

ს. მგალობლიშვილი თავის მოგონებებში აცოცხლებს ღვაწლით დამაშვრალ ილიას უერთგულეს თანამშრომელს, გაზეთ „ივერიის“ სულსა და გულს, გრ. ყიფშიძეს.

ს. მგალობლიშვილმა გრ. ყიფშიძე თბილისის სასულიერო სემინარიაში გაიცნო. „მე უკვე უმაღლეს კლასში ვიყავ, როცა გიგო სემინარიის პირველს კლასში გადმოვიდა. - იგონებს მემუარისტი, - ძალიან ცქვიტი, მალხაზი და ნიჭიერი იყო, ომახიანი მოლაპარაკე“ (194). იმ დროს სემინარიის ინსპექტორის, ივანე კუვშინსკის, რეჟიმი იყო გაბატონებული. იგი „არჩობდა ბავშვებს, მუდამ მათ სულსა და გულში თვის უწმინდურ ხელს ათვათურებდა და დაეძებდა რაღაც ღალატს, რუსების სიძულვილს; ჰკლავდა მას ის აზრი, რომ აქნობამდე ქართველი ქართველად დარჩა და არავითარი რუსებთან შეერთება, ასიმილაცია არა ხდება“ (194). სემინარიაში ხშირი იყო ამბოხება, რომლებსაც რეპრესიები მოსდევდა. ერთ-ერთი ასეთი ამბოხის დროს გრ. ყიფშიძე სემინარიიდან გარიცხეს. იგი სოფელში დაბრუნდა და მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, თან ხალხოსნურ მოძრაობაში ჩაერთო. მაგრამ პროვინციაში დიდხანს ვერ გაძლო - იგი მოძრავი კაცი იყო, ოცნებიანი და სარბიელს დაეძებდა. გრიგოლი თბილისში დაბრუნდა და მუშაობა ქართულ თეატრში დაიწყო, როგორც მოკარნახემ და მსახიობმა.

გრ. ყიფშიძე მეგობრობდა ი. მაჩაბელთან. იგი აღარ მოშორებია „დროება-ივერიას“, იყო მუდმივი მუშა, დარაჯი რედაქციისა. „მარტო სანდრო ყაზბეგის გაურკვეველი და ასონაკლები ხელთნაწერის წაკითხვა, გასწორება, რად ღირდა“; იყო კარგი სტილისტი, ბევრ ახალგაზრდა მწერალს უსწორებდა ენას და წვრთნიდა (195).

გრ. ყიფშიძე ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლის ხელში დაიხვეწა, შეითვისა მათი სტილი და საუკეთესო მწერალი დადგა; იყო აგრეთვე კარგი მთარგმნელი. მას ეკუთვნის პუბლიცისტური წერილები, წერილები ქართული ლიტერატურის შესახებ, მონოგრაფია ი. ჭავჭავაძეზე, თარგმანები პოლ ბურჟეს რომანებისა: „ცოდვა სიყვარულისა“ და „ანდრე

კორნელი“, სენკევიჩის: „ცეცხლითა და მახვილითა“ და „ბარტექ ძლევამოსილი“, ალექსანდრე სუმბათაშვილის „ღალატი“ და მრავალი წვრილი „ამბავნი და მოთხრობანი“.

გრ. ყიფშიძე ზრუნავდა გაზეთის გავრცელებისათვის. „მისთვის თავგანწირული იყო. დღემუდამ მოკრუხული იჯდა“ (198). გაზეთის მუშის შრომა, ს. მგალობლიშვილის თქმით, თვალუჩინარია. მკითხველს გამზადებული გაზეთი მისდის და არ იცის, ვინ აწვდის მას ამ გაზეთს. აი, გაზეთის ასეთი უჩინო მუშა იყო გრ. ყიფშიძე.

ბოლოს გრ. ყიფშიძე თავის მშობლიურ სოფელში, საღოლაშენში, გადასახლდა, რომელიც ძალიან უყვარდა. მეზობლებიც დიდ პატივს სცემდნენ. აქ მან პატარა მამული შეიძინა. მემუარისტი აღწერს გრ. ყიფშიძესთან თავის უკანასკნელ სტუმრობას. „მთელი საღამო გავატარე მასთან; - იხსენებს მემუარისტი, - გადავფურცლეთ ჩვენი განვლილი ცხოვრება, გავიხსენეთ ჩვენი დიდებული კაცები: დიმიტრი, ილია, აკაკი, ვანო მაჩაბელი, სანდრო ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა... ნეტარი საღამო იყო, დაუვიწყარი, ტკბილი, სასოების აღმძვრელი ჩვენს მყობადზე“ (199). ამის შემდეგ გრ. ყიფშიძეს დიდხანს აღარ უცოცხლია. მემუარისტის თქმით, „ჩუმად მიიცვალა ის ჩუმი, თავის თავზე არა-მაღლად მყვირალი მოღვაწე“ (199).

მარიამ დემურია

საყურადღებო მოგონება დაგვიტოვა ს. მგალობლიშვილმა თავდადებული მოღვაწე ქალის, საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ დამაარსებლის, მარიამ დემურიას შესახებ. მოგონება დაიბეჭდა 1916 წელს ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ (N 2).

მ. დემურია დაიბადა და აღიზარდა ქალაქ გორში. მამამისი, ივანე ივანიშვილი, გორის სამაზრო სამმართველოში მსახურობდა. იგი მეტად წიგნიერი კაცი იყო; კვირაობით გორის მიძინების ტაძარში საღმრთო წიგნებს კითხულობდა. დედამისი იყო აზნაურ კორინთელის ქალი. მარიამი იზრდებოდა **ელიზბარ ერისთავის**, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი თავკაცის, ოჯახში. აქ მას შვილებისაგან არ არჩევდნენ. როცა ელიზბარის ქალიშვილები დათხოვდნენ, მარიამი შინ დაბრუნდა. მალე მამაც გარდაეცვალა და დარჩა მოხუცი, დაუძლურებული ბებიას ამარა. ამ დროს მარიამი

შეივრდომა **მათე კერესელიძის** ოჯახმა, რომელმაც დიდად იზრუნა ობოლ ქალზე. როგორც უკვე ითქვა, მათეს მდიდარი წიგნსაცავი ჰქონდა; იყო მეტად განვითარებული კაცი. აქ გაეცნო და დაუახლოვდა მარიამი ახალგაზრდების წრეს, რომლებიც ამ ოჯახში იკრიბებოდნენ. მარიამს შეუგროვეს ფული და თბილისში საბებიაქალო ინსტიტუტში გაგზავნეს. მან დაამთავრა ეს ინსტიტუტი და მსახურობდა სხვადასხვა ადგილას: ოზურგეთში, საჩხერეში... მალე დაქორწინდა ვასილ დემურიაზე, რომელიც გამომძიებელი იყო და ბოლოს ბაქოში მუშაობდა; ქმარი მალე გარდაეცვალა, დარჩა ორი მცირეწლოვანი ვაჟიშვილით. ამის შემდეგ ის თბილისში დასახლდა და აქტიურად ჩაერთო კულტურულ წამოწყებებში. მარიამი დიდხანს ედგა სათავეში ავჭალის სახალხო სახლს; გამოირჩეოდა დიდი ენერგიულობით. ს. მგალობლიშვილიც ჩაება მან საქმიანობაში. იგი დღესა და ღამეს ასწორებდა, თვითონ მიდიოდა ყველასთან და საქმეში რთავდა. მისმა მზრუნველობამ ავჭალის სახალხო თეატრი ფეხზე დააყენა.

მ. დემურია დიდი გულმოდგინებით შეუდგა საყმაწვილო ჟურნალის დაარსების საქმეს; კარდაკარ დადიოდა ქართველ მწერლებთან, კალთებს აგლეჯდა და მიჰყავდა მოსალაპარაკებლად; იშოვა გამომცემელიც - ნინო ელიზბარის ასული ერისთავი-ქობულაშვილისა. რედაქტორობა იკისრა დავით ერისთავის ქალიშვილმა. ნ. ქობულაშვილის სახლში იმართებოდა კრებები. ხშირად ამ კრებებს დიდი აკაკიც ესწრებოდა. მარიამი არავის აძლევდა მოსვენებას, სანამ არ დააარსა ჟურნალი, რომელსაც „**ნაკადული**“ უწოდეს.

ს. მგალობლიშვილს მოჰყავს მ. დემურიას საინტერესო წერილები, მისდამი მინაწერი. ზუსტად ასეთ წერილებს სწერდა იგი სხვებსაც; სხვებსაც ეხვეწებოდა, ავალებდა მასალის მიწოდებას ჟურნალისათვის. „ასეთი საქმის მუყაითი, მისდამი სიყვარულით აღფრთოვანებული, ასეთი ენერგიისა და სულის ძალით დაჯილდოებული ადამიანი იშვიათად შემხვედრია“, - წერს ს. მგალობლიშვილი (163).

მუდმივმა ჯაფამ, განუწყვეტელმა შრომამ მ. დემურია დაასნეულა და უდროოდ გამოგლიჯა ქართველობას ხელიდან ძალიან ძვირფასი ადამიანი. მაგრამ ნუგეშად ის შეიძლება იყოს, რომ იშვა ღირსეული მემკვიდრე, მისი საქმის გამგრძელებელი - ნინო

ნაკაშიძე, რომელიც საქმის დიდი ცოდნით განაგებდა მ. დემურიას მიერ დატოვებულ პირმშოს - „ნაკადულს“.

პეტრე უმიკაშვილი

ს. მგალობლიშვილი 60-იანი წლების კიდევ ერთ თვალსაჩინო მოღვაწეს, პ. უმიკაშვილს, იხსენებს. მემუარისტის თქმით, იგი ი. ჭავჭავაძის, გ. წერეთლისა და ა. ფურცელაძის მსგავსად, მრავალმხრივი მოღვაწე იყო, მხოლოდ პოეტობისგან იდგა შორს; მუდმივი თანამშრომელი იყო „დროებისა“, „კრებულისა“, „ივერიისა“. ძალიან უყვარდა თეატრი, წერდა პიესებს.

მემუარისტის თქმით, პ. უმიკაშვილი პიონერია ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრება-გამოცემის საქმეში. მას, ასევე, დიდი წვლილი მიუძღვის ძველი ქართული წიგნების გამოცემაში. მან გამოაქვეყნა დ. გურამიშვილის თხზულება „დავითიანი“ და წაუმძღვარა ვრცელი წერილი „დავით გურამიშვილი და იმის წინა დროება“[49].

ს. მგალობლიშვილის დახასიათებით, პ. უმიკაშვილი ფუსფუსა, საქმიანი კაცი იყო. როგორც ფუტკარი სკაში ნექტარს, ისე მიეზიდებოდა თავის ნაშრომ-ნაღვაწს ჟურნალ-გაზეთებში. იგი „გატაცებული და ჟინიანი მობაასე იყო“ (154). ქუჩაში თუ ნაცნობს შეხვდებოდა, ტაატით გაიყოლებდა და უამბობდა, თუ სად რა ხალხური ლექსი ან ზღაპარი იშოვა, ან რამდენი დაკარგული ქართული სიტყვა აღმოაჩინა. სანამ სათქმელს ბოლომდე არ იტყოდა, არ გაჩერდებოდა.

პ. უმიკაშვილს ძალიან უყვარდა ახალგაზრდობა. მის სახლში ხალისით იკრიბებოდნენ მოწაფეები. უფროსი მეგობრის რჩევით ისინი ეწაფებოდნენ ისტორიულ წიგნებს, რომლებიც იმ დროს ნაკლებად პოპულარული იყო.

ს. მგალობლიშვილის სიტყვით, 60-იანი წლების ზოგიერთი მწერალი, მათ შორის პ. უმიკაშვილი, დავიწყებას მიეცა. არადა, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში უხვად არის გაბნეული მისი პუბლიცისტური, ისტორიულ-არქეოლოგიური, კრიტიკული წერილები,

[49] პ. უმიკაშვილის რედაქტორობითა და თანარედაქტორობით გამოვიდა: სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ (1871), გრ. ორბელიანის ლექსები (1873), ნ. ბარათაშვილის ლექსები (1876), ალ. ჭავჭავაძის ლექსები (1881), ვახტანგ მეფის „დასტურლამალი“ (1886), ვ. ორბელიანის ლექსები (1894), „ვისრამიანი“ (1884)...

სცენები, სხვადასხვა ამბავი, წერილები ქართული თეატრის შესახებ. „არ იქნება ურიგო, - ამბობს მემუარისტი, - გამომცემლებმა მამების ნაწერები გამოსცენ და შვილებს გააცნონ, რანი იყვნენ მისნი მამანი, რას ელტოდენ და რა გააკეთეს შემდეგი თაობისათვის“ (154). უნდა ითქვას, რომ პ. უმიკაშვილის ღვაწლი ამ მხრივ ღირსეულად იქნა დაფასებული და უკვე 1837 წელს **ფილიპე გოგიჩაიშვილის** რედაქტორობით გამოიცა პირველი ტომი მის მიერ შეგროვილი მასალისა, რასაც სხვა წიგნებიც მოჰყვა.

გრიგოლ ვოლსკი

ს. მგალობლიშვილის მოგონება ეხება პოეტსა და პუბლიცისტს, გამორჩეულ მოღვაწეს, თავდადებულ მამულიშვილს - გრ. ვოლსკის.

მოგონება გრ. ვოლსკიზე იმ მხრივაც არის ძალზე საყურადღებო, რომ მემუარისტი 80-იანი წლების ბათუმს, ბათუმისათვის, მისი გაქართულებისათვის ბრძოლას გვაცნობს, იმ მოვლენებს, რომლებშიც თავი იჩინა გრ. ვოლსკის მებრძოლმა სულმა და მისმა უდიდესმა ღვაწლმა ჩვენი ქვეყნის წინაშე. ეს ის პერიოდია, რომლის შესახებ ჩვენ გვაქვს წარმოდგენა დიდი დ. კლდიაშვილის ბრწყინვალე თხზულებიდან: „ჩემი ცხოვრების გზაზე“.

ს. მგალობლიშვილის და მოგვიანებით დ. კლდიაშვილის მიერ აღწერილი ოთხმოციანი წლების ბათუმი ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან, რაც გვიმყარებს იმის განცდას, რომ არც ერთი მემუარისტი არ ღალატობს სიმართლეს. ისინი დაკვირვებით აღწერენ შექმნილ ვითარებას და უაღრესად სანდონი არიან.

ს. მგალობლიშვილი ღრმა პატივისცემით განგვაწყობს იმ თავდადებულ ქართველთა მიმართ, რომელთა წყალობითაც მოხერხდა, რომ ბათუმი ქართული ქალაქი გამხდარიყო. 80-იანი წლებისთვის აქეთ მოილტვოდნენ ბერძნები, ოსმალები, სომხები. ყველას უნდოდა ამ ადგილების დაპყრობა. „იქაური რუსობა ხომ ცნობილი შავრაზმელების პალმის და დეკანოზი რალცევიჩის მეთაურობით ქართველების ძირიანად აღმოფხვრას ლამობდნენ“ (186). ამ დროს ბათუმი შედიოდა გურია-სამეგრელოს ეპარქიაში, რომელსაც განაგებდა ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი - „კაცი ბუნებით მჭერმეტყველობის ნიჭით უხვად დაჯილდოებული, ამასთან დამჯერე და გამგონე

კეთილი რჩევისა“ (186). ს. მგალობლიშვილი კარგად იცნობს ყოველივეს, რასაც აღწერს, რადგან იგი სწორედ აქ დაინიშნა საეპარქიო კანცელარიის მდივნად. რასაც ურჩევდა ს. მგალობლიშვილი, იჯერებდა ეპისკოპოსი და ამის მიხედვით მარჯვედ მოქმედებდა.

მემუარისტი ასახელებს იმ ადამიანებს, რომლებიც ქართული საქმისათვის იღვწოდნენ აქ - ესენი იყვნენ გრ. ვოლსკი, ი. მესხი - ს. მესხის ძმა, ლ. და ა. ქიქოძეები, თ. აგიაშვილი, მღვდელი ს. თოთიბაძე... როგორც ჩანს, ს. მგალობლიშვილისათვის უცნობია ახალგაზრდა ოფიცერ **დ. კლდიაშვილის** როლი ამ საქმეში, თორემ მასაც უთუოდ მოიხსენიებდა.

გრ. ვოლსკი იყო სული და გული ამ გუნდისა. იგი პროფესიით ექიმი იყო; იყო პოეტი, პუბლიცისტი, შესანიშნავი მოღვაწე. წერდა ლექსებს „უმწიფარიძის“ ფსევდონიმით. მის კალამს ეკუთვნის ბევრი მშვენიერი ლექსი. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მისი „შენ გეტრფი მარად“, რომელსაც საქართველოს ყველა კუთხეში მღეროდნენ. გრ. ვოლსკი ზედმიწევნით მცოდნე იყო ქართული ენისა, რასაც დ. კლდიაშვილიც გვიდასტურებს. მისი თქმით, „იგი ხშირად ჩაუჯდებოდა „ივერიის“, „კვალის“ ნომრებს და ასწორებდა ხმარებულ ენას; ამ შენიშვნებით ავსებულ ფურცლებს უგზავნიდა ილია ჭავჭავაძეს და გიორგი წერეთელს. ორივენი დიდად აფასებდნენ ამ შენიშვნებს და სთხოვდნენ გრიგოლს, ხშირ-ხშირად მიეწოდებია ამგვარები“ (კლდიაშვილი 2013: 264).

ს. მგალობლიშვილის თქმით, დღევანდელ ბათუმს გრ. ვოლსკის და მის თანამებრძოლებს უნდა ვუმადლოდეთ. ქართველობა აქ თავდაპირველად ძალიან შევიწროებული იყო, განსაკუთრებით - რუსებისა და სომხებისაგან. არ არსებობდა ადგილი, სადაც ქართველები შეკრებას შეძლებდნენ. ხანდახან ქართული წარმოდგენა თუ იქნებოდა, ან - წელიწადში ერთხელ წმიდა ნინოს დღეობის გადახდა. ქართველებმა ეკლესიის აშენება გადაწყვიტეს. ეპარქიულმა მთავრობამ ხელი მოუმართა და ქალაქმაც მისცა შუა ბათუმში ადგილი, ჩაიყარა საძირკველი. მაგრამ პალმს, რალცევიჩსა და მათ შავრაზმელ დამქაშებს არ ეძინათ, სურდათ, ეს ძვირფასი ადგილი წაერთმიათ ქართველებისათვის, მაგრამ მათ ცდას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

ბათუმელ ქართველებს წინ უფრო დიდი განსაცდელი ელოდათ, უფრო მნიშვნელოვანი მისიის აღსრულება. ეს იყო ქალაქის არჩევნები. ძნელი წარმოსადგენია, თუ რა შრომა დასჭირდათ ქართველებს; კერძოდ, გრ. ვოლსკის[50].

ამ გამარჯვებით ქართველებმა ძირი მოიმაგრეს და მას შემდეგ ისინი განაგებდნენ ქალაქს. ს. მგალობლიშვილს ეს, ძირითადად, გრ. ვოლსკის დამსახურებად მიაჩნია. იგი მემუარისტს წარმოუდგება, როგორც „იშვიათი ენერგიის ადამიანი, პირდაპირი, მტერთან ბრძოლაში გულადი, მოურიდებელი, გამჭრიახი სიტყვისა, თავდადებული მამულიშვილი და უანგარო პატრიოტი“ (მგალობლიშვილი 1930: 187).

ს. მგალობლიშვილი გრ. ვოლსკის ღირსებად მიიჩნევს მის ინტერესს ეკლესიის საქმეებისადმი, ქართველების ერთად შეკრებისათვის ზრუნვას, რადგან ძალა ერთობაშია; „იმისვე მხნეობას ეკუთვნის კულტურული დაწესებულების - ქართული სკოლის - უკეთესად დაყენება და განვითარება“, მომავალი თაობის უკეთესად აღზრდა, ქართველებში ეროვნული ღირსების გრძნობის გაღვიძება (187).

ჯერ კიდევ მოსკოვში სტუდენტობისას იჩინა თავი გრ. ვოლსკის ორგანიზატორულმა ნიჭმა, ეროვნულად მომართულობამ - მან იქ დააარსა ქართველთა სათვისტომო. ბათუმი ხომ მისი შექმნილია, „მისი პირმშო შვილია“ (187).

გრიგოლი იმერეთში გაიზარდა, დედამისი ქართველი იყო; დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, შემდეგ სწავლა გააგრძელა მოსკოვის უნივერსიტეტში, დაასრულა სამედიცინო ფაკულტეტი, მაგრამ არ ექიმობდა. ბათუმში მან 11-12 წელი იღვაწა. 1907 წელს ჩამოვიდა თბილისში, სადაც ქართულ გიმნაზიაში ასწავლიდა ქართულ ენას; დიდხანს არ უცოცხლია, გარდაიცვალა 1909 წელს. მისი სიკვდილი და მოღვაწეობა აღნიშნა ალმანახმა „ქართველთ ერი“ (N 1, 11 ოქტომბერი, 1909).

ავქსენტი ცაგარელი

[50] როცა გრ. ვოლსკიმ „სავსებით დაინახა ყოველივე უსამართლობა და უკუღმართობა, რაც გამეფებული იყო გარშემო, გადასწყვიტა ყოველი ღონე ეღონა, რომ ბათუმში ცხოვრების პირობები სხვაგვარ ნიადაგზე დაეყენებინა. ამისათვის საჭირო იყო ქალაქის თვითმმართველობის ხელში ჩაგდება და საზოგადო ასპარეზზე გამოყვანა იმ პირებისა, რომელნიც მგლურ ხასიათს დაშორებული იყვნენ“ (კლდიაშვილი 2013: 237).

ს. მგალობლიშვილი მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქართულ თეატრს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში. მისი აზრით, იმ დროს, როცა, „სკოლები ჯერ კიდევ შებორკილია, დედაენა შეღსაჯოებულია, მასწავლებლები ორჭოფობენ, მღვდლები გადაშენდნენ, დედები გადაგვირჯულდნენ“, ერთადერთ მხსნელად ქართული თეატრი რჩება (217).

ს. მგალობლიშვილმა არაერთი საინტერესო ცნობა შემოგვინახა ქართული თეატრის მოღვაწეების შესახებ. თავის მოგონებებში იგი გარკვეულ ადგილს უთმობს ქართული თეატრის დიდ მოამაგეს, დრამატურგსა და მსახიობს, ა. ცაგარელს. იგი თავდაპირველად გვაცნობს მის მამას, დიღმელ მღვდელს, ანტონ ცაგარელს, ძმებს - „ერთმანეთზე ლამაზებს და ნიჭიერებს“. ამ ოჯახის შვილია ა. ცაგარელის უფროსი ძმა, პროფესორი ალ. ცაგარელი.

მემუარისტი გვიყვება ა. ცაგარელის განსწავლის წლებზე თბილისის სასულიერო სასწავლებელში. იგი მეტად ცელქი და მოუსვენარი ყოფილა, მასწავლებლებს თურმე მისგან მობეზრებული ჰქონიათ თავი. ბავშვი ვერ შეეგუა სასწავლებელში გამეფებულ რეჟიმს, სწავლას თავი დაანება და თვითგანვითარებას შეუდგა. იგი შევიდა ქართულ დასში, სადაც კინტო ბიჭებს ათამაშებდნენ.

ა. ცაგარელის პირველი ნაწარმოებია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. „ამ პიესამ ახალი სიო შეიტანა ქართულ ორიგინალურ დრამატიულ მწერლობაში“ (218). პირველს მოჰყვა მეორე კომედია „ხანუმა“. ავქსენტი პიესებს თავისი თანამედროვე არტისტებისათვის წერდა. ესენი იყვნენ ვ. აბაშიძე, ნ. გაბუნია, მ. საფაროვა...

ს. მგალობლიშვილის შეფასებით, ა. ცაგარელის პიესები ეფექტურობით გამოირჩეოდა, ამიტომაც ხშირად იდგმებოდა ქართულ სცენაზე. დასი ხშირად სტუმრობდა პროვინციას, მათ შორის გორსაც. ვ. აბაშიძეს მოსწონდა მ. საფაროვა, ავქსენტის - ნ. გაბუნია. ერთხელ გორში ნატო და ავქსენტი შელაპარაკდნენ. ფარდა აიხადა, სცენაზე არც ერთი ჩანდა და არც - მეორე. ავარდა ნ. დიასამიძე და, როგორც იყო, ორივე გამორეკა. თავად ავქსენტი ენამოსწრებული, ოხუნჯი კაცი იყო, ყველა მსახიობს მოგონილ სახელს არქმევდა: ნატოს ხანუმას ეძახდა, ვასოს - არუთინას, გუნიას - მუნიას...

ს. მგალობლიშვილის თქმით, ა. ცაგარელი სასმელს მიეძალა, ჩამოხმა, რადგან სმის დროს ერთ ლუკმა პურსაც არ ჭამდა. მეგობრებმა სცადეს მისი საქმეში ჩაბმა - იქნებ სმას თავი დაანებოსო, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

ა. ცაგარელი 1902 წელს გარდაიცვალა. ს. მგალობლიშვილი სინანულით იგონებს, თუ როგორ ჩააკვდა ხელში მეგობარი, როცა მისი ხანუმა, ნ. გაბუნია, სახლში არ იყო.

ია კარგარეთელი

ს. მგალობლიშვილი ამ მოგონებას წერს შესანიშნავი მომღერლისა და მუსიკოსის, ი. კარგარეთელის, 35 წლის ღვაწლის აღიარების დღეებში. ქართველ ერს აღორძინების ხანა მეორედ XIX საუკუნის 80-იან წლებში დაუდგაო, - ამბობს მემუარისტი, - ამ დროს ლადო აღნიაშვილმა იოსებ რატილის ლოტბარობით შეადგინა მომღერლების გუნდი, რომელსაც შეასწავლა როგორც ქართული საერო, ისე უცხოური სიმღერები. სწორედ ამ გუნდში დაიწყო გამოსვლა ახალგაზრდა ი. კარგარეთელმა. ია იყო შვილი ერთაწმინდელი მღვდლის, გიორგისა, რომელიც თავად მშვენივრად მღეროდა. გიორგის ორი შვილი ჰყავდა: კოტე და ია. ისინი მაშინ სწავლობდნენ გორის სასულიერო სასწავლებელში, როცა ს. მგალობლიშვილი იყო იქ ქართული ენის მასწავლებლად.

კოტე თბილისის სიონის ტაძრის არქიდიაკონი გახდა. მის მოსასმენად უცხოელებიც კი მოდიოდნენ ტაძარში. ერთმა მსახიობმა ურჩია მას, რომ მღვდელმსახურებისათვის თავი დაენებებინა და იტალიაში წასულიყო სიმღერის შესასწავლად. მაგრამ კოტემ ეს არ გააკეთა, თავი შესწირა სიონის ტაძარს და უდროოდ გარდაიცვალა 1914 წელს.

რამდენადაც წარმოსადეგი იყო კოტე, იმდენად სუსტი იყო ია. საეკლესიო გუნდში იგი ალტს გალობდა. ორივე ძალიან ცელქი ყოფილა მოწაფეობისას. ია ზოგჯერ გაკვეთილზე წამოიმღერებდა, იყო ერთი გნიასი მოწაფეებისა. სასწავლებლის უფროსობას თავი მობეზრებული ჰქონდა იას გამო, მაგრამ გარიცხვით ვერ რიცხავდნენ.

ია გორის სასწავლებლის დასრულების შემდეგ გადავიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. როგორც ითქვა, აქ იგი შევიდა აღნიაშვილის გუნდში. მალე ამ გუნდმა მოგზაურობა დაიწყო პროვინციებში, მათ შორის გორში. სტუმრები ს. მგალობლიშვილმა მიიღო და დააბინავა თავისთან. მემუარისტი გვიყვება იმ დიდ წარმატებაზე, რომელიც იქ

გუნდის გამოსვლას მოჰყვა. ხალხის სულსა და გულს მძლავრად ჩასწვდა ქართული ჰანგები. ი. კარგარეთელი დაღალეს „ურმულის“ გამეორებით. მან დაიწყო ქართული სიმღერების ჩაწერა. შემდეგ რუსეთში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად. მან მოსკოვის ეთნოგრაფიულ საზოგადოებას გააცნო ქართული სიმღერა. საზოგადოებამ აღტაცებით მიიღო იას მოხსენება.

სამშობლოში დაბრუნებული მუსიკოსი შეუდგა ქართული მუსიკის პოპულარიზაციას: წერდა წერილებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, შეადგინა წესდება ფილარმონიული საზოგადოებისათვის, გახსნა ფილარმონია, აქტიური მონაწილეობა მიიღო კონსერვატორიის დაარსებაში, თარგმნა ოპერები: „სეველიელი დალაქი“ და „დემონი“, რომლებიც დაიდგა მისივე ხელმძღვანელობით ქართველ მომღერალთა ძალებით. ი. კარგარეთელს წამოეშველნენ კომპოზიტორები: დ. არაყიშვილი, ზ. ფალიაშვილი, ა. ბალანჩივაძე, ნ. სულხანიშვილი და სხვები, რომელთაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს თანამედროვე ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას.

ს. მგალობლიშვილი იმედით შეჰყურებს ქართული სიმღერის ხვალინდელ დღეს. ის იმედოვნებს, რომ პატარა საქართველო გადაიქცევა მეორე იტალიად. მწერალი უპირისპირდება იმ აზრს, რომ ხელოვნებასა და რელიგიას დაღუპვა მოელის ბოლოს, როცა მეცნიერება გამეფდება (სპენსერი, რენანი...). ს. მგალობლიშვილის აზრით, შეიძლება სახე იცვალოს ხელოვნებამ, მაგრამ მისი დაღუპვა წარმოუდგენელია.

ი. კარგარეთელი საოპერო დასშიც მოღვაწეობდა. მაგრამ 1907 წელს მას დიდი უბედურება დაატყდა თავს. მას დააბრალეს გენერალ გრიაზნოვის მკვლელობაში მონაწილეობა. ხელისუფლებამ მას „ხულიგნები“ მიუჩინა. ერთ ღამეს, როცა ი. კარგარეთელი ოპერიდან შინ ბრუნდებოდა, დაუხვდნენ, სიკვდილამდე სცემეს, ტანჯეს, მერე, როცა მკვდრად მიიჩნიეს, მიაგდეს. მეორე დღეს იგი ცოცხალ-მკვდარი იპოვეს. ვერავინ წარმოიდგენდა მის გადარჩენას, მაგრამ იას ძლიერმა ბუნებამ გაიმარჯვა სიკვდილზე, გამოკეთდა, თუმცა მარჯვენა ხელ-ფეხი დაუშავდა. იგი კვლავ შეუდგა მუშაობას, ხელი მიჰყო პუბლიცისტური წერილების წერასა და მასწავლებლობას სხვადასხვა სასწავლებელში.

„ვალერიან გუნია და ერთი სამარცხვინო იუბილე“

ეს წერილი გამოქვეყნდა ს. მგალობლიშვილის რედაქტორობით მომზადებულ ალმანახში, რომელიც დაიბეჭდა 1917 წელს ვალერიან გუნიას მოღვაწეობის 35 წლისთავისათვის. ალმანახს სახელად ჰქვია „მადლობის დღე“.

მოგონებაში ავტორი გვიყვება იმ სამარცხვინო იუბილეს შესახებ, 1901 წელს რომ უნდა გამართულიყო. საქართველოს უნდა ეზეიმა რუსეთთან შეერთების 100 წლისთავი, იუბილე „ჩვენი გათახსირებისა, დამონებისა, მიწასთან გასწორებისა“. ბევრი ამ დღეს აღტყინებით შეხვდა, შეხვდა მონის შეცაცქანებით, რომელიც გამოელის ზვიადი ბატონისაგან სუფრაზე დარჩენილ ნახორხლებს, რასაც ლაქიები ბატონის ძაღლებსაც არ აკადრებენ. საქართველო ძაძებითა და თავზე ნაცრის დაყრით უნდა შეხვედროდა ამ დღეს და არა - ზეიმით (223).

ამ დროს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი იყო დავით მელიქიშვილი, რომელმაც ყველა ქართულ დაწესებულებას შესთავაზა, რომ რაღაცით აღენიშნათ ეს დღე. ამ წინადადებით მარშალმა მიმართა ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობასაც და ქართულ დასსაც. გამგეობის თავმჯდომარე მაშინ იყო ვასილ სულხანიშვილი - ვალერიან გუნიასთან თანაშეზრდილი და მისი მეგობარი, ხოლო გამგეობის წევრები იყვნენ პ. ყიფიანი, ნ. ქართველიშვილი, გ. დეკანოზიშვილი, ვ. გუნია, ს. მგალობლიშვილი და სხვა. წინადადებამ ყველა გააოცა. განსაკუთრებით იმოქმედა ვ. გუნიაზე, „თვალები აუბრიალდა, ყელში მოაწვა ბოღმა და სახე შეუწითლდა“ (224). მან ისეთი ბრაზმორეული ცახცახით გასცა პასუხი თავადაზნაურობის წინამძღოლის წინადადებას, რომ მის მომხრეებს თავზარი დასცა. დასში ვ. გუნიას დიდი გავლენა ჰქონდა და იქაც ჩაიფუშა საქმე. ბუნებრივია, იყვნენ იუბილეში მონაწილეობის მსურველნიც. ვ. გუნიამ თქვა: „ასი წლის განმავლობაში კისრად გვედო მონობის უღელი, შელახეს ყოველივე ჩვენი ღირსება, პატივი, თავმოყვარეობა, წაგვართვეს ენა, წაგვართვეს ეკლესია, შეგვიგინეს ზნეობა, რომლითაც თავი მოგვქონდა, სისხლად დაწრიტეს მთელი საქართველო, გაათახსირეს, გასრისეს, გააღარიბეს, თავს ლაფი დაგვასხეს და ასეთი ყოფა უნდა ვიდღესასწაულოთ! მელიქიშვილმა რომ გაბედა, თქვენ როგორ ათქმევინეთ თქვენს ენას ეს საქართველოს შეურაცხყოფა?“ (224). სხვებმაც მხარი დაუჭირეს ვ. გუნიას და დემონსტაციულად დატოვეს დარბაზი.

მეორე დღეს დრამატული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ დატოვა გამგეობა.

ეს შემთხვევა კარგად მეტყველებს ვ. გუნიას გაბედულებაზე. იგი ყოველთვის იბრძოდა თავისი ერის ღირსების დაცვისათვის. მას ბევრი მწარე წუთი ახსოვს და ახსოვს თავის თანამოძმეთაგანაც, მაგრამ ერთხელაც არ გადაუხვევია არჩეული გზიდან.

ს. მგალობლიშვილის „მოგონებანი“ მთავრდება ორი მოგონებით. ერთი **შიო ჩიტაძის** ხსოვნას ეძღვნება, ხოლო მეორე - **ალექსანდრე ხახანაშვილის** გარდაცვალებას და უფრო ნეკროლოგის ფორმა აქვთ.

როგორც ს. მგალობლიშვილის მოგონებათა რედაქტორ-გამომცემელი ლ. ასათიანი აღნიშნავს, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მას საშუალება არ მიეცა, ესარგებლა მწერალთა მუზეუმის არქივით, რომლისთვისაც ს. მგალობლიშვილის მემკვიდრეების მიერ თავის დროზე გადაცემულ იქნა მისი ხელნაწერები და სხვა დოკუმენტები. რედაქტორის ამ განცხადების გათვალისწინებით შევისწავლეთ მემუარისტის არქივი, სადაც, ჩვენი აზრით, მაინცდამაინც მდიდარი მასალა არ აღმოჩნდა. ჩვენ გავეცანით და აქ მოვიტანეთ ს. მგალობლიშვილის მოგონებები მსახიობ **მარიამ (მაკო) საფაროვას**, რომელზეც უკვე გვქონდა საუბარი, ასოთამწყობ **ზაქარია რუსიშვილისა** და სახალხო თეატრის მოღვაწე **გიორგი ჯაბაურის** შესახებ.

ზაქარია რუსიშვილი

მემუარისტი საგანგებო ყურადღებას უთმობს ყველასაგან დავიწყებულ სტამბის მუშას, ასოთამწყობ ზ. რუსიშვილს, რომელიც, ღრმად მოხუცებული, დაუძლურებული, უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს და საზოგადოებისაგან მზრუნველობას საჭიროებს.

მწერალი მოკლედ მოგვითხრობს ზაქარიას ცხოვრების შესახებ. იგი სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, მაგრამ სიღარიბის გამო სწავლა ბოლომდე ვერ მიიყვანა. მან ასოთაწყობა შეისწავლა. ზ. რუსიშვილი გაზეთ „დროების“ პირველი ასოთამწყობი იყო. იგი „მნათობშიც“ მუშაობდა.

ს. მგალობლიშვილის თქმით, სტამბის პატრონებს, სტეფანე და იოსებ მელიქიშვილებს, უყვარდათ ზაქარია, როგორც ერთგული და პატიოსანი მუშა და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ. ი. მელიქიშვილმა მას უყიდა სახლ-კარის ადგილი ამაღლების მთის კალთაზე, სოლოლაკში, და იქ აუშენა ოთახები. ზაქარია სიღარიბის გამო ცოლ-შვილს გვიან მოეკიდა. ჰყავს სამი შვილი, აქედან მხოლოდ ერთია შრომისუნარიანი.

მემუარისტს იმედი აქვს, რომ მთავრობაც და მუშა-ამხანაგებიც „მიაქცევენ ყურადღებას ამ მხცოვან მუშას და ცხოვრებისაგან დასერილს მის გულს სიკვდილის ჟამს მაინც უწამლებენ და რაიმე შემწეობას აღმოუჩენენ“ (სსლმ, N 15 709-ხ.)

გიორგი ჯაბაური

მწერალი კიდევ ერთ დავიწყებულ ქართველ მოღვაწეს უთმობს საგანგებო ყურადღებას - ეს არის გ. ჯაბაური. მემუარისტის თქმით, ასეთი მოღვაწეები თვალში არავის ეჩხირებიან, „ისინი წყნარად განაგრძობენ თავისს მოღვაწეობასა“ (სსლმ, N 15 710-ხ.).

ს. მგალობლიშვილი საინტერესოდ გვიცოცხლებს გ. ჯაბაურის მიერ განვლილ გზას. იგი სოფელ ლამისყანიდან ჩამოსულა თბილისში და სახელოსნო სკოლა დაუმთავრებია; მუშაობდა რკინიგზის სახელოსნოში. ნიჭმა ერთ ადგილას არ გააჩერა, დატრიალდა, იშოვა თანამგრძნობი ამხანაგები და მუშა-გლეხებისთვის სახალხო წარმოდგენების მართვას შეუდგა (1891). ეს იოლი საქმე არ იყო: „ძველი რეჟიმი მეფისა,

წყეული ცენზურა, უზნეობა და სხვა ამგვარი დაბრკოლებანი ხელ-ფეხს უბორკავდნენ ადამიანს, მაგრამ გიორგი ჯაბაური არ შეუდრკა ამ დაბრკოლებებს, შეებრძოლა, შეეჭიდა და ლელო გაიტანა“ (სსლმ, N 15 710-ხ.).

სახალხო სცენისმოყვარეებს შენობა არ ჰქონდათ. მათ დახმარებისთვის მიმართეს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ქალაქის საბჭოს ხმოსანს, ქველმოქმედ **ნიკო ხუდადოვს** და სთხოვეს, მიეცა მათთვის ავჭალის აუდიტორია. მანაც გაიზიარა ეს მშვენიერი აზრი და 1893 წელს ქალაქმა გადასცა სახლი სცენისმოყვარეთა მეთაურს - გ. ჯაბაურს. ამ დროიდან იწყებს სახალხო თეატრი თავის ოფიციალურ მოღვაწეობას.

მემუარისტი საინტერესოდ აღწერს თეატრის მუშაობას. მისი თქმით, ბილეთები წარმოდგენებზე იაფი ღირდა, 10-15 კაპიკი. სკამებსა და დეკორაციებს თვითონ მუშები ამზადებდნენ. სიცივის გამო ზამთრობით რეპეტიციები ოჯახებში იმართებოდა. მთავრობა თეატრს ხელს არ უწყობდა, პირიქით, რუსულის უცოდინარ მუშებს რუსული პიესების დადგმას სთხოვდა. რუსებმაც და სომხებმაც ჩადგეს ფეხი მზამზარეულ თეატრში. მხოლოდ **მ. დემურიას** ხელში დაიწყო სახალხო თეატრმა მტკიცე ნაბიჯებით სიარული.

გ. ჯაბაური 1891 წლიდან არ მოშორებია თავის საყვარელ სახალხო თეატრს და ბოლომდე იქ იღვწოდა. მემუარისტის თქმით, იგი ადმინისტრატორიც იყო, სცენარისტიც, დეკორატორიც და ხანდახან სუფლიორიც; იგი იყო „კაცი, რომელმაც კისრად იდო დიადი საქმე თავისი ხალხის კულტურული განვითარებისა, რომელმაც თავისი მუშური კისრით სახალხო თეატრის ლელო გაიტანა სამშვიდობოზე და გადასცა საზოგადოებას (სსლმ, N 15 710-ხ.).

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მოგონება დაწერილია საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. მემუარისტი ერთგვარ მადლიერებას გამოხატავს საბჭოთა მთავრობის მიმართ, რომელიც „არ ივიწყებს დამსახურებულ მწერლებს, ხელოვანებს, მუშა-მოღვაწეებს და უხვად აჯილდოებს მათ“. ს. მგალობლიშვილის მიზანია, მთავრობის, საზოგადოების ყურადღება ამ უჩინო მოღვაწეებისკენ მიმართოს. „ვაქვეყნებთ ამ ამბავს ზაქარია რუსიშვილზე იმ იმედით, რომ მუშა-ამხანაგები, მესტამბეები, განურჩევლად ეროვნებისა და კლასისა, მიაქცევენ ყურადღებას ამ მხცოვან მუშას“, - ამბობს იგი (სსლმ, N 15 709-ხ.).

ასეთია ხასიათი ს. მგალობლიშვილის მოგონებებისა. ისინი გამოირჩევა თემებისა და მასალის მრავალფეროვნებით. მემუარისტი მეტად საინტერესოდ გვაცნობს ჩვენი წარსული ცხოვრების სხვადასხვა სფეროს: სოფლის გარემოს, ბატონყმობის სურათებს, სასწავლებლებს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას 70-80-იან წლებში, კულტურის სიახლეებს;

ს. მგალობლიშვილი მაღალმხატვრულად, ცოცხლად ახასიათებს ქართული მწერლობის დიდ წარმომადგენლებს, საზოგადო მოღვაწეებს: ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, გ. წერეთელს, ი. გოგებაშვილს, ვაჟა-ფშაველას, ალ. ყაზბეგს, ა. ფურცელაძეს, გრ. ყიფშიძეს, გრ. ვოლსკის, პ. უმიკაშვილს, მ. დემურიას... უმეტეს მათგანს ავტორი ძალიან ახლოს იცნობდა, მათთან პირადი და სამსახურებრივი ურთიერთობა აკავშირებდა. ს. მგალობლიშვილი მათ შესახებ ბევრ ისეთ შემთხვევას, დეტალს გვაცნობს, როგორსაც სხვა მემუარისტებთან ვერ შევხვდებით. ეს ყოველივე კი მის მოგონებებს მეტ ღირებულებას სძენს;

ს. მგალობლიშვილის მოგონებებს აქვს შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა. მათში უხვადაა ეთნოგრაფიული მასალაც. მწერალი მსჯელობს ბევრ საჭირბოროტო საკითხზე (ეროვნულობის, ენის, აღზრდის, სწავლა-განათლების...), რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალურობა;

მოგონებებს ღირსებას მატებს ავტორის მწერლური ოსტატობა. მემუარისტი ძალზე საყურადღებო ყოფითი დეტალებით, თვალსაჩინო პორტრეტებით ავსებს თავის მონათხრობს. საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ ს. მგალობლიშვილი, როგორც მთხრობელი, მხატვარი, თავის მემუარებში არათუ ჩამოუვარდება ს. მგალობლიშვილს, პროზაიკოსს, არამედ ბევრ შემთხვევაში აღემატება კიდეც მას.

დასკვნა

ალექსანდრე ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი და სოფრომ მგალობლიშვილი სხვადასხვა თაობის, სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური შეხედულების მქონე ქართველი მწერლები (და საზოგადო მოღვაწეები) არიან, რომელთა მემუარული მემკვიდრეობა ნაკლებადაა განხილული ლიტერატურის ისტორიკოსის პოზიციიდან და ჩვენი ინტერესიც მათი მოგონებების მიმართ, ძირითადად, ამითაა განსაზღვრული.

სამი გამორჩეული მამულიშვილის, შესანიშნავი მოქალაქის, მწერლის მოგონებებში წარმოდგა ერთგვარი პანორამული სურათი ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის, კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების, ყოფის, ადათ-ტრადიციებისა; ისტორიულ პირთა, ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა პორტრეტები, მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალები; ცხადად წარმოჩინდა თვით მოგონებათა ავტორების პიროვნული ცხოვრების საინტერესო მომენტები, მწერლური თავისებურებები, დაკვირვების, აღწერის, შეფასების შესაძლებლობები.

ალექსანდრე ორბელიანის მოგონებები თვალსაჩინოდ მოწმობს მწერლის ეროვნულ სულისკვეთებას, მის პოზიციას არსებული პოლიტიკური ვითარების მიმართ, მის ფხიზელ ხედვას რუს მოხელეთა მოქმედების შინაგანი მექანიზმის გამომზეურების, მათი იმპერიული ზრახვების გამოაშკარავების თვალსაზრისით.

ალ. ორბელიანი არა მარტო სულდგმულობდა მოგონებებით, როგორც სამეფო კარის დანარჩენი წარმომადგენლები, მათი შვილები და შვილიშვილები, არამედ რუდუნებით აღნუსხავდა ყოველივეს, აკვირდებოდა და მოაზროვნე კაცის თვალით აანალიზებდა, აფასებდა, ერთმანეთს ადარებდა გმირულ წარსულსა და უბადრუკ აწმყოს. არ არის შემთხვევითი, რომ ალ. ორბელიანის თანამედროვენი და შემდგომი დროის წარმომადგენლები მას მიიჩნევენ მე-18 საუკუნის მიწურულისა და მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მემატიანედ; მას მიმართავენ, მისგან რჩევებს იღებენ ცნობილი პირები.

ალ. ორბელიანის მოგონებები ძალზე საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს მწერლის დიდი წინაპრების, თანამედროვეების, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ქვეყანაში მომხდარი მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ.

ალ. ორბელიანის ყრმობის მოგონებებით საინტერესოდ ცოცხლდება 1812 წლის კახეთის აჯანყება; აჯანყებისადმი დედის, თეკლე ბატონიშვილის, დამოკიდებულება, მამის, ვახტანგ ორბელიანის, დაღუპვის ამბავი. მწერალმა ყველაზე თვალსაჩინოდ წარმოგვიდგინა სახელოვანი დედის, ღირსეული ქალის, მამაცი, მხნე, გაუტეხელი თეკლე ბატონიშვილისა და ბიძის, ალექსანდრე ბატონიშვილის, საქართველოს თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლის, შთამბეჭდავი სახეები.

ყმაწვილობაში განცდილი და გადატანილი ცხოვლად დააჩნდა ალ. ორბელიანის სულს, რაც შემდგომ რუსული მმართველობისადმი მის შეურიგებლობაში გამოჩნდა.

ალ. ორბელიანის მოგონებების დიდ ისტორიულ მნიშვნელობას განსაზღვრავს 1832 წლის შეთქმულების შესახებ მისი მონათხრობი, ყაზარმობისა და გადასახლებაში გამგზავრების ამბები.

ალ. ორბელიანის პოლიტიკური სიფხიზლე გამოჩნდა მ. ვორონცოვის საქმიანობის შეფასებისას. იგი ერთ-ერთი პირველი ქართველი მწერალია, რომელმაც იმთავითვე კარგად დაინახა ვორონცოვის ცბიერი, შორსგამიზნული პოლიტიკა კავკასიაში და უნდობლობა გამოუცხადა მას.

მწერალმა თავისი ცხოვრების წესითაც გამოხატა პროტესტი და შეურიგებლობა რუსული მმართველობის მიმართ; გადასახლებიდან დაბრუნებული ალ. ორბელიანი, სხვებისგან განსხვავებით, სახელმწიფო სამსახურში აღარ შესულა. იგი აკეთებდა მხოლოდ ეროვნულ საქმეს, როგორც საზოგადო მოღვაწე.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გადასახლებაში მყოფმა ალ. ორბელიანმა კარგად გაიცნო უბრალო რუსი ხალხი და გულით შეიყვარა იგი. მას სძულდა და პროტესტს უცხადებდა რუსულ მმართველობას, რუსულ დამპყრობლურ, შოვინისტურ პოლიტიკას.

ალ. ორბელიანის სახით საქმე გვაქვს ნამდვილ მხატვართან, რომელიც დამაჯერებლად, მწერლური ოსტატობით გადმოგვცემს ნახულსა და გაგონილს, აცოცხლებს ბევრ ისტორიულ პირს, ცხადად წარმოგვიჩენს მათ სახეებსა და საქმეებს. ცოცხალი პორტრეტების შექმნა, ძალზე მნიშვნელოვანი დეტალების შერჩევა

თვალნათლივ გვიჩვენებს მოგონებებში წარმოდგენილ პირთა სულიერ მდგომარეობას, ხასიათის თავისებურებებს.

ალ. ორბელიანი მოგონებებში წარსულს გვიხატავს არა გახუნებულსა და ფერგადასულს, არამედ სავსესა და ცოცხალს. თხრობისას ჩვენი მწერალი სადაა, დაუძაბავი, ეს სისადავე და დაუძაბავობა იზიდავს მკითხველს.

ალ. ორბელიანი გამოირჩევა პოეტურობით. იგი პოეტური გზნების, „უნაზესი განცდებისა და მახვილი აზრის ავტორია“.

მოგონებებში ნათლად ჩანს მწერლის პიროვნება. იგი პირდაპირი, წრფელი, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ადამიანია, რომელიც ვერაფრით შეჰგუებია რუსეთის მიერ საქართველოს დამონებას.

დიმიტრი ყიფიანის დარი პიროვნებები თავიანთი ცხოვრებითა და ღვაწლით ადამიანებს პირდაპირობის, უკომპრომისობისა და სიმამაცის მაგალითს უჩვენებენ და ბოლოს თავზე წმინდანის გვირგვინს იდგამენ.

დ. ყიფიანი ცხოვრობდა უაღრესად რთულ და საინტერესო ეპოქაში. ის კარგად იცნობდა არისტოკრატიასა და დაბალ ფენას, რუს უმაღლეს თანამდებობის პირებსა და უბრალო ჩინოვნიკებს, დიდ მამულიშვილებსაც და მედროვე ქართველებსაც.

ყველა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენა დ. ყიფიანის უშუალო მონაწილეობით, მისი ინიციატივითა და თაოსნობით ხდებოდა, იქნებოდა ეს ბანკის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა თუ ქართული თეატრის დაარსება და ეს იმიტომაც, რომ დ. ყიფიანი, ძალიან ბევრი ქართველი სახელმწიფო მოხელისაგან განსხვავებით, თავის სამსახურებრივ მდგომარეობას კარგად იყენებდა ეროვნულ-საზოგადოებრივი ინტერესებისათვის. დ. ყიფიანის პიროვნების მნიშვნელობა იმით განისაზღვრებოდა, რომ მის სიტყვას, მის პროტესტს, მის ბრძოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან დიდი სახელითა და პატივით სარგებლობდა არა მარტო საქართველოს პატრიოტთა შორის, არამედ რუსული იმპერიული ხელისუფლების ჩინოვნიკთა წრეშიც.

დ. ყიფიანის საინტერესო ლიტერატურული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მისი მემუარები. ისინი მეტად საინტერესო ინფორმაციას შეიცავს მე-19

საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. მემუარები, ასევე, ძვირფას მასალას გვაწვდის თავად ავტორის ბიოგრაფიის, მსოფლმხედველობის, ხასიათისა და ცხოვრების წესის გასაცნობად. უნდა აღინიშნოს, რომ იგი უაღრესად კეთილსინდისიერი მთხრობელია, მისი მოთხოვნილებაა სიმართლე და მხოლოდ სიმართლე.

„მემუარების“ პირველი ნაწილი - „სკოლა სულისა“ - თითქოს ერთგვარ სათავეს უდებს ქართულ სინამდვილეში მწერლების: აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, სოფრომ მგალობლიშვილისა და სხვათა მიერ სასწავლებლებში გამეფებული სწავლებისა და დასჯის მახინჯი ფორმების მხილება-დახასიათებას. დ. ყიფიანი შთამბეჭდავად, ცალკეული ტიპური ეპიზოდების მომარჯვებით გვაცნობს კეთილშობილთა სასწავლებლის ცხოვრებას, რომელიც, როგორც ყველა სასწავლებელი საქართველოში, იმისთვის იყო მოწოდებული, რომ ქართველი ყმაწვილებისგან აღეზარდა რუსეთის იმპერიის უერთგულესი მსახურები.

დ. ყიფიანი თავის მემუარებში ძალზე საინტერესოდ მოგვითხრობს მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური, კულტურულ-საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ, რომელთა უშუალო ინიციატორი, მოთავე ან თანამონაწილე თვითონ იყო - იქნებოდა ეს კერძო ბიბლიოთეკის დაარსება თბილისში, რომელმაც ბინა მის სახლში დაიდო; თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის არჩევნები და აქ მისი დიდი გამარჯვება; საგლეხო რეფორმა საქართველოში და მის მშვიდობიანად ჩატარებაში მისი დიდი როლი.

„მემუარებში“ ცალკეა გამოყოფილი 1832 წლის შეთქმულებისა და ამ შეთქმულებაში მისი მონაწილეობის ამბები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მიზეზების დ. ყიფიანისეული ფართო ანალიზი და შეფასება, რომლებმაც განსაზღვრა ქართველთა მღელვარება-აჯანყებები და შემდგომ 1832 წლის შეთქმულების მომზადება.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ დ. ყიფიანის მიერ ჩამოთვლილი მიზეზები არ განსხვავდება სხვა დიდ ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა, კერძოდ, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგისა და სხვათა მოსაზრებებისაგან; დიდ

მოღვაწეთა მსგავსი დასკვნები მიანიშნებს მათს ერთსულოვნებასა და გულწრფელობაზე, ამ მიზეზთა ობიექტურობაზე.

მე-19 საუკუნის 40-60-იანი წლების საქართველოში არსებული მძიმე რეალობიდან გამომდინარე, ყველა დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ოფიციალურად მხარს უჭერდა ჩვენი ქვეყნის კავშირს რუსეთთან, მაგრამ აპროტესტებდა იმ უხეშ პოლიტიკას, იმ ძალადობას, რომელსაც რუსეთის იმპერია საქართველოში და, საერთოდ, დაპყრობილ ქვეყნებში იჩენდა. მაგალითად, გურიის აჯანყების გამომწვევი მიზეზების ანალიზისას დ. ყიფიანი წერს, რომ ქართველი ხალხი იბრძოდა არა რუსეთის წინააღმდეგ, არამედ საკუთარი ღირსების დასაცავად.

თავისი ცხოვრების არცთუ მოკლე გზაზე დ. ყიფიანმა ბევრი სიძნელე დაძლია, მრავალი დაბრკოლება გადალახა, რამაც იგი სულიერად გამოაწრთო. დ. ყიფიანი გამოირჩეოდა პირდაპირობით, გამბედაობით, პატიოსნებით, მომთმენობით, ნიჭითა და შრომისმოყვარეობით. ყოველივე ეს კარგად წარმოჩნდა მის მემუარებში.

ისიც უნდა ითქვას, რომ დ. ყიფიანის მემუარებში საგანგებო ყურადღება არაა დათმობილი ავტორის ეროვნული მოღვაწეობისთვის, საერთოდ, კულტურულ-ლიტერატურული საკითხებისთვის; ეს მხოლოდ იმით უნდა აიხსნას, რომ მემუარები დაიწერა რუსული ცენტრალური ჟურნალისთვის, რომლისთვისაც საქართველოში და, საერთოდ, კავკასიაში მხოლოდ და მხოლოდ რუსული მმართველობის დამკვიდრების ისტორია იყო საინტერესო.

სოფრომ მგალობლიშვილი ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია მწერალთა იმ ჯგუფისა, რომელიც ხალხოსნების სახელით არის ცნობილი. მისი, ისევე როგორც სხვა ქართველ ხალხოსანთა, მოღვაწეობა უფრო კულტურტრეგერულ საქმიანობაში გამოიხატა.

სხვა ხალხოსან მწერალთა დარად ხალხოსნური ტენდენციები ს. მგალობლიშვილის შემოქმედებაში გარკვეული თემებისადმი ინტერესში, მასალის შერჩევასა და მისადმი მიდგომის თავისებურებაში გამოჩნდა.

ს. მგალობლიშვილი იმ მხრივ გამოირჩევა სხვა ხალხოსნებისაგან, რომ მის მოთხრობებში ცხადად იჩენს თავს გლეხობის უკმაყოფილება, წინააღმდეგობის

გამოვლენა, ბრძოლა მებატონეთა, სოფლის მოხელეთა წინააღმდეგ, ერთგვარი რევოლუციური სულისკვეთება.

ს. მგალობლიშვილის მწერლური ღვაწლის გათვალისწინებისას საგანგებო აღნიშვნის ღირსია მისი, როგორც მემუარისტის, დამსახურება. ჩვენი მწერალი ის ავტორია, რომელსაც კარგად ჰქონდა გაცნობიერებული მემუარული ლიტერატურის დიდი მნიშვნელობა.

მოგონებების წერა ს. მგალობლიშვილმა 900-იანი წლების ბოლოს დაიწყო, მთელი სიცოცხლის განმავლობაში აგრძელებდა და სხვადასხვა ფორმით აქვეყნებდა კიდეც.როგორც ჩანს, ს. მგალობლიშვილზე, როგორც მემუარისტზე, დიდი ზემოქმედება მოახდინა აკაკის შედევრმა - „ჩემი თავგადასავალი“. სწორედ მისი შთაგონებით წერდა მწერალი თავის მოგონებებს.

ს. მგალობლიშვილის მოგონებები გამოირჩევა თემებისა და მასალის მრავალფეროვნებით. მწერალი ძალზე საინტერესოდ, დიდი დამკვირვებლის თვალით აღწერს ჩვენი წარსული ცხოვრების სხვადასხვა უბანს.

საგულისხმოა, რომ მწერალს მოგონებებში სურს შემოინახოს ის, რაც იყო და უკვე ქრება, იცვლება და იცვლება, სამწუხაროდ, უარესისაკენ. მით უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის ს. მგალობლიშვილის მოგონებები, როცა მისი დროიდან საუკუნეზე მეტი გვაშორებს, ხოლო ჩვენს დროში ხომ ტემპი ცვლილებისა უარესობისაკენ კიდევ უფრო გაზრდილია.

ქართული სოფლის შესანიშნავი მცოდნე მემუარისტი საინტერესოდ აცოცხლებს სოფლის ყოფას, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, სასიმღერო კულტურას, სოფლის მრავალფეროვან თამაშობებს. მწერალი შეწუხებულია, რომ ეს ტრადიციები თანდათან ქრება; რომ სულიერებას ცვლის უხეში მატერიალური ინტერესები.

ს. მგალობლიშვილის მოგონებებში საინტერესოდ არის გადმოცემული ლეკთა თარეში ქართულ სოფლებში და მისი შედეგები; ოსების ქურდული თავდასხმები; თითქოს ჩვენი მწერალი იმ ისტორიის სათავეს გვაცნობს, რომელსაც შემდეგ ხევისთავთა ჯაყოს ხიზნობა მოჰყვა, ხოლო ბოლოს შუაზე გაგლეჯილი დედაქართლი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი მივიღეთ. ს. მგალობლიშვილისეულ ქართული სოფლის დახასიათებაში ბევრი

რამაა ნიშანდობლივი და სადღეისოდაც ძალზე აქტუალური. ს. მგალობლიშვილის შემდეგ აქ უკეთესობისაკენ არაფერი შეცვლილა, თუ არ დავამატებთ იმას, რომ ქართული სოფლები უფრო და უფრო ცარიელდება, რომ ბევრი სოფელი უკვე გაუკაცურდა.

ჩვენი მწერალი ერთგვარ სიმპათიას გამოხატავს სწავლა-აღზრდის ძველი ტრადიციების მიმართ. მღვდლის ოჯახში აღზრდილმა, კარგად იცოდა საშინაო განათლების ფასი.

ს. მგალობლიშვილი ერთგვარად აგრძელებს ქართველ მწერალთა ტრადიციას და შთამბეჭდავად აღწერს გორის სასულიერო სასწავლებელში გატარებულ ყმაწვილობის წლებს, როზგისა და დაზუთხვის მავნე შედეგებს. იგი აქვე აღნიშნავს, რომ თბილისის სასულიერო სემინარიაში პირველი სხივი ნამდვილი აღზრდისა ი. გოგებაშვილის მოსვლას მოჰყვა.

ს. მგალობლიშვილის მოგონებებმა შემოინახა 70-80-იანი წლების კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების სურათები. აქ ვეცნობით 60-70-იანი წლების ქართული ჟურნალ-გაზეთების როლს ახალგაზრდობის ჩამოყალიბების საქმეში, თეატრალური ტრადიციების გაცოცხლებას თბილისსა და გორში.

ს. მგალობლიშვილის მემუარულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოგონებებს ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების შესახებ. მემუარისტი მაღალმხატვრულად, ცოცხლად ახასიათებს ქართული მწერლობის დიდ წარმომადგენლებს, საზოგადო მოღვაწეებს: ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, გ. წერეთელს, ი. გოგებაშვილს, ვაჟა-ფშაველას, ალ. ყაზბეგს, ა. ფურცელაძეს, გრ. ყიფშიძეს, გრ. ვოლსკის, ა. ცაგარელს, ვ. გუნიას, მ. დემურიას, მ. საფაროვას, და ა. შ. უმეტეს მათგანს ავტორი ძალიან ახლოს იცნობდა, მათთან პირადი და სამსახურებრივი ურთიერთობა აკავშირებდა. ს. მგალობლიშვილი მათ შესახებ ბევრ ისეთ შემთხვევას, დეტალს გვაცნობს, როგორსაც სხვა მემუარისტებთან ვერ შევხვდებით. ეს ყოველივე კი მის მოგონებებს მეტ ღირებულებას სძენს.

მოგონებებს, ასევე, ღირსებას მატებს ავტორის მწერლური ოსტატობა. მემუარისტი ძალზე საყურადღებო დეტალებით, თვალსაჩინო პორტრეტებით ავსებს თავის მონათხრობს. საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ ს. მგალობლიშვილი, როგორც

მთხრობელი, მხატვარი თავის მოგონებებში არათუ ჩამოუვარდება ს. მგალობლიშვილს, პროზაიკოსს, არამედ ბევრ შემთხვევაში აღემატება კიდეც მას.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ასათიანი 1974: ასათიანი ლ., ლიტერატურული წერილები, თბ., 1974;
2. ბერძნიშვილი 1983: ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. II, თბ., 1983;
3. გოგებაშვილი 1955: გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1955;
4. გოზალიშვილი 1935: გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, ტფ., 1935;
5. გოზალიშვილი 1970: გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, II, თბ., 1970;
6. გოზალიშვილი 1976: გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, III, თბ., 1976;
7. ევგენიძე 1995: ევგენიძე ი., გრიგოლ ორბელიანი, თბ., 1995;
8. ევგენიძე... 2013: ევგენიძე ი., მინაშვილი ლ., ქართული ლიტერატურა (XIX ს.), თბ., 2013;
9. ვაჟა-ფშაველა 1964: ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. II, თბ., 1964;
10. ვაჟა-ფშაველა 1964: ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964;
11. ვართაგავა 1958: ვართაგავა ი., კრიტიკული წერილები, თბ., 1958;
12. ვახანია 1998: ვახანია ნ., პროზა ალექსანდრე ორბელიანისა, თბ., 1998;
13. ვახანია 2004: ვახანია ნ., ალექსანდრე ორბელიანის მსოფლმხედველობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 2004;
14. ზანდუკელი 1978: ზანდუკელი მ., თხზულებანი, ტ. III, თბ., 1978;
15. კაკაბაძე 1914: კაკაბაძე ს., წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, თბ. 1914;
16. კლდიაშვილი 2013: კლდიაშვილი დ., პიესები, მემუარები, თბ., 2013;
17. კოტეტიშვილი 1965: კოტეტიშვილი ვ., რჩეული ნაწერები ორ წიგნად, წიგნი I, ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), თბ., 1965;
18. მაღრაძე 1967: მაღრაძე ე., გრიგოლ ორბელიანი, თბ., 1967;
19. მგალობლიშვილი 1938: მგალობლიშვილი ს., მოგონებანი, ტფ., 1938;

20. მგალობლიშვილი 1963: მგალობლიშვილი ს., რჩეული მოთხრობები, თბ., 1963;
21. მინაშვილი 2015: მინაშვილი ლ., პავლე ინგოროყვა ახალი ქართული ლიტერატურის მკვლევარი, ორი თარიღი, პიროვნებისაც, წიგნისაც, რედაქტორი რ. ჩხეიძე, თბ., 2015;
22. XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2012: XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტ. III, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი II), რედაქტორები: ქ. გიგაშვილი, მ. ნინიძე, თბ., 2012;
23. XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2015: XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტ. VI, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი V), რედაქტორები: ქ. გიგაშვილი, მ. ნინიძე, თბ., 2015;
24. პაპავა 1990: პაპავა თ., დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში, თბ., 1990;
25. რადიანი 1954: რადიანი შ., ახალი ქართული ლიტერატურა, თბ., 1954;
26. საოჯახო ბიბლიოთეკა 2009: საოჯახო ბიბლიოთეკა ოცდახუთ ტომად, ბიოგრაფიული პროზა, XIX საუკუნის ქართველი მოღვაწენი, პროგრამის ხელმძღვანელი და 25-ტომეულის მთავარი რედაქტორი ზ. აბზიანიძე, თბ., 2009;
27. საქართველოს ისტორია 2012: საქართველოს ისტორია ოთხ ტომად, ტ. IV, ტომის რედაქტორი მ. ნათმელაძე, თბ., 2012.
28. უთურაშვილი 2011: უთურაშვილი ი., დიმიტრი ყიფიანი, თბ., 2011;
29. ფუტკარაძე 2014: ფუტკარაძე ტ., დიმიტრი ყიფიანი და ქართული ენა, ქართველური მემკვიდრეობა, ქუთაისი, 2014, ტ. XVIII;
30. ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველას შესახებ 2003: ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველას შესახებ, კრებული შეადგინეს, შესავალი ნარკვევი, კომენტარები, შენიშვნები, საძიებელი დაურთეს ი. ევგენიძემ, ლ. მინაშვილმა, ჯ. ჭუმბურიძემ, თბ., 2003;
31. ქართული მწერლობა 1992: ქართული მწერლობა ოცდაათ ტომად, ტ. IX, ტომის რედაქტორი ჯ. ჭუმბურიძე, თბ., 1992;
32. ქართული მწერლობა 2003: ქართული მწერლობა ოცდაათ ტომად, ტ. XX, ტომის რედაქტორი თ. ჯოლოგუა, თბ., 2003;

33. ქართული რეალიზმის სათავეებთან 2015: ქართული რეალიზმის სათავეებთან, რედაქტორები ი. რატიანი, თ. შარაბიძე, თბ., 2015;
34. ქვლივიძე 1988: ქვლივიძე ც., ლიტერატურული ჟანრის კლასიფიკაციის საკითხისათვის, თბ.,1988;
35. ქიქოძე 1947: ქიქოძე გ., ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), თბ., 1947;
36. ყაზბეგი 1950: ყაზბეგი ალ., თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. V, თბ., 1950;
37. ყაზბეგი 1976: ყაზბეგი ალ., მოთხრობები, თბ., 1976;
38. ყიფიანი 1930: ყიფიანი დ., მემუარები, თბ., 1830;
39. ყიფიანი 1990: ყიფიანი დ., მემუარები, თბ., 1990;
40. ჩხეიძე 1996: ჩხეიძე რ., ალექსანდე ორბელიანი, თბ., 1996;
41. ჩხეტია 1950: ჩხეტია შ., საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950;
42. წერეთელი 1961: წერეთელი ა., თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIV, თბ., 1961;
43. წერეთელი 1989: წერეთელი ა., რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1989;
44. ჭავჭავაძე 1986: ჭავჭავაძე ი., წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, ტ. III, თბ., 1986;
45. ჭავჭავაძე 1987: ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად, ტ. I, 1987;
46. ჭავჭავაძე 1988: ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად, ტ. II, 1988;
47. ჭავჭავაძე 1991: ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად, ტ. V, 1991;
48. ჭავჭავაძე 2012: ჭავჭავაძე ი., ექვსტომეული, ტ. VI, თბ., 2012;
49. ჭილაია... 1957: ჭილაია ა., შუშანია ო., ლიტერატურულ ტერმინთა ლექსიკონი, თბ., 1957;
50. ჭილაია... 1984: ჭილაია ა., ჭილაია რ., ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, თბ.,1984;
51. ხახანაშვილი 1917: ხახანაშვილი ალ., ქართული სიტყვიერების ისტორია, ტფ., 1917;
52. ჯოლოგუა 2002: ჯოლოგუა თ., დიმიტრი ყიფიანი (1830 – 1860), თბ., 2002;

53. ჯოლოგუა 1997: ჯოლოგუა თ., საშვილიშვილო მოკავშირე - დიმიტრი ყიფიანი, ტ. I, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, რუსული ტექსტები თარგმნა, წინასიტყვაობა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ, რედაქტორი რ. ჩხეიძე, თბ., 1997;
54. ჯოლოგუა 2007: ჯოლოგუა თ., საშვილიშვილო მოკავშირე - დიმიტრი ყიფიანი, ტ. II, თბ., 2007;
55. ჯოლოგუა 2011: ჯოლოგუა თ., საშვილიშვილო მოკავშირე - დიმიტრი ყიფიანი, ტ. III, თბ., 2011;
56. ჯორჯაძე 1909: ჯორჯაძე არჩ., წარსულის გაკვეთილი, დროება, თბ., 1909, N 262-263;
57. ჯორჯაძე 1989: ჯორჯაძე არჩ., წერილები, თბ., 1989;
58. Dtv-Lexikon 2006: Dtv-Lexikon, München, 2006;

ხელნაწერები

59. დ. ყიფიანის ფონდი, N 771: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დ. ყიფიანის პირადი ფონდი, საქმე N 771;
60. S ფონდის აღწერილობა 1963: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ტ. III, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1963;
61. სსლმ, N15 705-ხ.; N15 709-ხ.; N15 710-ხ.: საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი, ს. მგალობლიშვილის ფონდი, საინვენტარო ნომერი 15 705-ხ., 15 709-ხ., 15 710-ხ.